

ლ.-ნ. ჯანაშია

ლასარ ფარშეცის ცნობები
საქართველოს შესახებ

თბილისი—1962

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი VI

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
источников о Грузии

Институт истории
им. И. Джавахишвили

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

Л.-Н. Джанашиа

Сведения Лазара Фарпеци
о Грузии

L.-N. Žanašia

Lazari Pharpensis historiae excerpta
ad Georgiam pertinentia

Издательство АН ГССР Sumptibus Academiae scientiarum Georgiae

Тбилиси — 1962 — Tbilissiis

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის ინსტიტუტი

ლ.-ნ. ჯანაშია

ლანსარ ფარშუცის ცნობები
საქართველოს შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1962

9(47922)

საქართველო II ს. ისტორია

V ს. სომეხი ისტორიკოსის ლაზარ ფარბეცის „სომხეთის ისტორია“ გადმოკვეცივს სომხეთის თავგადასავალს 387—485 წლებში. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ირანის პოლიტიკას სომხეთში და სომხეთის ბრძოლას სპარსელების წინააღმდეგ. გზადაგზა ავტორი ბევრ საინტერესო ცნობას გადმოგვცემს საქართველოს შესახებაც. ეს ცნობები შეეხება საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ ისტორიას, ისტორიულ გეოგრაფიას და როგორც სხვა საკითხებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ცნობები, რომლებიც აგვიწერენ ქართლის აჯანყებას ირანის წინააღმდეგ 482—484 წლებში.

წინამდებარე გამოცემაში „სომხეთის ისტორიიდან“ ამოკრულია ცნობები საქართველოს შესახებ, მოცემულია მათი თარგმანი და ანალიზი.

მთავარი რედაქცია: ილ. აბულაძე, ვლ. ჯუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი.
გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯაქია

სომხური წყაროების სერიის
რედაქტორი
ილია აბულაძე



2: 357448 / 26 ე. 2.

ს ა რ ჩ ე ბ ა

წინასიტყვაობა	7
ნაწილი პირველი. ლაზარ ფარპეცი და მისი თხზულებანი:	
§ 1. ლიტერატურის შიშობილება	13
§ 2. ლაზარ ფარპეცის ბიოგრაფია	19
§ 3. ლაზარ ფარპეცის თხზულებები	30
§ 4. ლაზარ ფარპეცის წყაროები	39
ნაწილი მეორე. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ:	
§ 1. წინა აზია და ამიერ-კავკასია III—IV საუკუნეებში	71
§ 2. ქართლი IV ს. დასასრულსა და V ს. პირველ ნახევარში	86
§ 3. ქართლი V ს. შუა წლებში	109
§ 4. ქართლი V ს. ოთხმოციან წლებში	136
§ 5. V ს. ქართლის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ლაზარ ფარპე- ცის ცნობათა შუქზე	165
ნაწილი მესამე. ტექსტი:	
§ 1. ლაზარ ფარპეცის თხზულებათა ხელნაწერები და გამოცემები	198
§ 2. „სომხეთის ისტორია“	201
§ 3. „წერილი ეაჰან ძამიკონიანს“	267
საძიებელი	269

IV—V საუკუნეები ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ეპოქაა საქართველოს ისტორიაში. იგი ახალი საფეხურია ქართველი ხალხის განვითარების ისტორიაში. ამ დროს ხდება მონათმფლობელურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევა და ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვა. სხვათა შორის, ამ მოვლენამ საქართველოში მნიშვნელოვნად უფრო ადრე იჩინა თავი, ვიდრე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბევრს ქვეყანაში. მაგრამ ეს განვითარება უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა. მას თან სდევდა დაძაბული ბრძოლა საზოგადოების სხვადასხვა კლასებს შორის. ეს იყო სასტიკი ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მხარეს. იგი მიმდინარეობდა არა მარტო საზოგადოების შიგნით, არამედ მასთან იყო დაკავშირებული ძრავალი მოვლენა საგარეო ურთიერთობათა სფეროდანაც, მასთანვე უშუალო კავშირში იყო ახალი იდეოლოგიის—ქრისტიანობის გაბატონებაც, რამაც თავის მხრივ უდიდესი ცვლილებები შეიტანა ქვეყნის მთელს კულტურულ ცხოვრებაში.

ყოველივე ზემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ამავე დროს ეს არის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაყოფიერად შესწავლილი ეპოქა, რაც გამოწვეულია წყაროთა სიმდიდრით. საკმარისია ითქვას ის, რომ სვენამდე IV საუკუნის არც ერთ ქართულ ლიტერატურულ ძეგლს არ მოუღწევია, თუმცა კი, როგორც ვაღაუდიბენ, ქართული მწერლობა უფრო ადრეულ ხანაშიაც უნდა არსებებულიყო.

პირველი ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, რომელმაც მოაღწია ჩვენს დრომდე არის „მარტვლობა შუშანიკისი“. იგი V საუკუნიდან შემონახული ერთადერთი ლიტერატურული წყაროა. ძირ-

თალია, ჩვენ გვაქვს აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი ლეონტი მროველისა და ჯუან-შერის თხზულებები, რომლებიც აგრეთვე შეიცავენ (ანობებს ამ ებოქაზე, მაგრამ ისინი, როგორც ცნობილია, უფრო გვიან არიან შექმნილი და სულ მცირე სამი-ოთხი საუკუნითაა დაშორებული ძა. ამასთან ერთად, ეს წყაროები ჯერ კიდევ საკმარისად შესწავლილი არ არის, მათი გამოყენებისათვის საჭიროა საკონტროლოდ გვეჭოდეს სხვა წყაროებიც.

სამწუხაროდ, სწორედ ამ დროისთვის განსაკუთრებით მცირდება შედარებით ის მრავალრიცხოვანი ცნობა, რომელიც არსებობს ბერძნულ და ლათინურ ენებზე წინა და შემდგომი პერიოდებისათვის. IV—V საუკუნეებისათვის ჩვენ მხოლოდ ძალზე იშვიათი, შემთხვევითი ხასიათისა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები შემოგვრჩა ამ ენებზე (თუ არ ჩავთვლით მათ, რომელნიც ქართლის გაქრისტიანებას ეხებიან). ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ძველ სომხურ წყაროებს. რომლებშიც არა ერთი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული IV—V სს. საქართველოს შესახებ.

ძველი სომხური წყაროების მნიშვნელობა დიდია სხვა მხრივაც. როგორც ცნობილია, სომხები და ქართველები უძველესი დროიდან ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ცხადია, ისინი უკეთ იცნობდნენ ერთმანეთის ზნე-ჩვეულებას, წარსულს, უკეთ ესმოდათ ერთმანეთისა. ვიდრე სხვა რომელიმე ხალხს მათი. მით უმეტეს, რომ გარდა მჭიდრო ეკონომიური და კულტურული კავშირებისა, მათ აერთიანებდათ აგრეთვე საერთო ინტერესები დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლისა. ამდენად, სომხური წყაროები ხშირად უფრო სწორია და სანდო, ვიდრე სხვა რომელიმე. განსაკუთრებით მდიდარია სწორედ ჩვენთვის საინტერესო ხანის ძველი სომხური ისტორიოგრაფია.

ბედნიერი შემთხვევით ისტორიის ქარტახილებს გადაურჩა და ჩვენამდე მოაღწია ძველი სომხური საისტორიო მწერლობის რამდენიმე საუკეთესო ნიმუში V საუკუნიდან, რომელმაც ამ ძეგლების გამო დაიმსახურა, და სავსებით სამართლიანადაც. ძველი სომხური მწერლობის ოქროს ხანის სახელწოდება. ეს არის კორიუნის, აგათანგელოსის, ფავსტოს ბუზანდის, ელიშეს, ლაზარ ფარაბეცისა და მოვსეს ხორენაცის თხზულებები. სწორედ მათ გაუთქვეს სახელი ძველ სომხურ ისტორიოგრაფიას.

ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მნიშვნელობის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სომხებს ძველად მდიდარი საისტორიო მწერლობა ჰქონდათ. ისტორიკოსთა სიმრავლის მხრითაც და ცნობათა სიუხვითაც იგი უურადლებს ღირსია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, პოლიტიკური და სხვა მიზეზების წყალობით, სომეხთა ისტორიკოსები მართო თავიანთი სამშობლოს ამბების მოთარობით ვი არ კმაყოფილდებოდნენ. არამედ სხვა სახელმწიფოებისა და ერთა პოლიტიკური ისტორიაც აქვთ ზოლმე ნაამბობი, ხშირად ვრცლად და ქრონოლოგიური ცნობებით შემკული. ამიტომ სომხური საისტორიო მწერლობაში სპარსეთის, ბიზანტიის, არაბთა, თურქთა და მონღოლთა ისევე როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარნი თავიანთთვის გამოსადეგ ბევრ ცნობებს იპოვიან.“

„უკვე დიდი ხანია, რაც ევროპულმა მეცნიერებამ ამ გარემოებას უურადლება მიაქცია და სომხური საისტორიო ძეგლების შესწავლას და იქ უხვად გაბნეული ცნობების ამოკრება-გამოყენებას მიჰყო ხელი“¹.

ნართლაც, ევროპულ ენებზე ითარგმნა ყველა რამდენადმე საუურადლებო ძეგლი ძველი სომხურიდან და შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა მათ შესახებ (თავისთავად ცხადია, რომ ძველ სომხურ ისტორიოგრაფიას პირველ რიგში თვით სომეხივე მკვლევრები სწავლობდნენ).

ძველი სომხური ისტორიოგრაფიის დიდი მნიშვნელობა უურადლებიდან არ გამორჩენიან საქართველოს ისტორიის სპეციალისტებსაც. უკვე მარი ბროსემ დაიწყო საქართველოს შესახებ სომხურ წყაროებში არსებული ცნობების გამოყენება და მტკიცე სიფუძველი ჩაუყარა კიდევაც ამ საქმეს (აქ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სომხურ წყაროებთან ხაცნობობის კვალი შეინიშნება ძველს ქართულ ისტორიოგრაფიაშიც). სომხურ წყაროებს იყენებდნენ საქართველოს ისტორიის XIX ს. სხვა სპეციალისტებიც, რომელთა შორის ამ მხრივ გამოირჩეოდა დ. ბაქრაძე. მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი ამ საქმეში მიუძღვის აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც იყო ძველი სომხური ენისა და საისტორიო მწერლობის საუკეთესო მცოდნე. იგი ისევე კარგად იცნობდა სომხურ წყაროებს, როგორც

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წ. 1, ტფილისი, 1935, გვ. III.

ქართულს და სშირადაც იყენებდა მათ საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევისას. ამასთან სომხური წყაროებით იგი დაინტერესებული იყო არა მარტო როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, არამედ ისინი მას აინტერესებდნენ წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისითაც. მის განზრახული ჰქონდა დაეწერა ვრცელი გამოკვლევა „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“. სამწუხაროდ, მან მოასწრო გამოეჭვეყნებინა ამ გამოკვლევის მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ძალიან საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს.

კარგად იცნობდა ძველ სომხურ წყაროებს აკად. ს. ჯანაშიაძე ფართოდ იყენებდნენ მათ სხვა ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებიც. სომხური წყაროებით სშირად სარგებლობენ სხვა მომიჯნავე დარგების სპეციალისტებიც. ჩვენში ძველი სომხური მწერლობის პოპულარიზაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი პროფ. ბელიქსეთ-ბეგს. მას აქვს მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ძველი სომხური მწერლობის სხვადასხვა საკითხებზე (სხვათა შორის, V საუკუნის ისტორიკოსებზეც—აგათანგელოსზე, ფავსტოს ბუზანდზე, ლაზარ ფარპეციზე, მოვსეს ხორენაციზე და სხვ.). წყაროთა პუბლიკაციები და მათი თარგმანი ქართულად. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მრავალრიცხოვანი ბიბლიოგრაფიული შენიშვნები და მის მიერ შედგენილი კატალოგი „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები“, რომლის ერთ ნაწილს შეადგენს საქართველოს შესახებ არსებული სომხური წყაროების ანოტირებული ბიბლიოგრაფია, გამოცემებისა და ლიტერატურის მითითებით.

ძველი სომხური მწერლობის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი უდევს ძველი ქართული და სომხური ფილოლოგიის მკვლევარს პროფ. ილ. აბულაძეს. გარდა რიგი გამოკვლევებისა ძველ სომხურ ფილოლოგიაში, მას აქვს ძველი სომხური მწერლობის ორიგინალურ ძეგლების პუბლიკაციები და მათი თარგმანი ქართულად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მას მიერ ქართული ლიტერატურის ძეგლების ძველი სომხური თარგმანების გამოცემები (მათ შორის ისეთებისა, როგორიც არის „ქართლის ცხოვრებისა“ და „მარტვლობაჲ შუშანიკისი“-ს თარგმანები).


წინამდებარე ნაშრომის მიზანია მკითხველს წარმოუდგინოს V საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა პლეადის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი—ლაზარ ფარპეცი, რომელსაც საკმაოდ საინტერესო ცნობები შემოუნახავს საქართველოს შესახებ. საქართველოს ის-

ტორიის არა ერთი მკვლევარი შეხებია ამ ცნობებს სხვადასხვა თვალსაზრისით. ჩვენი მიზანია თავი მოვუყაროთ მათ და წარმოვუდგინოთ ისინი მკითხველს, რომელსაც ხელი არ მიუწვდება სომხურ დედანზე. შეძლებისდაგვარად ვიძლევი ამ ცნობების ანალიზსაც.

ლაზარ ფარბეცის შესახებ ცოტა რამ არის დაბეჭდილი რუსულად და თითქმის არაფერია ქართულად. ამიტომ ჩვენ შედარებით ვრცლად ვჩერდებით მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ზოგიერთ საკითხზეც.

საქართველოს შესახებ ლაზარ ფარბეცის ცნობების მნიშვნელობა იზრდება იმის გამო, რომ იგი თანამედროვე იყო მის მიერ აღწერილი ამბებისა. აღსანიშნავია, რომ ლაზარ ფარბეცი აღიზარდა ქვემო ქართლში, არშუშა პიტიაშის კარზე. ამიტომ იგი, უთუოდ, კარგად იცნობდა ქართლსა და, საერთოდ, ქართულ გარემოს. ყველაფერმა ამან განაპირობა ამ ისტორიკოსისადმი ჩვენი ინტერესი, რომელსაც აცხოველებდა ისიც, რომ მისი თხზულებები არ არის თარგმნილი რუსულ ენაზე, რაც სომხური ენის უცოდინარ მკვლევარს უძნელებს სარგებლობას ამ წყაროთი (მით უმეტეს, რომ არსებულ ფრანგული თარგმანი მთლად ზუსტი არ არის). ჩვენ განზრახული გვაქვს შემდგომში ეს ძეგლი ქართულად სრულად ვთარგმნოთ. ამიტომ ყოველგვარი შენიშვნა ამ წიგნის ირგვლივ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასი იქნება.

ეს შრომა შესრულებულია აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის 1957—1958 წლების სამეცნიერო-საკვლევო გეგმების შესაბამისად. წინამდებარე გამოცემისათვის კვლევითი ნაწილი ჩვენ მიერ მნიშვნელოვნად იქნა გადამუშავებული და გავრცელებული.



ნაწილი პირველი

ლაზარ ფარაეცი და მისი თხზულებანი

§ 1. ლიტმკატუჲს ვიჲოხილვა

ძველი სომხური საისტორიო მწერლობის შესწავლის საკითხს თავისი, საკმაოდ ხანგრძლივი, ისტორია აქვს. მოავალრიცხოვანი გამოცვლევა არსებობს სომხური ისტორიოგრაფიის ცალკეულ წარმომადგენლებზე. ვამონაკლისს ამ მხრივ არც ლაზარ ფარაეცი წარმოადგენს. ამ მეტად საინტერესო ისტორიკოსის ირგვლივაც არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა. აქ ჩვენ შევიცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ იგი.

უპირველეს ყოვლისა მივმართავთ მიქაელ ჩამჩიანს, თავისთავად უაღრესად საინტერესო ისტორიკოსს, დიდად ერუდირებულ პიროვნებას. ავტორს უზარმაზარი შიშისას — „სომხეთის ისტორია“, თავის შრომაში იგი მოკლედ შეეხო ლაზარ ფარაეცისაც. აღნიშნა მისი „ისტორიის“ შედგენილობა და ორიადე სიტყვით შეეხო ლაზარ ფარაეცის ცხოვრების პერიოდსა და მის წყაროებს. მან სწორად განსაზღვრა, რომ ლაზარ ფარაეცი ცხოვრობდა V ს. მეორე ნახევარში. მ. ჩამჩიანი კათალიკოს საპაქისა და მესროპის მოწაფეებს ჰყოფდა ოთხ ჯგუფად. მეოთხე ჯგუფში, რომელიც დაემოწაჟა მათ მათი სიკვდილის, ე. ი. 440 წ. შემდეგ. მან შეპყავდა ლაზარ ფარაეციც, რომელიც მას მიაჩნდა კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის უმცროს თანამედროვედ¹. რაც შეეხება ლაზარ ფარაეცის წყაროებს, გარდა იმათი, რომელთაც ასახელებს თავით ლაზარი, ე. ი. გარდა აგათანგელოსის, თავსტოსისა და კორიუნისა, ჩამჩიანის აზრით, ლაზარ ფარაეცის უსარგებლია სომხეთის სამეფო სამდივნოს დოკუმენტებით, მაგ., მეფე ვრამშაპუპისა. ამავე დროს მ. ს. მიაჩნდა, რომ ლაზარ ფარაეცი სრულიად არ იცნობდა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“.

¹ ი. შ. შამჯანსკი, *Исторический Лазарь*, *Истор. М.* № 4, 1886, 1784.

² ი. შ. შ. 83. 717.

³ ი. შ. შ. 83. 758.

1829 წ. ეკმიაწინის წიგნთსაცავში აღმოჩნდა ლაზარ ფარპეცის „წერილი ვაჰან მამიკონიანს“. 1853 წ. ეს წერილი გამოაქვეყნა მ. ემინმა⁴. პუბლიკაციას მან წარუმძღვარა წინასიტყვაობა, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული წერილში არსებული ავტობიოგრაფიული ცნობები.

1861 წ. მ. ემინმა გამოსცა XIII ს. სომეხი ისტორიკოსის ვარდან დიდის „მსოფლიო ისტორიის“ რუსული თარგმანი⁵, რომელსაც დაურთო ვრცელი შენიშვნები. ამ შენიშვნებში ემინი შეეხო ლაზარ ფარპეცისაც, იმდენად რამდენადაც ვარდანი თავის „ისტორიაში“ ახსენებს საპაე კათალიკოსის „ხილვას“, რომელიც დაწვრილებით არის გადმოცემული ლაზარის წიგნის პირველ თავში. ემინის აზრით, „ხილვის“ ენა დიდად განსხვავდება ლაზარის ენისაგან. ემინმა უურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ XII ს. ცნობილმა სომეხმა მოღვაწემ ნერსეს ლამბრონელმა, რომელიც უარყოფდა „საპაეის ხილვის“ ნამდვილობას, არ იცოდა, რომ იგი შედიოდა ფარპეცის „სომხეთის ისტორიაში“. ამის საფუძველზე ემინმა დაასკვნა, რომ „ხილვა“ არ არის ლაზარ ფარპეცის ნაწარმოები; რომ იგი მერმინდელი ინტერპოლატორია და რომ XII ს.-ში იგი ჯერ კიდევ შეტანილი არ იყო „სომხეთის ისტორიაში“.

ლაზარ ფარპეცის „წერილი“ ახალ სომხურ ენაზე თარგმნა გამოჩენილმა სომეხმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ მიქაელ ნალბანდიანმა. მან ვერ მოასწრო ამ თარგმანის გამოქვეყნება. იგი დაბეჭდა 1868 წ. მ. ტერ-გრიგორიანცმა⁶. თარგმანს დართული აქვს მ. ნალბანდიანისავე მრავალრიცხოვანი შენიშვნები, რომლებიც უმთავრესად ემსახურებიან ტექსტის გაგებას. მ. ნალბანდიანი ძალიან ხშირად არ იზიარებს ემინისეულ გაგებას და, უმთავრესად, სავსებით სამართლიანადაც, მ. ნალბანდიანს განზრახული ჰქონდა ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიის“ სრული თარგმანის გამოქვეყნებაც⁷.

⁴ Ղ ա գ ա რ ա յ ֆ ա რ պ ե չ ւ ո յ Թուր առ Վանան Տէրն Մամիկոնէից, ՚ի լուս րնձայեաց Մկրտիչ Էմին, Մոսկվա, 1853.

⁵ Всеобщая история Вардана Великого, перевел Н. Эмин, Москва, 1861.

⁶ Ո չ յ ց ց, Սրմեչանյա, շջ. 82—84.

⁷ Ղ ա գ ա Ր Փ ա Ր պ ե չ ւ ը գրած րուզըր մեղադրութիւն տալիստի արեւ-գանեքին, րարգմանութիւն և բացատրութիւնք Մ. Ն ա լ բ ա ն ղ ե ա ն ց, Ս. Պ ե-տեբբուրգ, 1868.

⁸ Ո չ յ ց ց, թջ. 24.

და ამიტომ ზოგიერთ საკითხზე უფრო დაწვრილებით შეჩერებას მაშინ აპირებდა. სამწუხაროდ, მან ეს ვერ მოასწრო. უნდა ითქვას, რომ „წერილის“ თარგმანზე დართულ შენიშვნებში მსჯელობის სიღრმე, გონებამახვილობა და ძველი სომხური ლიტერატურის ღრმა ცოდნა გვაფიქრებინებს, რომ ეს შრომა ძალიან საინტერესო იქნებოდა.

ზოგადი ხასიათის მოკლე წერილი დაწერა ლაზარ ფარბეცის შესახებ ვიქტორ ლანგლუამ. ეს წერილი მან წარუძღვარა Samuel Ghésarian-ის მიერ ფრანგულად თარგმნილ ლაზარის „სომხეთის ისტორია“, რომელიც ლანგლუამ დაბეჭდა თავის „ძველი და ახალი სომეხი ისტორიკოსების კრებულის“ II ტომში⁹.

საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა ლაზარ ფარბეცის გრიგოლ ხალათიანცმა. 1883 წ. მოსკოვში დაბეჭდილ მის შრომას *«Ջազար փարպեցի և գիրք նորին»* („ლაზარ ფარბეცი და მისი თხზულებანი“) დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. გ. ხალათიანცმა პირველმა დასვა ამ შრომაში ზოგიერთი არსებითი ხასიათის საკითხი და მოგვცა მათი, ბევრ შემთხვევაში, სწორი გადაწყვეტა. ბევრი მისი შეხედულება გაზიარებულია თანამედროვე არმენოლოგების მიერ.

აქ მოვიტანთ მხოლოდ უმთავრეს დებულებებს ამ გამოკვლევისა.

დაწვრილებითი კვლევის შემდეგ გრ. ხალათიანცი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ლაზარ ფარბეცი დაიბადა 440—443 წწ. შორის¹⁰. მან აგრეთვე დაადგინა, რომ ლაზარმა თავისი ცნობილი „წერილი ვაჰან მამიკონიანს“ დაწერა 488—491 წწ. შორის¹¹. როგორც ცნობილია, ლაზარი თავის „ისტორიაში“ ახსენებს აგათანგელოსს, ფავსტოსსა და კორიუნს. ხალათიანცმა მიაკვლია, თუ სად და რით ისარგებლა ლაზარმა ამ ისტორიკოსებისაგან, ამას გარდა, მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ლაზარი იცნობდა აგრეთვე მოვსეს ხორენაცისა და ელიშეს. ხორენაცი მისი წყაროა 378—440 წლების ისტორიისა, ზო-

⁹ V. Langlois, Collection des Historiens Anciens et Modernes de l'Arménie, t. II. Paris, 1869, გვ. 255—257.

¹⁰ Գ. ր. Խ ա լ ա ր Խ ա ն, Ջազար փարպեցի և գիրք նորին, Ի Մասկվա, 1883, გვ. 7 (შნდ. ხალათიანცი).

¹¹ ხ ა ლ ა თ ი ა ნ ც ი, გვ. 49.

ლო ელიშე კი ვარდანელთა ომებისთვისო¹². საერთოდ, რაც შეეხება პერიოდს ვარდანელთა ომების დასასრულამდე, მისი აზრით, ლაზარ ფარპეცი აქ თავისას არაფერს ამბობს და გადმოგვცემს მხოლოდ იმას, რაც სხვებს უკვე ჰქონდათ¹³.

დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხალათიანცი შემდგომი პერიოდის შემცველ ტექსტს. აქ გადმოცემული ამბები ან თვით ლაზარის თვალთ არის ნანახი. ან მონაწილეების მიერაა მოთხრობილი ლაზარისთვისო.

მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს გაკეთებული ხალათიანცის ტექსტზეც. მაგალითად, იგი თვლის, რომ სომხური ანბანის გამოკონების შემცველი ადგილი ძალიან არის შერყენილი¹⁴ (ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით). გ. ხალათიანცმა გაიზიარა მ. ემანის აზრი, რომ „წმინდა საპაკის ხილვა“ არ ეკუთვნის ლაზარ ფარპეცის¹⁵.

დაბოლოს, გრ. ხალათიანცმა დაათარილა „სომხეთის ისტორიის“ დაწერაც. მისი აზრით ეს მოხდა V საუკუნის უკანასკნელ წლებში¹⁶.

1889 წ. ჟურნალმა «Հանդէս Ամսօրեայ»-მ გამოაქვეყნა იმეამად უკვე გარდაცვლილი ცნობილი სომეხი ისტორიკოსი პ. გათრქიანის სამი პატარა წერილი. რომელიც ავტორს გამოუქვეყნებლად არჩენოდა. ეს წერილები უმთავრესად მიზნად ისახავდა დაეთარღლებინა ოთხი სომეხი ისტორიკოსის — კორიუნის, ელიშეს, მოვსეს ხორენაცისა და ლაზარ ფარპეცის ცხოვრების ხანა (აღსანიშნავია, რომ, როგორც ჩანს, გათრქიანი და ხალათიანცი არ იცნობდნენ ერთმანეთის შრომებს). გათრქიანის აზრით, ლაზარ ფარპეციმ თავისი წიგნი დაწერა 488—490 წწ-ში. ხალათიანცისაგან დამოუკიდებლად, გათრქიანიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ლაზარ ფარპეცი გარდა აგათანგელოსის, კორიუნისა და ფავსტოსის წიგნებისა, იცნობდა მოვსეს ხორენაცის თხზულებასაც¹⁷.

¹² ხალათიანცი, გვ. 67 და სხვაგანაც.

¹³ იქვე, გვ. 91.

¹⁴ იქვე, გვ. 113.

¹⁵ იქვე, გვ. 120—127.

¹⁶ იქვე, 113.

¹⁷ ლ. Գ ա թ ը ն ա ն, Հինգերորդ դարու չորս հայ պատմագրութեանը ժամանակները. «Հանդէս Ամսօրեայ», 1889, № 1, გვ. 9—12.

ფილიყვენ. ლაზარს ისინი ებრძოდნენ, როგორც ბერძნული განათლებისა და, საერთოდ, ელინოფილური ორიენტაციის გამავრცელებელს²⁴.

ლაზარ ფარპეცის წყაროებში მ. აბელიანს მოვსეს ხორენაცი და ელიშე შეპყავს²⁵. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ლაზარმა „თავისი „ისტორიის“ უდიდესი ნაწილი, უეჭველია, ზეპირი გადმოცემების საფუძველზე დაწერა, თუმცა კი ამ წყაროს იგი მხოლოდ რამდენიმეჯერ თუ მიუთითებს“-ო²⁶.

მ. აბელიანმა შენიშნა, რომ ლაზარს დამატებითი ცნობები მოაქვს არა მარტო თავისი შრომის მესამე ნაწილში, როგორც ამას ფიქრობდა გრ. ხალათიანცი, არამედ მეორეშიც²⁷.

შველევარი რამდენჯერმე ხაზგასმით მიუთითებს იმაზე, რომ ლაზარის შრომა საერთოდ, განსაკუთრებით კი მისი მეორე და კიდევ უფრო მეტად, მესამე ნაწილი წარმოადგენს მამიკონიანთა გვარის პანეგირიკს. მიუხედავად იმისა, რომ ლაზარს გადაწყვეტილი ჰქონდა დაეწერა მხოლოდ სიმართლე, „არ განვერცო ტყუილებით უსარგებლო მრავალსიტყვაობისათვის“ — როგორც თითონ ამბობს — მან ეს ბოლომდე მაინც ვერ შეძლო. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრით, შრომის დანიშნულებით (იგი უნდა ყოფილიყო მამიკონიანთა შექება), მეორე მხრით კი — მისი წყაროებით (ზეპირი გადმოცემებით). „მან დაწერა ისტორია, რომელიც. მართალია, ბუზანდის ეპიკურ სტილში არ არის დაწერილი, მაგრამ რაღაც თავისებურ ეპიკურ თსრობას წარმოადგენს. იგი მამიკონიანთა გვარის გმირული შექებაა და ეს განსაკუთრებით აშკარადაა გამოხატული მის მეორესა და ძესამე ნაწილებში“-ო²⁸, აღნიშნავდა მ. აბელიანი.

რამდენიმე მნიშვნელოვანი შენიშვნა ლაზარ ფარპეცის შესახებ გააკეთა ივ. ჯავახიშვილმა თავის ცნობილ გამოკვლევაში „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“. ეს შენიშვნები შეეხება უმთავრესად ლაზარ ფარპეცის მიერ კორიუნის წყაროდ გამოყენების საკითხს. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ლაზარს „წყა-

²⁴ იქვე, გვ. 318.

²⁵ იქვე, გვ. 321, 324.

²⁶ იქვე, გვ. 321.

²⁷ იქვე, გვ. 329.

²⁸ იქვე, გვ. 320.

როდ კორჯნის თხზულების ვრცელი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვრცელის მსგავსი რედაქცია უნდა პქონოდა²⁹-ო.

პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი თავის შრომაში „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“, შეეხო ლაზარ ფარპეცისაც. მანაც გაიზიარა აზრი იმის შესახებ, რომ „წმ. საპაკის ხილვა“ მერმინდელი ინტერპოლაციაა³⁰. სხვათა შორის, მანვე გამოაქვეყნა, „საპაკის სილვის“ ძველი ქართული თარგმანის ტექსტი³¹.

§ 2. ლაზარ ფარპეცის ბიოგრაფია

ლაზარ ფარპეცის ცხოვრება შედარებით კარგად არის ცნობილი. წყაროდ მისი ბიოგრაფიისათვის, უპირველეს ყოვლისა, არის ში. სივე ცნობილი „წერილი ვაპან მამიკონიანს“. გარდა ამისა, დამატებითს, და როგორც ჩანს, სარწმუნო ცნობებს გვაწვდის წინასიტყვაობა, რომელიც წამდღვარებული აქვს ლაზარის „წერილს“. წინასიტყვაობას ეწოდება „წინასიტყვაობა ამ წერილისა, რომელიც გამოცხადნილი იყო ქალაქ ამიდიდან“. ვინ არის მისი ავტორი, არ ვიცით, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ იგი კარგად იცნობდა ლაზარის თხზულებებს, ბიოგრაფიას და, შესაძლებელია, პირადად ლაზარსაც. იგი „სომხეთის ისტორიისა“ და „წერილის“ ერთ-ერთი პირველ გამომწერთაგანი და რამდენადმე რედაქტორიც უნდა ყოფილიყო. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „სომხეთის ეს შესამე ისტორია ნეტარმა ჩემმა ლაზარმა აღწერა. მასთანვე დავწერეთ ეს წერილიც, რათა კითხვის მოყვარულებმა ისტორიის წაკითხვის შემდეგ, მასთან ერთად ეს წერილიც წაიკითხონ და განიცადან სიკეთე მისი სიტყვისა“³².

²⁹ ი. ჯ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო იწერლობა: თბილისი, 1935, გვ. 158.

³⁰ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 78.

³¹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ქართული ვერსია საპაკ; პართელის წინასწარმეტყველებისა: ტფილისის უნივერსიტეტის სთანბე, II, 1922—1923, გვ. 200—221.

³² ი. ძ., გვ. 186.

მ. ნალბანდიანის თქმისა არ იყოს, ეტყობა ამ უცნობ ავტორს უნდა ვუმაღლოდეთ იმას, რომ „წერილმა“ ჩვენამდე მოაღწია.

წინასიტყვაობის ავტორი, როგორც უკვე ვთქვით, კარგად იცნობდა ლაზარ ფარპეცის ცხოვრებას, რაც ჩანს იქიდან, რომ იგი ახსენებს ზოგიერთ ისეთ დეტალს, რომელიც „წერილში“ არ მოიპოვება (მაგ. სომხეთიდან გაძევებული ლაზარის ქ. აჰიდში გაჩერება; ის, რომ ლაზარმა თავისი „წერილი“ ვაჰან მამიკონიანს გაუგზავნა ჰამაზასპ მამიკონიანის ხელით; რომ ლაზარისთვის ჩაბარებული ხის ეკლესია ხანძრისაგან დაზიანებულია და სხვ.). ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ლაზარს იგი უწოდებს „ნეტარი ჩემი ლაზარი“-თ.

ლაზარ ფარპეცი უნდა დაბადებულიყო, როგორც უკვე ვვაქვს ზემოთ აღნიშნული, 440-443 წლებს შორის სოფელ ფარპში, საიდანაც წარმომდგარა მისი ზედმეტი სახელი—ფარპეცი (ფარპელი). ლაზარის ბავშვობა დაემთხვა სომხეთში ირანელთა ბატონობის ყველაზე მძიმე წლებს. სომხეთის 450—451 წლების აჯანყების დროს ათიოდე წლის ლაზარი მოწმე იქნებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლებისა, ქვეყნის აოხრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის რბევა-აწიოკებისა. სპარსელებმა მოახერხეს აჯანყების ჩახშობა. მათ გაუღიჯეს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმები და ტყვედ წაასხეს მათი ოჯახები. დატყვევებულთა შორის იყო აჯანყების მეთაურის ვარდან მამიკონიანის ძმის, აჯანყების ერთ-ერთი გამორჩენილი მოღვაწის, ჰმაიაკ მამიკონიანის ოჯახიც, მისი საძი ვაჟით — ვაჰანით, ვასაკითა და არტაშესით.

ჰმაიაკ მამიკონიანის ცოლისდა ანუშვრამ არწრუნი გათხოვილი იყო არშუშა ქართლის ბიტიანშზე. არშუშამ მზრუნველობა გამოიჩინა თავისი ქვისლის დათბლებული შვილების მიმართ (ჰმაიაკი დაიღუპა აჯანყების დროს) და სთხოვა ირანის შაჰს იეზდიგერდ I-ს ეჩუქებინა მისთვის მათი თავი. იეზდიგერდმა აასრულა მისი თხოვნა და 455 წ. არშუშამ თავისთან წაიყვანა ჰმაიაკის ცოლი ძვიკი მისი საძი ვაჟით. მათ რამდენიმე წელს იცხოვრეს არშუშასთან. აქვე აღმოჩნდა ლაზარიც; იგი ცოტათი უფროსი იყო ახალგაზრდა მამიკონიანებზე, მაგრამ მონაწილეობდა მათს გართობებში და მათთან ერთად სწავლობდა მათს დედასა და დეიდასთან.

თავის „წერილში“ ლაზარი ასე იგონებს ამ დროს: „როდესაც ნეტარმა დედაშენმა (ე. ი. ვაჰან მამიკონიანის დედამ, ლ. ჯ.) წაგიყვანათ თქვენ ბღეშსთან, მის კარზე ჩვენც გვასწავლიდნენ. და თუმცა

კი ჩვენ ხნით თქვენზე უფროსი ვიყავით, მაგრამ თქვენთან ერთად ვიზრდებოდით და ვთამაშობდით, ვატარებდით რა თამაშის დროს თქვენს მოსასხამებს თქვენს უკან. გვზრდიდნენ ჩვენ კურთხეულად დედათქვენი და ანუშვრამი თავიანთი სათნოებით თქვენთან ერთად და თქვენს მსგავსად ჩვენცა“²³. ცხადია, ჰშიაიკ მამიკონიანის შვილები და მათთან ერთად ლაზარი თავისი დროისთვის საუკეთესო განათლებას მიიღებდნენ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლაზარ ფარპეტამ ყრმობის რამდენიმე წელი გაატარა ქვემო ქართლში, არშუშა პიტიაშის კარზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წლების განმავლობაში იგი კარგად ვაიცნობდა ქართლსა და ქართველებს.

შემდეგ ლაზარი ჰონვედრილა ძვიკის ძმასთან, ცნობილ საეკლესიო მოღვაწესთან, ილან არწრუნისთან: „აღვიზარდე და სწავლა მივიღე კეთილმორწმუნე (სათაფრნათქიან) ნეტარ ალანის ფეჩებთან“²⁴ — წერს ლაზარი. იმავე ალანისგან მას მიუღია ბერობა და შემდგომ „ჩუი მასწავლებლების ბრძანებით წავედი საბერძნეთში, დავყავი იქ წლები“-ო“²⁵, გადმოგვცემს იგი. როგორც ჩანს, საბერძნეთში ლაზარი დიდი გულძოდგინებითა და შთბრუნებით სწავლობდა ბერძენ მეცნიერებსა და ღმრთისმეტყველებს. საშობლოში ლაზარი 70-იანი წლების ბოლოს უნდა დაბრუნებულიყო, რადგან იგი წერს: „იქიდან დაბრუნებულმა კამსარაკანებთან ვიცხოვრე მთელი აჯანყების განმავლობაში თქვენი დამორჩილების წლამდე“-ო“²⁶. ლაზარი აქ გულისხმობს ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის აჯანყებას სპარსელების წინააღმდეგ 482—484 წწ. და ვაჰანის დამორჩილებას 484 წელს. ნტყობა, ამ აჯანყებაში რაღაც მონაწილეობა თვით ლაზარ ფარპეტისაც მიუღია. იგი ამბობს, რომ აჯანყების „შემდეგ, რადგანაც დაღლილი ვიყავ შრომით მეფეთის დროს, მოვიხდომე, თავი მიმიცა საენიეთში ლოცვისთვის და დამესვენა“-ო“²⁷. სივნიეთში მან დაყო ორი წელი, 484—486 წწ. ზამთარს იქ იგი ატარებდა გამოქვაბულში სახელგანთქმულ მეუდაბნოე ბერთან, მოვსესთან ერთად, ზაფხულში კი, საშინელი სიცხის გამო, რომელიც იმ ადგილებში

²³ ი. ფ., გვ. 188.

²⁴ იქვე, გვ. 5.

²⁵ იქვე, გვ. 187.

²⁶ იქვე, გვ. 187.

²⁷ იქვე, გვ. 188.

სკოდნია, იქაურ მღვდელმთავარს, ეპისკოპოს მუშეს მიჰყავდა იგი თავისთან საზათხულო აღგილებში. მუშეს მზრუნველობა ლაზარის მიმართ გვიჩვენებს, რომ ამ უკანასკნელს მაშინ უკვე ჰქონდა საკმაო სახელი მოპოვებული. მის სახელს ეტყობა მოუღწევია ვაჰან შამიკონიანამდეც, რომელიც ამ დროს სომხეთის მარზპანი იყო. ვაჰანს მოუძებნია ლაზარი და თავის სახლში მიუყვანია³⁶.

სხვა აღდგენითს სამუშაოებთან ერთად ვაჰანმა განაახლა ვალარ-შაპატის ეკლესია და დააწესა მასთან მონასტერი. ამ ეკლესიისა უა მონასტრის ზედამხედველად და წინამძღვარად მან ლაზარ ფარპეცი დანიშნა. ეს ამბავი გნებათა დელვის გარეშე არ მომხდარა. ამ ფრიად მნიშვნელოვანი პოსტის დაკავების პრეტენდენტები სხვებიც ყოფილან. მათ ვაჰანისთვის უთხოვნიათ. მათთვის მიეცა ეს აღგილი. საპაგიეროდ მას ქრთამს აღუთქვამდნენ. ვაჰანი აღშფოთებულა ამ წინადადების გამო და ლაზარის მოქიშპეები გაწბილებულები დაუტოვებია³⁷. მაგრამ ბრძოლა ამაზე არ დამთავრებულა.

თავისი მოვალეობის შესრულებას ლაზარი დიდი მონდობებით შესდგომია. ამ საქმეში მას ესმარებოდნენ ვაჰან შამიკონიანის ძმები და ძმისშვილი ჰამაზასპი, რომლებზეც ლაზარს დიდი გავლენა მოუპოვებია: ისინი „ჩემს სიტყვას დიდი სიამოვნებითა და პატივისცემით იღებდნენ, როგორც მართალი მასწავლებლისას, და პატივს მცემდნენ როგორც მამას, განსაკუთრებით კი უფალი ჰამაზასპი“-ო“, წერს ლაზარი. მათგან და სხვა წარჩინებულ ოჯახთაგან ლაზარი დიდ შესაწირავებს დებულობდა მონასტრისთვის.

მონასტრის მოვლისა და მისი ქონების გამრავლების საქმეში ლაზარს დიდი წარმატებებისათვის მიუღწევია. იგი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შენობის უვარგისობის გამო მას ორჯერ დაელუბა მოვლი ავეჯი და გამ-ჭურჭელი, მისი მონასტერი არაფრით ჩამოუვარდებოდა მათ, რომელნიც ორასი წლით უფრო აღრე იყვნენ აშენებულნი³⁸.

ლაზარს თავისი საქმიანობით, როგორც ჩანს, დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაუმსახურებია. ერთგან იგი სიამაყით აღნიშ-

³⁶ ი. ქ., გვ. 188.

³⁷ ი. ქ. ვ., გვ. 197—198.

³⁸ ი. ქ. ვ., გვ. 195.

⁴¹ ი. ქ. ვ., გვ. 196—197.

ნავს: „უფალო, მე ის ლაზარი ვარ, რომელსაც, შენი და სხვათა მრავალთა თქმით, არავინ ჰყავს შემცვლელი“⁴².

მაგრამ არც ლაზარის მტრები, მისი ძველი მოქიშბეები ისხდნენ ამ დროს გულხელდაკრეფილნი. ისინი ყოველნაირად ხელს უშლიდნენ მას, ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის ხალხისა და ვაჰან მამიკონიანის თვალში, რათა როგორმე თავიდან მოეშორებინათ იგი და ხელში ჩაეგდოთ სანუკვარი აღგილი.

ლაზარის მოწინააღმდეგეების მოქმედებას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს იმ ბრძოლის ერთ-ერთ სახედ, რომელიც წარმოებდა ნაციონალურ-სომხურსა და მის მოწინააღმდეგე მიმდინარეობათა შორის.

მ. აბელიანის სიტყვით, „ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც წინათ, მოქმედებდა სპარსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ბერძნებისა და ელინოფილი სომხების წინააღმდეგ, მაგრამ არა ასურელების მეშვეობით, როგორც წინათ იყო. სომხეთში მათი როლი დამთავრდა, ისევე როგორც მათი ენის ხმარება სომხურ ეკლესიებში. ახლა სპარსელები ეყრდნობოდნენ ახალ მძლავრ მიმდინარეობას, რომელიც მათ თვითონ წარმოშვეს სომხებში. ეს იყვნენ სპარსოფილები, რომელთაგან ბევრი მოგვთა სარწმუნოებასაც კი იღებდა“⁴³.

რომ სომხეთში ამ დროს ბრძოლა წარმოებდა სპარსოფილურსა და სომხურს, ან ელინოფილურ, მიმდინარეობათა შორის, უეჭველია, მაგრამ საეჭვოა, რომ ლაზარ ფარპეცის მტრებიც ამ სპარსოფილებს კუთვნებოდნენ. საქმე ისაა, რომ სპარსეთის ძველი მტერი და მის წინააღმდეგ აჯანყების გმირი ვაჰან მამიკონიანი, ლაზარის ბავშვობის მეგობარი და მფარველი, ამ დროს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა თავს სომხეთში. ძნელი დასაჯერებელია, რომ მას მზარდი დაეჭირა სპარსოფილი ბერებისათვის სპარსეთის წინააღმდეგ თავისი იდეური (და შესაძლებელია საქმიანაც) თანამებრძოლის, ლაზარის წინააღმდეგ ყოველ შემთხვევაში, უნდა ვითქროთ. რომ ლაზარს მხედველობიდან არ გამოეპარებოდა ამ ბრძოლის მთავარი მიზეზი. ამ შემთხვევაში კი ეს, რა თქმა უნდა, მის უძლიერეს არგუმენტად იქცეოდა მისი მტრების წინააღმდეგ მიმართულ სიტყვაში: მას

⁴² ო. დ., გვ. 188.

⁴³ მ. ს. რეიკან, ჯაიიგ ჩქნ ვრასკანოიკიან აკათოიკიონ, I, გვ. 318.

ხომ ვაჰანის გუშინდელი მტრები ებრძოდნენ! მაგრამ არსად მის „წერილში“ და არც „წერილის“ წინასიტყვაობაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ამის შესახებ.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზარ ფარპეცის მტრები მას ბრალს სდებდნენ მწვალებლობაში და მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ღალატში, რაც ნაკლებად მოსალოდნელია სპარსოფილებისაგან, „რომელთაგანაც ბევრი მოგვთა სარწმუნოებასაც კი იღებდა“.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მათ, როგორც ჩანს, რამდენადმე თანაუგრძნობდა თვით კათალიკოსიც, რომელიც ლაზარას თხოვნისდა მიუხედავად, არაფრით არ დახმარებია მას მის ცილისმწამებელთა წინააღმდეგ.

ლაზარ ფარპეცის პიროვნებისა და საქმიანობის დასახასიათებლად საინტერესოა განვიხილოთ, თუ რაში სდებდნენ ბრალს მას მისი მოწინააღმდეგეები. მისი მტრების სიტყვით, „ლაზარი ამბობს, გარყვნილება ცოდვა არ არისო და ამასზევე აქეზებს მარზპანსაც“⁴⁴; „ლაზარი მწვალებელია“⁴⁵; „თუ ვინმე ბილწია და უწმინდური, ლაზარის მონასტერიც იქ არის და უყვარს ისინი“⁴⁶. იმასაც ამბობდნენ, რომ იგი მეტად ახალგაზრდა იყო ასეთი დიდი მონასტრის წინამძღვრობისათვის და სხვ.

თავის „წერილში“ ლაზარს მოჰყავს ყველა ეს ბრალდება და სათითაოდ უპასუხებს მათ. მისი პასუხები კარგად არის მოფიქრებული და ოსტატურადაა დაწერილი. საინტერესოა მისი პასუხი მეორე ბრალდებაზე, თითქოს იგი მწვალებელი ყოფილიყო. აქ ლაზარი აღნიშნავს, რომ მას შესწავლილი აქვს თხზულებანი და ქადაგებანი ღმრთისმეტყველების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეთა, როგორიც იყვნენ ათანასე ალექსანდრიელი, კირილე ალექსანდრიელი, კირილე იერუსალიმელი, ბასილ კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ განმანათლებელი.

ლაზარი ამბობს, ვინც გულისყურით გასცნობია მათს ნაღვაწს, იგი საიმედოდ არის შეიარაღებული ყოველგვარი მწვალებლობის წინააღმდეგო და იქვე უმატებს, რომ იგი თვით იმ მწვალებელია ნაშრომებსაც იცნობს, რომელნიც დაწყევლილი არიან წმინდა კა-

⁴⁴ ო. ფ., გვ. 190.

⁴⁵ იქვე, გვ. 192.

⁴⁶ იქვე, გვ. 195.

თოლიკე ეკლესიის მიერო. ლაზარი ჩამოთვლის ამ „წყეულებსაც“. ესენი არიან: არიოს ალექსანდრიელი, აპოლინარიოს ლაოდიკიელი, ნესტორ ანტიოქიელი, ევტიხი კონსტანტინოპოლელი, მანი.

სომხურ მწვალებლობას კი, რომელშიც ბრალსა მდებენ, ამბობს ლაზარი, არც მეთაური ჰყავს და არც წერილობითი რამ მოეპოვებაო. იგი ღირსია მათი უცოდინარობისაო. „ხოლო თუკი მე მათგან ვისმეს ვიცნობდი, არ მინდოდა მხოლოდ განაგონით მათი განქიქება და დაგმობა, რის გამოც ეს შხამით აღსაესე ხალხი ფიქრობდა, რომ მეც მათი მსგავსი ვიყავი“-ო⁴⁷. მაინც, როგორც ჩანს, ამ ბრალდებაში სიმართლის რაღაც ნიშანი უნდა იყოს. ფრთხილი მართლმორწმუნე, ალბათ, იმათაც მოერიდებოდა, ვიზუდაც მხოლოდ განაგონითაც შეეძლო დაექვებულიყო, მაგრამ ლაზარ ფარპეცი, ესოდენ განსწავლული პირი, როგორც კანონიკურ, ისე მწვალებლურ ლიტერატურაში, ეტყობა, რამდენადმე შემწყნარებლობას იჩენდა რელიგიურ საკითხებში, რაც არ გამოჰპარვია მის მტრებს.

როგორც ჩანს, იყო კიდევ ერთი განსაკუთრებით მძიმე ბრალდება. რომელზედაც ლაზარ ფარპეცი პირდაპირ არ ლაპარაკობს. ეტყობა, ლაზარს ცილს სწამებდნენ იმაში, თითქოს მას მიეთვისებინოს საეკლესიო ქონება. „ხოლო შენ, არც ის გაგიგია, ღირდა კი ცოდნად, რადგან მესმა. რომ ლაპარაკობდნენ, თითქოს ჩემს შემდეგ არაფერი იყო იმ ადგილას. თუ ყოველგვარი ავეჯითა და ჭურჭელით იგი მცირედაც დამცრობილი იყო იმ მონასტრებზე, რომელნიც ორასი წლით უადრეს იყვნენ აშენებული, თავს არ ჩავთვლიდი ღირსად [იმ ადგილის] პყრობისა, და თუმცა ერთხელაც და ორჯერაც დაიღუბა მთელი ჭურჭელი თვით შენობის უვარგისობის გამო, მაგრამ შენ, უფალო, რომ გაგეგო, ანგარიში მოგეთხოვა ჩემთვის და თვით შენ რომ განგეხილა, მაშინ [გამოჩნდებოდა], ქებისა თუ გინების ღირსი ვიყავი“⁴⁸.

შემდეგ ლაზარი რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამა და ამ კაცის შემოწირული იქ არის აღნუსხულიო. მაგალითად, როდესაც იგი ლაპარაკობს შესაწირავებზე, რომლებიც მიჰქონდათ მონასტერში ვაჰან მამიკონიანის ძმისშვილებს, უმატებს: „ყოველი მათგანის შესაწირავი ცნობილია და წიგნით აღნუსხულია იქვე“⁴⁹; „ვერ-

⁴⁷ ო. ფ. გვ., 193.

⁴⁸ იქვე, გვ. 196—197.

⁴⁹ იქვე, გვ. 195.

ცხლი და ოქრო, რომელიც მრავალთაგან მიმიღია, ან თუ ვინმეს სჭირვებია, იმ ადგილის საჭიროებისათვის დამინარჩავს“⁵⁰: „ხოლო მე სხვა ახალ ამბავსაც გეტყვი, უფალო, რაც, თუ მოინდომებს შენი ჭეშმარიტების მაძიებელი გონება, სხვაზე ყველაფერზე უფრო ადრე განიხილე. უფალო, გემუდარები, და როდესაც სწორად ვაერკვევი, გაიკვირვე, ან უარყავი, როგორც არამართალი და დაგმე. რადგანაც იმ დღიდან, როდესაც, უფალო, შენ მიმიყვანე მაგ ადგილას, ვიდრე ჩემი განდევნის დღემდე, მაგ ადგილის შემოსაგლიდან ან შესაწირავებიდან ერთი დრამაც კი არ ამიღია და არც ჩემ საქმეთა საჭიროებისათვის მოაუცია ვინმეს რაიმე. ეს იციან მათ, ვინც ჩემთან ცხოვრობდა, განსაკუთრებით კი ერთმა კაცმა, სახელად აკით... ხოლო უფალ ნერსეჰისაგან და პრაპატისაგან ჩემთვის განწესებული ყოველ წლიურად საზრდოდ, ტანსაცმლისა და ცხენის საჭიროებისათვის ცნობილია, ისევე როგორც შენი ძმის შვილებისაგან [განწესებული], უფალო. ესეც ბევრი იყო ჩემთვის და საკმარისი. ის კი არადა, ხანდახან, რაც ზედმეტი მქონდა. იქიდან მაგ ადგილის საჭიროებისათვის იხარჯებოდა“⁵¹.

თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა ლაზარ თვარბეცის ეს საკითხი, იქიდან ჩანს, რომ იგი ვაჰან მამიკონიანს სთხოვდა, გემუდარები ყველა სხვა საქმეზე უფრო ადრე ეს განიხილო. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ბრალდების შედეგი უნდა იყოს ის, რომ განდევნისას ლაზარს თავისი პირადი ქონება ჩამოართვეს.

ლაზარის მტრების მოქმედებამ, ჩანს, საბოლოოდ მიაღწია თავის მიზანს. ვაჰანმა ზურგი შეაქცია თავის პროტეჟეს. კათალიკოსმა დახმარება არ გაუწია მას, არც ნახა იგი და არც მოსმენა მოისურვა მისი. მართოდ დარჩენილი ლაზარი, სასაცილოდ აგლებული და შეურაცხყოფილი, გადააყენეს და განდევნეს. ესეც არ აკმარეს. წაართვეს მთელი პირადი ქონება, წიგნებიც კი არ გაუტანებიათ მისთვის.

გაძევებულ ლაზარს, როგორც გადმოგვცემს „წინასიტყვაობის“ ავტორი, გადაუწყვეტია წასულიყო საბერძნეთში. გზად გაჩერებულა ქალაქ ამიდში. მისი არყოფნით კიდევ უფრო გამხნეებული მტრები აგრძელებდნენ მის ძაგებას და „ცდილობდნენ შეებღალათ მალალი სახელი მისი“⁵².

⁵⁰ ო. ფ., გვ. 196.

⁵¹ იქვე, გვ. 196.

⁵² იქვე, გვ. 186.

„როდესაც ლაზარმა გაიგო ყველაფერი ეს, აღიჭურვა როგორც უშიშარი მეზრძოლი, რომ ძლიერი სიტყვით ამ წერილით გაეცნო მათთვის თავისი სულის, სიმხნისა და სახის სურათი, ღვაწლი თავისი სიტყვისა, რომელიც წინათ მათთვის ბრწყინავდა, რათა ამ ბოროტ მზრახველთ დაემოკლებინათ თავისი ენები მის შესახებ, რადგანაც; როგორც თვითონ ამბობდა, უგუნურ და უხამს კაცთაგან მოაწია სომხეთის ქვეყანაში დევნულებამ კარგ და გამოსადეგ აღამიანებზე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო ყოველისმცოდნე მარზპანში, მან იცის გამონაგონის არმოსმენა და სიმართლის ცნობათ, და იმიტომ რომ თავი ვაგემართლებინა ამ წერილით“⁵³.

ლაზარს ვადაუწყვეტია წერილი მიეწერა ვაჰან მამიკონიანისთვის, რათა თავი დაეცვა მტრების თავდასხმებისაგან. ეს წერილი მას დაუწერია დიასლოებით 490 წ. და გაუგზავნია ვაჰანისთვის ჰამაზასპ მამიკონიანის ხელით (ჰამაზასპი მას წინათაც არა ერთხელ დახმარებია გაჭირვების დროს).

წერილმა და ჰამაზასპ მამიკონიანის „შუამდგომლობამ“ ვაჰრაჩანს, ვაჰანმა ისევ მოიბრუნა გული ლაზარზე, რადგან უკან დაუბრუნებია იგი და საბატით საქმეც დაუვალებია, — დაეწერა სომხეთის ისტორია. ლაზარმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა („ისტორია“ მან დაწერა V ს. 90-იან წლებში, ან VI ს. დასაწყისში, ყოველ შემთხვევაში 509 წლამდე, როდესაც ვარდაიცივალა ვაჰან მამიკონიანი⁵⁴). მისი ცხოვრების დანარჩენი პერიოდი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ლაზარ ფარბეცის ბიოგრაფიიდან ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი საკითხი. არსებობს აზრი, რომ იგი წარმოშობით იყო არაუბრალო ოჯახიდან და ენათესავებოდა იმდროინდელ სომხეთის უძლიერეს გვარებს მამიკონიანებისა თუ არწრუნებისას⁵⁵. ეს აზრი ეფუძარება იმ გარემოებას, რომ ლაზარმა, როგორც ვნახეთ, ბავშვობა გაატარა მამიკონიანების ოჯახში, იქვე მიიღო პირველდაწყებითი

⁵³ ო. ფ., გვ. 186.

⁵⁴ ხალათიანცი, გვ. 113.

⁵⁵ პირველად ეს აზრი გამოთქვა მ. ემინშა ლაზარის „წერილის“ 1853 წ. გამოცემაში, გვ. 18. შუადღე იგი გაიხიარა გრ. ხალათიანციმაც თავის შრომაში «Հայոս փարսեցի ს գործք նորին», გვ. 3—4. ეს აზრი გახიარებულია მ. აბეღიანის მიერაც, იხ. მისი «Հայոց նին գրականութիւնս պատմութիւն», I, გვ. 311.

სწავლა, უშუალოდ ჰმაიაკ მამიკონიანის ცოლისა და ცოლისდის ხელ-
მძღვანელობით. შემდეგ მან სწავლა გააგრძელა მათ ძმასთან, ალან
არწრუნისთან. სამოცდაათიან წლებში ლაზარი კარგა ხანს ცხოვრობ-
და მამიკონიანების ნათესავ კამსარაკანებთან. დაბოლოს, ლაზარი
მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაახლოვებული იყო მამიკო-
ნიანების ოჯახთან და მათი განსაკუთრებული მფარველობით სარგებ-
ლობდა.

ჯერ კიდევ მ. ნალბანდიანმა გამოთქვა ეჭვი ლაზარ ფარბეცის მა-
ღალი წარმოშობისა და მამიკონიან-არწრუნებთან ნათესაობის მი-
მართ⁵⁶. მართლაც, ის რომ ლაზარი ჰმაიაკ მამიკონიანის შვილებთან
ერთად იზრდებოდა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათს ნათესაობას. არ-
შუშას კარზე მცხოვრებ ჰმაიაკის ოჯახს უთუოდ ჩამოჰყვებოდნენ სო-
მხეთიდან თავისი მსახურები. ადვილი შესაძლებელია, რომ ლაზარი
ერთ-ერთი მათგანის შვილი ყოფილიყო. შესაძლებელია აგრეთვე,
რომ იგი სპეციალურადაც ყოფილიყო ჩამოყვანილი ახალგაზრდა
მამიკონიანების გამრთობად. ყრმა ლაზარმა ალბათ ყურადღება მიიქ-
ცია თავისი ნიჭითა და გონების სიმკვირცხლით, რის გამოც მისთვის
ნება დაურთავთ ემეცადინა მათთან, ვისაც იგი ართობდა და ემსახუ-
რებოდა. ამავე მიზეზით მას გააგზავნიდნენ ალან არწრუნისთან. ამის
შემდეგ კი სავსებით ბუნებრივია, რომ ლაზარი სამუდამოდ დაკავში-
რებოდა იმ ოჯახს, რომელმაც ასეთი მონაწილეობა მიიღო მის აღზრ-
დაში. ასევე ბუნებრივია, რომ ვაჰან მამიკონიანი მფარველობდა თა-
ვის სიყრმის მეგობარს, რომელიც ამავე დროს უხვად იყო დაჯილ-
დოებული თავისი მაღალი პირადი თვისებებითაც.

ლაზარი შემდეგნაირად იგონებს იმ დროის შესახებ, როდესაც
ვაჰან მამიკონიანმა გამოიწვია იგი სივნიეთიდან და თავისთან წაიყ-
ვანა: „ხოლო შენ დამიწყე ძებნა და მიბოვნე იმ ქვეყანაში. მიპყვანე
სახლში არა როგორც ვიღაც ქონებასა და მსახურთ მოკლებული და
ან როგორც უცხო ვინმე შენთვის ან მსახური ვისიმე“⁵⁷. ამ სიტყ-
ვების საფუძველზე ფიქრობენ, თითქოს ლაზარი არ იყო ქონებასა და
მსახურთ მოკლებული და არ იყო უცხო, ე. ი. ნათესავი იყო მამიკო-
ნიანებისაო.

⁵⁶ ვაჰან ფარუხი. ვაჰან რიყე... 1868, მ. ნალბანდიანის
მიერ ლაზარის „წერილის“ აშხარჰაბარზე (ახლ სომხურზე) თარგმანისათვის
დართული შენიშვნები, გვ. 52—53.

⁵⁷ ვ. ფ., გვ. 183.

ჩვენი აზრით, აქედან ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ლაზარს აქ იმის თქმა კი არა სურს, რომ იგი ქონებისა და მსახურთა პატრონი იყო, არამედ მას უნდა ბაზი გაუსვას ვაჰან მამიკონიანის კეთილშობილდობას, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ლაზარს არა გააჩნდა რა, არ მოქცევიდა მას როგორც საწყალსა და უქონელს. მართლაც, რა ქონებისა და მსახურთა პატრონი უნდა ყოფილიყო ლაზარი, რომელიც ზამთრობით გამოქვაბულში ცხოვრობდა, ზაფხულობით კი სხვას დაჰყავდა სააგარაკოდ!

საყურადღებოა ისიც, რომ ლაზარს, როგორც ჩანს, მშობლები სავან არაფერი დარჩენია მემკვიდრეობით. რაც კი რამ ებადა, ყველაფერი მისივე შრომით ჰქონდა შექმნილი მავშვობიდან, ან სბვისგან ჰქონდა ნაჩუქარი. ლაზარი წერს, როდესაც ვალარშაპატიდან გამაძევებს, „რაც კი მომიტანია ალვანეთიდან, ქართლიდან, სივნიეთიდან და არშარუნიჭიდან და რაც უფალო, შენი ძმისშვილებისგან [შიმილია], ყველაფერი, ყოველი მათგანის წყალობა, დარჩა იმ ალვილას გამორჩევით აღწერილი, ხოლო მე გამავდეს შიშველი და შევინებულე მთელი ჩემი შენაძენისაგან, რაც კი ბავშვობიდან მომიგია. თვით პერძნული წიგნებიც კი არ გამოუტანებიათ ჩემთვის“⁵⁸. მართალია, ლაზარს რაიმე მნიშვნელოვანი ქონება რომც ჰქონოდა მემკვიდრეობით მიღებული, იგი ალბათ უარს იტყოდა მასზე ბერად შედგომის დროს, მაგრამ ამას იგი აუცილებლად მოიხსენიებდა თავის წერილში. ის კი არაფერს ამბობს ამის შესახებ.

ერთგან ლაზარი წერს: „ის, რომელმაც მომაშორა მე სქიმით ამა ქვეყნის მსახურებას და ჩემი თავისუფლების მიზეზი შეიქნა, უფალო ალანი იყო, შენი, უფალო, ბიძა. ამის გამო სომეხთა შორის, უფალო, შენი ღირსი ვიყავ“⁵⁹. ამრიგად, სქიმის მიღებით ლაზარი თავისუფალი და ვაჰანის ღირსი გამხდარა. „თავისუფლებაში“ აქ უეჭველია, პირველ რიგში იგულისხმება თავისუფლება სასულიერო პირისა საერო კაცის ამქვეყნიურ მსახურებასთან შედარებით. მაგრამ, უთუოდ, ლაზარის სატყვეები ისეც უნდა გავიგოთ, რომ სასულიერო წოდების მიღებით მას სხვაგვარი თავისუფლებაც მიუღია, ვ. ი. განთავისუფლებულა რომელიღაცა სახის დამოკიდებულებიდან, საზოგადოების დაბალი საფეხურიდან ასულა უფრო მაღალზე, გალა-

⁵⁸ ი. შ., გვ. 196.

⁵⁹ ი. შ., გვ. 128.

სულა თავისუფალთა წრეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ლაზარი იმთავითვე თავისუფალი იყო წარჩინებულთა წრიდან, ვაჰანის ღირსი, ე. ი. თანასწორი, იგი სქიმის მიღების გარეშეც იქნებოდა.

ახლა ლაზარ ფარბეცას მამიკონიანებთან ნათესაობის შესახებ, თავისი „წერილის“ დასაწყისში ლაზარი ავონებს ვაჰანს, თუ ვინ იყო იგი და რა დამსახურება მიუძღოდა მას. შემდეგ იგი აცხადებს, რომ იგი ვაჰანის „ღირსია“, ე. ი. თანასწორია. ამას იგი ამტკიცებს იმით, რომ იგი როგორც სქიმოსანთა თავისუფალია ამქვეყნიური მსახურებისაგან, რომ იგი ვაჰანთან ერთად და მის მსგავსად იზრდებოდა და სწავლობდა. განსაკუთრებით ძლიერია, მისი აზრით, შექმდეგი არგუმენტი: „რადგანაც ამ საუკუნეში ზეცაღრმა მფარველობამ შენი განირობა განაძლიერა და განაბრწყინვა. უფრო ვიდრე ქველასი, ვინც კი ყოფილა, ან ახლა არის სომხეთში, ხოლო ჩემი ნიჭი კი უფრო ვიდრე მრავალთა სქიმოსანთა, ამა ჯავკადნიერდი და ვაჰანობ, — მიუტევე, გევედრები, მცირედსა კადნიერედასა ჩემსას, — მართლაც კიდევ უფრო შეტად სწორედ შენი ღირსი ვაჟაე“⁶⁶.

დასრულებით შეიძლება ითქვას, ლაზარს რაიმე ნათესაობა რომ აქონოდა მამიკონიანებთან, იგი აუცილებლად აღნიშნავდა ამასაც. სისხლით ნათესაობა მართლაც რომ უნიშვნელოვანი საბუთი იქნებოდა იმისა, რომ ლაზარი ვაჰანის „ღირსი იყო“.

კიდევ უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს ვილაძარაკით ლაზარის ნათესაობაზე არსრულებთან.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ლაზარს უბრალო წარმოშობისა ყოფილა, შესაძლებელია, შვილი მამიკონიანთა რომელიმე მსახურისა, რომელიც სხვებისაგან არატრით გამოირჩეოდა, იორემ ლაზარი ამასაც აღნიშნავდა.

§ 3. ლაზარ ფარბეცის ცხოვლებანი

ლაზარ ფარბეცისაგან ჩვენამდე არმა თბზულებამ მოაღწია ესენია: „წერილი ვაჰან მამიკონიანს“ და „სომხეთის ისტორია“. პქონდა თუ არა მას სხვა თბზულებები, არ ვიცით. ერთი კი არის, „წერილის“ წინასიტყვაობის ავტორი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვა, ლაზართან დაახლოებული პირი და მისი მოღვაწეობის კარგი მცოდ-

⁶⁶ ო. ძ., გვ. 188.

ნე იყო, არ ახსენებს მის სხვა ნაწარმოებებს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ „წინასიტყვაობა“ მას დაწერილი აქვს ლაზარის სიკვდილის შემდეგ („ნეტარი ჩემი ლაზარი“-ო, ასე ახსენებს იგი ლაზარს). გავიხსენოთ მისი ერთხელ უკვე ციტირებული სიტყვა: „სომხეთის ეს მესამე ისტორია ნეტარმა ჩემმა ლაზარმა აღწერა, მასთანვე დაწერეთ ეს წერილიც, რათა კითხვის მოყვარულებმა ისტორიის წიკითხვის შემდეგ მასთან ერთად ეს წერილიც წაიკითხონ და განიცადონ სიკეთე მისი სიტყვისა“⁶¹. როგორც ვხედავთ, წინასიტყვაობის ავტორის მიზანი ყოფილა სრულად წარმოდგინა მკითხველისათვის ლაზარის შემოქმედება. მას რომ სცოდნოდა ლაზარის სხვა თხზულებათა არსებობა, საფიქრებელია, იგი მათაც მოიხსენიებდა.

„წერილი“ ლაზარ ფარპეცის დაუწერია 490 წლის მახლობლად. მისი მოცულობა საკმაოდ დიდია, ჩვენი დროის საზომებზე გადაყვანით დაახლოებით თაბახნახევარი იქნება. სამწუხაროდ, იგი ცუდად არის შენახული. გვერდები არეულია, არის რამდენიმე ლაკუნა, ელიგ-ალაგ აზრი ბუნდოვანია. მიუხედავად ამისა, რომ ტექსტი საკმაოდ კარგად არის აღდგენილი გ. ტერ-მკრტიჩიანის და სტ. მალხასიანის გამოცემაში, „წერილი“ უთუოდ საჭიროებს შემდგომ დამუშავებას.

„წერილის“ მიზანია, დაარწმუნოს სომხეთის მარზპანი ვაჰან მამიკონიანი ვალარშაპატიდან ვანდევნილი ლაზარის უღანაშაულობაში, უარყოს ყველაფერი ის, რასაც ლაზარს ბრალად სდებდნენ მისი მტრები. ამან შეაპირობა „წერილის“ სტილი. იგი დაწერილია მწვავე პოლემიკური ტონით და მჭვრეტეულების წესების სრული დაცვით. ლაზარი ხან პირმოთნეობით მიმართავს თავის ყოფილ მფარველს ვაჰან მამიკონიანს და აქებს მას, მის ოჯახსა და ნათესავებს, ხან ლაპარაკობს თავის საკუთარ დამსახურებაზე, ან უსამართლობაზე, რომლის მსხვერპლიც იგი შეიქმნა, ხანაც იგი ამხილებს თავის მტრებს და უარყოფს მათს ბრალდებებს. შესაბამისად ამისა ტონი ხან პათეტურია და ამაღლებული, ხანაც — გესლიანი და დამცინავი. მას ხშირად მოჰყავს ციტატები „სახარებიდან“ და ხშირად აღარებს თავის თავს ცნობილ ისტორიულ პირებს, რომელნიც ავრეთვე განიცდიდ-

⁶¹ ი. ფ. გვ. 186.

ნენ დევნას; თავისი სიტყვების დასამტკიცებლად იგი ხშირად იმოწმებს ამა თუ იმ მოწმეს.

უნდა ითქვას, რომ „წერილი“ არის შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები, დაწერილი საინტერესოდ, ცოცხალი და ხატოვანი ენით. ერთი სიტყვით, ლაზარ ფარბეცის „წერილი ვაჰან მაშეკონიანს“ არის ძველი სომხური ლიტერატურის ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლი. დიდია „წერილის“ ღირებულება, აგრეთვე, როგორც ისტორიული წყაროსი. მასში ჩვენ ვპოულობთ ბევრ ძალიან საინტერესო და, რაც მთავარია, სარწმუნო ცნობას სომხეთის სოციალური ისტორიისათვის. განსაკუთრებით ბევრია მასში ცნობები სომხური ეკლესიის ისტორიისათვის, მონასტერთა ორგანიზაციისა და, საერთოდ, სასულიერო ბირთა ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებათა შესახებ.

ლაზარ ფარბეცის ჩვენამდე მოღწეული მეორე თხზულება არის მისი მთავარი შრომა, „სომხეთის ისტორია“. ეს უკვე საკმაოდ მოზრდილი წიგნია—დაახლოებით თვრამეტ თაბახამდე. ლაზარმა იგი დაწერა ამიდიდან სომხეთში დაბრუნების შემდეგ, ე. ი. V ს. 90-იანი წლების მეორე ნახევარში, ან VI საუკუნის დასაწყისში. წიგნს წამძღვარებული აქვს მცირე შესავალი. მასში ლაზარი ლაპარაკობს თავის წინამორბედებზე. აგათანგელოსსა და ფავსტოსზე, იძლევა მათი შრომების შეფასებას და აღნიშნავს, რომ მისი ისტორია წარმოადგენს ამ ავტორების თხზულებათა გაგრძელებას. ამით იგი განსაზღვრავს თავისი წიგნის ადგილს მის თანამედროვე ისტორიოგრაფიაში. შემდეგ იგი გადმოგვცემს თავისი წიგნის მიზანს და დაწერის პირობებს, თუ ვისი დაკვეთითა და რატომ დაიწერა იგი.

„სომხეთის ისტორია“ იყოფა სამ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელიც შეიცავს მთელი წიგნის დაახლოებით ერთ მეხუთედს, მოგვითხრობს სომხეთის თავგადასავალს, დაწყებულს 387 წლიდან, ე. ი. სომხეთის დაყოფიდან. აქვე კორიუნზე დაყრდნობით, მოთხრობილია მამტოცის მიერ სომხური ანბანის შექმნა. გადმოცემულია სომხეთში მეფობის გაუქმების ისტორია. თხრობა მოყვანილია 440 წლამდე და მთავრდება კათალიკოს საჰაკისა და მამტოცის გარდაცვალების ამბით. სხვათა შორის, ამ ნაწილშია შესული ე. წ. „საჰაკის ხილვა“, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, გვიანდელ ინტერპოლაციად ითვლება.

მეორე ნაწილი თითქმის ორჯერ უფრო დიდია პირველზე. იგი გადმოგვცემს უმთავრესად სპარსელების წინააღმდეგ ვარდანელთა აჯანყების ისტორიას 450—451 წლებში. მასში დაწვრილებით არის აღწერილი სპარსეთის პოლიტიკა სომხეთის მიმართ, სომეხთა აჯანყების დასაწყისი და მსვლელობა, დამარცხებულ სომეხთა დასჯა. დიდი აღვილი უჭირავს რამდენიმე საეკლესიო პირის, ეგრეთწოდებულ ლევონდიანთა ირანში მოწამეობრივი სიკვდილის აღწერას. თხრობა მოყვანილია V ს. ორმოცდაათიან წლებამდის. სხვათა შორის, ამავე აჯანყების ამბავს გადმოგვცემს აგრეთვე ელიშეს წიგნი „ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ“. ამ ორი ისტორიკოსის ცნობები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს.

„სომხეთის ისტორიის“ შესამე ნაწილი, რომელიც მოცულობით ისეთივეა, როგორც მეორე, მოგვითხრობს სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის აჯანყებას ირანის წინააღმდეგ 482—484 წწ. ამ დაწვრილებითაა გადმოცემული აჯანყების მსვლელობა სომხეთში და ბევრი რამ არის მოცემული ამ აჯანყების მსვლელობაზე ქართლში; დახასიათებულია ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი და გადმოცემულია სომეხ-ქართველთა ურთიერთობა აჯანყების მსვლელობაში. ჩვენთვის ყველაზე მეტად სწორედ ეს უკანასკნელი ნაწილია საინტერესო. საქმე ისაა, რომ ლაზარ ფარბეცის „სომხეთის ისტორია“ ერთად-ერთი წყაროა, სადაც მოთხრობილია ვახტანგ გორგასალის აჯანყების შესახებ. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ლაზარი ამ გადმოგვცემს თავის თანამედროვე ამბებს. ის თვითონ იყო ამ ამბების მონაწილე და ახლოს იცნობდა სომხეთის აჯანყების მეთაურებს.

„სომხეთის ისტორია“ დაიწერა ვაჰან მამიკონიანის ბრძანებითა და დაკვეთით. როგორც თვით ლაზარი ამბობს თავისი წიგნის შესავალში, არსებობდა სომხეთის ისტორიის ორი წიგნი. პირველი ეკუთვნოდა აგათანგელოსს და შეიცავდა სომხეთის თავდადისავალს მესამე საუკუნის ოციანი წლებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის სიგრძეზე. მეორე წიგნი, რომლის ავტორი იყო ფავესტოს ბუზანდი. წარმოადგენდა პირველის გაგრძელებას და მოდიოდა სომხეთის ვაკოთამდე რომსა და ირანს შორის 387 წელს.

ვაჰან მამიკონიანს მოუსურვებია დაწერილიყო მეორე წიგნის გაგრძელება და ეს საქმე დაუვალებია ლაზარ ფარბეცისთვის. „მან (ვაჰანმა; ლ. ჯ.), როგორც სომხეთის გვეყნის ყველა სხვა კეთილ სა-

ქმეებზე მეურვემ, ესეც უფრო ღირსეულად და შესაფერისად ჩათვალა: გაგრძელებულიყო ისტორიის მეორე წიგნი იმ ადგილიდან, სადაც იგი წყდება, და აღწერილიყო სომხეთის ქვეყანაში მას შემდეგ მომხდარი ამბები... ამგვარადვე გვაფრთხილებს და გვაიძულებს მამიკონიანთა უფალი ვაჰანი, სომეხთა ზორავარი და მარზპანი. მისი ბრძანება მომივიდა მე, ლაზარ ფარპეცის...⁶².

„სომხეთის ისტორიის“ დაწერას ლაზარი სრული პასუხისმგებლობით მოჰკიდებია. მან იცის, რომ ეს მეტად ძნელი საქმეა და არაერთხელ იცხადებს, არც მოგვიდებდი მას ხელს, ძალას რომ არ მატანდნენო. „ეს მესამე ისტორია, იმ [მეორე] წიგნის გაგრძელება, ჩვენმა უძლურებამ შეადგინა. იშხანთა ბრძანებამ და წმინდა მოძღვართა სიტყვამ გვაიძულა ხელი მოგვეკიდა ესოდენ მნიშვნელოვანი საქმისთვის. ვერ გავბედეთ წინააღმდეგობა გაგვეწია, რადგანაც გვახსოვს წმინდა წერილიდან მუქარა ურჩი შეილებისათვის და წყალობა, რომელიც წერია მორჩილთა და დამჯერთათვის“⁶³. „ამგვარად გვაიძულა და ძალა დაატანა ჩვენს უძლურებას მამიკონიანთა უფალმა ვაჰანმა, სომეხთა სპარაპეტმა და მარზპანმა, ხელი მოგვეკიდა საქმისთვის, რომელიც აღმატებოდა ჩვენი ცოდვის შესაძლებლობას...“⁶⁴.

თხზულების მიზანიც თვით ვაჰან მამიკონიანს განუსაზღვრავს იმთავითვე. როგორც ლაზარი გადმოგვცემს, მას ყურადღება მიუქცევია იმისთვის, რომ „უვიცმა და კადნიერმა კაცებმა თვითონაც დაუწერეს ამიო და გამოუსადეგარი ამბები და შეურიეს ისინი მეცნიერ მსმენელთა წიგნებში“-ო⁶⁵, რასაც შეცდომაში შეჰყავდა მკითხველი. ვაჰანის სურვილი იყო „ღიღი სიტყვებით დაწერილიყო და სათითაოდ გამართულიყო სულიერ [მამათა] ყოველი სათნოება და მამაც კაცთა სიკეთე, რათა, როდესაც ხალხის სიმრავლე მოისმენს სულიერ [მამათა] კეთილი ცხოვრების შესახებ, [თითონაც] მონდომებს მათ დამსგავსებას მოღვაწეობით. მხიები კი როდესაც გაიგებენ სხვათა მიერ ძველად ჩაღენილ სამამაცო საქმეებს, კიდევ უფრო გამხნევდებიან, რათა თავიანთ შემდეგ დატოვონ თავისი და თავიანთი გვარების სასახელო ხსენება. ხოლო მცონარენი და უვარ-

⁶² ო. ფ., გვ. 5.

⁶³ იქვე, გვ. 2.

⁶⁴ იქვე, გვ. 6.

⁶⁵ იქვე, გვ. 4—5.

ვისნი იხილავენ რა თავის თავს და მოისმენენ სხვათა განკიცხვას, კეთილი შურით მიბაძავენ და შეეცდებიან გაუმჯობესებას⁶⁶. მაშასადამე, ლაზარს უნდა დაეწერა ისტორია, რომელიც უპირველეს ყოვლისა მოემსახურებოდა ზნეობრივ-ალმშრდებლობით საქმეს.

უნდა ითქვას შემდეგაც: როდესაც ვაჰან მამიკონიანი მოითხოვდა ლაზარისაგან წარმოედგინა ხალხისათვის მისაბაძი მაგალითები, ეს, ცხადია, საშუალებას აძლევდა ლაზარს უურადლება გაემანკვილებინა რამდენიმე პიროვნებაზე ან გვარზე (ვისი „სახელიც დარჩა“).

ლაზარმა სწორად გაიგო ვაჰანის გადაკრულად ნათქვამი და თავისი „ისტორიის“ მნიშვნელოვანი ნაწილი მამიკონიანთა გვარის ისტორიას. შექმებასა და იგივე ვაჰან მამიკონიანს დაუთმო. გარდა ამისა, მას ჰქონდა თავისი, უფრო ზოგადი მიზანიც: „სათითაოდ დავალაგათ საქმენი და ღვაწლნი, ჩვენი სომხეთის ქვეყნის მრავალგვარი შემახვეულობა, მისი ვაყოფა ორ სამეფოდ და უიჯუღოსათვის რგებელი ნაწილიდან სომეხ ნახარართა გვარებიდან უამრავ უშიშარ კაცთა მიერ თავის დაღება მოწამეობრივი სიკვდილით წმიხდა ეკლესიის მშობისათვის, ხოლო სხვათა მიერ საკრველთა და საპრობილეთა ზანჯრძლეად დათმენა ზეციურ სიკეთეთა იმედით, ღმრთის რჩეულ მღვდელთა და ჳეშმარიტ მწყემსთა მიერ თავის ქედთაგან ჳრისტეს რჩეული სულთერი სამწყსოსათვის სისხლის დაღვრა. ზოგიერთ ნახარართა მეგობართაგან და სხვა აზატ კაცთაგან სიწმინდის აღიქმისაგან უკან მიტყევა და ასანთად ქცევა უშრეტი საუკუნო ცუცხლისა, რომელიც გამზადებულია ეშმაგისა და მისი მსახურებისათვის. ყოველივე ამას აღწერით ვიდრე ვაჰან მამიკონიანთა უფლისა და სომეხთა დიდი ზორავართსა და მარზპანის სომხეთის მარზპანად გასდომის დღემდე. ამ აღვილას კი შეკწყვეტ და მოვისვენებ⁶⁷.

როგორც ვხედავთ, ლაზარს თავიდანვე აქნა ჰქონდა აღებული წარმინებული გვარებიდან ვამოსულ ზოღვაწეთა ცხოვრების აღწერაზე. ცხადია, ესავე პირველ რიგში გულისხმობდა მამიკონიანთა და მათს ახლობელ კამსარაკანთა თუ სხვა გვარების შექმბას.

როგორ მერწიობდა ლაზარ ფარპეცი „სომხეთის ისტორიის“ დაწერისას? უპირველეს ყოვლისა მან, როგორც ჩანს, გადაიკითხა ყველაღერი, რაც მანამდე არსებობდა ამ საკითხზე. „მე გადავიკითხე

⁶⁶ ი. ფ., გვ. 5.

⁶⁷ იქვე, გვ. 2.

სომხეთის პირველ ისტორიკოსთა მრავალი მათიანე“-ო⁶⁸, გვიამბობს იგი. ზოგიერთი მათგანი მას მრავალჯერაც გადაუკითხავს. მაგ., მაშ-ტოცის ცხოვრებისა და სომხური ასოების გამოგონების შესახებ იგი ამბობს: ეს „ქეშმარიტად აღწერა ზემოხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა, ჩვენც აქედან მრავალჯერის წაკითხვით გავიგეთ სწორად“-ო⁶⁹. ამ წიგნებს იგი, ჩანს, დიდი გულისყუროთ კითხულობდა, უღარებდა მათ ერთმანეთს, უკეთებდა ანალიზს და, საერთოდ, ცდილობდა მათს კრიტიკულად ათვისებას: „ხანგრძლივი კითხვის შემდეგ მათში ვპოვე ჩვენი სომხეთის ქვეყნის დროთა და საუკუნეთა შესახებ მრავალმხრივი განსხვავებანი პირველი წიგნის ქეშმარიტი და უცდომელი თხრობისაგან, რომელიც შესაფერისად მოგვეთხრა და გაგვაცნო ჩვენმა ნეტარმა აგათანგელოსმა...“⁷⁰.

როგორც ვხედავთ, ლაზარი ცდილობდა გაერკვია თავისი წყაროების ავტორიანობა. კიდევ მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში ის ცდილობს ახსნას კიდევაც, საიდან წარმოდგებიან ის შეცდომები, რომლებიც არის ამა თუ იმ თხზულებაში, როგორც, მაგალითად, ფავსტოსის „სომხეთის ისტორიაში“. იხილავს რა ამ უკანასკნელს, ლაზარი იხსენებს, თუ ვინ იყო ფავსტოსი, რა განათლება და ცოდნა ჰქონდა მას და ასკვნის, რომ ის შეცდომები, რომლებიც, მისი აზრით, არის ფავსტოსის წიგნში, არ შეიძლება მიეწეროს ავტორს. ლაზარი თვლის, რომ ეს არასწორი ცნობები გვიანდელი ჩანამატებია სხვათა მიერ გაკეთებული.

ლაზარი ხშირად ასახელებს თავის წყაროებს. ერთხელ ნაწყვეტიც კი მოჰყავს ფავსტოსილან⁷¹. თუ რაიმე ამბავი მას ცოცხალი პირისაგან აქვს გაგებული, ამას სპეციალურად აღნიშნავს⁷², ხოლო როდესაც ეს მონათხრობი განსაკუთრებით სარწმუნოა, ამას საგანგებოდ ხაზს უსვამს⁷³⁻⁷⁵.

ამრიგად, ლაზარ ფარპეციმ თავისი „სომხეთის ისტორია“ დაწერა წყაროების ხანგრძლივი შესწავლისა და შესაძლებლობის ფარგლებში, კრიტიკული შეფასების შემდეგ.

⁶⁸ ე. ფ., გვ. 2.

⁶⁹ იქვე, გვ. 13.

⁷⁰ იქვე, გვ. 2.

⁷¹ იქვე, გვ. 25.

⁷² იქვე, გვ. 86, 101, 104, 105, 109, 135.

⁷³⁻⁷⁵ იქვე, გვ. 135.

წინასწარ ჰქონდა შემუშავებული ლაზარს მეთოდოც ისტორიული თხზულების დაწერისა. იგი თვლიდა, რომ ასეთი თხზულების ავტორმა უნდა წეროს სისწორით და არ გაავრცელოს თავისი შრომა მხოლოდ საამო ამბების გადმოცემით. ამისთანა შრომას სჭირდება „სიტყვათა თანხედომილობა, განსაზღვრული წყობა მეცნიერებისა დაკანონებულ მოთხოვნილებათა მიხედვით, მართებულად მოტანა სიბრძნის მოყვარე მსმენელთა უბიწო ყურთათვის ჭეშმარიტებისა. [არ შეიძლება] დამატება ამბებისა, რომელნიც არ მომხდარან, სიტყვის ამოთ გაგრძელება, მომხდარი ამბების შემცირება და მათი მოკლედ, უგულოდ მოყოლა, არამედ [საჭიროა] მათი სრული სიფრთხილით გამოტანა სიცხადეზე“⁷⁶. ყველაფერი ეს იმდენად რთულია და ძნელი, რომ ერთი ადამიანისათვის შეუძლებელია ასეთი საქმის შესრულება, თუ სხვები არ დაეხმარებიან მას. ამიტომაც არის, რომ იშვიათად თუ გაბედავს ვინმე ხელი მოჰკიდოს ამ საქმეს, და ამიტომაც ვინც შეასრულებს მას, იგი საუკუნო სიმდიდრის შემკვიდრება⁷⁷. როგორც ვხედავთ, თვით ლაზარმა მოახერხა ამ მკაცრი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მართლაც, ლაზარ ფარბეცის „სომხეთის ისტორია“ პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა. ლაზარი კეთილსინდისიერად გადმოგვცემს, რაც წაუკითხავს, ან გაუგონია. თავის მხრივ არაფერს უმატებს და არაფერს აზვიადებს. მიუხედავად იმისა, რომ თვით ლაზარი სასულიერო პირი იყო, იგი ძალიან თავშეკავებულია ყოველგვარი სასწაულებისა და საკვირველბათა მიმართ. რელიგიურ-მისტრიკურ ამბებს ლაზარის წიგნში შედარებით უმნიშვნელო ადგილი უჭირავს და ამით ეს წიგნი დადებითად გამოირჩევა იმავე ხანაში დაწერილი სხვა ნაწარმოებებისაგან.

ლაზარის თხრობა უბრალოა და საინტერესო, აზროვნება ხალი და ლოგიკური. იგი კარგად ერკვევა ადამიანების მამოძრავებელ ძალებში, მოვლენათა წარმოშობის მიზეზებსა და განვითარებაში. ამიტომ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მ. აბელიანის მიერ ლაზარ ფარბეცის შეფასებას: როგორი პოეტი-ისტორიკოსიც არ უნდა იყოს ელიშე, როგორც ისტორიკოსი იგი უფრო მცოდნეა და მას მეტა მომზადება აქვს, ვიდრე რიტორ-ისტორიკოს ლაზარს. ავიღოთ შემ-

⁷⁶ ო. ფ., გვ. 6.

⁷⁷ იქვე.

დეგი. იმ დროს, როდესაც ელიშე სწორად გადმოგვცემს „სომხეთის ომის“ მიზეზებს, ამის მაგივრად ლაზარი ძალიან დაწვრილებით (12 გვერდზე) გვიამბობს თავისი „ისტორიის“ მეორე ნაწილის დასაწყისში რომელიღაცა ხალხურ გადმოცემას ზარაზან ვასაკის სიძეზე, სიგნიელ სეაუპ ვარაზ-ვალანზე, და მისი მოქმედება გულუბრყვილოდ მიაჩნია „სომხეთის ომის“ მთავარ მიზეზად⁷⁸.

ლაზარ ფარბეცი სრულდებითაც არ ყოფილა ისეთი გულუბრყვილო, რომ ვარაზ-ვალანი ნამდვილად ჩაეთვალა „სომხეთის ომის“ მიზეზად. მართალია, თვით ლაზარი ამბობს ვარაზ-ვალანზე, იგი „გახდა მიზეზი მრავალთა დაღუპვისა და ჩვენი, სომხეთის ქვეყნის ამოწყვეტისა“⁷⁹, მაგრამ ეს ჩვენ არ უნდა გავიგოთ სიტყვა-სიტყვით. სინამდვილეში ლაზარის აღწერიდან ირკვევა, რომ ვარაზ-ვალანმა მხოლოდ დააჩქარა მოვლენათა მსვლელობა. ირანის პაშარაბეტს, მიპრნერსეპს დიდიხანია გეგმა ჰქონდა შემუშავებული სომხეთის, ქართლისა და აღმანეთის ირანთან უფრო მტკიცედ დაკავშირებისა. ამისთვის მიპრნერსეპის აზრით საჭირო იყო ამ ქვეყნებში მასღეანობის გავრცელება. ვარაზ-ვალანმა ქრისტიანობის უარყოფითა და მასღეანობის მიღებით მხოლოდ განამტკიცა მიპრნერსეპი თავის აზრზე, რასაც ლაზარი ათქმევინებს ვიდევაც ამ უკანასკნელს. თვით ლაზარმა მშვენივრად იცის, რომ „სომხეთის ომის“ ნამდვილი მიზეზია ირანის პოლიტიკა, რომელიც ვარაზ-ვალანზე სრულდებითაც არ იყო დამოკიდებული. ამიტომაც არის, რომ შემდგომ ამბებში ვარაზ-ვალანი აღარ ჩანს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ შაჰის კარზე დაკითხულ ნახარაბებს ლაზარი ათქმევინებს, რომ მათი აჯანყების მიზეზი იყო ირანის პოლიტიკა, კერძოდ კი შაჰის ბრძანება უარყოფით ქრისტიანობა.

ასევე ხალხად მსჯელობს ლაზარ ფარბეცი სხვა შემთხვევებშიაც და ჩვენც მხოლოდ უნდა გავიმეოროთ ზემოთქმული, რომ მისი „სომხეთის ისტორია“ არის მეტად ძვირფასი და სანდო ისტორიული წყარო.

⁷⁸ შ. Ա. Բ. Ի ղ յ ա ն, Հայոց հին գրականության պատմություն, I, 83-329—331.

ლაზარ ფარბეცის წყაროების საკითხი მეტად რთულია. ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. ლაზარი სარგებლობდა, როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, წერილობითი და ზეპირი წყაროებით. „მე გადავიკითხე სომხეთის პირველ ისტორიკოსთა მრავალი მატრიანე“⁷⁹ — ამბობს იგი. ამ ისტორიკოსებიდან იგი ასახელებს მხოლოდ აგათანგელოსს, ფავსტოს ბუზანდსა და კორიუნს. საინტერესოა მისი დამოკიდებულება მათ მიმართ. იგი ძალაღ შეფასებას აძლევს აგათანგელოსს, თვლის რა მას ჭეშმარიტ და მართლის-მთქმელ ისტორიკოსად: „ხანგრძლივი კითხვის შემდეგ მათში (ე. ი. სხვა ისტორიკოსების თხზულებებში, ლ. ჯ.) ვპოვე ჩვენი სომხეთის ქვეყნის დროთა და საუკუნეთა შესახებ მრავალმხრივი განსხვავებანი პირველი წიგნის ჭეშმარიტი და უცდომელი თხრობისაგან, რომელიც შესაფერისად მოგვითხრა და გაგვაცნო ჩვენ ნეტარმა აგათანგელოსმა, კაცმა განსწავლულმა მეცნიერებით და აღსავსემ ყოველგვარი ცოდნით, სიტყვათა ჭეშმარიტად ვამწყობმა და ღირსეულად აღმწერმა ისტორიად თავისი თქმულისა. მან სწორად იაგო, დაალაგა და აღბეჭდა არტავან არშაკუნის მეფობის დამცრობა და სტაპრელი არტაშირის, სასანის ძის გაძლიერება“⁸⁰. შემდეგ ჩამოთვლის რა იმ საკითხებს, რომლებზედაც არის ლაპარაკი აგათანგელოსის თხზულებაში, ლაზარი ასკვნის: „ყოველივე ეს, და ამაზე უმეტესიც, მოგვითხრა ჩვენ ნეტარმა ღმრთის კაცმა წმინდა აგათანგელოსმა თავის მტკიცესა და უცდომელ თხზულებაში“-ო“⁸¹.

სულ სხვაგვარად აფასებს ლაზარ ფარბეცი ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიას“. ფავსტოსი, მისი აზრით, განათლებული და მცოდნე პირია, მაგრამ ვილაც თავნებ და უცოდინარ ადამიანებს მის თხზულებაში შეუფერებელი ამბები ჩაუწერიათ. ლაზარი წერს: „ზოგიერთებმა მისი (ე. ი. ფავსტოსის, ლ. ჯ.) თხზულების ზოგი ადგილის სიტყვები ჩათვალეს არა შესაბამისად და შესაფერისად [იმ] პირველისა, აგათანგელოსად რომ იწოდება. ეჭვობენ და იძულებული არიან არ თქვან ის, რომ ასეთი შეუფერებელი თხზულება ბიზან-

⁷⁹ ე. ი. ფ., გვ. 2.

⁸⁰ იქვე.

⁸¹ იქვე, გვ. 3.

ტიელ სწავლულს [ეკუთვნის]⁸²... „ნუთუ ამისთანა ქალაქში (ე. ი. კონსტანტინოპოლში, ლ. ჯ.) და ასეთ სწავლულთა სიმრავლეში გაწვრთნილი კაცი ფავსტოსი, მსმენელთათვის ამნაირ უსიამოვნო სიტყვებს გააწყობდა თავის ისტორიაში? ღმერთმა ნუ ქნას! ამიტომაც ჩემს სუსტ გონებას ეს საქმე დაუჭერებლად მიაჩნია, და ვამბობ, იქნებ ვინმემ სწვამ კაღნიერო და უმეცარი სიტყვით ურცხვად ხელი მოჰკიდა და შიგ ჩაწერა ზოგი რამ [თავისი] სურვილისამებრ. ან ვილაკამ ვერ შეძლო რა შესაფერისად [დაეწერა], გადაასხვიფერა, გააფუჭა, და საჭიროდ მიიჩნია ფავსტოსის სახელით დაეფარა თავისი თავგედობის შეცდომები“⁸³ და სხვ. როგორც ვხედავთ, ლაზარ ფარპეცის ფავსტოსის „სომხეთის ისტორია“ „არა შესაბამისი და შესაფერისი“ ამბებით სავსე „მსმენელთათვის უსიამოვნო“, „შეუფერებელ“ ქმნილებად მიაჩნია.

აგათანგელოსისა და ფავსტოსის წიგნებით ლაზარი სარგებლობს შეზღუდულ ფარგლებში, რადგანაც ამ თხზულებებში გადმოცემული ამბები ლაზარის მიერ აღწერილ ეპოქაზე უფრო ადრე მოხდა. აგათანგელოსისა და ფავსტოსს ლაზარი მიმართავს იმდენად, რამდენადაც შას ხანდახან სჭირდება წინა საუკუნეებში მომხდარი ამბების გახსენებაც.

ერთადერთი პირდაპირი წერილობითი წყარო, რომელსაც ასახელებს თვით ლაზარ ფარპეცი, არის კორიუნის „მაშტოცის ცხოვრება“. ამ წიგნს იგი იყენებს თავისი „სომხეთის ისტორიის“ პირველ თავში სომხური ანბანის გამოგონების ამბის გადმოცემისას. „თუ კი ვინმეს მოუხდება, სწორად გაიგოს ყველაფერი ეს, სწორედ იმავე ნეტარი მაშტოცის მოწაფის, სასურველი კაცის კორიუნის ისტორიის წიგნში წაიკითხავს და გაიგებს მის ცხოვრების ამბავსაცა და სომხური ასოების პოვნის შესახებაც, თუ როდის, სად, ან ვის მიერ იქნა აღმოჩენილი სომხეთის მეფის ვრამშაპუპის მხურვალე ვედრებით. [ყველაფერი] ეს რიგზე დააწყო და სისწორით აღწერა ზემოხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა. მეც იქიდან მრავალგზის წაკითხვით გავიგე ეს ჭეშმარიტად“⁸⁴. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ლაზარი იყე-

⁸² ე. ი., გვ. 3.

⁸³ იქვე, გვ. 4.

⁸⁴ იქვე, გვ. 13; აგრეთვე გვ. 37.

ნებდა კორიუნის თხზულების ვრცელ, ან უფრო ზუსტად რომ ითქვას, ვრცელის მსგავს რედაქციას⁸⁵.

იყენებდა თუ არა ლაზარ ფარპეცი სხვა წერილობით წყაროებს გარდა აგათანგელოსის, კორიუნისა და ფავსტოსის თხზულებებისა? თვით ლაზარი ამ სამი ისტორიკოსის გარდა სხვას არავის ასახელებს. ამიტომ ერთ დროს ფიქრობდნენ, რომ მას არც უსარგებლია სხვა საისტორიო თხზულებებით. მაგრამ ჯერ კიდევ გ. ხალათიანცმა გამოთქვა აზრი, რომ ლაზარი სარგებლობდა და ფართოდ იყენებდა მოვსეს ხორენაცისა და ელიშეს წიგნებსაც.

გ. ხალათიანცი უმთავრესად ეყრდნობოდა ტექსტუალურ დამთხვევებს ლაზარ ფარპეცისა. ერთის მხრივ, და მოვსეს ხორენაცისა და ელიშეს შორის, მეორეს მხრივ. ხალათიანცის აზრი გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც (ვათრჭიანმა, ზარბანალიანმა), მაგრამ ეს მოსაზრება ძალზედ შეარყია მოვსეს ხორენაცის ირგვლივ ამტყდარმა დავამ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ფრანგმა მეცნიერმა ა. კარიერმა წამოაყენა დებულება, რომ მოვსეს ხორენაცი არის არა მესხეთე საუკუნის ისტორიკოსი (როგორც ეს მანამდე მიღებული იყო), არამედ რამდენიმე საუკუნით უფრო გვიანდელი. ა. კარიერს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მაგრამ იმთავითვე ბევრი მიმდევარიც გამოუჩნდა. მათ შორის გ. ხალათიანციც. ამის შემდეგ ამ უკანასკნელისათვის, ცხადია, მოიხსნა საკითხი იმისა, იყო თუ არა მოვსეს ხორენაცის „ისტორია“ ლაზარ ფარპეცის წყარო. პირიქით, მან სრულიად გამოიცვალა თავისი შეხედულება და დაადგა იმ აზრს, რომ ლაზარ ფარპეცი წარმოადგენდა მოვსეს ხორენაცის წყაროს. „1883 წელს სომხურ ისტორიულ ლიტერატურაში მ. ხორენელის სრული ბატონობის დროს, ჩემს პირველ კრიტიკულ ცდაში ლაზარე ფარპელზე მე მივაწერდი ამ უკანასკნელს სესებას (заимствования) მოსეს „ისტორიიდან“; ახლა, როდესაც სრულიად შეიცვალა შეხედულება „სომხეთის ისტორიის“ დაწერის დროზე, მსესებლად უნდა ჩაითვალოს ხორენელი და არა ლაზარე. მე მქონდა შემთხვევა გამომეთქვა აზრი ამის შესახებ ჯერ კიდევ 1895 წ. აპრილის ნომერში ვენური ჟურნალისა „Hantess“, გვ. 114“⁸⁶.

⁸⁵ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935, გვ. 158.

⁸⁶ Г. Халатъянц, Армянские Аршакиды в „Истории Армении“ Моисея Хоренского, Москва, 1903, гв. 288, შენიშვნა.

გაყვრიტ შეეზო ამ საკითხს სტ. მალხასიანცი თავის შრომაში „ხორენაცის პრობლემის ირგვლივ“. სტ. მალხასიანცის აზრით, ლაზარის „წერილში“ მოხსენიებული მოვსეს ფილოსოფოსი მოვსეს ხორენაცი უნდა ყოფილიყო. ხორენაცის მოუხსენებლობას ლაზარის „სომხეთის ისტორიაში“ სტ. მალხასიანცი ხსნიდა შემდეგნაირად: „წერილის“ დაწერის დროს ლაზარი მეტად გაღიზიანებული და გაბრაზებული იყო თავისი დევნის გამო, ამიტომ იგი არ მოერიდა ხორენაცის წსენებას. „სომხეთის ისტორიის“ დაწერისას კი მას აღარ სდევნიდნენ და იგი ვაჰან მამიკონიანის მთარველობით სარგებლობდა. რადგან ცნობილი იყო ხორენაცის ცუდი დამოკიდებულება მამიკონიანთა ვვარის მიმართ, ლაზარის მხრივ უტაქტობა იქნებოდა მისი წსენებათ ოუზცა, შენაშნავს სტ. მალხასიანცი, შესაძლებელია ლაზარს სულაც არ სცოდნოდა ხორენაცის „ისტორია“, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ რამდენიმე წლით ადრე დაიწერა და ჯერ კიდევ გამრავლებული და გავრცელებული არ იყო“⁸⁷.

მ. აბელიანის აზრით ლაზარ ფარბეცი იყენებდა როგორც ელიშეს, ისე მოვსეს ხორენაცის თხზულებებს. მ. აბელიანი წერს: „ამჟამად ჩვენ უხდა დავუარუნდეთ ძველს შესყდულებას, იმას, რომ ელიშე და მოვსეს ხორენაცი ლაზარის წყაროებს წარმოადგენდნენ“⁸⁸.

ამ ბოლო დროს არმენოლოგებში ისევ განმტკიცდა აზრა, რომ მოვსეს ხორენაცი V ს. ავტორია⁸⁹. ამ რთული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ცხადია, მხოლოდ სპეციალისტ-არმენოლოგების საქმეა, ჩვენ კი ამჟამად უფრო კერძო ხასიათის საკითხი გვაინტერესებს: იყენებდა თუ არა ლაზარ ფარბეცი მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ და ელიშეს „გარდანელთა იმის ისტორიას“ როგორც წყაროს თავისი წიგნისთვის.

დავიწყეთ მოვსეს ხორენაცისა და ლაზარ ფარბეცის ურთიერთობის საკითხის განხილვით.

⁸⁷ Ստ. Մալխասյանց. Խորհանգրվանները Երևան, 1940, გვ. 110.

⁸⁸ Մ. Աբելյան, Հայոց նիւն գրականութեան պատմութեան, I, გვ. 321.

⁸⁹ იბ. მაგ. პროფ. დ. ხაჩიკიანის წერილი წიგნში „Очерки истории исторической науки в СССР“, I, Москва, 1955, გვ. 29—31. პროფ. ს. ერუშტიანის აზრით მოვსეს ხორენაცი ცხოვრობდა V—VI სს. მიჯნაზე იბ. Очерки истории СССР, III—IX вв., Москва, 1958, გვ. 233.

ლაზარ ფარპეცის „ისტორიის“ პირველ ნაწილში აღწერილი პერიოდი სავსებით ემთხვევა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ მესამე წიგნის 42—67 თავებს, ე. ი. ხორენაცის თხზულების რასასრულს. ხორენაცის „სომხეთის ისტორია“ ისევე, როგორც ფარპეცის „ისტორიის“ პირველი ნაწილი მთავრდება საპაკისა და მაშტოცის სიკვდილით.

გ. ხალათიანცს⁸⁰ მოჰყავს რამდენიმე ისეთი ადგილი, სადაც ლაზარ ფარპეცის ტექსტი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ხორენაცის ტექსტთან. განვიხილოთ ეს ადგილები.

1. იეზდიგერდ 1-მა გადაწყვიტა აღარ ეყვანა სპარსეთის გაბეზლობაში შემაგალი სომხეთის ნაწილის სამეფო ტახტზე სომეხი არ-შაკუნელი. მის მაგივრად მან დასვა თავისი შვილი შაპუჰი. იეზდიგერდს იმედი ჰქონდა, რომ ამით ის კიდევ უფრო შემოიმტკიცებდა სომხეთს, რადგანაც სომეხი ნახარარები შეეჩვევიან სპარსელებს და აღარ დაიწყებენ ბერძნებთან მეგობრობასო. ამ ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემენ მოვსეს ხორენაცი და ლაზარ ფარპეცი (ხალათიანცს ეს ადგილები მოჰყავს მცირეწოდენი შემოკლებებით. ჩვენ საქიროდ მიგვაჩნია. მოვიყვანოთ ისინი სრულად. ხალათიანცის მიერ გამოტოვებულ სიტყვებს ნაზი აქვთ გასმული):

მოვსეს ხორენაცი (III, 55)

... ნანაყაყ აი. ნანა ნაქარაყ-
 ეს ქანსუქეს ქანსუქ, თარსაქ, ქარსანანოქსამქ ხ ფთაანოქ ირ-
 ანგ. აქ ხ ხსამათ ნარაფათარ-
 ესამქ მსბათორხესქს ქანთარ-
 ესამქ. ვქ მარქ ქესქ ფნიან
 სქ მქს მარქქ ფანგ ააფა-
 ყხეიღანსქ. ირქ მქსსქ-
 ქამქ ფათქქესქ მქსანაფ. იქ
 ფათანოქქ მანქანს. მქ «სქე ვიქს
 ფათანოქქ მანქანსაფ». მქქს ათ-
 ძამანს აფიქსა:

ლაზარ ფარპეცი (გვ. 19)

სქ მქს მათორქეს მანანს ქანს-
 ესქ ქანს მსქ. ნანაყაყ ქანსქ
 ესქ მქსანს ხ მანქანს მანქან-
 მანქანს. მქ ფთანანს ირანგ სქ
 მქსაფ. ირქ მქსსქსქ მქსქ
 სიფა. აქ ხ მანანოქსანგ ათარ-
 ხანქს მანქანსაფ ათ მქსან-
 სსქ ფათანოქქსაფ აქსანს-
 მსქ ირქესქსქ მქსქქ მანგან
 ქანქსანს:

სქ მქს მანქანსქქქქ მქსან
 აქსაფსქსქ მქსქქ ფთანს ათქქ ლ-
 ფიქს. ირქსაფ. მქ «სქე ნანაყქ
 ფათანოქქს მანქანს, ვქ მქს მქ-
 მქსანს:

⁸⁰ მართალია, თვით გ. ხალათიანცმა შემდგომში უარი თქვა თავის თავდაპირველ შეხედულებაზე მოვსეს ხორენაცისა და ლაზარ ფარპეცის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ჩვენ მაინც ვინილაგოთ მის ადრე გაბოთქმულ საბუთებს იმის შესახებ, რომ ლაზარი იცნობდა მოვსესის შრომას. საქმე ისაა, რომ მისი მოსაზრებები დღესაც უნთავრეს საბუთს წაომთადგენს ამ დებულების დასამტკიცებლად.

... მუდამ მასთან (შაპუჰთან, ლ. ჯ.) ყოფნით ნახარარები დაუკავშირდებიან მას სიტყვით, აღებშიცემობით, ქეიფითა და ნადირობის გართობით, აგრეთვე შემოსავალი [იქნება] დანათესავეებით, დაუბლოვდებიან ერთმანეთს ჭორწინების გზითაც ისე, რომ შესაძლებელი გახდება მათი გადაბირება მახდევანთა სჯულზე, რითაც სავსებით ჩამოშორდებიან ბერძენებს. არ იცოდა უმეკარმა, რომ „უფალმან განაქარვის ზრახვად წარნართთაჲ“. თუმცა კი დროებით მას გაემარჯვა:

განაკ მიეჩვევიან ჩვენს სარწმუნოებასთან კაცობის, მუდამ ერთმანეთთან საუბარში, შეჩვეულ მეგობრობაში, ნადირობის გართობებში და თამაშობაში, რომლებიც მათ ექნებათ. აგრეთვე ჭორწინებათა აღებშიცემობით ეზიარებიან ერთმანეთს, ამის შემდეგ კი განეშორებიან და გამოეყოფიან მათს სიყვარულსა და სჯულს.

როდესაც იგი ამაზე ამგვარად ფიქრობდა, არ იცოდა სული წმინდის სიტყვა, რომელიც მან თქვა: „უფალმან უწყის ზრახვანი კაცთანი, რამეთუ არიან ანათ“.

2. იეზიდგერდ I-ის სიკვდილის დღეს გარდაიცვალა მისი შვილი შაპუჰიც:

შოვხეს ხორენაცი (III, 56)

Ի նմին առար և նա անդէն ի դրանն մարդկանէ, ნենդետլ սատակեցաւ:

ისიც იმავე დღეს იქვე კარისკაცთა მიერ ხზაკრობით მოკლულ იქნა.

ლაზარ ფარბეცი (გვ. 19)

Ի նմին առար և գիրդի նորին գնապուհ. գիր ի անդի և քաղաքուհուն ի յոյն քաղաքս քեցոյց ի վերայ աշխարհիս՝ անդէն ի դրանն մարդկանէ դառով յարբանիքն սատակեցին:

იმავე დღეს მისი ძე შაპუჰიც, რომელიც ჩვენს ქუყანაზე არშაკუნელთა ადგილას გააშეფა. იქვე კარის კაცებმა მოკლეს დალატით სასაზღვეში.

ტექსტუალური მსგავსება, და ზოგიერთ შემთხვევაში დამთხვევაც კი, ამ ორ ნაწყვეტს შორის აშკარაა. მაგრამ მაინც, ჩვენი აზრით, ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რა ურთიერთობა არსებობს მათ შორის. საყურადღებოა ერთი რამ: ლაზარ ფარბეცისთან მეორე ნაწყვეტი თითქმის უშუალოდ მოჰყვება პირველს, მათ შორის მხოლოდ ერთი წინადადებაა („რაც სასწრაფოდ და კემშარიტად მიუსაჯა მას ამ ნაწერმა, ჩადენილ საქმეთა [სანაცვლოდ], რადგანაც დიდხანს არ უმეფია იაზკერტს, ისე მოკვდა“).

მოვსეს ხორენაციისთან კი ეს ნაწყვეტები საკმაოდ დამორებულია ერთმანეთს. პირველი ნაწყვეტის შემდეგ ხორენაცი გადმოგვცემს შაპუჰის შემოსვლის ამბავს სომხეთში, რომ არავინ იყო სომხეთში ამ დროს, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა მას; რომ შაპუჰმ ვერ შეძლო კეთილი ურთიერთობის დამყარება სომეხ ნახარარებთან.

შემდეგ ხორენაცის მოპყავს ოთხი მაგალითი იმისა, თუ როგორი უპატივცემულობით სარგებლობდა შაპუჰი სომეხ ნახარარებში და უკვე შერდეგ (56) თავში (შაპუჰისა და იეზდიგერდის მეფობის ხანგრძლიობის აღნიშვნის შემდეგ) ეპოულობთ მეორე ნაწყვეტს.

თუ ლაზარ ფარპეციმ მოვსეს ხორენაცისაგან გადაიწერა ეს ორი ნაწყვეტი, გაუგებარია, რატომ გამოტოვა მან ყველა ის მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც მოეპოვება ხორენაცის მათ შორის. როგორც ვხედავთ, გ. ხალათიანცის ამ მაგალითებს აკლია სრული დამაჯერებლობა.

შესამე და მეოთხე მაგალითი ხალათიანცს მოპყავს საჰაკ კათალიკოსის სიტყვიდან, რომლითაც მან მიმართა ნახარარებს. ამ უკანასკნელებმა გადაწყვიტეს თავიდან მოეშორებინათ მეფე არტაშესი, შეიკრიბნენ და სთხოვეს საჰაკს, რათა მასაც დაეჭირა მათთვის მხარი და მათთან ერთად მოეთხოვა შაჰისაგან არტაშესის გადაყენება. საჰაკმა უარი განაცხადა ამაზე. მართალია, არტაშესი უწყესოდ იქცევა, მაგრამ მაინც ქრისტიანია და ურჯულოებს ვერ ჩაეუგლებ ხელში. საჰაკის ეს პასუხი მოპყავთ მოვსეს ხორენაცისაც (თავი 62) და ლაზარ ფარპეციისაც (გვ. 20—22), ოღონდ ლაზარს ბევრად უფრო ვრცლად. მის გადმოცემაში აქა-იქ გაბნეული წინადადებები ძალიან ახლოს დგანან ხორენაცის ტექსტთან. სულ სამი-ოთხი ასეთი წინადადებაა, უფრო სწორად, წინადადების ნაწილი, რადგანაც მხოლოდ ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს და არა მთელი წინადადება. მაგრამ ეს დამთხვევა ჩვენ საესებით ბუნებრივად გვეჩვენება. ირივე აკტორი გადმოგვცემს საჰაკის სიტყვას, რომელიც სინამდვილეში იყო წარმოთქმული და, ცხადია, თუკი ისინი სრულადად არ გადაასხვადფერებდნენ მას, მათი გადმოცემა რამდენადმე უნდა დამთხვეოდა კიდევაც ერთმანეთს. ამდენად, ვერც ეს მაგალითები გამოდგება იმის უეჭველ საბუთად, რომ ლაზარ ფარპეციმ ისარგებლა მოვსეს ხორენაცის წიგნით. სხვა მაგალითები კიდევ უფრო ნაკლებად დამაჯერებელია.

მოვსეს ხორენაცისა და ლაზარ ფარპეციის ტექსტების შედარებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ლაზარი არ იცნობდა ხორენაცის ნაშრომს. უნდა ითქვას, რომ ხორენაცისა და ლაზარის თხზულებები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი სასიათით. ლაზარს ისტორიული მოვლენები გადმოცემული იქვს ზოგად ხაზებში, იგი დიდ ადგილს უთმობს ისტორიულ პირთა შინაგან განწყობილ-

ბისა და მათ მიერ წარმოთქმული სიტყვების გადმოცემას. ამიტომ ბისი თხრობა უფრო ზეპირად განაგონი ამბების ლიტერატურულ ჩანაწერს წარმოადგენს. ხორენაცის კი თხრობა დატვირთული აქვს უამრავი ფაქტებით. მას ბევრი ისეთი ცნობა მოეპოვება, რომლებიც არა აქვს ლაზარს. ეს ცნობები მეტად მნიშვნელოვანია და წარმოუდგენელია ლაზარს არ გამოუყენებინა ისინი, ხორენაცის წიგნი წაკითხული რომ ჰქონოდა. შესაძარებლად მოვიყვანთ ლაზარ ჟარბეცის „სომხეთის ისტორიის“ პირველი ნაწილის დასაწყისის მოკლე შინაარსს და სათანადო ადგილს ხორენაცის წიგნიდან.

ლაზარ ჟარბეცი. როდესაც სომხეთის არშაკუნიელთა სამეფო ორად გაიყო, დასავლეთი ნაწილი წილად ჰვდა ბერძენებს, აღმოსავლეთი კი—სპარსელებს. აღმოსავლეთი ნაწილის ნახარაგები შეიკრიბნენ და სთხოვეს შაჰს ირანის სომხეთში მეფედ დაესვა ვინმე ისევ არშაკუნიელთა ვვარიდან. შაჰმა შაბუჰმა დასრულა ეს თხოვნა და მეფედ დასვა ხოსროვ არშაკუნი.

სომხეთის დაყოფამდე მთელი სომხეთის მეფე იყო არშაკუნი. იგი ძალიან წუხდა ქვეყნის დაყოფას და საუკეთესო ნაწილის სპარსელებს ხელში გადასვლას. თავის ახლობლებთან თათბირას შემდეგ მან გადაწყვიტა თავი დაენებებინა თავისი საგვარეულო საკუთარებისათვის, აირარატის უმდიდრესი გავარისათვის (ოლქისათვის) და გადასულიყო ბერძენთა მეფის ნაწილში, რადგანაც იქ გაჭირვებია ყოფნა ურჩინა მეფობას სპარსელთა მონობაში. მართლაც, არშაკი გაიქცა ბერძენთა ნაწილში (აქ მოდის ვრცელი და ძალიან საინტერესო გეოგრაფიული და ეკონომიური დასასიამაება აირარატის გავარისა). რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსელთა ნაწილის ნახარაგებმა შეიძულეს ხოსროვი და დაასმინეს იგი შაბუჰთან. გარეგნულად თქვენთან მკვლობრობს, სინამდვილეში კი საიდუმლო მისწერ-მოწერა აქვს ბერძენთა მეფესთანო. შაბუჰმა სიხარულით მოესმინა მათ და თავისთან დაიბარა ხოსროვი. ამ უკანასკნელმა არაფერი იცოდა და წავიდა შაბუჰთან, როგორც თავის ბატონთან და მეგობართან. შაჰს იმდენად უნდოდა ხოსროვის მეფობიდან გადაყენება, რომ არ მთისუროვა მისი წაყენება ცილისმწამებლების პარისპირ. ხოსროვის გადაყენების შემდეგ ნახარაგებმა შაჰს ახალი მეფე სთხოვეს. შაჰმა მეფედ დასმინა ხოსროვის ძმა ვრამშაპუჰი და სომხეთში გააგზავნა იგი.

ამავე ამბებს მოვსეს ხორენაცი გადმოგვცემს შემდეგნაირად:

შაბუჭი და კეისარი არკადიუსი დაეზავნენ ერთმანეთს. მათ გაიყვეს შუამდინარეთი და სომხეთი. არშაკმა დატოვა თავისი საგვარეულო ვაგარი აირარატი და გადაეიღა ბერძენთა ნაწილში. ეს მან გააკეთა არა მარტო იმიტომ, რომ დედამისი ბერძენთა ნაწილში იყო, არამედ იმიტომაც, რომ მას ერჩივნა ჰქონოდა ცოტა და ყოფილიყო ქრისტიანი მეფის ქვეშევრდომი, ვიდრე ჰქონოდა ბევრი და დამორჩილებოდა ურჯულოს. ზოგიერთმა სახარაჩმა შეატოვა თავისი ქონება და მთელი ოჯახით გაჰყვა მას.

ვანოსხებულმა შაბუჭმა წერილი მისწერა არშაკს, რატომ გაჩაღე ომი ჩემსა და კეისარს შორის ჩემი ნაწილის სახარაჩოების წაღებით. არშაკმა უპასუხა, ისინი ვერ იტანდნენ სპარსელთა წინამძღოლის ხელქვეით ყოფნას. თუ შენს ნაწილზე მომცემ ისეთსავე უფლებას, როგორსაც მაძლევს კეისარი თავისანთ, მზად ვარ გემსახურო. თუ ეს არ გსურს და თუ სახარაჩები მოინდომებენ უკან დაბრუნებას, მე ხელს არ შევეუშლიო.

მაშინ შაბუჭმა თავის ნაწილში გააშეფა ვინმე ხოსროვი, იმავე არშაკუნების გვარიდან, არშაკთან მყოფ სახარაჩებს კი შესწერა წერილი და ფიცა მისცა, თუ უკან დაბრუნდებით, ხელს არ გახლებთ და თქვენს მამულებს დაგიბრუნებთ. რამდენიმე კაცის გარდა ყველა სახარაჩი უკან დაბრუნდა. არშაკთან იყვნენ სახარაჩები დასავლეთის მხარიდანაც. ზოგმა მთვანმაც მოისურვა აღმოსავლეთ ნაწილში გადასვლა. მათ შორის იყო ასპეტო საპატე ბაგრატიონიც, რომელიც ცუდ დამოკიდებულებაში იყო არშაკთან. ბოლოს და ბოლოს საპატე შეძლო გაპარულიყო სპარსელთა ნაწილში. მისმა თანამოაზრეებმა კი ვერ მოახერხეს ეს და დარჩნენ არშაკთან.

ხოსროვს ძალიან გაუხარდა საპატის მისვლა და დანიშნა იგი სპარაპეტად. საპატე დაამარცხა და განდევნა ვანიანდელეში, რომელიცე ქაილონას ეწოდნენ. არშაკთან დარჩენილმა საპატე ბაგრატიონის თანამოაზრეებმა, სურენ ხორხორუნიმ, ვაჰან არაველუანმა და ამხადარ დიშაქსიანმა მოიტაცეს არშაკის ვანძეულობა და გაიქცნენ ხოსროვიან. მათ წამოეწია სამველ ძამიკონიანი და მოიმწყვდია ისინი ერთ გამოქვებულში (აღწერაღია ბრძოლა). ამ დროს აქ შემთხვევით აღმოჩნდა საპატე ბაგრატიონი, რომელმაც გარეგა სამველის ჯარი და გაათავისუფლა გამოქვებულში მყოფნი. მოტაცებული ვანძეულობის ნაწილი ხოსროვმა გაუგზავნა შაბუჭს. დაიწყო ომი არშაკსა და ხოსროვს შორის. შაბი და კეისარი ამ ომში არ ჩარეულან. არშაკი ვანა-

ნდის მხრივ შევიდა ხოსროვის სამფლობელოებში. ერეველის ველზე მოხდა ბრძოლა, რომელშიც დაიღუპა არშაკის სარდალი დარა სივნიელი, თვითონ არშაკი კი გაიქცა. ასპეტი საპაკი გამოუდგა მას. გაზავონ სპანდარატის ძის ვაჟკაცობამ საშუალება მისცა არშაკს გადარჩენილიყო. იგი წავიდა ეკელეცში, სადაც დაავადმყოფდა ტლეჭით და მოკვდა. არშაკმა ხუთი წელი იმეფა მთელს სომხეთზე, ორნახევარი კი დასავლეთ ნაწილში. ამის შემდეგ ბერძნებს თავის ნაწილში მფეფე აღარ დაუსვამთ, ნახარართა წინამძღოლად მათ დანიშნეს გაზავონი, ხოლო ქვეყნის გამგებლებად დანიშნეს კომსები.

(აქ მოვსეს ხორენაცი ლაპარაკობს მესროპზე. ამას ჩვენ გამოვტოვებთ, რადგან მესროპზე ლაზარი უფრო გვიან მოგვითხრობს).

როდესაც სომეხმა ნახარარებმა ნახეს, რომ ბერძნებმა მათ მფეფე აღარ დაუნიშნეს, მოინდომეს დამორჩილებოდნენ ხოსროვს და მისწერეს მას წერილი: შენ ვემსახურებით ისევე ერთგულად, როგორც არშაკს ვემსახურობდი, თუ შეგვპირდები სამი რამის შესრულებას: უნდა გვაპატიო წარსული, დაგვიბრუნო ჩვენი ქონება, რომელიც სპარსელთა ნაწილშია და ჩამოვირთმევია ჩვენთვის, და დავვიფარო კეისრისაგან, რომ არ ააოხროს ჩვენი სამფლობელოები, რომლებიც ბერძენთა ნაწილშიაო. საპასუხო წერილში ხოსროვმა აღუთქვა ამ პირობების შესრულება. გაზავონს კი, მათ წინამძღოლს, იგი შეპირდა არშაკუნელთა გვარში შეყვანას. გაზავონი და ნახარარები სინარულით წავიდნენ ხოსროვთან. მათ არ წაყვა მხოლოდ სამველ მამიკონიანი, რომელსაც ქრისტიანობის უარყოფისათვის თავისი დედ-მამა მოეკლა, მან გაიტაცა ხოსროვის წერილი და წავიდა კეისარ არკადიუსთან, რომელმაც წერილი სახელმწიფო არქივში შეანახვინა.

ამის შემდეგ ხოსროვმა სთხოვა არკადიუსს, მიეცა მისთვის დასავლეთის ნაწილი. სამაგიეროდ ხარკის გადახდას პირდებოდა. არკადიუსს შეეშინდა, რასაც ახლა მთხოვენ, ძალით არ წამართვანო. და შეასრულა ხოსროვის თხოვნა. გარდაიცვალა ეპისკოპოსთა თავი ასპურაკესი, მის მაგივრად ხოსროვმა დასვა საპაკი, ნერსეპ დიდის შვილი.

შაბუპი განაწყენებული იყო ხოსროვზე იმის გამო, რომ იგი არკადიუსთან მეგობრობდა და შაპის გარეშე დანიშნა საპაკი კათალიკოსად. მან მუქარა შეუთვალა ხოსროვს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არაფრად ჩააგდო ეს და მისი ელჩები შეურაცხყოფილნი გააბრუნა.

ხოსროვმა შეუთვალა არკადიუსს: თუ ჯარს გამომიგზავნი, მთელს სომხეთს ხელში ჩაგიგდებო, მაგრამ არკადიუსმა უარი თქვა ამაზე და შაპუჰმა სომეხი ნაჰაპეტების წაქეზებით სომხეთში გაავზავნა თავისი შვილი არტაშირი დიდი ჯარით. მარტო დარჩენილი ხოსროვი იძულებული იყო დანებებოდა სპარსელებს. არტაშირმა სომხეთის მეფედ დანიშნა ხოსროვის ძმა ვრამშაპუჰი, გადააყენა საპატკათაო ლიკოსი და ხოსროვის მიერ დანიშნული ყველა ნახარარი. ხოსროვი მან წაიყვანა ირანში. შავარშ კამსარაკანი და პარგევ აშატუნი ჩაუსაფრდნენ სპარსელებს ხოსროვის გასათავისუფლებლად. მათ ვერ შეძლეს ეს, რადგან ხოსროვს ფეხებზე ბორკილები ედო...

როგორც ვხედავთ, განსხვავება ამ პატარა ნაწყვეტშიც კი ძალიან დიდია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ განსხვავება, შეუღლებლად უფრო მეტია, ვიდრე დამთხვევა. დამთხვევა არის მხოლოდ ძალიან ზოგად ისტორიულ ქარგაში, სხვათაგან კი ყველაფერი განსხვავდება ამ ორი ისტორიკოსის წიგნებში. ერთი და იგივე ფაქტიც კი ან სხვადასხვანაირად არის ახსნილი, ან მას ისეთი დეტალები ახლავს, რომ იგი სრულიად განსხვავებულ სახეს იღებს მათს გადმოცემაში. მოყვანილი ტექსტებიდან ეს ძალიან კარგად ჩანს. ძველი დასაჯერებელია ლაზარ ფარპეცის გამოცემებიც ისეთი მსიშვნელოვანი ამბავი, როგორცაა ომი არშაკსა და ხოსროვს შორის, ხორენაცის წიგნი წაკითხული რომ ჰქონოდა.

ასევე, უთუოდ, საინტერესო უნდა ყოფილიყო ლაზარისათვის სომეხ ნახარართა ურთიერთობის ამბები არშაკთან, ხოსროვთან, შაპუჰთან და არკადიუსთან, რაც ესოდენ დაწვრილებით აქვს მოთხრობილი ხორენაცის (ლაზარის ერთ-ერთი მიზანი ხომ სწორედ ის იყო, რომ გადმოეცა ნახარართა გვარების შვილთა ისტორია); ნახარალების მიწერ-მოწერა ხოსროვსა და, განსაკუთრებით კი, შაპუჰთან. ასევე, ლაზარს შემდეგშიც ბევრი რამ აქვს მოუხსენებელი ისეთი, რასაც ხორენაცი მოგვითხრობს. მაგ., ნერსეს ჭიჭრაკაცის მეთაქრობით, სომეხ ნახარართა მიერ სპარსელთა ჯარის დამარცხება და სამწლიანი ანარქია სომხეთში (ხორენაცი, III, 56). ან კიდევ, გავიხსენოთ, თუ როგორ განსხვავდება ერთმანეთისაგან ხოსროვის გადაყენებისა და მის მაგივრად ვრამშაპუჰის დანიშვნის ამბავი ლაზარ ფარპეცისა და მოვსეს ხორენაცის გადმოცემაში. ამისთანა ხასიათის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვუიქრობთ, ესეც საკმარისი უნდა იყოს.

განსხვავება ჩანს, აგრეთვე იმაშიც, რომ ხორენაცი ასახელებს მრავალ პირს, მან ყველა აჯანყებული ან გამოჩენილი ნახარარის სახელი იცის, ფარპეცი კი მეფეების გარდა თითქმის არავის არ იცნობს. ხორენაცი ასახელებს აღმოსავლეთ რომის იმპერიის ორ იმპერატორს, არკადიუსსა და თეოდოსისს, რომელთაც ფარპეცი არ ახსენებს (სხვათა შორის ერთი პატარა დეტალიც: ხორენაცი მათ ახსენებს „კეისრის“ ტიტულით, ფარპეცი კი მარტივად „ბერძენთა მეფეს“ ხმარობს).

მოვსეს ხორენაციის თითქმის ყველა ირანის შაჰისა და სომხეთის მეფის მეფობის ხანგრძლიობა აქვს აღნიშნული და სწორად სწორად. მაგრამ შას გამორჩენია ირანის ერთი შაჰი, შაბურ III (383—388). ლაზარი იშვიათად აღნიშნავს მეფობის ხანგრძლიობას. სამაგიეროდ შაჰების თანამიმდევრობა სწორად აქვს დაცული.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რამდენად სწორედ გადმოგვცემენ ეს ისტორიკოსები აღმოსავლეთ რომის, სპარსეთისა და სომხეთის მეფეების მეფობის ხანას ერთმანეთთან მიმართებაში, უნდა ითქვას, რომ აქ ორივეს საკმაოდ ბევრი შეცდომა მოსდის.

საინტერესოა ისიც, რომ სომხეთში მეფობის მოსაბოძ. შემდეგ სპარსელების მიერ გამოგზავნილი მარზბანის სახელი, ვეპრ-მიპრ-შაპუტი, იცის მხოლოდ მოვსესმა, ლაზარმა კი არა.

დაბოლოს, ლაზარს არა აქვს ის ცნობები მამიკონიანებზე, რომლებიც დაცულია ხორენაციისთან. თავისი ისტორიის პირველ ნაწილში ლაზარი თითქმის სრულებით არაფერს ამბობს მამიკონიანთა გვარზე. ხორენაციის კი ბევრი ისეთი ცნობა აქვს, როგორიც დასჭირდებოდა ლაზარს. ლაზარს ეს ცნობები საუკეთესო მასალას მისცემდა მამიკონიანთა გვარის საქებრად და სადიდებლად⁹¹. მაგ., III¹ წიგნის

⁹¹ უნდა აღინიშნოს შემდეგიც: კორიუნიც (Կորիւնի, վարք Մաշտոցի, բնագիրը, ձեռագրության այլ բնօրինակներով, բարգմանությամբ, առաջաբանով և ծանոթություններով ի ձեռն պահ. դ-ր Մանուկ Լեւոնյանի, Հայսնահատ, Երևան, 1941) ახსენებს მამიკონიანებს, მაგრამ ლაზარი უკუბრუნდება ტოვებს მის ცნობებს. ეს აიხსნება იმით, რომ კორიუნის ცნობები სწორედ იმ თვალსაზრისით, რა თვალსაზრისითაც სჭირდებოდა ისინი ლაზარს, ბევრს არაფერს მისცემდა მას. ერთგან კორიუნი ამბობს, რომ საჭაკი სიგებთან ერთად, და სხვებზე მეტად, ასწავლიდა მამიკონიანებს, რომელთაგან პირველს ვარდანი, ანუ ვარდგანი ერქვაო (გვ. 58). შემდეგ კორიუნი ახსენებს მამიკონიანება საჭაკის დასაფლავების ამბებთან დაკავშირებით. აქ იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღო იმავე ვარდანის ცოლმა დუსტრმაო (გვ. 88). ასევე, ჰმთავრ ნამიკონიანი დასწრებითა მამტოცის სიკვდილს და მიუღია მონაწილეობა მის დასაფლავებაში (გვ. 92, 94).

45-ე თავში ხორენაცი გვიამბობს სამველ მამიკონიანის ბრძოლის შე-
სახებ არშაკ მეფის მოლაღატე ნახარარების წინააღმდეგ, რომლებ-
მაც გაიტაცეს არშაკის განძეულობა.

48-ე თავში ხორენაცი ისევ ახსენებს სამველ მამიკონიანს და გად-
მოგვცემს, რომ იმის შემდეგ, რაც სხვა ნახარარები წავიდნენ ხოს-
როვთან სპარსეთის სომხეთში, სამველმა გაიტაცა ხოსროვის წერილი
და მივიდა იმპერატორ არკადიუსთან, რომელმაც იგი კარგად მიიღო.
ხორენაცი იხსენებს იმასაც, რომ სამველმა ქრისტიანობის უარყო-
ფისათვის თავისი დედ-მამაც კი არ დაინდო. გასაგებია, ეს ცნობა
რაოდენ ძვირფასი უნდა ყოფილიყო ლაზარისთვის!

51-ე თავი უმთავრესად მამიკონიანებისადმი მიძღვნილი. ამ თავ-
ში ხორენაცი აღნიშნავს, რომ საჰაკ კათალიკოსის იეროადერითი შვი-
ლი გათხოვილი იყო ჰამაზასპ მამიკონიანზე; რომ საჰაკ კათალიკო-
სი ცდილობდა როგორმე მის სიძეს რეგებოდა სომხეთის სპარაპეტობა
ასპეტ საჰაკ ბაგრატიუნის შემდეგ. ამას საჰაკი სთხოვდა ჯერ ხოს-
როვს, მის შემდეგ ვრამშაპუჰს და ბოლოს სპეციალურად ამის გუ-
ლისთვის წავიდა ქტეზიფონში არტაშირთან. ბოლოს და ბოლოს მან
მიადწია კიდევაც თავის მიზანს. შაჰმა უბოძა ჰამაზასპს სპარაპეტო-
ბა, მამულები, პატივი და დააწინაურა იგი: მჯსუთე ადგილი მიანიჭა
ნახარარებს შორის. ყველაფერი ეს სამეფო სამდივნოში ჩააწერინა
და წერილი მიაწერინა ვრამშაპუჰთან, სადაც აღნიშნული იყო, რომ
სასანიანთა წინაშე საჰაკის გვარის განსაკუთრებული დამსახურები-
სათვის საჰაკის შვილობილს ჰამაზასპს შაჰმა მიანიჭა ესა და ეს წყა-
ლობაო.

57-ე თავში ნახსენებია, რომ მესროპთან ერთად საჰაკმა იმპე-
რატორ თეოდოსისთან ელჩად გაგზავნა თავისი შვილიშვილი ვარდან
მამიკონიანიც, 451 წლის აგანყების მომავალი გმირი. მათ თავისი
ელჩობა წარმატებით ჩაატარეს. ვარდანს იმპერატორმა სტრატელა-
ტობაც უბოძა.

58-ე თავში ხორენაცი გვიამბობს, თუ როგორ გავრცელდა სომ-
ხური ანბანი ბიზანტიის სომხეთში და აღნიშნავს, რომ ამ საქმეში
მესროპთან ერთად დიდი მონაწილეობა მიუღია ვარდანსაც. ასევე
დიდი დამსახურება მიუძღვით ამ საქმეში ვარდანის ძმებსაც, ჰჰა-
იაკსა და ჰამაზასპიანს, რომლებსთვისაც საჰაკს ბორბორიტების
მწვანეებლობასთან ბრძოლაც დაუევალებია. თითონ საჰაკი წასულა
აირარატის გავარში და შაჰთან გაუგზავნია ასპეტი სმბატი და ვარ-

დან მამიკონიანი. ამ უკანასკნელების თხოვნით შაჰს სომხეთის მეფედ ტახტზე დაუსვამს არტაშესი (ესეც ფრიად მნიშვნელოვანი ამბავია: არშაკუნიანთა უკანასკნელი წარმომადგენლის გამეფება მამიკონიანზე ყოფილა დიდად დასოკიდებული).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელსაც გადმოკვცემს ხორენაცი 64-ე თავში: როდესაც შაჰმა გადაწყვიტა წაერთმია ტახტი სომხეთის უკანასკნელი მეფის არტაშესისათვის, მან მოისურვა ამ საქმეში საპაეკ კათალიკოსის მხარდაჭერა შოებოვეზნა. სამეფო კარზე გამოძახებულ საპაეკ თავისი ერთ-ერთი დიდებულის პირით შაჰმა შეუთვალა, თუ საპაეკი მხარს დაუჭერდა შაჰს, მას დიდებას მიანიჭებდნენ, ხოლო მის შვილიშვილს ვარდანს კი დააყენებდნენ სომხეთის სათავეში როგორც მეფეს, მეფის თანაბარი პატივით. მაგრამ საპაეკმა უარი განაცხადა ამზე (რამდენი რამის თქმის საშუალებას მისცემდა ლაზარს ეს ფაქტი!).

მამიკონიანები ამის შემდეგაც იხსენიებიან მოვსეს ხორენაციისთან. მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისად მიგვაჩნია. არც ერთი ამ შემომოყვანილი ფაქტებიდან არ არის ცნობილი ლაზარისთვის, თორემ იგი აუცილებლად გამოიყენებდა მათ.

დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ლაზარი არც ერთხელ არ ახსენებს მოვსეს ხორენაციას, ან მის „სომხეთის ისტორიას“, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, თითქოს ლაზარი ამას განზრახ აკეთებდა, რათა დაემაღლა თავისი ნაცნობობა ხორენაციის თხოვლებასთან. ლაზარის ასეთ მოქმედებას შემდეგნაირად ხსნიან:

გრ. ხალათიანცის სიტყვით, ლაზარ ფაოპეცის მოღვაწეობის ხანაში სომხეთში მოსახლეობის ყველა ფენაში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხური სიმღერები, ლეგენდები, გადმოცემები. ის იატორიკოსები, რომლებიც თავის თხოვლებებს მათზე დაყრდნობითა და მიმსგავსებით წერდნენ, წარმატებით სარგებლობდნენ ბერძნული ვანათლების მიმდევარმა მოვსეს ხორენაციმ მოინდომა სხვაგვარად დაეწერა თავისი „ისტორია“ წინააღმდეგ თავისი დამკვეთის, საპაეკ ბაგრატიუნის სურვილისა. ხორენაციის ცდას წარმატება არ მოჰყოლია. უფრო მოსწონდათ ავითანგელოსისა და ფავსტოსის თხოვლებები, რომლებიც სწორედ ხალხურ ემოსს ეყრდნობოდნენ. ასეთივე თხოვლება სურდა მიეღო ლაზარ ფაოპეცისაგან ვაჰან შაჰ-

კონიანსაც. ამიტომ ლაზარი არც კი ახსენებს მოვსეს ხორენაცის. ამას ემატება ისიც, რომ მოვსესს ცოტა აქვს ცნობები მამიკონიანებზე⁸².

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სტ. მალხასიანცის აზრით ლაზარი იმიტომ არ ახსენებდა ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ (თუკი ლაზარი იცნობდა მას), რომ იცოდა ხორენაცის ცული დამოკიდებულება მამიკონიანებთან. გ. ხალათიანცისა და სტ. მალხასიანცის შეხედულებათა შესახებ უნდა ითქვას შემდეგი:

დამაჯვრებლად არ გამოიყურება ხალათიანცის მოსაზრება, თითქოს ლაზარ ფარპეცი იმიტომ არ ახსენებდა ხორენაცის, რომ მისი „ისტორია“ არ მოსწონდა. ლაზარს, როგორც ვნახეთ, არც ფავსტოს ბუზანდის წიგნი მოსწონდა, იგი უცოდინარ პირთა მიერ წაჩყენილად და გაფუჭებულად მიაჩნდა (თუმცა თვით ფავსტოსი, მისი აზრით, ძალიან განათლებული პირი უნდა ყოფილიყო). მიუხედავად ამისა, ლაზარი სრულიადაც არ მალავდა თავის ნაცნობობას ფავსტოს ბუზანდის „სომხეთის ისტორიასთან“.

არც ის არის სწორი, თითქოს ხორენაცის ცოტა ცნობები ჰქონდეს მამიკონიანებზე და ამიტომ არ ყოფილიყო საჭირო მისი მოხსენება. პირიქით, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ხორენაცის წიგნში შეუდარებლად უფრო მეტი არის ნათქვამი მამიკონიანებზე, ვიდრე ლაზარის წიგნის შესაბამის, პირველ ნაწილში.

ორიოდე სიტყვა ლაზარ ფარპეცის „წერილში“ მოხსენებული მოვსეს ფილოსოფოსის შესახებ. როდესაც ლაზარი ლაპარაკობს ამ დეჟნაზე, რომელსაც იგი განიცდიდა „ავყია ბერებისაგან“, იგი ახსენებს რამდენიმე სხვა პირსაც, რომელთაც აგრეთვე უსამართლოდ განიცადეს დევნა. პირველად იგი ლაპარაკობს მოვსესზე, „ჩეტარი ფილისოფოსი (sic) მოვსესი, რომელიც ჭეშმარიტად უკვე მაშინ, როდესაც ცოცხალი იყო, ეკუთვნოდა ციურ ჯართა რიცხვს. განა მართლაც არ სდევნიდნენ მას სომეხი ბერები ერთი ადგილიდან მეორეზე? მის განმანათლებელ და უფიცობის დამთრგუნველ წიგნებს განა უცოდინარობით ფაფალ-იკესს⁸³ არ ეძახდნენ? და სხვა მრავალი სიტყვებით შეგინებულს სხვათა სირცხვილის გამო ცრუ ეპისკო-

⁸² ხალათიანცი, გვ. 89-90.

⁸³ ამ სიტყვის ხუსტი მნიშვნელობა დადგენილი არაა. ფიქრობენ, რომ იგი სირიულიდან უნდა მიმდინარეობდეს და რაღაც მაგინებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

ბოსობა სასიკვდილო შხამის ნაცვლად დააღვეინეს ამ წმინდანს და დააღრჩვეს. აღსასრულის უამს როგორი საშინელი წყევლავ უთქვამს მას წიგნით სამღვდლოების მეთაურთა შესახებ, აქვენც კარგად მოგეხსენებათ⁹⁴.

შემდეგ ლაზარი ჩამოთვლის რამდენსამე სხვა პირს აგრეთვე უსამართლოდ დევნილს და უშატებს, „ამათი ამრიგად შეგინებისა და ლანძღვით დევნის [ამბავი] არა სადამო უამს ვანმესაგან მოყოლით გაგვიგია, არამედ ზვენსობას, ჩვენ დროში მოხდა და [თვითონ] ვნახეთ ვველაფერი“-ო⁹⁵.

მოვსეს ფილოსოფოსის მიმართ ლაზარ ფარპეცი ხმარობს ეპიტეტებს „ნეტარი“, „წმინდა“ (სხვათა შორის, „წმინდას“ იგი არც ერთ სხვა დევნილს არ უწოდებს), მის წიგნებს იგი მოიხსენიებს როგორც „განმანათლებელსა“ და „უვიცობის დამთრგუნველს“. ძნელა საფიქრებელია, რომ ლაზარი მოვსეს ასე ახსენებდეს მხოლოდ იმიტომ რომ იგი „გალიზიანებული და გაბრაზებული“ იყო, როგორც ამას ფიქრობს სტ. მაღასიანცი. როგორც ჩანს, მოვსეს ფილოსოფოსი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ლაზარის თვალში.

მეორე მხრივ, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს მ. აბელიანი, სრულებითაც არ არის სწორი, თითქოს ხორენაცი ისეთი ტენდენციური იყო, რომ მხოლოდ ბაგრატუნების გვარზე დაეწეროს და არაფერი ჰქონდეს სხვა ნაზარათა გვარების შესახებ. ხორენაციის არაფერი აქვს მამიკონიანებზე ისეთი, რასაც უნდა გამოეწვია მათი მტრობა მის მიმართ, თანაც ისეთი მტრობა, რომ ლაზარ ფარპეცის მისა სახელის ხსენებაც კი ვერ გაეხედა თავის „ისტორიაში“. ამიტომ ლაზარს არაფერი უშლიდა ხელს სათანადოდ მოეხსენებინა მოვსეს ხორენაცია.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ლაზარს უსათუოდ ვცოდინებოდა ხორენაციის „სომხეთის ისტორიის“ არსებობა, ის რომ მოვსეს ფილოსოფოსს ჰკუთვნებოდა. მეხუთე საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში თავის „წერიალში“ ლაზარი ლაპარაკობს მოვსესის „განმანათლებელ და უვიცობის დამთრგუნველ წიგნებზე“. შეუძლებელია რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც იგი წერდა თავის „ისტორიას“

⁹⁴ ი. ფ., გვ. 202.

⁹⁵ იქვე, გვ. 203.

მას არ სცოდნოდა ამ წიგნებზე შორის უმთავრესი, „სომხეთის ისტორია“. საყურადღებოა აგრეთვე ის ეპითეტებიც, რომლებსაც ხმა-რობს ლაზარ ფარპეცი მოვსეს ფილოსოფოსისა და მისი წიგნების მიმართ („ნეტარი“, „წმინდა“, „განმანათლებელი“). ჩვენი აზრით, ისინი იმაზე უნდა მიგვითითებდნენ, რომ მოვსეს ფილოსოფოსის მოღვაწეობა და მისი შრომები უფრო სასულიერო ხასიათისა იყვნენ. თვით მეტსახელიც „ფილოსოფოსი“ ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ლაზარისთვის ეს მოვსესი ისტორიკოსი არ ყოფილა?

როგორც ვხედავთ, სტ. მალხასიანცის აზრი მოვსეს ფილოსოფოსისა და მოვსეს ხორენაცის იგივეობის შესახებ სწორი არ უნდა იყოს. ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლაზარ ფარპეცი არ იცნობდა მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიას“ და არ გამოუყენებია იგი თავისი წიგნის დაწერისას²⁶.

არა ნაკლებად რთულია ლაზარ ფარპეცისა და ელიშეს დამოკიდებულების საკითხი. იცნობდა თუ არა ლაზარი ელიშეს თხზულებას და იყენებდა თუ არა მას თავისი „სომხეთის ისტორიის“ დაწერის დროს?

ელიშეს ბედი მოგვაგონებს მოვსეს ხორენაცისას. თვით ელიშეს სიტყვებიდან ჩანს, რომ იგი იყო მის მიერ აღწერილი ამბების, ე. ი. 450—451 წწ. სომხეთის აჯანყების, თანამედროვე და მონაწილე. მაგრამ უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ზოგიერთმა მკვლევარმა ეჭვი შეიტანა ელიშეს ამ ცნობებში და მისი წიგნი უფრო გვიანდელ ხანაში შექმნილად მიიჩნია.

ზემოთ ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს, რომ გრ. ხალათიანცმა თავის წიგნში „ლაზარ ფარპეცი და მისი თხზულებები“ გამოთქვა აზრი, ელიშეს თხზულება წარმოადგენს ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიის“ მეორე ნაწილის უმთავრეს წყაროსთ. ამ ნაწილში ლაზარს ყველა მნიშვნელოვანი ცნობა აღებული აქვს ელიშესაგან, რომელსაც კვლადაკვალ მიჰყვება და თავის მხრივ არაფერს უმატებსო. ის მცირეოდენი რამ, რაც დამატებული აქვს ლაზარს, მას აუღია ზე-

²⁶ საყურადღებოა, რომ თვით მ. აბელიანი, რომელიც ხორენაცის ლაზარ ფარპეცის წყაროდ მიიჩნევს, შენიშნავს ლაზარის „სომხეთის ისტორიის“ პირველი ნაწილის შესახებ: „აქ სწორია სპარსეთის მეფეების თანაბიმდევრობა, უეჭველია, სომხეთის მეფეებისა და კათალიკოსებისაც. მაგრამ თნობა უმთავრესად დამყარებულია განაგონზე და არეულია“-ო (Հայոց հին գրականության պատմություն, I, გვ. 321).

შემდეგში ეს წიგნი მისმა რედაქტორმა მიუყენა 451 წ. აჯანყებას (აკონიანის აზრით ეს რედაქცია განეკუთვნება VII ს., ან კიდევ უფრო გვიანდელ ხანასაც კი). ამ გადაკეთების დროს მან ლაზარ ფარპეცის სქემა გამოიყენა. ლაზარით დიდად ისარგებლა თვით ელიშემაცო¹⁰⁰.

ელიშეს შემკვიდრეობის შესწავლის საქმე სავსებით მტკიცე საფუძველზე დააყენეს სომეხმა საბჭოთა არმენოლოგებმა. მ. აბელაანმა თავის შრომაში „ძველი სომხური ლიტერატურის ისტორია“ დაასაბუთა ის აზრი, რომ ელიშე V ს. ისტორიკოსია. მ. აბელიანის აზრით ელიშეს თავისი წიგნი დაუწერია V ს. 80-იან წლებში¹⁰¹. ამასთან მ. აბელიანს მიაჩნია, რომ ლაზარ ფარპეცი იცნობდა ელიშეს თხზულებას, მაგრამ მან შენიშნა ისიც, რომ ლაზარს თავისი „ისტორიის“ მეორე ნაწილში ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა მოაქვს დამატებით, რომელიც არ მოეპოვება ელიშეს¹⁰².

ვრცელი წინასიტყვაობა წარუმძღვარა პროფ. ე. ტერ-მინასიანმა მის მიერ ახალ სომხურზე ელიშეს თხზულების თარგმნის პირველ გამოცემას¹⁰³. ამ წინასიტყვაობაში პროფ. ე. ტერ-მინასიანმა მიმოიხილა ელიშეს ირგვლივ არსებული ლიტერატურა. განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო მან ნ. აკინიანის შეხედულებათა კრიტიკას. პროფ. ე. ტერ-მინასიანის აზრით ელიშე დაბადებულა 410—415 წლებს შორის და გარდაცვლილა 470—475 წლებს შორის. თავისი წიგნის პირველი შვიდი თავი ელიშეს დაუწერია V ს. ორმოცდაათიანი წლების დასასრულს, ხოლო უკანასკნელი მერვე თავი კი 464—465 წლების შემდეგ. პროფ. ტერ-მინასიანიც იზიარებდა იმ აზრს, რომ ლაზარი იცნობდა ელიშეს ნაშრომს.

სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ელიშეს ამ უკანასკნელ დროს ვ. ს. ნალბანდიანმა. მრავალ სხვა საკითხთან ერთად ამ წიგნში განხილულია ელიშეს ცხოვრების ხანის საკითხიც და ნათქვამია, რომ

¹⁰⁰ თავის გამოკვლევას ნ. აკინიანი ჯერ ბეჭდავდა ჟურნალში „Հանդես Թուրքիայի“ 1931—1937 წლებში, შემდეგ კი ცალკე განოსცა ორ ტომად: ნ. Ակինյան, Նիդի Վարդապետ և յուր պատմություն Հայոց պատերազմին: Մատենադրական-պատմական ուսումնասիրություն: Վ. խննա. մաս I, 1934; մաս II, 1937.

¹⁰¹ Մ. Աբելյան, Հայոց նիւ գրականության պատմություն, I, გვ. 294.

¹⁰² იქვე, გვ. 329.

¹⁰³ Նիդի Վարդանանց Պատմությունը. Քարգամությունը, Ներածական ուսումնասիրությամբ ևլ ծանոթագրություններով պրոֆ. դ-ր Ն. Տեր-Մինասյանի, Երևան, 1946.

ელიშემ თავისი წიგნი დაწერა 458—465 წლებში. ვ. ს. ნალბანდიანიც იგი აზრისაა, რომ ლაზარმა გამოიყენა ელიშემ თავის წიგნის წერისას¹⁰⁴.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საბჭოთა არმენოლოგიაში განმტკიცებულია ის აზრი, რომ ელიშემ V ს. ისტორიკოსია და თანამედროვეა მის მიერ აღწერილი ამბებისა¹⁰⁵. ამასთანავე მიღებულია ის აზრიც, რომ ლაზარ ფარპეცა თავისი „სომხეთის ისტორიის“ მეორე ნაწილის წყაროდ იყენებდა ელიშემს წიგნს.

პირველი ღებულება დამაჯერებლად გამოიყურება. რაც შეეხება ლაზარ ფარპეცასა და ელიშემს ურთიერთობის საკითხს, ჩვენი აზრით, იგი ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება საბოლოოდ გადაწყვეტილად.

ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიის“ მეორე ნაწილსა და ელიშემს თხზულებას შორის მსგავსება აშკარაა. მ. აბელაიანის სიტყვით ლაზარის წიგნის მეორე ნაწილისა და ელიშემს „ისტორიის“ თემა ერთი და იგივეა, იგი ვითარდება იმავე რიგით, ხშირად იმავე ფორმით, ალაგ-ალაგ ორივე „ისტორია“ სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ერთმანეთს¹⁰⁶.

დამთხვევები ამ ორი ისტორიკოსის ცნობებს შორის მეტად მნიშვნელოვანია. მოვიყვანო შემდეგ მაგალითს: იეზდიგერდ II-მ წინადადება მისცა სომხებს, მიეღოთ მანდიანობა. სომხებმა უარი განაცხადეს. განრისხებულმა იეზდიგერდმა თავისთან დაიბარა სომხეთის დიდებულები. ორივე ისტორიკოსის გადმოცემით სომხეთიდან წასულია ათი კაცი. ლაზარიცა და ელიშემც ერთსა და იმავე პირებს ასახელებენ. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ორივე ისტორიკოსს სომხეთიდან წასული ათივე დიდებული ერთი თანამოდევრობით ჰყავთ ჩამოთვლილი¹⁰⁷. ასევე, ერთნაირი თანამოდევრობით ასახელებს ორივე ავტორი ვასაკ სივნელის მომხრე ნახარა-

¹⁰⁴ ვ. ს. ნალბანდიანი, სეჩქხ, სრხქანი, 1959; ელიშესა და მისი წყაროების საკითხი ვ. ს. ნალბანდიანი ეხება თავის სხვა ნაშრომშიც: վարդապետի պատերազմը եւ Գ. Մանկլեանի «վարդապետը», სრხქანი, 1955.

¹⁰⁵ იხ. აგრეთვე: Очерки истории исторической науки в СССР, I, Москва, 1955, გვ. 28; Очерки истории СССР III—IX вв, Москва, 1958, გვ. 231 და სხვ.

¹⁰⁶ Մ. Աբելայան, Հայոց հին գրականության պատմություն, I, გვ. 324.

¹⁰⁷ Ղ. Փ., გვ. 47; Նյիշէի վասն վարդապետ եւ Հայոց պատերազմին, სრხქანი, 1957, გვ. 42—43.

რებსა¹⁰⁸ და ავარაირის ბრძოლაში დაღუპულთ¹⁰⁹. იგივე სურათს ვხედავთ, როდესაც ელიშე და ლაზარი ჩამოთვლიან სპარსეთში პატიმრობაში მყოფ სომეხ ნახარარებს. აქაც ნახარართა გვარები ერთი თანამიმდევრობით არიან ჩამოთვლილი, ოღონდ თვით გვარების წარმომადგენლები ელიშეს ოთხით მეტი ჰყავს დასახელებული. სულ 35. ლაზარს დასახელებული ჰყავს 31 კაცი¹¹⁰.

ცხადია, ასეთი დამთხვევები შემთხვევითი არ არის. ამ ორი ისტორიკოსის შორის მსგავსების კიდევ სხვა ფაქტების მოყვანა შეიძლება, მაგრამ არა ნაკლებად შესამჩნევია მათ შორის განსხვავებაც. ყოველ მათგანს ბევრი ისეთი ცნობა აქვს, რომელიც არ მოეპოვება მეორეს. ბევრ მოვლენას ისინი სხვადასხვანაირად გადმოგვცემენ.

მაგალითად, იუზდიგერდ II-ის ბრძანებაზე მიეღოთ მახდვანობა, სომხებს უპასუხიათ წერილით. ორივე ისტორიკოსის გადმოცემით წერილის დასაწერად შეკრებილან ეპისკოპოსები. ლაზარიცა და ელიშეც თვრამეტ-თვრამეტ ეპისკოპოსს ჩამოთვლიან. მათს გადმოცემაში ამ ეპისკოპოსების თანამიმდევრობა სხვადასხვანაირია, ამასთანავე მათ დასახელებული ჰყავთ თითო-თითო განსხვავებული ეპისკოპოსიც. მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რომ ლაზარი ამ ეპისკოპოსებს გარდა, ასახელებს აგრეთვე სამ მღვდელს, ერთ ბერს და თვრამეტ ნახარარს, რომლებსაც არ ახსენებს ელიშე¹¹¹.

აჯანყებულ სომხებს დახმარების სათხოვნელად კვისარ თეოდოსი II-სთან გაუგზავნიათ ელჩობა. ლაზარის გადმოცემით გაგზავნილი იყვნენ ვაჰან ამატუნი, ჰმაიაკ მამიკონიანი და მერუჟან არწრუნი, ელიშეს ცნობით კი მხოლოდ ატომ ვნუნი წასულა¹¹². ხალხლის ბრძოლის აღწერისას ლაზარი დაწვრილებით გადმოგვცემს სომხების სამხედრო წყობას და რომელი სარდალი რომელ მხარეს ხელმძღვანელობდა. ელიშე კი არაფერს გვეუბნება ამაზე¹¹³. ასევე სხვადასხვაგვარად გადმოგვცემენ ლაზარი და ელიშე სომხების სამხედრო წყობას ავარაირის ბრძოლაშიც¹¹⁴.

¹⁰⁸ ე. ფ., გვ. 67; ს. ე. ქ. ე., გვ. 74.

¹⁰⁹ ე. ფ., გვ. 72; ს. ე. ქ. ე., გვ. 119—120.

¹¹⁰ ე. ფ., გვ. 86; ს. ე. ქ. ე., გვ. 193—194.

¹¹¹ ე. ფ., გვ. 44—45; ს. ე. ქ. ე., გვ. 27—28.

¹¹² ე. ფ., გვ. 63; ს. ე. ქ. ე., გვ. 71.

¹¹³ ე. ფ., გვ. 65; ს. ე. ქ. ე., გვ. 75—77.

¹¹⁴ ე. ფ., გვ. 71; ს. ე. ქ. ე., გვ. 116.

განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდება განსხვავება ლაზარისა და ელიშეს შორის, თუ ჩვენ შევადარებთ ერთმანეთს სომხეთის აჯანყების დასაწყისის აღწერას, რომელიც მოიპოვება მათს თხზულებებში.

ელიშე ჯერ აღწერს ირანის რელიგიურ პოლიტიკას. შემდეგ იგი მოგვითხრობს ბიზანტია-ირანის ომზე, რომელიც დაიწყო იეზიდოვარდ II-მ. ამის შემდეგ იგი გადადის ქუშანებთან ირანის ომზე და გვაწვდის მეტად საინტერესო ცნობებს ქუშანებთან საბრძოლველად ქართლიდან, სომხეთიდან და ალბანეთიდან ჯარების გაწვევის შესახებ. ელიშე დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ომის მსვლელობას და სპარსელების მეცადინეობას ქრისტიანობა გაეცრცელებინათ ამიერ-კავკასიის ქვეყნებიდან გაწვეულ ჯარებში. ვრცლად გადმოგვცემს იგი აგრეთვე სპარსელების მიერ სომხეთის აღწერის ამბავს და მათს პოლიტიკას ამ ქვეყანაში. შემდეგ ელიშეს მოჰყავს ირანის პირველი მინისტრის მიჰრ-ნერსეჰის წერილი სომხებისადმი. მიჰრ-ნერსეჰი წერილში დაწვრილებით გადმოსცემს მაზდეანობას და ეკამათება ქრისტიანობას. შემდეგ იგი მოითხოვს სომხებისაგან მაზდეანური რჯულის მიღებას.

არაფერი ამისდამაგვარი არ არის ლაზარ ფარბეცის „სომხეთის ისტორიაში“. ლაზარი გადმოგვცემს, რომ მიჰრ-ნერსეჰს დიდი ხანია განზრახული ჰქონდა მაზდეანობის გავრცელება ირანის ქვეშევრდომ ქვეყნებში. მას თავისი სამსახური შესთავაზა ამ საქმეში ვინმე სივნიელმა სეპუჰმა ვარაზ-ვალანმა. მიჰრ-ნერსეჰმა ურჩია შაჰს ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით. შაჰმა (და არა მიჰრ-ნერსეჰმა, როგორც ამას ელიშე გადმოგვცემს) მისწერა წერილი სომხებს. ლაზარის მიერ მოყვანილ შაჰის წერილში არაფერია ნათქვამი მაზდეანობის პრინციპებზე, გადმოცემულია მხოლოდ შაჰის მოთხოვნა სომხების მიმართ, მაზდეანობა მიეღოთ.

შაჰის წერილისათვის პასუხის გასაცემად არტაშატში მოწვეულ იქნა საერთო და საეკლესიო პირთა კრება. ელიშეს გადმოცემით საპასუხო წერილი დაიწერა ეპისკოპოს ჰოვსეფის სახელით. წერილში ჰოვსეფი თავის მხრივ აკრიტიკებდა მაზდეანობას და იცავდა ქრისტიანობას. ლაზარის გადმოცემით, საპასუხო წერილი კოლექტიური იყო. მასში სომხები წერდნენ შაჰს, ჩვენ არც მაზდეანობაზე წაგვიკითხავს და არც ქრისტიანობაზე მოგწერთ თქვენო.

ამის შემდეგ, ელიშეს გადმოცემით, შაჰს თავისთან დაუბარებია სომხეთის თავკაცები. ლაზარის სიტყვით კი თავკაცები დაბარებულნი ყოფილან ქართლიდან და ალბანეთიდანაც. ქართლიდან წასულთაგან ლაზარი ახსენებს არშუშა პიტიახშს. განსხვავება კიდევ უფრო დიდი გახდება, თუ ჩვენ ერთმანეთს შევუდარებთ იევონდიგერდის წერილსა და სომხების პასუხს ამ ორი ისტორიკოსის გადმოცემაში: მათ ძალიან ცოტა რამ საერთო აქვთ ერთმანეთთან. სხვა რომ არა იყოს რა, ელიშეს გადმოცემაში ეს წერილები ერთი ოთხად უფრო ვრცელია. ასევე, სხვადასხვაგვარად აგვიწერენ ელიშე და ლაზარი სპარსეთში ჩასული დიდებულების ქცევას.

კიდევ ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგრამ მოკვანილიც საკმარისად მიგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ელიშესა და ლაზარის თხზულებებს შორის არსებითი ხასიათის განსხვავებანი არის.

არსებობს აზრი, რომ ელიშეს ცნობები უფრო სანდოა, ვიდრე ლაზარ ფარბეცისა¹¹⁵. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. სწორად ლაზარის ცნობები უფრო სწორია და უფრო სარწმუნო, ვიდრე ელიშესი. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ერთმანეთს შევუდაროთ ლევონდიანთა წამების აღწერა, რომელიც მოეპოვება ორივე ისტორიკოსს.

450—451 წწ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ირანში წაიყვანეს სომხეთის საერთო და სასულიერო თავი კაცები. შაჰის ბრძანებით სომეხი ეპისკოპოსები და მღვდლები სივედილით დასაჯეს. სომხურმა ეკლესიამ ისინი წმინდანებად აღიარა. ერთ-ერთი მათგანის, ლევონდის მიხედვით, მათ ლევონდიანები ეწოდებათ. ლევონდიანთა წამების აღწერას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც ელიშეს, ისე ლაზარის წიგნებში.

უფრადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ელიშეს გადმოცემაში ამ ამბავს ლეგენდარული, არარეალური, ასე ვთქვათ აპოკრიფული იერი ადევს. მაგალითად, ელიშე გადმოგვცემს ასეთ ფაქტს: დაპატიმრებული ლევონდიანები იმყოფებოდნენ ნიშაპურის ციხეში. ისინი ჩაებარებინათ აპარის ქვეყნის გამგებელსა და მოგვთათავისთვის, რომელიც ითვლებოდა მაზდეანური რელიგიის უდიდეს მკოდნედ და ამიტომ ატარებდა ჰამაკდენის საპატიო სახელს. ჰამაკდენი მეტი სისასტიკით ტანჯავდა პატიმრებს, ვიდრე ამას

¹¹⁵ შ. მ. ხეიანი, ჯაიხე ნქი ვრასკანოცქანი აკათოიციანი, I, გვ. 329—330.

თვით შაჰის ბრძანება პოითხოვდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რა-
დაც არ დასჯდომოდა, აეჭულებინა ისინი უარი ეთქვათ ქრისტიან-
ობაზე და მიეღოთ მაზდეანობა.

ჰამაკდენი ორმოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში შიმში-
ლით ტანჯავდა პატიმრებს ნესტიან მიწისქვეშეთში. მაგრამ ისინი
მოწამეთათვის შესაფერისი სიმტკიცით იქცეოდნენ. დღე და ღამე
ლოკულობდნენ. ვალობდნენ ფსალმუნებს და გაჰირებებს არ უში-
ნდებოდნენ. გაკვირვებულმა ჰამაკდენმა ღამით საიდუმლოდ შეიხე-
და ჭუჭრუტანიდან პატიმართა საკანში და სასწაული იხილა: ყოვე-
ლი მათგანი ლამაზრევით სინათლეს გამოსცემდა! რამდენიმე ხნის
შემდეგ ჰამაკდენმა ისევ ნახა იგივე სასწაული. ახლა იგი დარწმუნ-
და ქრისტიანობის ძლიერებაში და მოინათლა. ამჯერად მან კიდევ
უფრო დიდებული სასწაული იხილა: პატიმართა საკანი, სადაც ის
ამ დროს იმყოფებოდა, განათდა ცეცხლოვანი კიბით, რომელსაც ზე-
ცამდე აღიოდა. საფეხურებზე იდგა უამრავი მეომარი. ჰამაკდენმა
დაითვალა ისინი. ისინი ოცდაათ ათასზე მეტი იყვნენ (!). მათ შორის
მან ნახა ვარდის მამიკონიანი და მასთან ერთად დაღუპული მისი
ორი თანამებრძოლო, რომლებიც ლაპარაკობდნენ იმის შესახებ,
რომ მალე-მათს რიცხვს ლევონდიანებაც შეუერთდებოდნენ.

მოგბეტ ჰამაკდენის გაქრისტიანების ამბავი გაიგო ლევონდიან-
თა სიკვდილით დასასჯელად გამოგზავნილმა დიდებულმა დენშა-
ბუჰმა. მან ვერ გაბედა თითონ მიეღო გადაწყვეტილება ისეთი ცნო-
ბილი და მაღალი თანამდებობის პირის შესახებ, როგორიც იყო
მოგბეტი. დენშაბუჰი დაბრუნდა შაჰთან განკარგულების მისაღე-
ბად. შაჰმა უბრძანა მას, დაემალა მოგბეტის გაქრისტიანება, საი-
დუმლოდ მოლაპარაკებოდა მას და, თუ იგი არ დაუბრუნდებოდა
მაზდეანობას, გაესამართლებინა იგი, ოღონდ სხვა ბრალდებით (და-
ლაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის), გადაესახლებინა შო-
რელ ქვეყანაში და იქ მოეკლა. ასეც მოხდა. ჰამაკდენი არ გატყ-
და და ეწამა ქრისტიანობისათვის.

არათერ ამას ლაზარი არ გადმოგვცემს¹¹⁶. მოგბეტი მას მოხ-

¹¹⁶ ბაელი წარმოადგენია ლაზარს გამოეტოვებინა ეს ამბავი, მას რომ
ელიშეს წიგნი წაკითხული ჰქონდა. ქრისტიანობის ისეთი დამცველისა და
პროპაგანდისტისათვის როგორიც იყო ლაზარი. ამ დაქტს დიდი მნიშვნელობა
ექნებოდა. გავიხსენოთ როგორი ალტაცებით ლაპარაკობს იოანე საბანისძე არაბ
შაბოზე. თომელმაც უარყო მაჰმადიანობა და ქრისტიანობა მიიღო: „შენთვის
ფრიად დამიკრძემა ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ეამსა ამას ოდენ მეფო-
ბისასა ისმართელთა დიდებისასა შენ ნეფსით სიმდაბლჳ ქრისტესოჯს აღირჩიე

სენებულიც კი არა ჰყავს. ლევონდიანთა აღსასრული მას დაახლოებით ისევე აქვს აღწერილი, როგორც ელიშეს, მაგრამ აქაც არის მნიშვნელოვანი განსხვავება: ელიშეს გადმოცემით სიკვდილის წინ ლევონდიანები მალაღფარდოვან, ღმრთის მადიდებელ სიტყვებს წარმოთქვამენ, როგორც შეეფერებათ ნამდვილ წმინდანებს. ლაზარის გადმოცემით კი ისინი უფრო უბრალოდ, ჩვეულებრივი ადამიანებივით ლაპარაკობენ და მთელი აღწერაც უფრო ცოცხალ, რეალურ ხასიათს ატარებს.

ლევონდიანთა სიკვდილით დასჯის შემდეგ, სპარსელებმა მათ გვამებთან რამდენიმე მცველი დატოვეს, რათა ქრისტიანებს წმინდანაწილებად არ წაეღოთ ისინი. ელიშე გვიამბობს: „როდესაც სამი დღე ვავიდა, საშინელმა შიშმა მოიცვა ისინი. ეს სამივე დღე ისინი გაოგნებულნი ნახევრადმკვდარნი იწვნენ და ვერ დგებოდნენ. ხოლო მეოთხე დღეს ორი ამ მცველთაგანი ბოროტად ეშმაკეული გახდა. შემდეგ შუალამისას საშინელი ხმები გაისმა, ხმები ქუჩილისა ქვესკნელიდან, როგორც მიწისძვრისაგან. მიწა ირყეოდა მათ ქვეშ, და მანათობელ მახვილთაგან ეღვები ეცემოდა მათ ღრგვლივ. ისინი ბელავდნენ ყველა გვამს ფეხზე წამომდგარს, რომელნიც საზარელი ხმით მათ გასაგონად იმეორებდნენ იმას, რაც სამსჯავროზე ილაპარაკეს, ისე რომ [მცველები] მოსწრაფებულნი გაქცევას, სასიკვდილოდაც არ ინდობდნენ ერთმანეთს. ისე ჩქარობდნენ და ისე იყვნენ გონებააბნეულნი, რომ არც კი იცოდნენ, ვინ საით გარბოდა...“¹¹⁷.

ამ ამბავს ლაზარიც გადმოგვცემს, მაგრამ მის აღწერაში ეს უფრო ძლიერი მიწისძვრის სურათია, ვიდრე სასწაულებრივი მოვლენა: „უცხად, იმავე დღეს საღამო ეამს აქმნა ძლიერი მიწისძვრადიდი გრიალი და ეღვა სძრავდა მთებს, სინათლის სვეტი კისართხელის მსგავსად გადმოვიდა და მოწამეთა გვამებს შემოესვია. მცველები მიწაზე დაეცნენ, ცოცხალ-მკვდარნი იყვნენ, არც კი იცოდა ერთმა, სად იყო მეორე. მიწაზე გორავდნენ და გაჩერება არ შეეძლოთ. რადგანაც ძლიერი მიწისძვრა მათ ზემოთ აგდებდა

და მახვლითა პყრობილი იგი შჯული განავდგ და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარტუშულსა მას თავყანის-უც უფლად და ღმერთად“-ო (ძველი ქართული ლიტურჯიურის კრესტომათია, I, შედგ. ხოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 70). ცხადია, ირანში, ირანის ერთ-ერთი პროვინციის მმართველისა და მოგვების თავის, მანდუანობის სახელგანთქმული მკოდნის მიერ პატიმართაგან ქრისტიანობის მიღება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი იყო.

¹¹⁷ ს. ი. ჯ. ხ. გვ. 180.

და მიწაზე ანარცხებდა. ამგვარად მუხლებში დასუსტებულნი ხმას ვერ იღებდნენ...“¹¹⁸. ერთადერთი სასწაულებრივი ელემენტია აქ „ცისარტყელის მსგავსი სინათლის სვეტი“.

განსხვავება ელიშესა და ლაზარის თხრობას შორის კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, თუ რა წყაროებით სარგებლობდნენ ეს ავტორები ლევონდიანთა წამების აღწერისას.

ელიშეს სიტყვით ლევონდიანთა წამების ამბავი მას გაუგია ვინმე ხუეიკისაგან, რომელიც ყოფილა მათი ერთ-ერთი ჯალათთაგანი. ლაზარ ფარპეცი წყაროც იგივე ხუეიკია, ოღონდ მესამე პირის მეშვეობით: „ვითარცა ჰეშმარიტი და მხურვალე ვედრებიცა კამსარაკანმა არშავირმა ჰკითხა ხუეიკს, მოისმინა მისგან და გვიამბო სიტყვები ყოველი მათგანისა და აღსასრული წმინდანთა აღწერეთ ზუსტად“-ო¹¹⁹, ამბობს ლაზარი.

საინტერესოა შემდეგი გარემოებაც. ელიშეს უძველეს ხელნაწერებში (1207, 1224, 1227 წლებისა და სხვა) მისი ინფორმატორი მოხსენებულია როგორც „სახელით ხუეიკ“ (*სოძიქ ანონ*)¹²⁰. ლაზარ ფარპეცი კი „ხუეიკს“ სატომო სახელად მიიჩნევს და ამბობს, რომ მას ამ კაცის ნამდვილი სახელი არ სცოდნია: „კაცი ვინმე ვაჭარი, ტომით ხუეიკი“¹²¹. „...ნეტარი ღმრთის კაცი ხუეიკი, რომლის ამ სახელით ამის შემდეგ ხსენება მიმძიმს, ხოლო ამ საოცარი კაცის სახელი კი ვერავინ შეძლო ეცნობებინა ჩემთვის“-ო¹²².

მართლაც „ხუეიკი“ პირის სახელი არ არის. სომხურად იგი ნიშნავს ხუზისტანელს (ჰ. აჭარიანს იგი არც შეუტანია თავის „სომხური პირისსახელების ლექსიკონში“). ელიშეს უკანასკნელ გამომცემელს პროფ. ე. ტერ-მინასიანს, სხვა საკითხაგების საფუძველზე გამოუტოვებია სიტყვა „სახელით“, „ხუეიკ“ კი პატარა ასოთი დაუწერია. მაგრამ ელიშეს სათანადო ადგილებიდან მაინც არ ჩანს, რომ ელიშეს სცოდნოდა, რომ „ხუეიკ“ პირის სახელი არ არის.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ელიშე თავის წიგნს წერდა ლევონდიანთა წამების ათიოდე, თუ ნაკლები არა, წლის შემდეგ. ლაზარ ფარპეცი კი ორმოცი წლის შემდეგ.

¹¹⁸ ო. ფ., გვ. 102.

¹¹⁹ ი. ჯ. გ. გვ. 101.

¹²⁰ ს. გ. ხ. გვ. 160.

¹²¹ ო. ფ., გვ. 94.

¹²² ი. ჯ. გ. გვ. 104.

ფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ 450—451 წწ. აჯანყების შესახებ ლაზარს სავსებით სანდო და პირველხარისხოვანი წყაროები ჰქონდა.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ლაზარ ფარპეცი თავის წყაროებში არ ასახელებს ელიშეს წიგნს. საინტერესოა ის წყაროები, რომლებსაც ახსენებს ლაზარი თავისი „ისტორიის“ მეორე ნაწილში. ავარაირის ბრძოლაში დაღუპულ სომეხთა რიცხვი, ლაზარის სიტყვით, მას დაუდგენია „დიდი ძიებითა და მრავალი გამოკვლევით“¹²⁴, ხოლო სპარსელთა დანაკარგები „ზუსტად დათვლილი გვაიმბეს მათ, ვინც სპარსელთა სარდლებისაგან გაიგო“¹²⁵. ვასაკ სივნიელის სპარსეთში დასჯის ამბავი ლაზარისათვის უამბნიათ „იმავე იშხან ვასაკის მართლისმთქმელ მსახურებს“¹²⁶. ლევონდიანთა ამბები ლაზარს გაუგია, როგორც აღნიშნული გვაქვს, არშავირ კამსარაკინისაგან.

ყველა ეს ცნობა მოეპოვება ელიშესაც, ისე რომ ლაზარს არაფითარი „ძიება და გამოკვლევა“ არ უნდა დასჭირებოდა მათს შინაკვლევად, საკმარისი იყო ელიშეს წიგნის წაკითხვა. მაშასადამე, ან ლაზარი არ იცნობს ელიშეს თხზულებას, ან იგი სარგებლობდა ელიშეს წიგნით და მალავს ამას. რატომ უნდა დაემალა ლაზარს თავისი ნაცნობობა ელიშეს წიგნთან? ამაზე პასუხი ჩვენ არ მოგვცეპოვება. არავის უთქვამს, თითქოს ელიშეს არ ჰქონდეს ცნობები შამიკონიანებზე, ან მას ცუდი დამოკიდებულება ჰქონოდა ამ ოჯახთან, როგორც ამას ამბობენ მოვსეს ხორენაციზე. პირიქით, ტრადიციის მიხედვით ელიშე ვარდანის მდივანი იყო. თვით ელიშეს წიგნს კი ეწოდება „ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ“.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იმ ცნობებში, რომლებიც ლაზარს გაუგია ზემოდასხელებული წყაროებიდან, არ მოიპოვება ბევრი რამ, რაც აქვს ელიშეს. სამაგიეროდ, ხშირად ლაზარსაც აქვს ისეთი ცნობები, რომლებიც არ არის ელიშეს წიგნში.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ ორი ისტორიკოსის მიერ შემონახული ცნობები ავარაირის ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვის შესახებ.

¹²⁴ ო. ფ., გვ. 72.

¹²⁵ იქვე, გვ. 73.

¹²⁶ იქვე, გვ. 86.

ელიშე გადმოგვცემს:

„აი სახელები იმ მხნე მოწამეთა, რომლებიც იქ, იმ ადგილას აღესრულნენ:

მამიკონიანთა გვარიდან მხნე ვარდანი ასოცდაცამეტი კაციით.

ხორხორუნთა გვარიდან ძლიერი ხორენი ცხრამეტი კაციით.

პალუნთა გვარიდან უშიშარი არტაკი ორმოცდაჩვიდმეტი კაციით.

გნთუნთა გვარიდან საოცარი ტაჭატი ცხრამეტი კაციით.

დიმაქსიანთა გვარიდან მცოდნე ჰმაიაკი ოცდაორი კაციით.

ქაჯბერუნთა გვარიდან სასწაულებრივად ქმნილი ნერსეპი შვიდი კაციით.

გნუნთა გვარიდან ყრმა ვაჰანი სამი კაციით.

ინწაინთა გვარიდან მართალი არსენი შვიდი კაციით.

არვანძტელთა გვარიდან მეწინავე გარეგინი ორი ნათესავითა და თვრამეტი კაციით.

ეს ორასოთხმოცდაშვიდი მოწამე და მათთან ცხრა დიდ-დიდი ნახარარი იქ, იმ ადგილას აღესრულა. ხოლო სამეფო სახლიდან, აოწრუნთა სახლიდან და ყველა სხვა ნახარართა სახლებიდან ამ ორასოთხმოცდაშვიდის გარდა კიდევ შვიდასორმოცი კაცი, რომლებმაც იმ დღეს დიდ ომში თავისი სახელი ჩაწერეს ცხოვრების წიგნში. სულ იყო ათას ოცდათექვსმეტი¹²⁷. ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვს ლაზარ ფარპეცი თვლის შემდეგნაირად:

„აი ისინი, ვინც მაშინ ნეტარი და ზეციური მოწოდების ღირსნი იქმნენ წმინდა ვარდანთან ერთად და მოწამეობრივად აღესრულნენ: ხორხორუნთა გვარიდან ნეტარი ხორენი, პალუნთა გვარიდან ნეტარი სეპუპი არტაკი, გნდუნთა გვარიდან ნეტარი ტაჭატი, დიმაქსიანთა გვარიდან ნეტარი ჰმაიაკი, ქაჯბერუნთა გვარიდან ნეტარი ნერსეპი, გნუნთა გვარიდან ნეტარი ვაჰანი, ინწაინთა გვარიდან ნეტარი არსენი, არვანძტთა გვარიდან ნეტარი გარეგინი. ხოლო ვითარცა დიდი ძიებითა და მრავალი გამოკვლევით გამოვიკითხე და გავიგე მოწამეობრივად აღსრულებულთა რიცხვი, ვინც ბრძოლის ადგილას [მოწამეთა] გვირგვინი მიიღო უფროს ნახარარებთან ერ-

¹²⁷ ს ი ქ ე. გვ. 119—120.

თად, ორასსამოცდათექვსმეტი კაცი იყო. ხოლო, რომელნიც სიმაგრეებიდან ჩამოიყვანეს და დახოცეს ხმლით, ან გასრისეს სპილოებით — შვიდასორმოცდაათი. ყველა ერთად ათასოცდათექვსმეტი კაცი“...¹²⁶.

ამ ორ ნაწყვეტში ჩვენ ყურადღებას იქცევს ორი რამ: პირველი არის ის, რომ ორივე ავტორს დაღუპული ნახარარები ზუსტად ერთი და იგივე თანამიმდევრობით პყავთ ჩამოთვლილი. კიდევ უფრო საინტერესოა მეორე გარემოება: ელიშესთან ჩამოთვლილ დაღუპულთა რიცხვების ჯამი მართლაც გვაძლევს 1036-ს, ლაზარის რიცხვების ჯამი კი გვაძლევს 1035. საიდანღა მიიღო ლაზარმა 1036?

ამ ადგილებზე დაყრდნობით მკვლევრებს გამოთქმული აქვთ სრულიად საწინააღმდეგო აზრები. ნ. აკინიანის აზრით ეს ადგილები ამტკიცებენ იმას, რომ ელიშემ ისარგებლა ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიით“, პროფ. ე. ტერ-მინასიანს კი პირიქით, მიაჩნია, რომ ელიშე იყო ლაზარის წყარო. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ერთ ამ დებულებას. ცხადია, ლაზარს რომ ესარგებლა ელიშეს ცნობებით მას შეცდომა არ მოუვიდოდა საბოლოო ჯამში (ელიშეს ხომ ეს ჯამი სწორად აქვს მიღებული). არ უნდა გამოეყენებინა ლაზარის ცნობები ელიშესაც. მას საბოლოო ჯამი სხვა რიცხვების საფუძველზე აქვს მიღებული.

ამავე დროს, როგორც ვნახეთ, ორივე ისტორიკოსს ერთნაირი თანამიმდევრობით პყავთ დასახელებული დაღუპული ნახარარები და მოცემული აქვთ ერთი რიცხვი ყველა დაღუპულისა. ჩვენი აზრით, ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ შემდეგნაირად. როგორც ჩანს, ელიშესა და ლაზარს ავარაირის ბრძოლაში მოკლულ სომეხთა რიცხვზე სხვადასხვა ცნობები ჰქონდათ. გვიანდელმა რედაქტორმა ელიშეს ცნობები, ჩანს, უფრო სანდოდ ჩათვალა და ლაზარის თხზულებაში შეიტანა დაღუპულ დიდ ნახარართა სია და დახოცილთა საერთო რიცხვი, ხოლო ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი დაღუპულა ყოველი გვარიდან, მას არ შეუტანია. ასევე უნდა აიხსნას, აგრეთვე, ლაზარ ფარპეცისა და ელიშეს თხზულებებში არსებული სხვა სიების დამთხვევებიც, რომლებზედაც ჩვენ ზევით მოგვიხდა ლაპარაკი. მართლაც, თუ ლაზარი მალავდა თავის ნაკ-

¹²⁶ ე. ფ., გვ. 72—73.

წობობას ელიშეს წიგნთან, იგი ალბათ ამ ნაცნობობის ასეთ აშკარა კვალს არ დატოვებდა და ამ სიებს უცვლელად არ გადაიტანდა თავის წიგნში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ელიშე და ლაზარ ფარპეცი თავის თხზულებებს წერდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ელიშე უფრო ადრე, ლაზარი უფრო გვიან. მსგავსება მათ შორის ალბათ წარმოშვა საერთო თემამ, საერთო წყაროებმა და გვიანდელმა რედაქტორებმა. როგორც ჩანს, მ. აბელიანს რაღაც ეჭვები ჰქონდა ლაზარ ფარპეცის მიერ ელიშეს გამოცენების საკითხში. იგი წერდა: „რადგანაც გამოაშკარავებული არ არის მესამე წყარო, რომლითაც შეეძლო ესარგებლა ორივეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ ლაზარმა გამოიყენა თავისი წინამორბედის ელიშეს შრომა“-ო¹²⁹.

ჩვენ ხელთა გვაქვს ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიის“ გვიანდელი ხელნაწერები, რომლებიც XVII ს-ზე აღრინდელ ხანას არ განეკუთვნებიან. უეჭველია, რომ უფრო ძველი ხელნაწერების აღმოჩენა დამატებით უეჭს მოჰფენდა სხვასთან ერთად ამ საკითხსაც.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, წერილობითი წყაროების გარდა ლაზარ ფარპეცი სარგებლობდა ზეპირი წყაროებითაც. ხანდახან იგი ასახელებს თავის კორესპონდენტებსაც. მაგალითად, მას დასახელებული ჰყავს არშავირ კამსარაკანი, რომლისგანაც მას გაუგია ლევონდიანთა წამების ამბავი, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ. ჩანს, იგივე არშავირ კამსარაკანი უნდა იყოს ლაზარის მიერ შემდგომში ნახსენები „საოცარი კაცი კამსარაკანთა“-ო¹³⁰.

სომეხ-ქართველთა გაერთიანებული ჯარის დამარცხების შესახებ ლაზარი წყაროდ უკვე სხვა კამსარაკანს ასახელებს: „ეს ცნობა წმინდა კაცისაგან, ვასაკ მამიკონიანისაგან [გავებული], მართალი ფიციტ გვიამბო მრავალგზის თვით შირაკის უფალმა ნერსე? კამსარაკანმა“-ო¹³¹.

ამათ გარდა ლაზარს თავისი ცნობები მოუკრეფია სხვადასხვა პირთაგან. იგი, ჩანს, ეკითხებოდა მომხდარი ამბების უშუალო მო-

¹²⁹ შ. Աբელიან, Հայոց հին գրականության պատմություն, I, გვ. 324.

¹³⁰ Գ. Փ., გვ. 105.

¹³¹ იქვე, გვ. 135.

ნაწილებს, აგროვებდა მათს ნაამბობს, ერთმანეთს უჯერებდა სხვა-
დასხვა ცნობებს, ანალიზს უკეთებდა მათ და, საერთოდ, კეთილსინ-
დისიერად ატარებდა იმ სამუშაოს, რაც საჭირო იყო მისი მიზნისა-
თვის.

როგორც ვხედავთ, ლაზარ ფარბეცი სარგებლობდა მრავალფე-
როვანი და საკმაოდ სანდო წყაროებით.

ნაწილი მეორე

ლაზარ ფარჯინის ცნობები საქართველოს შესახებ

§ 1. წინა აზია და ამიერ-კავკასია III-IV საუკუნეებში

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში რომის იმპერია დაცემას განიცდიდა. ეს დაცემა გამოწვეული იყო სერიოზული საგარეო და საშინაო, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის სიძნელეებით. მონათმფლობელურმა წარმოებითმა ურთიერთობამ ამოსწურა თავისი განვითარების შესაძლებლობანი. იგი უკვე ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას, მაგრამ ახალი, ფეოდალური ურთიერთობა ჯერ მხოლოდ გზას იკვლევდა და მის განმტკიცებას კიდევ კარგა ხანი სჭირდებოდა. ძველის ნგრევა აშკარად ჩანდა, ახალი კი ჯერ კიდევ ცოტა იქმნებოდა. III საუკუნეში იმპერიას თავს დაატყდა მძიმე ეკონომიური კრიზისი. მეტროპოლიაში დაეცა სახელოსნო წარმოება, გაჩანაგდა სოფელი, ქალაქებს მოეშალათ თავისი არსებობის ეკონომიკური საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის ბოლოსთვის იმპერია გამოვიდა კრიზისიდან, ძველის აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო. ეკონომიკურ კრიზისს პოლიტიკურიც მოჰყვა და წონასწორობის შენარჩუნება კიდევ უფრო გაძნელდა.

სოფლის თავისუფალი მწარმოებლების მოსპობამ მნიშვნელოვნად დაასუსტა რომაული ჯარი და საერთოდ შეუცვალა მას სახე: რომაელთაგან შემდგარი ლეგიონები ახლა დაქირავებულმა უცხოელებმა, „ბარბაროსებმა“, შეცვალეს. ამას თან ერთვის ისიც, რომ სულ უფრო და უფრო გახშირდა და საშიში გახდა იმპერიის საზღვრებზე ამავე „ბარბაროსთა“ თავდასხმები. დიდ საფრთხეს წარმოადგენდა აგრეთვე მონების აჯანყებანი და დაპყრობილი ხალხების შეუწყნებელი ბრძოლა პროვინციებში. ამ მეტად მძიმე პირობებში

რომს ბრძოლის წარმოება მოუხდა იმდროინდელი სამყაროს მეორე უძლიერეს სახელმწიფოსთან, პართიასთან (III ს-დან ირანი).

ზემოაღნიშნულ ვითარებაში რომს, ცხადია, არ შეეძლო აქტიური დაპყრობითი პოლიტიკის გატარება. უფრო მეტიც, სინამდვილეში იმპერატორების პოლიტიკა მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ რამდენადაც შეიძლებოდა გაეხანგრძლივებინათ იმპერიის არსებობა, შეენარჩუნებინათ აღმოსავლეთში ის პოზიციები, რომლებიც მოიპოვა რომმა რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე. მართლაც, იმპერატორ ტრაიანეს (98—117) მიერ წარმოებული ომები, ვ. ს. სერგეევის სიტყვით რომ ვთქვათ, „რომაული იარაღის უკანასკნელი წარმატება იყო, რომელმაც გაიღვა საიმპერატორო პერიოდის რომის საგარეო პოლიტიკის მოღრუბლულ პორტიზონტზე“¹. ხოლო „შემდეგი დაპყრობანი უკვე აღემატებოდნენ რომის სახელმწიფო ძალებს. ტრაიანეს შემდეგ რომაელები ყველგან შეტევიდან თავდაცვაზე გადადიან“².

მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ძვრები ხდებოდა რომის ძველ მოწინააღმდეგე ირანშიც. III ს. პირველი მეოთხედის დასასრულს ქვეყნის სათავეში მოექცა ახალი, სასანიდური, დინასტია. ქვეყნის განმტკიცების მიზნით სასანიდებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარეს: გაძლიერდა ქვეყნის ცენტრალიზაცია; სახელმწიფოს მთავარ იდეოლოგიურ დასაყრდენად იქცა ძველი ირანული სარწმუნოება—მანძევანობა; განმტკიცდა ქვეყნის შინაგანი, სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაცია³. სასანიდების დროს მოხდა ირანულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებისა და ტომების გაერთიანება⁴. წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად განვითარდა ეკონომიკა და კულტურა⁵. ირანში, ისევე როგორც რომში, დაიწყო ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა და განვითარება. სასანიდების მიერ ჩატარებულმა ღონისძიებებმა გააძლიერეს

¹ В. С. Сергеев, Очерки по истории древнего Рима, ч. II, Москва, 1938, გვ. 474.

² იქვე, გვ. 476.

³ ნარკვევები მანძივანობის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა) ვ. ნ. გაბაშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 23—27.

⁴ История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, изд. Ленинградского университета, 1958, გვ. 40.

⁵ იქვე, გვ. 40.

ირანის სამხედრო პოტენციალიც, ამ დროიდან დაწყებული ირანი თითონ გადავიდა შეტევაზე რომის წინააღმდეგ და სულ უფრო და უფრო მიიწედა წინ, დასავლეთისაკენ. მაგრამ ირანმა ვერ შეძლო საბოლოო, გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება რომის იმპერიაზე, რადგან მასაც აკლდა შინაგანი სიმტკიცე (რაც დაკავშირებული იყო იმავე ახალი ელემენტების ჩასახვა-განვითარებასთან).

რომისა და ირანის ქიშპობასა და ომებს ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური მახეზები ჰქონდა. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ ირანზე გადიოდა იმდროინდელი სამყაროს უდიდესი სავაჭრო გზა — „აბაქეშუპის გზა“. ავი რომს აკავშირებდა აღმოსავლეთთან (ჩინეთთან, ინდოეთთან, შუა აზიასთან). ამ გზით ხდებოდა ძვარუთასი საქონლის გადაზიდვა. ცხადია, ვის ხელშიაც იქნებოდა იგი, დიდ ეკონომიკურ სარგებლობას მიიღებდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე კავკასიაზე გამავალ გზებსაც. ისინი ჩრდილოეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდნენ ერთმანეთთან. ამ გზებს პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდათ, რადგან ამ გზებით, ამიერკავკასიაზე გამოვლით, შეიძლებოდა ჩრდილო-კავასიიდან მეომარი მომთაბარე ტომების გადმოყვანა. ეს აძლიერებდა ამიერკავკასიის ქვეყნების მნიშვნელობას, როგორც პლაცდარპისაც. ომების ერთ-ერთი მიზანი იყო, აგრეთვე, მდიდარი შუამდინარეთის ხელში ჩაგდება. ამასთან ირანს უნდოდა ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე გასვლა, რასაც რომი ელთბებოდა წინ.

აპრიგად, სავაჭრო გზები, შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროები, შუამდინარეთი და ამიერკავკასიის ქვეყნები—ეს იყო ირანისა და რომის გაუთავებელი ომების მიზეზი. განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო ამ ომებმა III ს. შუა წლებიდან, სასანიდების გამეფების დროიდან. ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველი დღიდანვე სასანიდებმა უარყვეს ის რამდენადმე დაქვემდებარებული მდგომარეობა, რომელსაც თითქოს სცნობდნენ პართიული არშაკიდები რომის მიმართ, თუმცა კი იურიდიულად ისინი თანასწორნი იყვნენ რომის იმპერატორებისა⁶.

სომხები, რომლებიც მანამდე არ გაუბობდნენ კავშირს სუსტ პართულ სახელმწიფოსთან, ახლა დაუახლოვდნენ რომაელებს ამ

⁶ Т. Моммзен, История Рима, V, изд. ИЛ, М., 1949, гл. 376.

ახალი ძლიერი აგრესორის წინააღმდეგ. პირველივე სასანიდმა არდა-შირმა (224—241) მიდიის, საკასტანისა და ხორასანის შემდეგ დაიპყრო ატროპატენა და შემოუტია სომხეთს⁷. რომაელებს მან მოსთხოვა ყველა აზიური პროვინციის დათმობა. 230 წ. იგი გადავიდა ევფრატზე, ხელთ იგდო მესოპოტამია და ალყა შემოარტყა ქალაქ ნიზიბინს⁸. ალექსანდრე სევერმა დიდის გაჭირვებით შეძლო სპარსელთა მოგერიება⁹.

ეს ომი დამთავრდა არდაშირის ძის, შაპურ I-ის (241—272) დროს. მიუხედავად იმისა, რომ რომაელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ომის უკანასკნელ პერიოდში, მათ ამ წარმატებებით ვერ ისარგებლეს შინაგანი არეულობის გამო. ახალმა იმპერატორმა ფილიპე არაბმა მოშალა განზრახული ლაშქრობა ქტეზიფონზე, დაეწავა სპარსელებს და გაბრუნდა უკან (244 წ.). ზავის მიხედვით მესოპოტამია და სომხეთი სპარსელებს უნდა რგებოდათ. მაგრამ ამ სამარცხვინო პირობებმა რომაულ პოლიტიკურ წრეებში ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ფილიპემ აღარ გამოიყვანა გარნიზონები ამ ქვეყნებიდან¹⁰. 252 წ. სპარსელებმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მაინც შეძლეს დაეპყროთ სომხეთი და შეესივნენ მესოპოტამიას. იმპერატორი პუბლიუს ლიცინიუს ვალერიანე დაიჭრა მათ წინააღმდეგ. 260 წ. სპარსელებმა მოიპოვეს უდიდესი გამარჯვება და თვით იმპერატორიც ტყვედ ჩაიგდეს, რამაც იმდროინდელ მსოფლიოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სპარსელებმა აიღეს და ააოხრეს იმპერიის აღმოსავლეთის უმდიდრესი პროვინ-

⁷ ნ. პიგულევსკაია თვლის, რომ არდაშირმა „ხელთ იგდო აღმოსავლეთი და სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი“, იხ.: *История Ирана...*, გვ. 39. ამ აზრს არ იზიარებენ სხვა მკვლევარები, მაგ. A. Christensen, *L'Iran sous les Sassanides*, Copenhague, 1944, გვ. 219; ჰ. მანანდიანი, *Գեր-նական տեսություն Հայ ძողიվրդի պատմության, հատոր Բ, մասն Ա, Երևան, Հայպետհրատ, 1957*, გვ. 76—81. ს. ერემიანი წიგნში: *Очерки истории СССР, III—IX вв.*, Москва, 1958, გვ. 185 და სხვ.

⁸ T. Mommsen, *История Рима*, V, გვ. 380.

⁹ Н. А. Машкин, *История древнего Рима*. Госиздат полит. литературы, 1949, გვ. 571.

¹⁰ T. Mommsen, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 380. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არის საერთო აზრი. ზოგი თვლის, რომ ზავის პირობები შეეხებოდა მხოლოდ მცირე სომხეთს და არა დიდ სომხეთს, რომელიც საგსებით თავისუფალი იყო. ამის შესახებ იხ. ჰ. მანანდიანის *დასახ. ნაშრ.*, გვ. 84.

ციები და ქალაქები — ანტიოქია, ტარსი, კესარია. თავის გამარჯვების გამო შაბურმა მიიღო წოდებულება *Shāhānshāh ī Ērān u Anērān*, ე. ი. „მეფეთა-მეფე ირანისა და არაირანისა“.

გარკვეულ წარმატებას, როგორც ჩანს, სპარსელებმა მიაღწიეს ქართლშიც. თავის *Ka'ha-i-Zardōšt*-ის წარწერაში შაბური დახარკულ ქვეყნებს შორის ასახელებს ატროპატენას, სომხეთს, ქართლს, ალბანეთს, აკად. გ. მელიქიშვილის აზრით ქართლი უფრო ირანის უზენაესობის მცნობი მოკავშირე იყო, ვიდრე იარაღით დაპყრობილი ქვეყანა¹¹.

ამ მძიმე ვითარებაში რომს დიდი დახმარება აღმოუჩინა პალმირის მეფე ოდენატმა. იგი მიეშველა ალყაშემორტყმულ ედესას, გაათავისუფლა კარა, ნიზიბინი, და უკუაგდო სპარსელები. მაგრამ, როდესაც პალმირა ზედმეტად გაძლიერდა, რომმა მოსპო ივ. 273 წ.

შაბური მოკვდა 272 წ. და რომაელებმა, როგორც ჩანს, მონახერხეს სომხეთის ტახტზე აფყვანათ თავისი მომხრე ხოსროვ I (272—287 წწ.). 282 წ. იმპერატორი მარკ ავრელიუს კარა შეიჭრა სომხეთში, ყური არ ათხოვა სპარსელთა საზავო წინადადებებს, დაიპყრო მესოპოტამია, ილაშქრა ირანზე და აიღო მისი ორივე დედაქალაქი, სელევკია და ქტეზიფონი, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ (იმპერატორს მეხი დაეცა) ხელი შეუშალა ასე წარმატებით დაწყებულ საქმეს¹².

296 წ. უკვე შაპი ნერსეპი შეიჭრა რომის სამფლობელოებში. მესოპოტამიაში იგი მივიდა ქალაქ კარამდე და მსმვნელოვანი კამარჯვებაც მიაბოვა კეისარ გალერიუს მაქსიმიანეზე. მაგრამ ეს არ იყო საბოლოო გამარჯვება. გალერიუსის დასახმარებლად თვით იმპერატორი დიოკლიტიანე შევიდა მესოპოტამიაში. კეისარი გალერიუსი კი 25.000-იანი ჯარით შევიდა სომხეთში და სასტიკად დაამარცხა სპარსელები. ბანაკი, სახელმწიფო სალარო და შაპის შაოამხანაც კი რომაელებმა ივდეს ხელთ. 298 წ. დაიღო ნიზიბინის 40-წლიანი ზავი, რომლითაც ირანმა ცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე.

¹¹ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1960, 83. 394—396.

¹² Т. Моммзен, Дахс. ნაშრ., გვ. 397; И. А. Машкин, Дахс. ნაშრ., 83. 583.

კონსტანტინე I-ის მემკვიდრეებმა, კონსტანტინე II-ემ, კონსტანტმა და კონსტანციუს II-მ, იმპერია გაიყვეს. აღმოსავლეთი ერგო კონსტანციუს II-ეს. მასვე მოუხდა ბრძოლების ჩატარება სპარსელთა წინააღმდეგ, რომელთაც არ დაუცადეს ზავის ვადის გასვლას და შეესივნენ იმპერიის საზღვრებს, სომხეთსა და მესოპოტამიას. კონსტანციუსის ლაშქრობას წარმატება მოჰყვა. 344, თუ 348 წ. მან დაამარცხა სპარსელები (ირანის ტახტის მემკვიდრე რომაელებმა ხელთ იგდეს და მოკლეს)¹³. შაჰმა შაბურ II-მ (309—379) ისევ ილაშქრა რომაელთა წინააღმდეგ, მაგრამ ქ. ნიზიბინის დამცველების შეუპოვრობამ და მასაგეტების თავდასხმამ ირანის აღმოსავლეთ საზღვარზე აიძულა იგი უკან გაბრუნებულიყო (ეს მოხდა დაახლოებით 350 წ.).

გაიმაგრა რა ზურგი აღმოსავლეთში, შაბურმა 358 წ. გაზაფხულზე იმპერატორს უარის თქმა მოსთხოვა მესოპოტამიასა და სომხეთზე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ომით იმუქრებოდა. კონსტანციუსი არ დათანხმდა და 359 წ. შაბურმა ომი დაიწყო. მან ალყა შემოარტყა ქ. ამიდას. 73 დღიანი გმირული წინააღმდეგობის შემდეგ ეს ძლიერი სიმაგრე დაეცა, მაგრამ ზამთრის მოახლოების ვაშო შაბური იძულებული იყო გაბრუნებულიყო ირანში. 360 წ. შაბურმა აიღო სიმაგრეები სინგარა და ბეზაბდე.

ირანელთა გაძლიერება ჩრდილოეთ შუამდინარეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში რომისთვის სულ უფრო და უფრო საშიშ სახეს იღებდა. ირანელები თანდათან იკიდებდნენ ფეხს ამიერკავკასიის ქვეყნებშიც. ყველაზე ადრე მათ თავის გავლენის ქვეშ ალბანეთი მოაქციეს, რომელიც სომხეთსა და იბერიაზე უფრო სუსტი იყო, უფრო ახლო იყო ირანთან და უფრო დაშორებული იყო კონსტანტინოპოლს. უკვე ამ ომში ალბანელი მეფეები შაბურის მოკავშირეებად გამოდიოდნენ. რომაელებს ეშინოდათ სხვებსაც არ მიემართათ ალბანელების მაგალითისათვის. როგორც ამიანუს მარცელინუსი გადმოგვცემს, მათ ძვირფასი საჩუქრები დაუგზავნიათ ტიგროსის გაღმა მყოფი მეფეებისა და სატრაპებისათვის, განსაკუთრებით კი სომხეთის მეფე არშაკისა და იბერიის მეფე მერიბანესთვის (მირიანი), რათა ისინი ირანელთა მხარეზე არ გადასულიყვნენ¹⁴.

¹³ The Cambridge Medieval History, v. I, 1936, გვ. 57—58.

¹⁴ ამიანუს მარცელინუსი, XXI, 6, 8.

361 წ. ნოემბერში კონსტანციუსი გარდაიცვალა და საომარ მოქმედებას სათავეში ჩაუდგა ჯერ კიდევ კონსტანციუსის სიცოცხლეში ჯარების მიერ იმპერატორად გამოცხადებული ივლიანე, შეკდგომში განდგომილად წოდებული. ივლიანემ ენერგიულად დაიწყო მოქმედება. მან პირდაპირ ქტეზიფონზე ილაშქრა, მაგრამ უკან დახევა მოუხდა. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და მოკვდა (363 წ.). ახლად არჩეულმა იმპერატორმა იოვლიანემ სპარსელეთთან დადო 30-წლიანი ზავი. საზავო პირობების მიხედვით ირანს უბრუნდებოდა ზუსტი პროვინცია, რომლებიც რომის იმპერიას წართმეული ჰქონდა ირანისათვის. ასევე სპარსელების ხელში გადადიოდა ქალაქები ნიზიბინი და სინგარა. გარდა ამისა, რომაელები პირობას სდებდნენ, რომ აღარ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში და არ მიეშველებოდნენ სომხებს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში¹⁵. იბერია კი, ჩანს, ისევ რომის ჰეგობრად და მოკავშირედ რჩებოდა.

ზავის პირობები ძალიან მძიმე იყო რომაელთათვის. ამიანუს მარცელინუსი ამ ზავს „სამარცხვინოს“ უწოდებდა და თვლიდა, რომ რომაელებს ათჯერ მეტი უნდა ებრძოლათ, სანამ ზავის თუნდაც ერთ პირობას მიიღებდნენ¹⁶. მართლაც, დაზავების შემდეგ რომაელებს არც შეეძლოთ ზავის ყველა პირობის დაცვა, მაგრამ შინაგანი არეულობა მათ საშუალებას არ აძლევდა ხელახლა დაეწყოთ ომი.

სპარსელებმა ისარგებლეს ზავის პირობებით და უკვე მომდევნო, 364 წ., შეესივნენ სომხეთს. მაგრამ ომი სომხეთთან ბევრად უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას შაბურის მოელოდა. ირანელებმა, ვერ იქნა, ვერ გატეხეს სომხების წინააღმდეგობა. მხოლოდ 367 წ., და ისიც ვერაგობით, შაბურმა ხელთ იგდო სპარსელთა შეურიგებელი მტერი სომხეთის მეფე არშაკ I და მისი სახელგანთქმული სარდალი ვასაკ მამიკონიანი. ამის შემდეგ, 368 წ., შაბურმა იბერიიდან განდევნა რომაელების მიერ მეფედ დანიშნული საურმაგი და მის მაგივრად გაამეფა ასპაკური. სომხეთში მან ვაგზაენა ჯარი, რომელსაც სათავეში ჩაუყენა ორი სომეხი, გლაკი და არტაბანი, მაგრამ გადამწყვეტ წუთებში მათში გაიღვიძა პატრიოტიკული გრძობამ. ისინი გადავიდნენ თავიანთ თანამემამულეთა მხარეზე, შეადგინეს გეგმა სპარსელებთან ბრძოლისა, რომელიც წარმატებით დაჯ-

¹⁵ The Cambridge Medieval History, v. 1, გვ. 84—85.

¹⁶ ამიანუს მარცელინუსი, XXV, 7, 9.

ვირგვინდა და დიდად დაზარალებული ირანელთა ჯარი განდევნილ იქნა სომხეთიდან.

იმპერატორმა ვალენტმა არშაკის შვილს, პაპს, მიაშველა სარდალი ტერენციუსი და 369 წ. გაზაფხულზე პაპი გამეფდა სომხეთში. ამ ამბავმა დიდიდ განარისხა შაბური. მისმა ჯარმა ააოხრა სომხეთი და წლის დამლევს ხელთ იგდო სომხების უძლიერესი სიმავრე არტაგერქი, რომლისთვისაც თავი შეეფარებინა პაპის დედას, დედოფალ ფარანძემს. აქვე ინახებოდა სომხეთის სახელმწიფო საღაროც.

იმპერატორი ისევ დაეხმარა პაპს, გაუგზავნა მას, როგორც ჩანს 370 წ., კომიტი არინთეოსი და შაბური იძულებული გახდა მოეშალა ახალი ლაშქრობა სომხეთზე. მან ვალენტს მოსთხოვა დაეცვა საზავო პირობები და არ დახმარებოდა სომხებს. მაგრამ იმპერატორმა ყურადღება არ მიაქცია შაბურის მოთხოვნას და ამჯერად დაეხმარა იბერიიდან განდევნილ საურმაგს. საურმაგს გააყოლეს სარდალი ტერენციუსი თორმეტი ლეგიონით და გაგზავნეს იბერიაში. როდესაც საურმაგი მიუახლოვდა მდ. მტკვარს, ასპაკურმა მოსთხოვა მას გაეყო მასთან სამეფო ხელისუფლება (მთლად რომაელთა მხარეზე გადასვლას ასპაკური ვერ ბედავდა, რადგან მისი შვილი ულტრა ირანელებს ჰყავდათ მძევლად). იმპერატორი დაეთანხმა ასპაკურის წინადადებას. საურმაგმა და ასპაკურმა გაიყვეს იბერია. პირველს ერგო მტკვრის სამხრეთით, ხოლო მეორეს მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი¹⁷. შაბური არ იყო ამის თანახმა.

¹⁷ ამიანუს მარცელინუსის ცნობა იმის შესახებ, რომ საურმაგმა და ასპაკურმა ქართლი გაიყვეს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირად არის გაგებულნი: ლებოს პირდაპირ ესმოდა ამიანუს მარცელინუსის ცნობა და აღნიშნავდა, რომ საურმაგს ერგო სომხეთისა და ლაზიკის მიმდგომი მხარე, ასპაკურს კი — ალბანეთისა და სპარსეთისათ (Histoire du Bas-Empire par Lebeau, t. III, Paris. M DCCC XXV გვ. 434). ლებოს აზრი გაიმეორა ს. ბარათაშვილმა (История Грузии князя С. Баратова, тетрадь II—III, История средних веков, С.-Петербург, 1871, გვ. 18—19). მ. ბროსე, ჩანს, საერთოდ ეჭვით უყურებდა ამიანუს მარცელინუსის ამ ცნობას (იხ. მისი Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX^e siècle, 1^e partie, S.-Petersbourg, 1849, გვ. 134—135, შენ. 3). შემდეგში მან გამოთქვა აზრი, რომ აქ ლაპარაკი არ არის ქართლზე, იბერიაზე, რომ საურმაგს ერგო ლაზიკა და სომხეთის მიმდგომი მხარეები, ხოლო ასპაკურს — ალბანეთი (Histoire de la Géorgie, Introduction et tables des matières, 1858, გვ. XXXVIII—XXXIX). ასეთივე აზრისაა დ. ბაქრაძეც თავის წიგნში „ისტორია საქართველოსი (უძველესის დროიდან X საუკ. დასასრულამდე)“, ტფილისი, 1889, გვ. 150.

371 წ. გაზაფხულზე იგი ხელახლა შეიჭრა სომხეთში, მაგრამ შირაკის ველზე სასტიკი დამარცხება განიცადა სომეხ-რომაელთა გაერთიანებული ლაშქრისაგან. ამის შემდეგ შაბური იძულებული გახდა დათანხმებულიყო პაპის მეფობას სომხეთში და ქართლის გაყოფას საურმაგსა და ასპაყურს შორის.

რამდენიმე ხნის შემდეგ რომაელებს გაუფუჭდათ ურთიერთობა სომხეთის მეფე პაპთან. 374 წ. მათ მოაკვლევინეს პაპი და მის შა-

აკად. პ. მანანდიანიც აღნიშნავდა, რომ საურმაგი გაიფუტა ქართლის სამხრეთსა და დასავლეთ. ხოლო ასპაყური ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში (იხ. მისი წმინასკან თხზილნი..., ჩხო. I, მ. II, გვ. 204). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართლი გაყოფილ იქნა დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებად, რომელთა „შუა საზღვრად შტკვარი იყო, მაგრამ აღბათ მდინ. არაგვიც უნდა ყოფილიყო“ (ქართველი ერის ისტორია, I, 1908, გვ. 138; 1951 წ. გამოცემა, გვ. 235—236). ასევე ფიქრობს პროფ. ს. კაკაბაძეც (იხ. მისი „ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ“, საისტორიო კრებული, წ. II, 1928, გვ. 12—13). ს. გორგაძეს შიანდა, რომ საურმაგმა და ასპაყურმა გაიყვეს მთელი საქართველო და არა მხოლოდ ქართლი. მისი აზრით, საზღვარი ამ ორ ნაწილს შორის იყო შტკვრის ზემო წელი ბორჯომის ხეობამდე, შემდეგ კი სურამის ქედი გავყასიონამდე. ამის დასავლეთ ნაწილი, ე. ი. მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ერგო საურმაგს, ხოლო აღმოსავლეთი ასპაყურს („წერილები საქართველოს ისტორიიდან“, ძველი საქართველო, II, ტფ., 1911—1913, გვ. 57). ს. ჯანაშიას მიხედვით „შტკვრის მარცხნივ მდებარე ნაწილში საურმაგი ძეგობდა, შტკვრის მარჯვნივ მდებარე ნაწილში კი—ვარახ-ბაკური“ (საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 104; იხ. აგრეთვე მისივე, შრომები, ტ. I, თბ., 1949, გვ. 267). ასეთივე აზრისაა პროფ. ვ. დონდუაძე. იგი წერს: „საურმაგს, კონსტანტინოპოლიდან ზურგგაბარებულს, დაუთმეს სამეფოდ იბერიის ერთი ნაწილი — შტკვრის მარცხნივ მდებარე ქართლი (374 წ.), რომელშიც შედიოდა მცხეთაც.“

ამრიგად, ქვემო ქართლი ერთი ხნით მოექცა ირანის კულტურულ-პოლიტიკურ გავლენაში“ (საქართველოს ისტორია, I, დამსმარე სახელმძღვანელო, თბ., 1953, გვ. 91).

პირდაპირი წყარო ამ საკითხზე, ამიანუს მარცელინუსი, გადმოგვცემს: „სავრომაკი ... გაგზავნეს“ (იბერიაში. ლ. ჯ.) თორმეტი ლეგიონით და ტერორციუსით. როდესაც იგი მიუახლოვდა კიროსს, ასპაყურმა შიმართა მას თხოვნით, გაეყო მისთვის სამეფო, როგორც ნათესავისათვის ... იმპერატორი ... დათანხმდა იბერიის გაყოფაზე: კიროსს უნდა გაეყო იგი შუაზე, სავრომაკს დარჩა ის მხარე, რომელიც ეკვროდა სომხეთსა და ლაზებს, ხოლო ასპაყურს—აღბანიასა და სპარსეთის მეზობლად მდებარე“ (XXVII, 12, 16—17).

სომხეთში ამ დროს მეფობდა პაპი, რომელიც ტახტზე ავიდა რომაელთა დახმარებით. შემდგომში იმპერატორმა ვალენტმა კვლავ გაუგზავნა მას დამსმარე ძალა არინთეოსის მეთაურობით, მხოლოდ ამის შემდეგ გაგზავნა მან საურმაგი იბერიაში.

გოვრად ტახტზე აიყვანეს ვარაზდატი (374—380). ამის შემდეგ განახლდა მოლაპარაკება შაბურთან, რომელიც მოითხოვდა რომაელებისაგან, თავი დაენებებინათ სომხეთისათვის, ანდა იბერიიდან გაეყვანათ საურმაგი და რომაული გარნიზონები, რათა ასპაკური ისევ გამეფებულიყო მთელს ქართლზე. იმპერატორმა ამ მოთხოვნაზე უაროვანაცხადა. ორი წლის მოლაპარაკებამ (375—376 წლებში; სწავთა შორის, ამ დროს პირველად დაისვა საკითხი სომხეთის გაყოფის შესახებ) შედეგი არ გამოიღო. 377 წ. ვალენტმა ვაცხოველებით დაიწყო მზადება ირანთან ამისთვის. მაგრამ ამ დროს ევროპიდან მოვიდა ამბავი ვესტგუთების აჯანყების შესახებ. ვალენტი იძულებული გახდა გაეყვანა ჯარი სომხეთიდან (და ალბათ იბერიიდანაც) და ეცნო ირანელთა უპირატესობა სომხეთში.

ვალენტი დაიძრა აჯანყებულთა წინააღმდეგ. 378 წ. აღრიანოპოლითან მოხდა ბრძოლა, რომელშიც იმპერატორი დაიღუპა თავისი ჯარის საუკეთესო ნაწილთან ერთად. ეს იყო რომაელთა უდიდესი მარცხი. ამის შემდეგ ისინი წელში ველარ გაიმართნენ. ცხადია, იმპერიას აღარ შეეძლო აღმოსავლეთისათვის იმდენივე ყურადღება მიექცია, რამდენიც წინათ. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ უკვე 377 წ. ვალენტი იძულებული იყო ეცნო ირანელთა უპირატესობა სომხეთში. თვით სომხებსაც უცვნიათ თავი ირანელთა მორჩილად, ირანიდან სომხეთში მოვიდა მარზპანი, სურენი. რომელმაც ამ ქვეყანას ბარკი დაეკისრა¹⁸.

კონტექსტიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ საურმაგი სომხებზე გავლით მიდიოდა. ამიტომ, ცხადია, მტკვარს იგი სამხრეთიდან მიადგებოდა. სამეფოს გაყოფის შემდეგ მას მტკვრის სამხრეთი ნაწილი უნდა რეგებოდა. აქ ალბათ იგულისხმება ურბნის-მცხეთაზე განავალი ხაზი მტკვრის ნაყოფებით (ამ მონაკვეთში მტკვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება თითქმის პარალელის გასწვრივ). ასპაკურს გოგო მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი, რაც ჩანს იქიდან, რომ მისი სამეფლობელო ენეზობლებოდა ალბანიას, რომელიც, როგორც ცნობილია, სწორედ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარეობდა. მეორე მხრით, ასპაკურს რომ ქვემო ქართლი რეგებოდა, იგი ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან თითქმის ყოველი მძრიდან რომაული თრიენტაციის ქვეყნებით იქნებოდა გარშემორტყმული. თვით საურმაგსაც ალბათ უჩივნა სომხეთის ნეზობლად ყოფილიყო, საიდანაც ადვილად შეეძლო საჭირო შემთხვევაში დახმარების მიღება.

¹⁸ 2. *Մ ա ნ ა ნ ი յ ա ն*, *Քննական տեսություն...*, ნ. Բ, մ. Լ, გვ. 230—231.

ქართლი, როგორც ენახეთ, 79-იანი წლების დასაწყისში ირანი-სა და რომის გავლენის სფეროებად იქნა დანაწილებული. შაბურა იმთავითვე წინააღმდეგი იყო ამისი და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ისარგებლებდა რომაელების პოზიციების შესუსტებით აღმოსავლეთში. იგი უთუოდ შეეცდებოდა საფრმავის ვანდევნას ქვემო ქართლიდან. როგორც კი რომაელთა ჯარები გავიდოდნენ იქიდან.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა რომ იბერიის მოღიანობა მალე უნდა ყოფილიყო აღდგენილი. მას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ეს მომხდარიყო იმ შინაური არეულობის დროს, რომელიც სუფევდა ირანში IV ს. უკანასკნელ მეოთხედში¹⁹. ამასთან, როგორც ჩანს, ივ. ჯავახიშვილს გაერთიანებული იბერია ირანის ქვეშევრდომობიდან გამოსულად მიაჩნდა.

აკად. ს. ჯანაშიას აზრითაც ქართლის დაყოფა დიდხანს არ ვაგრძელდებულა და უკვე სამოცდაათიან წლებში იგი ერთიან, ოღონდ ირანის შაჰინ-შაჰის ვასალურ სამეფოს წარმოადგენდა²⁰.

უნდა ითქვას, რომ ქართული წყაროების ცნობები მხარს უჭერენ ამ მოსაზრებას: უკვე კარგა ხანია მარცვლინჯისის ასპაურს უკავშირებენ ქართული წყაროების ვარაზ-ბაკურს²¹. ხოლო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ვარაზ-ბაკურის მეფობის შესახებ ნათქვამია შემდეგი: „და მისა ზევე სპარსთა მეფისა ძარბაბარნი შემოვიდეს სივნიეთა: და იგი ქიღარდ უკუჭდა“.

¹⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 236, 276—278.

²⁰ ს. ჯანაშია, შოთაშობი ტ. I, გვ. 265—266.

²¹ ივ. მავ. M. Brusset, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 134—135, შენ. 3; С. Баратов, История Грузии, II—III, გვ. 19; დ. ბაკრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 150 (ბროსეშე მითითებით); ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მოაზრე“, 1905, III, გვ. 34—35; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1921, გვ. 230; ს. ჯანაშია, წიგნში: საქართველოს ისტორია, თბილისი, 1948, გვ. 103; გ. დონდუა, წიგნში: საქართველოს ისტორია, I, დამზარე სახელმწიფოებრივი, 1948, გვ. 92; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) ხაშფის ისტორიის კრონოლოგიის საკითხისათვის: ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შოთაშობი, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 166 და სხვ. მხოლოდ პროფ. ს. კაკაბაძე აღვას განსხვავებულ აზრს. მას ასპაურნი მიაჩნია ბაკურ რევის ძედი, მეფე შირიანის შვილიშვილად („მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით; „ქართლის ცხოვრებით“ იგი შირიანის შვილი იყო) და მის შემკვიდრედ ქართლის ტახტზე („ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ“, გვ. 13).

„და მაშინ მოვიდა: ქრამ ხუარ ბორ ზარდ: სპარსთა მეფისა პიტიახში: ტფილისად ქლქდ: ციხედ და ქართლი მისსა ხარკსა შედვა: და სომხითი და სივნიეთი: და გუასპურაგანი“²².

ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად სპარსელებს ქართლი დაუპყრიათ ვარაზ-ბაკურ—ასპაკურის დროს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, რომ სპარსელი პიტიახში მოსულათბილისში, ე. ი. ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მარცვლინუსის გადმოცემით საურმაგის სამფლობელოს წარმოადგენდა და, მაშასადამე, რომელთა გავლენის სფეროში იყო. აქედან გამომდინარეობს, რომ სპარსელებს მოუხერხებიათ საურმაგის განდევნა ქვემო ქართლიდან და მთლიანად დაპატრონებიან ქართლს.

დაახლოებით ასეთსავე ცნობებს ვპოულობთ ვარაზ-ბაკურის შესახებ ლეონტი მროველთანაც. მისი ცნობით ვარაზ-ბაქარი ქრისტიანობის მოძულე ყოფილა. მას უარუყვია სომხების წინადადება, დაკავშირებოდნენ ბერძნებს და გაერთიანებული ძალებით შებრძოლებოდნენ სპარსელებს, რომლებმაც შემოუტყეს ამიერკავკასიას. სპარსელებს აუთხრებიათ სომხეთი, მერე კი ქართლშიც შემოსულან. შემდეგ „ილაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“. ვარაზ-ბაქარს მშვილობა უთხოვია, რაზედაც სპარსთა ერისთავმა უპასუხა: მოგვეცი რანი და მოვაკანი „და თქუნდა კმა არს ქართლი, რომელნი ნაშობნი ხართ მკველისანი. გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა“.

„მაშინ ვარაზ-ბაქარ ვერლარა პასუხი მიუგო შიშისაგან დიდისა, მისცა რანი და მოვაკანი, და განუკუფეთ: ხაოკი, ხოლო ერისთავმან სპარსთამან მოსცა ციხე ტფილისისა და წარვიდა და მიერთვან იქმნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“²³.

მოყვანილ ნაწყვეტში საყურადღებოა ისიც, რომ ირანელებისაგან ქართლისა და სომხეთის დაპყრობა-დახარკვა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

²² Е. Такайшвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. 4, Тифлис, 1906—1912. გვ. 720.

²³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუაჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 136.

ამრიგად, ირანს ქართლში ფეხი მტკიცედ მოუკიდებია IV ს. 70-იანი წლების გასულიდან. ამ დროისთვის მას მოუხერხებია მოესპო ქართლის ორ სამეფოდ გაყოფა და ხარკიც დაუდვია მასზე. თუმცა არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობაც, რომ რომაელებს შერჩენოდათ ქართლის რომელიმე მცირე ნაწილი. ლეონტი მროველს მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ ვარაზ-ბაქარის ირანელებისთვის დამორჩილების შემდეგ „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა“. მაგრამ, ცხადია, ეს არ იქნებოდა ის სამეფო, ვრცელი სამფლობელო, რომელიც ჰქონდა რომაელთა მომხრე საურმაგს.

მოლაპარაკება რომაელებსა და სპარსელებს შორის ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ ამ ამბების შემდეგაც გრძელდებოდა. ეს მოლაპარაკება დამთავრდა 387 წლის საზავო ხელშეკრულებით. ზავის პირობებით სომხეთის ზოგიერთი განაპირა ოლქი დამოუკიდებლად გამოცხადდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი (მიჯნაშხარპი—შუა ქვეყანა) გაიყვეს რომმა და ირანმა. ოთხი მეხუთედი ამ ქვეყნისა ვრგო ირანს, ერთი მეხუთედი— რომს. ორივე ნაწილს თავისი მეფე უნდა ჰყოლოდა, მაგრამ უკვე 391 წელს რომაელებმა შეფობა მოსპეს თავის ნაწილში, ხოლო არშაკიდების სამფლობელოები შეუერთეს საიმპერატორო მიწებს და დაურიგეს ისინი კათალიკოსსა და ნახარარებს²⁴. აღმოსავლეთ ნაწილში კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფრო დიდხანს იარსება. მეფობა აქ მხოლოდ 428 წ. მოისპო.

V ს. შუა წლები აღინიშნება ამიერკავკასიის ქვეყნებში ირანული უღლის განსაკუთრებული დამძიმებითა და ამით გამოწვეული ამ ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლებით.

ამ დროისათვის სომხეთში საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. უკვე II—III სს. მონათფლობელურ სომხეთის წიადში ისახება და ვითარდება მიწას საკუთრების ფეოდალური ფორმა²⁵, ხოლო IV ს.-ში უკვე ძირითა-

²⁴ Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 193.

²⁵ იქვე, გვ. 169. სომხეთის ფეოდალიზმის შესახებ იხ. აგრეთვე ლ. შან-სონიანი. *Ֆեოდაլիզმი სსՀ-ում* (სსՀ-ში). სსՀ-ის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემი, 1934; მისივე *Ֆեოდალური უნივერსიტეტის* (სსՀ-ში) სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემი, 1957; ს. ერეშიანი. *მრავალრიცხოვანი წერილები* (მასვე ეკუთვნის სათანადო ნაწილი ზემოთ ნახსენებ წიგნში *Очерки истории СССР*).

დად ჩამოყალიბდა კიდეც ფეოდალური მიწის საკუთრება²⁶. V სო-
ლუნეში დასტურდება ამ საკუთრების სამი კატეგორია: 1. ჰიორუ-
ნიქ (მამული)—ალოდი; 2. ბარგევაკან (ნაწყალობევი)—ბენეფიცი-
უმი; და 3. ერკირჟ ქსაკაგინქ—ნაყიდი მიწები.

IV ს-ში სომხეთში სივსებით ჩამოყალიბდა ფეოდალური წოდებრივი საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი იერარქიული-
ობით²⁷.

ქვეყნის სათავეში იდგა მეფე, რომელიც ნომინალურად გამ-
გებელი იყო მთელი დადი სომხეთისა და მესაკუთრე „შუა ქვეყ-
ნის“ ანუ მიჯნაშხარპის, ე. ი. შემდეგდროინდელი სომხეთის ტერი-
ტორიისა. მიწის დიდი ნაწილი ეჭირათ მის ვასალებს. მაგრამ მას
მაინც რჩებოდა მნიშვნელოვანი ნაწილი, სამეფო დომენი, ვოსტა-
ნი, აირარატის ოლქი, რის გამოც იგი რჩებოდა ყველაზე უფრო
მსხვილ ფეოდალად.

მეფის შემდეგ მოდიოდნენ ბღეშები (პეტიაშები), სომხეთის
განაპირა ნაწილების ნახევრად დამოუკიდებელი გამგებელი (აქვე
უნდა ითქვას, რომ, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, 387 წ. სომ-
ხეთის გაყოფის შემდეგ ზავის პირობების თანახმად ყველა განაპი-
რა მხარე, და მათ შორის საბღეშოებიც სომხეთისაგან დამოუ-
კიდებლად გამოცხადდნენ და მას ჩამოშორდნენ. სომხეთის მეფეს
ღარჩა მხოლოდ „მიჯნაშხარპი“, რომელიც გაიყვეს ირანმა და
რომმა).

ბღეშებს მოჰყვებოდნენ ნახარარები, მეფის ან ბღეშის ვა-
სალები. მათ შემგვიდრობით ეჭირათ მსხვილი მამულები, რომლე-
ბიც საგადასახადო შეუვალობით სარგებლობდნენ, ოღონდ ნახარა-
რებს ყოველწლიური საჩუქარი უნდა მიერთამიათ მეფისთვის. ნახა-
რარებს შემგვიდრობითვე ეჭირათ მალალი სახელმწიფო თანამდ-
ებობები. მათ ვალდებულებას შეადგენდა სამხედრო სამსახური. თა-
ვისი მნიშვნელობის მიხედვით ნახარარები იყოფოდნენ „ყფროს“
და „უმცროს“ ნახარარებად. „ნახარარი“ ეწოდებოდა გვარის თავს.
მასვე ერქვა „ტანუტერ“-ი, ე. ი. მამახალისი (სიტყვა-სიტყვით „სა-
ლისუფილი“), ან მართლად „ტერ“-ი, ე. ი. უფილი. გვარის დანარ-
ჩენ წევრებს ერქვათ „სეპუჰ“-ები.

²⁶ Очерки истории СССР, III—IX вв., гл. 175—176.

²⁷ იქვე, გვ. 178 და შმდ.

იმავე სამხედრო სამსახურის პირობით მეფისა და ნახარებებს მიწებზე ისხდნენ აზატები — საშუალო და წვრილი მიწათმფლობელები. აზატებისაგან შედგებოდა ცხენოსანი ჯარი.

დიდი მამულები ეჭირა ეკლესიას, რომელსაც ისეთივე იერარქია ჰქონდა, როგორც ფეოდალებს. ეკლესიის სათავეში იდგა კათალიკოსი, ვოსტანის, სამეფო დომენის ეპისკოპოსი. კათალიკოსობა მემკვიდრეობით გადადიოდა გრიგოლ განმანათლებლისა და ალბიანიდების გვარებში. გრიგოლის შთამომავალ კათალიკოსებს თავის პირად საკუთრებაში უზარმაზარი მამულები ჰქონდათ. კათალიკოსი ამავე დროს იყო უმაღლესი მსაჯული. ყოველ სანახარაროში იღდა ეპისკოპოსი, რომელსაც აგრეთვე დიდი მიწები ეჭირა, და რომელიც ისევე ექვემდებარებოდა კათალიკოსს, როგორც ნახარარი მეფეს. ეპისკოპოსობაც მემკვიდრეობით გადადიოდა. ყველაზე დაბლა იდგნენ მღვდლები, რომლებიც თავისი მდგომარეობით აზატებს ეთანაბრებოდნენ.

ამრიგად, მსხვილი მიწათმფლობელი ნახარები, საშუალო და წვრილი მიწათმფლობელი აზატები და ეკლესია წარმოადგენდნენ გაბატონებულ წოდებებს. ძათი საერთო სახელი იყო „აზატი“ („აზატ“ სიტყვას, გარდა ზემოთ მოყვანილი ვიწრო მნიშვნელობისა — „წვრილი მიწისმფლობელი“, — ჰქონდა ფართო მნიშვნელობაც და ნიშნავდა „თავისუფალს“). ანაზატები, ე. ი. „არათავისუფელნი“, „არაკეთილშობილნი“, იყვნენ შინაკანები — თავისუფალი და დამოკიდებული გლეხები, რამიკები — ქალაქის ბლებსი, ვაჭრები და ხელოსნები. ესენი იყვნენ ექსპლოატირებული მასები, წოდებანი, რომლებიც იხდიდნენ გადასახადებს. შინაკანები — გლეხები ჯერ კიდევ მეტწილად პირადი თავისუფლებით სარგებლობდნენ და თემებად ცხოვრობდნენ. ისინი მიწას ჯერ არ იყვნენ საბოლოოდ მიმაგრებულნი, თუმცა კი ადგილიდან ადგილზე თავისუფალი გადასვლის უფლება უკვე არა ჰქონდათ. შინაკანები გადასახადს უხდიდნენ მეფეს, ფეოდალებსა და ეკლესიას.

დაახლოებით იგივე პროცესები მიმდინარეობდა ამ დროისათვის საქართველოს აღმოსავლეთ მეზობელ ალბანეთში, დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მტკვრის სამხრეთით მდებარე ატროპატენა იმთავითვე იქცა სასანიდების აგრესიის ობიექტად და აღრევე დაპყრობილ იქნა მათ მიერ. ალბანეთი კი, სომხეთსა და ქართლთან ერთად, კარგა ხანს იცავდა თავს სპარსელებისაგან. ალბა-

ნეთის ამ პერიოდის ისტორია ცნობების სიმცირის გამო ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ IV—VI სს-ში აქაც მამდინარეობდა ფეოდალიზაციის პროცესი, თუმცა თავის განვითარებაში ალბანეთი რამდენადმე ჩამორჩებოდა სომხეთსა და ქართლს. მყარ წარმატებებს არანელეზმა ამ ქვეყანაშიც მხოლოდ 387 წლის შემდეგ მიაღწიეს²⁸.

§ 2. ჰართლი IV ს. დასასრულზე და V ს. პირველ ნახევარში

ლაზარ ფარბეცი თავის „სომხეთის ისტორიას“ იწყებს სომხეთის დაყოფიდან, ე. ი. 387 წლიდან. ამ თხზულების პირველი თავი მოიცავს პერიოდს 387 წლიდან 440 წლამდე. უნდა ითქვას, რომ ამ თავში ლაზარი ქართლზე სრულებით არაფერს არ ლაპარაკობს, არც კი ახსენებს მას. მიუხედავად ამისა ლაზარ ფარბეცის თხზულების ამ ნაწილშიც კი ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ზოგი რამ საგულისხმო საქართველოს ისტორიისთვისაც. საქმე ისაა, რომ აქ საკმაოდ დაწვრილებით არის გადმოცემული ირანის პოლიტიკა სომხეთის მიმართ. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ სომხეთისა და ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა ხშირად ერთნაირი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბევრი რამ, რაც ამ თავში ნათქვამია სომხეთის მიმართ, ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ქართლზეც.

379 წ. ხანგრძლივი მეფობის შემდეგ გარდაიცვალა შაპინ-შაპი შაბურ II და ირანი კარგა ხანს შინაურმა აშლილობამ მოიცვა. შაპები მალ-მალე ცვლიდნენ ერთმანეთს სამეფო ტახტზე: 379 წ. ვამეფდა არდაშირ II, რომელიც მეფობდა სულ ოთხ წელიწადს. მის შემდეგ ხუთ წელიწადს მეფობდა შაბურ III (383—388), შემდეგ — ბაპრაზ IV (388—399). მხოლოდ იეზდიგერდ I-მა მოახერხა მტკიცედ დამყდარიყო ტახტზე (399—421). ამ აშლილობის გამო ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მიაჩნდათ, რომ ამ პერიოდში ქართლი უფრო მოსვენებულად უნდა ყოფილიყო სპარსელებისაგან²⁹. ს.

²⁸ იხ. История Азербайджана, Изд. АН Аз. ССР, Баку, 1958, გვ. 71—93; Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 303—304; К. В. Тревер, Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. — VII в. н. э., Москва — Ленинград, 1959, გვ. 178 და შემდ.

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 236. ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 267.

გორგაძის აზრით კი ამ დროს სპარსეთმა საერთოდ დაკარგა საშუალება ქართლის საქმეებში ჩარეულიყო და მხოლოდ V ს. ოციან წლებიდან ისევ მოიპოვა გავლენა ამ ქვეყანაში³⁰. მაგრამ, როგორც ლაზარ ფარბეცის ცნობებიდან ირკვევა, ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სომხეთის დაყოფა სწორედ ამ პერიოდში მოხდა. ამავდროულად ხანაშყე მოდის ირანის დამკვიდრება ქართლს, სომხეთსა და ალბანეთში (მარზპან-პიტიახ-შების გამოგზავნა და ამ ქვეყნების დახარკვა). ჩანს, ირანს შესწევდა უნარი ამ პირობებშიც კი საკმარისი ყურადღება მიექცია ამიერკავკასიისათვის.

ლაზარ ფარბეცის გადმოცემიდან ჩანს, რომ სომხეთის დაყოფისთანავე ამ ქვეყანაში მძიმე მდგომარეობა შექმნილა. სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილის პირველივე მეფე, არშაკი, გაიქცა დასავლეთ ნაწილში. ლაზარის სიტყვით, არშაკს არ შეეძლო აეტანა სომხეთის ჩაგარდნა უღმრთო სპარსელთა მონობაში. მას უმჯობესად მიაჩნდა მიეტოვებინა „სასურველი ქვეყანა აირარატისა, მის წინაპართა ნამდვილი და საკუთარი ადგილი“ და ეცხოვრა სილატაკესა და გაჭირვებაში, ვიდრე შეურაცხყოფილი დარჩენილიყო სპარსელებთან³¹. ლაზარი, ალბათ ერთგვარად ამუქებს მდგომარეობას, მაგრამ, უეჭველია, მის სიტყვებში სიმართლის დიდი ნაწილი უნდა იყოს.

თავისი ყურადღება სომხეთისთვის ირანს არც შემდგომში მოუკლია. ლაზარის ცნობებიდან ირკვევა, რომ არშაკის არც ერთი მომდევნო სომეხი მეფე არ ასულა ტახტზე შაპის ნებართვის გარეშე. ასე გამეფდა ხოსროვი არშაკის შემდეგ³², მისი ძმა ვრამშაპუჰი³³ (389—414). შემდეგ ისევ ხოსროვი³⁴ და არტაშესი³⁵ (422—428). შაპები აქტიურად ერეოდნენ თვით სომხეთის სამეფო კარის ინტრიგებშიც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ყველა ეს მეფე ამავე დროს დანიშნული იყო სომეხ ნახარართა თხოვნით. მაგალი-

³⁰ ს. გორგაძე. წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 58, 60.

³¹ ო. ფ., გვ. 11—12.

³² იქვე, გვ. 8.

³³ იქვე, გვ. 13.

³⁴ იქვე, გვ. 18.

³⁵ იქვე, გვ. 19.

თად, ხოსროვი შაჰმა გადააყენა ნახარართა დეპუტაციის დასმენით, ხოსროვს ბერძნებთან წერილობითი მოლაპარაკება აქვს გამართული²⁶.

ლაზარი გადმოგვცემს, რომ ნახარართა ეს სიტყვები შაჰმა სინარულით და დიდის ყურადღებით მოასმინაო. მან არც კი მოისურვა პირისპირ წაეყენებინა ხოსროვი მის ბრალმდებლებისათვის, ასე გადააყენა მეფობიდან²⁷. ცხადია, ნახარართა მოქმედება შაჰის სურვილს ემთხვეოდა და რამდენადმე იმავე შაჰის მიერ იყო შთაგონებული. ყურადღებით ადევნებდნენ ირანელები თვალყურს სომხეთის დამოკიდებულებას უცხო ქვეყნებთანაც, განსაკუთრებით კი ირანის ოდინდელ მტერთან, აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან. როგორც ვნახეთ, ხოსროვის გადაყენების მიზეზი სწორედ კონსტანტინოპოლთან კავშირის გაბმის ცდა ყოფილა.

კიდევ უფრო დამძიმებულა ირანული უღელი იუზლიგერდ I-ის (399—421) დროს. ამ შაჰს გადაუწყვეტია სომხეთის მეფედ არშაკუნელი აღარ დაენაშნა. ლაზარ ფარბეცის გადმოცემით შაჰმა, იცოდა რა, რომ ბერძნთა ხელქვეით ბევრი არშაკუნელი იყო, იფიქრა, ისინი და ირანის მხარის არშაკუნელები ერთმანეთს დაუკავშირდებიან, ეს უკანასკნელი ბერძნთა მეფის ქვეშევრდომობას ირჩევენ და ჩვენ აგვიჯანყდებიანო. ამასთან ერთად შაჰი ანგარიშს უწყევდა იმასაც, რომ არშაკუნელები ქრისტიანები იყვნენ. ამიტომ სომხეთის ტახტზე მან თავისი შვილი შაბური აიყვანა²⁸. შაჰი ფიქრობდა, რომ ამით უფრო მკიდრო კავშირი დამყარდებოდა სპარსელებსა და სომხთა უმაღლეს ფენებს შორის. მაგრამ სპარსელებმა ამჯერად ვერ შეძლეს განეხორციელებინათ თავისი განზრახვა—მოესპოთ მეფობა სომხეთში. 421—422 წლების ბიზანტიასთან წარუმატებელი ომის შემდეგ, სპარსელები იძულებული გახდნენ შეერბილებინათ თავისი პოლიტიკა ქრისტიანობის მიმართ. აღბათ ამავე მიზეზის გამო სპარსელებს უკან დაუხევიათ თავისი აგრესიული პოლიტიკიდან ამიერკავკასიაში და ბაპრამ V გურს (421—438) 422 წ. სომხეთის საჰელო ტახტზე ისევ სომეხი არშაკუნელი, არტაშესი, დაუსვაძს.

²⁶ ო. ფ., გვ. 12.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე, გვ. 18.

ამ შარცხის მიუხედავად სპარსელები, ჩანს, მაინც განაგრძობდნენ ცდებს თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ამაში მათ სავსებით თანაუგრძობდნენ სომეხი ნახარარები, რომლებიც სპარსელებისაგან ელოდნენ თავისი ფეოდალური სამფლობელოებისა და პრივილეგიათა დამტკიცებას. როდესაც ნახარართა და, საერთოდ, უმაღლესი ფენის დებუტაციამ სთხოვა ბაჰრამს გადაეყენებინა არტაშესი, ბაჰრამი ჩაეჭიდა ამ მომენტს. იმისთვის, რომ მეფობის მოსპობას სავსებით კანონიერი ხასიათი მისცემოდა, სპარსელები შეეცადნენ სომხეთის კათალიკოსიც მიეშხროთ. შაჰმა დიდი პატივი და საჩუქრები აღუთქვა კათალიკოს საჰაკს, თუ იგი დაემოწმებოდა ნახარარებს არტაშესის, როგორც მეფის, უღირსობის შესახებ. საჰაკი არ დაეთანხმა ამ წინადადებას³⁹. მაგრამ არტაშესის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და საჰაკის დათანხმება-არდათანხმება ვეღარ შესცვლიდა მდგომარეობას.

შაჰისა და მისი დიდებულების წინაშე მოუსმინეს არტაშესსა და მის მოწინააღმდეგეებს. თუმცა არტაშესი უარყოფდა ბევრ რაიმე, რაშიაც მას ბრალს სდებდნენ, მაგრამ მას ყურიც არ ათხოვეს, რადგანაც სპარსელებს კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ სომხეთში მეფობის მოსპობა. ამასთანავე, არტაშესის დამბეზღებლებმა თვითონ განუცხადეს „არიელთა მეფეს“—საერთოდ რად გვინდა მეფე, სპარსელი გამგებელი (ზედამდგომელი) დაგვინიშნეთო⁴⁰. შაჰმა, ცხადია, არ გაუშვა ხელიდან ასეთი ხელსაყრელი მომენტი. არტაშესი დატოვეს ირანში, მეფობა მოსპეს და სომხეთში დაინიშნა ირანელი მარზპანი, რომელსაც ხორენაცის გადმოცემით ვებ-მიპრ-შაპუჰი პრჭმევი⁴¹.

სომხეთში მეფობის მოსპობა მნიშვნელოვანი ეტაპია ამ ქვეყანაში ირანის ბატონობის ისტორიაში. ამგვარადვე აფასებს ამას თვით ლაზარიც, რომელიც ამბობს, რომ ამის შემდეგ სომხეთი „ჩავარდა სპარსთა ურჯულს სამეფოს მონობის უღელში“⁴²-ო.

სპარსელებმა კარგად დაასაჩუქრეს თავისი მოკავშირე სომეხი ნახარარები, შეუნარჩუნეს და დაუმტკიცეს მათი ფეოდალური პრი-

³⁹ ი. ფ., გვ. 23—24.

⁴⁰ ი. გ. ვ. გ., გვ. 24.

⁴¹ Մ ռ Վ ի Վ ի Խ Ռ Բ Ի Ն Ա Գ Ն Յ. Պատմաբիւն Հայոց. աշխատութեամբ Մ. Աբխղեսան և Ս. Յարության և Ս. Տիգլիս, 1913, გვ. 349.

⁴² ი. ფ., გვ. 25.

ვილგვიები. ელიშე ვადმოგვცემს, როდესაც არტაშესი გადააყენეს, „მეფობა სომეხ ნახარარებს ჩაუვარდათ ხელში, რადგან თუმცა გადასახადები სპარსთა სავანძურში მიდიოდა, მაგრამ მთელ სომეხთა ცხენოსან ჯარს ომში ნახარარები მიუძღოდნენ“-ო⁴³.

ირანელთა პოზიციები სომხეთში იმდენად გაძლიერებულა, რომ ისინი საეკლესიო ცხოვრებაშიც ჩარეულან და კათალიკოსობა ჩამოურთმევიათ საპაკისტვის. კიდევ მეტაც, შაჰს საპაკისტვის მისი მამულებიც კი წაურთმევია და სახელმწიფოსთვის მიუთვლია. შემდეგ შაჰის ბრძანებით კათალიკოსებად დაინიშნენ ბრქიშო და შამუელი.

თუმცა, საპაკის მომდევნო კათალიკოსი თვით ნახარარებმა დასვეს, მაგრამ შემდგომში ისინი იძულებულნი გამხდარან, ეთხოვათ შაჰისათვის დაენიშნა მათთვის სხვა კათალიკოსი: „შემდეგ სომეხმა ნახარარებმა ითხოვეს მეფისაგან კათალიკოსი და მისცა მეფე ვრამშა მათ კაცი ვინმე სახელად ბრქიშო, ტომით ასურაი“⁴⁴. როგორც ლაზარე ვადმოგვცემს, ბრქიშო, და განსაკუთრებით კი მისი ამალა, რომელიც მასთან მოჰყოლია, არ იქცეოდა ისე, როგორც სომხური ეკლესიის ტრადიციები მოითხოვდნენ. სომეხებს ეს ვერ აუტანიათ. მათ გადაუყენებიათ ბრქიშო და ახალი კათალიკოსი უთხოვიათ შაჰისაგან. შაჰი დათანხმებულა და კათალიკოსად გამოუგზავნია ისევ სირიელი, შამუელი, რომელიც ისევე იქცეოდა, როგორც მისი წინამორბედი. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ კათალიკოსების „უწესო და უფუფერებელი ქცევა“ უმთავრესად სომეხებისათვის არასასურველი პოლიტიკის გატარებას წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, ირანის შაჰი თითქმის სრული ბატონ-პატრონი გამხდარა სომხეთში. იგი არა მარტო საგარეო პოლიტიკის საკითხებს ადევნებდა თვალყურს, არამედ ქვეყნის შინაგან საქმეებშიც დაუბრკოლებლივ ერეოდა, ისეთ მტკივნეულ საქმეშიც კი, როგორცაა საეკლესიო ცხოვრება. ის, რომ ცეცხლთაყვანისმცემელი მეფე ნიშნავდა ქრისტიანთა ეკლესიის მეთაურს, კათალიკოსს, ჯვიჩვენებს ამ მეფის შეუზღუდველ ჩარევას სომხეთის საშინაო საქმეებში.

⁴³ ს. ი. ხ. ჯგ. 6

⁴⁴ ი. ფ., ჯგ. 25.

გორც ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე და პეტრე იბერიის პაპა. ამ ცნობის საფუძველზე პროფ. ვ. ბოლოტოვი და შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ეს ბაკური მეფობდა IV ს. 30-იან წლებში⁴⁸. მაგრამ, როგორც „პეტრე იბერიის ცნოვრების“ ცნობების ანალიზიდან ირკვევა, ეს ბაკური მეფობდა IV ს. დასასრულს. „ცნოვრების“ ცნობა იძის შესახებ, რომ იგი ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე იყო, პეტრეს განსაზღვრულად არის შეთხზული წიგნის ავტორის, ან მისი მოგვიანო რედაქტორის მიერ. სე რომ, როგორც ჩანს, უფრო სწორი უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომელსაც იშვიათად, რომ ვარაზ-ბაკურის შემდეგ მეფობდა ბაკური⁴⁹.

ბაკურის ხუთბის ხანა შოდის IV ს. 30—90-იან წლებზე⁵⁰. „მოქ-

⁴⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 213 და 214

⁴⁹ ეს საკითხები დაწერილებით გვაქვს განსაზღვრული ჩვენს წერილში „IV ს. მეორე ნახევრის ქართლის ისტორიის ქრონოლოგიიდან“, რომელიც იბეჭდება. ამიტომ აქ მათზე აღარ შევხერხდებით.

⁵⁰ იბ. გ. მედიტიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგია საქართველოს: ივ. ჯავახიშვილის საბ. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, 1958, გვ. 170; აგრეთვე ჩვენი შემოღობული წერილი. აღანიშნავია, რომ ვახუშტის გამოთვლით ვარაზ-ბაკური მეფობდა 379—393 წლებში (საქართველოს ისტორია, 1885, გვ. 79—83). თუმცა ბაკურს იგი სრულებით არ ანაუნება, რადგან მისი წყაროა მხოლოდ „ქართლის ცხოვრება“. XIX ს. ისტორიკოსები, მ. ბოტოვი, ს. ბარათაშვილი, დ. ბაკრაძე და სხვ. იღებდნენ ვახუშტის ქრონოლოგიას, თუმცა კი ისინი ვარაზ-ბაკურს უკავშირებდნენ, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ამიანუს მარცელინუსის ასბაკურს. თ. გორდანიძე ვარაზ-ბაკურის მეფობას 391—413 წლებზე დებდა (ქრონიკები და სხვა ნასაღა საქართველოს ისტორიისა, 1892, გვ. 44). ს. გორგაძის მიხედვით ვარაზ-ბაკურს (ასბაკურს) უკვია 368—428 წლებში, რადგან იგი მას პეტრე იბერიის მამად შიანა (საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, მთავრე, 1915, III, გვ. 35—36; წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 59). ბაკურის მეფობას კი ს. გორგაძე 425—428 წლებს შორის დებს (წერილები საქ. ისტორიიდან, გვ. 65). ს. კაკაბაძის თანახმად ვარაზ-ბაკურისა და მისი წინამორბედის, კორდატის, მეფობა შოდის რეალურებით 395—408 წლებზე, მათი მომდევნო ბაკურისა კი — დაახლოებით 410 წელზე (ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, გვ. 10). ს. ჯანაშიას აზრით უკვე IV ს. 70-იან წლებში ქართლში მხოლოდ ერთი მეფეა — ბაკური (შრომები, ტ. I, გვ. 266; ტ. II, გვ. 219); პროფ. ვ. დონდუას, ჩანს, შიანინია, რომ ბაკურს, და შიანან ერთად თრდატსა და შირდატს, საერთოდ არ უნდოდათ, რადგან მის მიერ დასაბუთებულ მეფეთა რიგში ისინი არ მოიხსენიებიან. გვერდ ქართლში ანუ მტკვრის საპრპეთით მეფეობა შიანანში პროფ. ვ. დონდუას აზრით უმეტესად ვარაზ-ბაკურს (368—408) და არჩილს (408—437 წწ.), მტკვრის პრდალოეთით მდებარე ნაწილში კი საურმაგის შემდეგ — ფარსმანს (395—413) და ბუბარს (413—437 წლებში). ყველა ეს თარიღი, ავტორის მითითებით, შიანანობებითია (იხ. პროფ. ვ. დონდუას ნაწილი წიგნში „საქართველოს ისტორია, I, დამხმარე საბუღმძღვანელო“, 1958, გვ. 91—92).

ცევაძე ქართლისაჲ“-სა და „ბეტრე იბერის ცხოვრების“ ცნობათა საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანის ბატონობა ამ ბაკურის დროსაც გრძელდებოდა. მასზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ გადმოგვცემს შემდეგს: „და მისა შემდგომად მეფობდა: ბაკური ძმ თრდატისი: და მთაწარებისკჳსი იყო ელია: და ამან აღაშენა ეკლესიაჲ ბოლნის და იმიერ განვილა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“⁵¹. მართალია, ამ ცნობაში ყველაფერი არ არის გასაგები (გაუგებებარია, მავალითად, რას ნიშნავს კონკრეტულად „განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“; ცოტა ზემოთ მემბტიანე გადმოგვცემდა ირანელი პიტიახშის მოსვლისა და თბილისში დაჯდომის ამბავს. მას ხომ არ ერიდებოდა ბაკური?), ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ იმ დროს რაღაც „შიშიანობა“ არის და ეს შიშიანობა ირანის მიერაა გამოწყველი.

სამაგიეროდ, უფრო გარკვეული ხასიათი აქვთ „ბეტრე იბერის ცხოვრებაში“ დაცულ ცნობებს. იქ ნათქვამია, რომ ბაკური სპარსელთა ჯართან ერთად, როგორც ერთ-ერთი მისი სარდალოაგანი, სალამჭროდ ყოფილა წასული. ამ დროს გამოძევაგნებულა, რომ იგი ქრისტიანი იყო. შაჰი ამაზე ძალიან განრისხებულა, მაგრამ არ დაუსჯია იგი, რადგან ბაკური ირანელებისათვის საჭირო კაცი ყოფილა⁵². ცხადია, ბაკური ირანელთა ქვეშევრდოში იყო.

ბაკურის შემდეგ ქართლში მეფობდა ფარსმანი. იგი გამეფებულა 398—400 წლებს შორის⁵³. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ არაფერს ვად-

⁵¹ Описание рукописей..., II, გვ. 720—721.

⁵² Petrus der Iberer..., გვ. 17—18.

⁵³ ვახუშტი (შემდეგ კი ბოლნის, ს. ბარათაშვილი, დ. ბაკრაძე და სხვ.) მის მეფობას 405—408 წლებზე სდებდა (საქართველოს ისტორია, გვ. 83). ს. გორჯაძის მიხედვით ფარსმანის მეფობა 428—430 წლებზე უნდა მოდიოდეს (წერილები საქ. ისტ-დან, გვ. 60). ივ. ჯავახიშვილმა ქართული წყაროების ფარსმანი დაუგავშირა „ბეტრე იბერის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ფარსმანს, რომელზედაც ამ წყაროში ნათქვამია, რომ იგი სპასალარად იყო იმპერატორ არკადიუსის კარზე, სადაც არ გამოძევაგნებულა მისი მიჯნურობა დედოფალ ევდოქიასთან. ამის შემდეგ ფარსმანი სამშობლოში გამოქცეულა და საწვეფო ტახტზე ასულა. რადგან თვით არკადიუსი გამეფდა 395 წ., ხოლო ევდოქიას კი გარდაიცვალა 404 წ., ივ. ჯავახიშვილი ფარსმანის გამეფების დროს ამ თბილისს წარის სდებდა (ქართული საბარათლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928, გვ. 197, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 237).

ამას უნდა დაემატოს შემდეგი ორი გარემოება: კარიონის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართლში 50-იანი წლების მეორე ნახევარში ჯერ კიდევ მეფობდა

მოგვცემს მის შესახებ გარდა იმისა, რომ მის დროს მთავარეპისკოპოსობდა ვინმე სვმეონი. მაგრამ იგულისხმება, რომ ქართლი ისევ ირანის მორჩილებაშია. ლეონტი პროველი კი ამბობს, რომ „ესე ფარსმან იყო კაცი მორწმუნე, მკედარი შემმართველი. ეზრაბა შეფესა ბერძენთასა და ითხოვა მისგან შეწევნა; და აღასრულა თხოვა მისი კეისარმან. მაშინ განდგა და აღარა მისცა სპარსთა ხარკი“⁵⁴. ლეონტი პროველის ეს ცნობა იმის შესახებ, თითქოს ფარსმანს ბიზანტიელების დახმარებით თავი დაეღწიოს სპარსელთა ბატონობისაგან, საეჭვოდ გამოიყურება.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 387-სა და 421 წლებს შორის აღმოსავლეთ რომის იმპერიასა და ირანს შორის ჩივილობიანობა და უმეტესად კეთილგანწყობაც კი სუფევდა. ამ ხნის განმავლობაში კონსტანტინოპოლი ისე იყო გართული თავისი საშინაო ამბებით, გართულებებით დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრებზე, რომ არც სურვილი ჰქონდა და არც შესაძლებლობა ირანის საწინააღმდეგო რაიმე, და მით უმეტეს საეჭვო, ავანტიურებში გახვეულიყო.

ამ მხრივ საინტერესოა მოვსეს ხორენაციის ცნობები: ხორენაციის გადმოცემით სომხეთის დაყოფის შემდეგ (387 წ.) ირანის ნაწილში მეფობდა ხოსროვი, რომისაში კი—არშაკი. მათ შორის ამტკიცდარა ომი, რომელსაც საკმაოდ ფართო მასშტაბი მიუღია. საყურადღებოა, რომ, როგორც ხორენაცი გადმოგვცემს ამ ომში არც იმპერატორი და არც შაჰი არ ჩარეულან⁵⁵.

არშაკის სიკვდილის შემდეგ ბევრი სომეხი ნახარარი ირანის

ბაკური. მეორე მხრით, ევდოქიას 400 წლის ზაფხულისათვის ბოლოს და ბოლოს გამარჯვა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ჩამოიცილა თავისი მოწინააღმდეგენი და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. ამის შემდეგ იგი თავისი სურვილისამებრ ატრიალებდა თავის უნებისყოფო თანამეცხედრეს, ხელმძღვანელობდა ქვეყნის საკარგო და საშინაო ცხოვრებას. ცხადია, ამ დღიდან მის ფავორიტებს არავითარი საფრთხე არ მოელოდათ და ფარსმანსაც არ დასჭირდებოდა გაქცევა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ფარსმანის ასვლა ქართლის სამეფო ტახტზე IV ს. უკანასკნელ წლებში უნდა მომხდარიყო (არა გეგონია, ფარსმანის გაქცევა 404 წლის შემდეგ მომხდარიყო, რადგან არაა ცნობილი, რომ ევდოქიას სიკვდილის შემდეგ მისი მომხრეებისა და ფავორიტების რაიმე ღვენას ჰქონოდათ ადგილი).

⁵⁴ ქართლის ცხოვრება, I, 137—138.

⁵⁵ *Մ ո Վ Ս Է ս Խ ո թ Խ Ն յ ց ի*, III, 46. ხორენაცი ცდებდა, როდესაც ასანულებს მ ამბის თანამედროვე იმპერატორსა და შაჰს, მაგრამ ამყამად ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

სომხეთში გადასულა, იმპერატორს კი არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწყევია მათთვის⁵⁶. კიდევ მეტიც: ხოსროვს უთხოვია იმპერატორისათვის მიეცა მისთვის სომხეთის ბერძნული ნაწილი და სამაგიეროდ დაჰპირებია გადასახადების წესიერად გადახდას. იმპერატორს იმის შიშით, სულ არ წამართვან ეს ქვეყანა და სპარსეთს არ მისცენო, აუსრულებია ხოსროვის თხოვნა⁵⁷. მაგრამ შაჰს არ მოსწონებია ხოსროვის დაახლოება იმპერატორთან და გადაუწყვეტია მისი დასჯა. ხოსროვს დახმარება უთხოვია იმპერატორისათვის, სამაგიეროდ აღუთქვამს მთელი სომხეთით მის მხარეზე გადასვლა. მაგრამ იმპერატორს ვერ გაუბედავს დახმარების აღმოჩენა. ხოსროვი მეფობიდან გადაუყენებიათ და დაუპატიმრებიათ⁵⁸.

როგორც ვხედავთ, იმპერატორი თეოდოსი I (379—395) სპარსელებთან შშვიდობიანობის შენარჩუნების მიზნით (ზემოაღწერილი ამბები მოხდა მისი მეფობის ბოლო წლებში) არ ენმარებოდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის ქვეშევრდომებსაც კი, ცხადია, მით უფრო არ შეეწეოდა იგი ირანის ქვეშევრდომ ქართლის მეფეს.

არკადიუსის მეფობის დროს (395—408) კონსტანტინოპოლში განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა მოქიშპეებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ გავლენაში მოექციათ სუსტი იმპერატორი. აღმოსავლეთის საქმეებისათვის არავის ეცალა. არც არის რაიმე ცნობა მტრული ურთიერთობის შესახებ ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის⁵⁹. ეს ურთიერთობა დაირღვა მხოლოდ იეზდი-

⁵⁶ ბორენაცი, III, 48.

⁵⁷ იქვე, III, 49.

⁵⁸ იქვე, III, 50.

⁵⁹ მართალია, ე. ბროუქსმა (E. W. Brooks) მოგვსეს ბორენაციზე დაყრდნობით გამოთქვა აზრი (The Cambridge Medieval History, I, 1936, გვ. 458), სომხეთის მეფე ვრამშაპუკი (339—414) შაჰის წაქეზებით 90-იანი წლების ბოლოს ცდილობდა ხელთ ეგდო ტიგროსის ჩრდილოეთით მდებარე ხუთი სატრაპიათ. მაგრამ ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს. ბორენაციის მიხედვით შაჰმა ვრამშაპუკი გაგზავნა წესრიგის აღსადგენად (ალბათ, იმიტომ, რომ იმავე ავტორის ცნობით, ვრამშაპუკი ბერძენთა კუთვნილ სომხეთსაც განაგებდა და ამდენად იმპერატორის ვასალიც იყო და იმპერიის საშინაო საქმეებში შეუძლო ჩარევას). თვით ბორენაციის მიხედვით, ეს უფრო იმპერატორისთვის დახმარების გაწევა უნდა ყოფილიყო. რამდენიმე სტრიქონით ზემოთ იგი აღნიშნავს, რომ იმპერატორსა და შაჰს შშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ, ხოლო არეულობის აღწერას წინ უძღვის ფოაზა: „ამ დროს ავად გახდა არკადიუსი“-ო, თითქოს ამით ავტორს იმის თქმა სურს, რომ მისმა ავადმყოფობამ საბაბი მისცა არეულობას და საჭირო იყო ჩარევა საქმის გამოსასწორებლად.

გერდ I-ის (399—421) მეფობის უკანასკნელ წლებში. 421—422 წწ. მოხდა ომი ბიზანტიასა და ირანს შორის, რომელშიც არც ერთ მხარეს არ მიუღწევია მნიშვნელოვანი წარმატებისათვის.

ლეონტი მროველის ცნობა ფარსმანის ბრძოლის შესახებ სპარსელებთან არ უნდა გულისხმობდეს ამ ეპოქას, რადგან ფარსმანის მეფობის ასე განანგრძლივება, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ მკვლევართაგან არავის შეაჩნია შესაძლებლად ფარსმანის მეფობის ოციან წლებამდე გაგრძელება.

ჩვენს უნდობლობას ლეონტი მროველის იმ ცნობის მიმართ, რომ ფარსმანი ბიზანტიელთა დახმარებით გადაუდგა სპარსელებსა დალიერებს შემდეგი გარემოებაც: „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ ფარსმანი, რომელიც ცხოვრობდა კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე, სასახლეში მომხდარი სკანდალის შემდეგ იძულებული გამხდარა გაქცეულიყო სამშობლოში, სადაც გამეფებულა და ბიზანტიელების მტრობით იმპერიისთვის თეთრი ჰუნები შეუსევია. მაშასადამე, იმის შემდეგ, რაც ფარსმანი გამეფებულა, იგი მტრულ ურთიერთობაში ყოფილა კეისართან, ასე რომ ვერც მიიღებდა დახმარებას მისგან სპარსელების წინააღმდეგ. თვით ის ფაქტიც, რომ კონსტანტინოპოლიდან ლტოლვილი ფარსმანი იბერიის სამეფო ტახტზე აღის, იმის მაჩვენებელია, რომ იბერია რომის გავლენის სფეროს გარეთაა და, ალბათ, ირანის ქვეშევრდომია.

ამრიგად, ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ რომ V ს. დასაწყისში ქართლს თავი გაუთავისუფლებია ირანის ბატონობისაგან, სხვა წყაროებით არ დასტურდება. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლში იგივე მდგომარეობა გრძელდებოდა, რაც წინა პერიოდში იყო (ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ქართლი ამა თუ იმ სახით ებრძოდა დამპყრობელს).

ფარსმანის მომდევნო მეფედ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველი ასახელებენ მირდატს. პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში ასეთად დასახელებულია პეტრეს მამა ბუზმირი. ვახუშტი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებიდან ამოდიოდა, მიიჩნევს, რომ ფარსმანის შემდეგ მეფობდა მირდატი, რომლის ზეობას იგი 408—410 წლებით ათარიღებს⁶⁰. ასევეა მიღებული XIX ს. ის-

⁶⁰ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 83—84.

ტორიოგრაფიაში, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ქრონოლოგიური საკითხების განსაზღვრაში უმთავრესად ვახუშტის ეყრდნობოდა. ს. გორგაძე მირდატის მეფობას 430—432 წლებით ათარიღებდა⁶¹.

ივ. ჯავახიშვილმა უფრო სანდოდ მიიჩნია „პეტრე იბერის ცხოვრების“ ცნობა და ფარსმანის შემდეგ ბუზმირის მეფობა ივარაუდა. ბუზმირი, მისი აზრით, გამეფებულა არა-უგვიანეს 413—416 წლებისა და უმეფნია 20-იანი წლების შუამდე⁶².

პროფ. ს. კაკაბაძის მიხედვით ქართლის იმ ნაწილში, რომელიც რომაული გავლენის სფეროში მოექცა საურმაგ-ასპაკურის შეთანხმების ძალით, საურმაგის შემდეგ მეფობდნენ ბოსმარიოს I და მისი შვილი ბოსმარიოს II. ეს უკანასკნელი მეფობდა 409—422 წლებში. შესაძლებელია, რომ ბოსმარიოს II-ის მეფობა 437 წლამდეც კი გავრძელებულიყო. ამავე დროს, ქართლის იმ ნაწილში, რომელიც ირანს ხვდა წილად, 412—425 წლებში მეფობდნენ ჯერ ფარსმანი, შემდეგ კი მირდატი⁶³.

ს. ჯანაშია. ჩანს, ივ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებდა⁶⁴.

პროფ. ვ. დონდუას აზრით ფარსმანის შემდეგ ქართლის რომაულ ნაწილში მეფობდა ბუზმარი (413—437), ხოლო ირანულ ნაწილში არჩილი (408—437)⁶⁵.

ქართლის ორ სამეფოდ დაყოფის შესახებ ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. აქ დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, თითქოს ქართლის ორ სამეფოდ დაყოფას აღვცილი ვქონდეს V საუკუნის დასაწყისშიაც. არც ერთი წყარო, არც ქართული, არც უცხოური, არავითარ ცნობას არ იძლევა ამის შესახებ⁶⁶. ერთადერთი მინიშნება, რამაც შეიძლება

⁶¹ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 61.

⁶² ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 179—180; ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 237.

⁶³ ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, გვ. 11—15. აღსანიშნავია, რომ პეტრე იბერის ასუიულ ცხოვრებაში, რომელსაც ეყრდნობა ს. კაკაბაძე, როდესაც მეფეებად ასახელებს ბოსმარიოს I-ს და ბოსმარიოს II-ეს, მეფედ მხოლოდ ეს უკანასკნელია მოხსენებული (იხ. Petrus der Iberen..., გვ. 15).

⁶⁴ საქართველოს ისტორია, I, 1948, გვ. 104.

⁶⁵ საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 91—92.

⁶⁶ ამ საკითხზე იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 276—278.

გვაფიქრებინოს ასეთი რამ, არის ის, რომ პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში პეტრეს მამად და ქართლის მეფედ დასახელებულია ბუზმირი, რომელიც არ მოიხსენიება ქართულ წყაროებში. ამასთანავე ამ წყაროში არჩილზე ნათქვამია, რომ იგი მეფობდა ბუზმირის დროს და მის შემდეგ. ყოველივე ეს, რიგი მკვლევრების აზრით, აიხსნება იმით, რომ ბუზმირი იყო არა მთელი ქართლის მეფე, არამედ მხოლოდ მისი რომაული ნაწილისა, ხოლო არჩილი კი თითქოს მის ირანულ ნაწილში მეფობდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თვით პეტრე იბერის ასურული ცხოვრების მიხედვით ბუზმირი არის ერთიანი, განუყოფელი ქართლის, იბერიის, მეფე. ამ დროს იბერია ამ წყაროს ცნობით დამოუკიდებელი სამეფოა. აქ ნათქვამია, რომ ეს ქვეყანა მუდამ ებრძოდა რომაელებსა და სპარსელებს, რომლებიც ცდილობდნენ ამ ქვეყნის ხელში ჩაგდებას⁶⁷.

პეტრეს ბავშვობისას სპარსელები მრავალჯერ მოითხოვდნენ გაეგზავნათ იგი მათთვის როგორც მძევალი. პეტრეს მალაუღნენ კიდევაც თავის ძიძასთან, რომ იგი სპარსელებს არ ჩავარდნოდა ხელთ⁶⁸. ასევე მძევლად თხოულობდა პეტრეს იმპერატორი თეოდოსიუს. ბოლოს პეტრეს მამას, ბუზმირს, თავისი შვილი თეოდოსისთან გაუგზავნია, რადგან იგი დიდად აღასებდა ქრისტიანი რომაელების მეგობრობას, როგორც დახმარებას ურჯულო სპარსელების წინააღმდეგ⁶⁹.

როგორც ვხედავთ, ბუზმირი იმპერატორის ვასალი კი არ ყოფილა, არამედ თავისი ნებით გაუგზავნია მასთან შვილი, თავისი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად.

მართალია, პეტრე იბერის ქართული ცხოვრების თანახმად პეტრეს მამა (ამ წყაროთი—ვარაზ-ბაკური) თითქოს რაღაც დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო ბიზანტიელებისაგან⁷⁰, მაგრამ ასურული ვერსიის ცნობებით ეს ასე არ იყო. ჩვენ ამ შემთხვევაში უპიტატესობას ასურულ ვერსიას ვაძლევთ, როგორც უფრო კარგად

⁶⁷ Petrus der Iberer..., გვ. 14.

⁶⁸ იქვე, გვ. 16.

⁶⁹ იქვე, გვ. 24.

⁷⁰ ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბილისი, 1946, გვ. 258.

შენახულს. ამასთან პეტრეს შამა მთლიანი ქართლის მეფედ იგულისხმება ქართული ვერსიითაც.

არა გვგონია ბუზმირი ყოფილიყო მეფე (ან უფრო სწორად, მმართველი) ბიზანტიელთა ხელთ დარჩენილი ქართლის მცირე ნაწილისა, რადგან მაშინ სპარსელები ვერ გაბედავდნენ ამ მმართველისაგან შვილის მძევლად მოთხოვნას. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში ბუზმირის ყველა წინამორბედი და მომდევნო მეფე, რომელიც დასახელებულია ამ წყაროში ჩვენ უნდა ჩავვეთვათ ამ პატარა მხარის მეფე-მმართველად, მაშინ როდესაც ისინი სხვა წყაროებიდანაც არიან ცნობილი, როგორც ქართლის მეფეები. ამგვარად, პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში მოხსენიებული ბუზმირი, ამ თხზულების ავტორის თანახმად არის მთელი იბერიის მეფე. მაგრამ ქართული წყაროების მიხედვით ამ დროს ქართლში მეფობს მირდატი. როგორ შეუთანხმდება ერთმანეთს ეს ცნობები?

ჩვენ არა გვგონია, რომ პეტრე იბერის ცხოვრების ბუზმირი და ქართული წყაროების მირდატი ერთი და იგივე პირი იყოს, რადგან, როგორც აკად. გ. მელიქიშვილი შენიშნავს, ქართული ტრადიციით მირდატი „ირანელებთან ერთად ბერძნებსაც ებრძვის კლარჯეთისათვის, მაგრამ ბოლოს ირანელთა მსხვერპლი ხდება: ირანელებს იგი მიჰყავთ ტყვედ თავის სამფლობელოებში, სადაც იგი გარდაიცვალა კიდევ. საფიქრებელია, რომ ყველაფერი ეს რომ ბუზმირს—პეტრე იბერის შამას შეეხებოდეს, პეტრე იბერის ცხოვრების აღმწერი აუცილებლად მოიხსენიებდა ამ უკანასკნელ ამბავს მაინც“⁷¹.

მაშასადამე, დავგრძენია ვიფიქროთ, რომ ან პეტრე იბერის ცხოვრების ავტორი ცდება, როდესაც ბუზმირს ქართლის მეფედ მიიჩნევს, ან ქართულ წყაროებში გამორჩენილა ამ მეფის სახელი. ჩვენ უფრო პირველ ვარაუდს ვუჭერთ მხარს. შესაძლებელია, ბუზმირი ქართლის მეფე კი არ ყოფილიყოს, არამედ რომელიმე წარჩინებული პირი ქართლის სამეფო საგვარეულოდან, მეფედ კი იგი „ცხოვრების“ ავტორმა აქცია, რათა მეტი დიდებით შეემოსა პეტრე იბერის სახელი. აღსანიშნავია, რომ ასევე მოიქცა იგი, როდესაც პეტრეს პაპა ბაკური ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ და ამ ქვეყანაში ქრისტიანობის შემომღებად გამოაცხადა.

⁷¹ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 166—167.

პეტრე იბერის წარმოშობის გასარკვევად საინტერესოა შემდეგი. ასურული ცხოვრების მიხედვით პეტრე იბერის პაპას, ბაკურს, ჰყოლია ძმა, არჩილი, რომელსაც მთელი სიცოცხლე სიწმინდესა და უბიწოებაში გაუტარებია. იგი უკვე მოხუცებული ყოფილა, როდესაც ქვეყნის დიდებულებს ძალით შეუერთავეთ მისთვის ცოლი სამეფო გვარის გასაგრძელებლად (!), მაგრამ თავისი უბიწოება მას მაინც არ შეუბღალავს⁷². სამეფო ტახტზე არჩილი ასულა, როდესაც პეტრე ჯერ კიდევ საერო პირი იყო და კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა⁷³. თუკი პეტრე მართლაც უფლისწული იყო და ტახტის კანონიერი მემკვიდრე, რაღა საჭირო იყო არჩილის ძალით დაქორწინება? ან თატომ არავის მოუვიდა თავში ტახტზე მისი კანონიერი მემკვიდრე პეტრე აეყვანათ? ავტორი ამასე არაფერს ამბობს. გავითვალისწინოთ ისიც, თუ რაოდენ ხელსაყრელი იქნებოდა იმპერატორისთვის მის კარზე აღზრდილი კაცის გამეფება ქართლში. „ცხოვრების“ ავტორისათვისაც უთუოდ გამოსადეგი იქნებოდა აეწერა, თუ როგორ უარყო პეტრემ ღმრთის მსახურებისათვის სამეფო გვირგვინიც კი. ავტორის დუმილი იმის მაჩვენებელია, რომ მან არაფერი იცის ამის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ბუზშირის ქართლში მეფობა საფუძვლიან ეჭვებს იწვევს. მაგრამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის მაინც საჭიროა დამატებითი მასალა⁷⁴.

ამგვარად, თუ ჩვენ მივიღებთ, რომ ფარსმანის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე იჯდა ბუზშირი, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი გამეფებულა არაუგვიანეს 413—416 წლებისა, როგორც ამას ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი.

ხოლო თუ ფარსმანის მომდევნო მეფედ მირდატს მივიჩნევთ, მისი მეფობის დათარიღების საკითხი ღიად უნდა დავტოვოთ, რად-

⁷² Petrus der Iberer..., გვ. 18.

⁷³ იქვე, გვ. 19.

⁷⁴ სამწახაროდ, ვერ გვხვმარება ამ საკითხის გადაწყვეტაში პალესტინის უძველესი ქართული წარწერებიც, სადაც როგორც ამტკიცებს აკად. გ. წერეთელი („უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, თბილისი, 1960, გვ. 14—35) სხვებთან ერთად იხსენიებიან პეტრე იბერი, მისი მამა ბუზშირი და პაპა ბაკური. ბაკურიცა და ბუზშირიც ყოველგვარი ტიტულის გარეშე არიან დასახელებულნი და ამიტომ არ ჩანს, იყო თუ არა ბუზშირი ქართლის მეფე.

ვან ამისათვის წერწერობით არავითარი მონაცემები არა გვაქვს. მაინც საფიქრებელია, რომ მირდატის მეფობა მოდის V საუკუნის 10-იან წლების მეორე ნახევარსა და 20-იანი წლების დასაწყისზე.

მაგრამ უბირატესობა როგორც პირველწყაროს კიდევაც რომ პეტრე იბერიის ასურულ ცხოვრებას მივანიჭოთ, მაინც მისი ცნობების შესახებ, რომ საბოლოოდ პეტრე კონსტანტინოპოლში გაგზავნეს და არა ქტეზიფონში, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართლი ამ დროს ირანელთა ბატონობისაგან განთავისუფლებულა⁷⁵, ან ბიზანტიის ვასალი გამხდარა, როგორც ამას ვარაუდობენ⁷⁶. როგორც ცნობილია, პეტრე იბერი დაიბადა 409 წელს, ხოლო კონსტანტინოპოლში იგი გაუგზავნიდათ ლორმეტი წლის ასაკში, ე. ი. 421 წ. ირანელთა ქვეშევრდომში უფლისწულის (თუკი პეტრე იბერი ნაშდვილად უფლისწული იყო) ბიზანტიაში წასვლა, ჩვენი აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ ამ დროს ბიზანტი-ირანის ომი მიმდინარეობდა და ირანს არ შეეძლო სრული გულისყურით მოქცეოდა თავის ქვეშევრდომ ქართლს.

მაგრამ, როგორც უკვე ვვქონდა აღნიშნული, ამ დროის ქართლის მეფედ უფრო სავარაუდოებელია მირდატი. ქართულ წყაროებში მის შესახებ შემდეგი ცნობებია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თემცა პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ, ჩანს, გულისხმობს, რომ მირდატის დროს ქართლი ისევ ირანელთა მორჩილია, თვით მირდატზე კი ეს წყარო გადმოვცემს „...ესე წარიყვანა პიტაჲსშჲან ვარაშ: ბაღდადი: და მუნ მოკუდა“⁷⁷.

ლეონტი მროველის მიხედვით მირდატი ებრძოდა ბიზანტიელებსაც და ირანელებსაც. პირველთაგან იგი „ეძიებდა კლარჯეთს, საზღვარსა ქართლისასა, ხოლო სძარსთა არა მისცემდა ხარკსა. მაშინ

⁷⁵ ამ მხრივ საყურადღებოა „ცხოვრების“ ცნობა, რომლის მიხედვითაც პეტრე ბავშვობაში ძიძასთან ჰყალიბათ განიზნული, რათა სპარსელებს ძალით არ წაეყვანათ იგი.

⁷⁶ იხ. მაგ. ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 58—59; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 237; ს. ჯანაშია, წიგნში „საქართველოს ისტორია“ ნაწილი I, 1948, გვ. 104; ვ. დონდუა, წიგნში „საქართველოს ისტორია“, I, დაშშარე საბუნძელოვანლო, 1953, გვ. 92.

⁷⁷ Описание рукописей..., II, გვ. 721. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ იყო აღნიშნული „ბაღდადი“ აქ ანაჰოონიზმია და მერმინდელ ჩანართს წარმოადგენს.

სპარსთა მეფემან გამოგზავნა ერისთავი, რომელსა ერქუა უფრობ, სპითა ძლაერითა შირდატის ზედა. მაშინ ბორდატ სილალითა თვსითა არა ჰრიდა სიმრავლესა სპარსთასა, მცირედითა სპითა მიეგება გარდაბანს და ეწყო: იოტეს და შეიპყრეს სპარსთა; მოვიდეს ქართლად. დაიპყრეს ქართლი და ვანრყუნეს ეკლესიანა. ხოლო ნათესაჲნი მეფეთანი დარჩეს კვესა კანეთისასა, და სვჲონ ეპისკოპოსი მათ თანავე. ხოლო შირდატ წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა.⁷⁶

შირდატის ირანში წაყვანა შეიძლება დაგვეკავშირებინა V ს. 10-იან წლებში ირანის პოლიტიკის გააქტიურებასთან, რის შესახებაც ზევით ვლაპარაკობდით. მეორე მხრით, ლეონტი პროველის ცნობა იმის შესახებ, რომ შირდატი ერთდროულად ბიზანტიელებსაც ებრძოდა და ირანელებსაც, თუკი მას რეალური საფუძველი აქვს, 20-იანი წლების დასაწყისზე უხდა მიგვეთითებდეს. რადგან მხოლოდ ბიზანტია-ირანის ომის დროს შეეძლო შირდატს გამოეჩინა ასეთი აქტიურობა. ამ შემთხვევაში უნდა მიგველო, რომ ომის დამთავრების შემდეგ ირანელებს ისევ მოუცლიათ ქართლისათვის და წინააღმდეგი ვითარება აღუდგენიათ.

როგორც ვხედავთ, V ს. პირველი მეოთხედის ქართლის შესახებ ჩვენ ძალიან მწირი ცნობები გავყავართ. ამასთან, ისინი სწორად ეწინააღმდეგებიან კიდევაც ერთმანეთს. ეს ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს კონკრეტულად წარმოვადგინოთ პოლიტიკური ვითარება იმდროინდელ ქართლში. მიუხედავად ამისა, ამ ცნობების განხილვა გვარსმუნებს, რომ ამეოკავკასიაში ირანის პოლიტიკის ზოგადი სურათი, რომელიც იხატება ლაზარ ფარპეცის ცნობათა საფუძველზე, სწორი უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ ირანის წინააღმდეგ ბრძოლა დაწყებულა სომხეთშიც. მოვსეს ხორენაცის გადმოცემით იენდიგერდ I-ის გარდაცვალებისა და მისი შვილის შაბუპის (სომხეთის გამგებლის) მოკვლის შემდეგ, ე. ო. სწორედ ირან-ბიზანტიის ომის დროს, სომეხი ნახარარები გაერთიანებულან ნერსეს ჭიჭრაკაცის ხელმძღვანელობით. ისინი შებრძოლებიან სპარსელთა ჯარს და დაუმარცხებიათ იგი. თვით სპარსელთა სარდალიც კი დაღუპულა ბრძოლაში. სამი წლის განმავლობაში სომხეთში არ ყოფილა ცენტრალური ხელისუფლება (ალბათ აგულისხმება ირანული). შემდეგ ირანში გამეფებულა

⁷⁶ ქართლის ცხოვრება, გვ. 138.

ვრამი (ბაპრამ V), რომელიც დაზავებია ბერძნებს. სომხეთში მას მეფედ დაუნიშნავს არტაშესი⁷⁹.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ერთსა და იმავე პირობებსა და ერთსა და იმავე დროს ხომ არ მომხდარა აღნიშნული ბრძოლები ირანის წინააღმდეგ ქართლსა და სომხეთში?

წყაროების ერთხმივი მოწმობით მირდატის (თუ ბუზპირის) შემდეგ ქართლში მეფობს არჩილი. აკად. ივ. ჯავახიშვილმა პეტრე იბერის ასურული ცხოვრების ცნობათა ანალიზის საფუძველზე გამოარკვია, რომ არჩილი მეფედ მჯდარა დაახლოებით 429—437 წლებში⁸⁰.

არჩილს ქართლის მეფედ იხსენიებს აგრეთვე კორიუნიც მაშტაცის ქართლში ხელმეორედ მოსულის დროისთვის⁸¹. ამავე დროს სომხეთში იმავე წყაროს მიხედვით მეფობდა არტაშესი, რომლის ზეობა 422—428 წლებზე მოდის. ეს ცნობები გამეორებული აქვს მოვსეს ხორენაცისაც⁸². მაშასადამე, არჩილი ქართლის სამეფო ტახტზე ზის დაახლოებით V ს. 20-იანი წლების შუიდან⁸³, ამასთან, თუ მირდატის ბრძოლა სპარსელებთან და მისი დატყვევება მართლაც შეიძლება დაუკავშირდეს სომხებას ბრძოლას სპარსელებთან 20-იანი წლების დასაწყისში, მაშინ შესაძლებელია არჩილის გამეფებაც დაახლოებით იმ დროს მომხდარიყო, როდესაც არტაშესისა სომხეთში (422).

⁷⁹ შ ა ძ ი ხ ს ხ ა რ ხ ნ ა ყ ქ, III, 56, 59.

⁸⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართული საზარტლის ისტორია, I, გვ. 130; ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 237.

⁸¹ ს ი რ ე ი ა ნ, ძ ა რ რ შ ა უ თ ი ა ყ ქ, გვ. 72.

⁸² შ ა ძ ი ხ ს ხ ა რ ხ ნ ა ყ ქ, III, 60.

⁸³ ვახუშტი (საქართველოს ისტორია, გვ. 85—87) და მასზე დამოკიდებული სხვა ისტორიკოსები არჩილს მეფობას 410—434 წლებზე დებდნენ. ს. გორგაძე ამ ამბავს 432—438 წლებით ათარიღებდა (წერილები საქ. ისტორიიდან, გვ. 61). ს. კაკაბაძე თავდაპირველად დაახლოებით ისეთივე აზრისა იყო, როგორც ივ. ჯავახიშვილი (ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, გვ. 10, 14, 17), მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს გაპოცემულ თავის წიგნში (ვახტანგ გორგასადი, თბილისი, 1959 წ., გვ. 12) აღნიშნავს, რომ არჩილის შვილი და მემკვიდრე ქართლის სამეფო ტახტზე, მირდატი, გარდაცვლილა 430 წელს. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ არჩილს 20-იანი წლებამდის უმეფია (ჯუანშერის მიხედვით მირდატმა ათი-თორმეტი წელი იმეფა), რაც ეწინააღმდეგება პეტრე იბერის ასურული ცხოვრების, კორიუნისა და მოვსეს ხორენაცის სრულიად გარკვეულ ცნობებს. ამიტომ პროფ. ს. კაკაბაძის აზრი სარწმუნო არა ჩანს.

არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, თუ როდემდის გაგრძელდა არჩილის მეფობა. არჩილის შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლის სამეფო ტახტზე ზის მირდატი, ვახტანგ გორგასალის მამა. არც მირდატის მეფობის თარიღებია ცნობილი, ოღონდ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მას უნდა ემეფნა ათი-თორმეტი წელი⁸⁴ (აქვე უნდა აღინიშნოს რომ „ქართლის ცხოვრებაში“ არჩილის მეფობით იწყება ახალი თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომელიც მიუწერება ჯუანშერს. როგორც ქვემოთ დავინახავთ ჯუანშერის ცნობები წშირად საფუძვლიან ექვს იწვევენ. ამიტომ არც ამ ცნობაზე შეიძლება სავსებით დამყარება). ვახტანგ გორგასალის მეფობას ჩვეულებრივად V ს. მეორე ნახევარზე დებენ, ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევიჩერდებით, აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში მირდატის მეფობა 30—40-იან წლებზე მოვა⁸⁵.

როგორია ქართული წყაროების მიხედვით ქართლის ურთიერთობა ირანთან არჩილისა და მირდატის მეფობის ხანაში? „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ბირდაპირ არას ამბობს, მაგრამ, ჩანს, გულისხმობს, რომ ქართლი ისევ ირანის ქვეშევრდომია. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ის, რომ ამ წყაროს ცნობით არჩილის მეფობაში მახდებანობას გარკვეული წარმატებები მოუპოვებია ქართლში. „მოგუნი მოგუეთას მოგობდეს: ცეცხლისა მსახურებასა ზა“ო⁸⁶, ვკითხულობთ ამ თხზულებაში. კიდევ უფრო ნათელია და მნიშვნელოვანი მატეიანის ცნობა იმის შესახებ, რომ მირდატის დროს „მთავარ ებსკპსა იყო გლოხოქორ: და ესე მთავარ ებსკპსი ერისთვადცა იყო ბარაზბოდ პიტეანშისაგან ქართლს: და ჰერეთს“⁸⁷: როგორც ს. ჯანაშია

⁸⁴ „და დაჯდა მეფედ... მირდატი... მიჰუღა დედოფალი საგდუხტ და შვა ასული... და შემდგომად ოთხისა წლისა საგდუხტ მიჰუღა და შვა ძე (ვახტანგ გორგასალი, ლ. ჯ.)... შემდგომად ამისა, შეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა... შემდგომად ამისა, წელსა მეორესა, მოკუდა მეფე მირდატი; და დარჩა ვახტანგ შვილისა წლისა ყრმა“. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 143.

⁸⁵ ამ აზრს იზიარებს საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ს. კაკაბაძე, რომელიც მირდატის გარდაცვალებას და ვახტანგის გამეფებას 430 წელზე დებს. მაგრამ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ასეთი დათარიღებისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

⁸⁶ Описание..., II, გვ. 721.

⁸⁷ იქვე.

მიუთითებდა „ირანელების შიერ ქართლის ეკლესიასთან კავშირის გაბმა არსებითად ნიშნავდა ადგილობრივი აზნაურობის გარკვეულ ფენებთან კავშირის დამყარებას“⁸⁸.

სრულიად განსხვავებული ცნობები აქვს არჩილისა და მირდატის მეფობის შესახებ ჯუანშერს. ჯუანშერის მიხედვით მირდატის ირანში წაყვანისა და სიკვდილის „შემდგომად სამისა წლისა უცალო იქმნა სპარსთა მეფე, რამეთუ აღდგეს მტერნი აღმოსავალით.

მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი, მოიყვანეს და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თრდატისი, ძმისწული მირდატისი, მეფისა წარტყუენულისა, სახელით არჩილ“⁸⁹. შემდეგ ნათქვამია, რომ არჩილს ცოლად მოუყვანია იმპერატორ იოვიანეს შთამომავალი მარია; არჩილმა „განაცხადა მტერობა სპარსთა; გამოაჩინა ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი; მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა; მოირთო ძალი საბერძნეთით და წარძღუანებითა ჯუარისათა იწყო ბრძოლად სპარსთა“⁹⁰.

ამ დროს რანს, მოვაკანსა და, როგორც ჩანს, აღარბადაგანს განაგებდა ირანელი ერისთავი, რომელიც იყო ქართლის გამგებელიც არჩილის გამეფებამდე. მან შეკრიბა რანის, მოვაკანისა და აღარბადაგანის ჯარები და მოაშურა ქართლს, მაგრამ არჩილმა იგი დაამარცხა. არჩილს ჰყოლია შვილი მირდატი, რომელმაც „უმეტესად უწყო ბრძოლად სპარსთა, შესლვად და ტყუენვად რანსა და მოვაკანსა; რამეთუ მას ჟამსა უცალო იყო მეფე სპარსთა, და ბრძოდა იგი ინდოთა და სინდთა და აბაშთა, და ვერ შემძლებელ იყო სპისა ღიღისა გამოგზავნად; და სპათა რანისა და მოვაკანისათა და აღარბადაგანისათა ემძლავრებოდეს ქართველნი. წინამძღუარ ექმნის მირდატ სპათა მამისა თვისისათა, და მარადის ტყუენგიღის რანსა და მოვაკანსა“⁹¹.

დიდხანს აწიოკებდნენ ქართველები რანსა და მოვაკანს. რანის ერისთავს ბარზაბოდს ჰყოლია მშვენიერი ასული, სახელად სავდუხტ. მირდატს შეჰყვარებია იგი. არჩილს აუსრულებია მირდატის თხოვნა და მისთვის ცოლად უთხოვია ბარზაბოდის ქალიშვილი. ბარზაბოდი სიხარულით დათანხმებულა ამას. მირდატისა და სავ-

⁸⁸ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 274.

⁸⁹ ქართლის ცხოვრება, გვ. 139.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ იქვე, გვ. 141.

ლუხტის შეუღლების შემდეგ მშვიდობა დამყარებულა ქართლსა და ბარზაბოდის სამფლობელოებს შორის.

არჩილის შემდეგ ქართლის ტახტზე გამეფდა მირდატი, რომლის მეფობაში არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა. მირდატს შეეძინა სამი შვილი, მათგან მეორე იყო ვახტანგ, შემდგომში გორგასალად წოდებული. მირდატმა იმეფა დაახლოებით ათიოდე წელი და გარდაიცვალა⁹².

როგორც ვხედავთ, განსხვავება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა ჯუჯუანშერის ცნობებს შორის ძალიან დიდია. თუ პირველი წყაროს თანახმად ქართლი მორჩილია ირანსა, რომელსაც კიდევ უფრო განუმტკიცებია თავისი მდგომარეობა ამ ქვეყანაში, მეორის მიხედვით ქართლი განთავისუფლებულა ამ მორჩილებსაგან და თითონაც კი გადასულა შეტევაზე, კარგა ხნის განმავლობაში ურბევია და უწყობებია ირანის ერთი პროვინცია და ბოლოს და ბოლოს დაჩაევებია ამ პროვინციის მმართველს როგორც გამარჯვებული. რომელა ამ წყაროთაგან სარწმუნოა?

ზემოთ ჩვენ უკვე გვქონდა ლაზარაკი იმის შესახებ, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა ჯუჯუანშერის მიერ აღწერილი ბრძოლები, ე. ი. V ს. 20—30-იან წლებში, სპარსელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სომხეთში. მოსპეს ძეგლობა ამ ქვეყანაში და სომხეთის თითქმის სრული პატონ-პატრონები გახდნენ. ამის გამო სატულებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ირანის შაჰი თავისი სურვილის მიხედვით ნიშნავდა სომხეთში კათალიკოსებს, ქრისტიანულ ეკლესიას მეთაურებს. ასე დაუნიშნავს მას სირიელები, ჯერ ბრქიშო და შემდეგ შამუელი. სომხებს არც ერთი მოსწონდათ და არც მეორე, თითქოს იმიტომ, რომ ისინი, როგორც ლაზარი გადმოგვცემს, სომხური ეკლესიის ტრადიციებისათვის შეუფერებლად იქცეოდნენ⁹³. მაგრამ მოვსეს ხორენაცის ცნობებიდან ირკვევა, რომ მხოლოდ ეს არ ყოფილა სომხებს მიერ სირიელი კათალიკოსების შეძლების მიზეზი. შამუელმა, გადმოგვცემს ხორენაცი, სახარბით ბრქიშოსაც კი გადააქარბაო. ის თუ გარდაცვლილი ეპისკოპოსების ქონებას ითვისებდა; ეს ცოცხლებსაც კი ართმევდაო. ნებას არ აქლევდა საჰაკ დიდს დაენიშნა ახალი ეპისკოპოსები გარდაცვლილთა

⁹² ქართლის ცხოვრება, გვ. 142—143.

⁹³ ი. ძ., გვ. 26.

ნაცვლად, ხოლო იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც მცირედად დაავიანებდნენ სამეფო ხარკს. განდევნიდა ხოლმე და მათ ქონებას ითვისებდაო⁹⁴.

როგორც ვხედავთ, შამუელი ცხრველ მონაწილეობას ღებულა ირანის ხარკის აკრეფაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხარკის აკრეფა პირველ რიგში მარზპანის მოვალეობას შეადგენდა და არა კათალიკოსისა, შამუელის მოქმედება გვიჩვენებს, რომ სპარსელებს მთელი თავისი ყურადღება ამ საქმის დროულად შესრულებისათვის მიუქცევიათ. გავიხსენოთ ისიც, რომ ბრჭიშოსა და შამუელის მოღვაწეობა სომხეთში V ს. 30-იან წლებზე მოდის. ძნელი წარმოსადგენია, რომ იმ დროს, როდესაც სპარსელებს ესოდენ განუმტკიცებიათ თავისი პოზიციები სომხეთში და მათი მთელი გულისყური ამ ქვეყანაში ხარკის დროულად აკრეფისაკენ იყო მიმართული, მეზობელი ქართლი ძლევამოსილ ომს აწარმოებდა მათ. წინააღმდეგ, არბევდა და აწიოკებდა ირანის ერთ-ერთ პროვინციას. შეუძლებელია ქართლის ამ ბრძოლას რაიმე გამოძახილი არ ჰქონოდა სომხეთში და სრულად მოუხსენებელი დარჩენილია სომეხ ისტორიკოსებს. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ჯუანშერის ცნობა ამ საკითხზე სწორია არ უნდა იყოს. ამაში შემდგომი ამბებიც დაგვარწმუნებენ. როგორც ვნახეთ, ჯუანშერს არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ეთანხმება.

სხვათა შორის, ჩვენს ყურადღებას იქცევს ჯუანშერის ეს ცნობა, რომლის თანახმადაც არჩილის გამეფებამდე (როგორც ჩანს, ივრლისსმება საბი წლის უმეფობის ხანა) ქართლი რანისა და მოვაცანის ირანელ გამგებელს ექვემდებარებოდა. ირანის დაყოფა ოთხ საგამგეო ოლქად, რომელთაგან ერთი იყო ჩრდილოეთის, ანუ კავკასიის ქუსტაკი, მოხდა ბევრად უფრო ვვიან, ხოსრო ანუშირვანის (531—579) დროს⁹⁵. ამის შემდეგ ქართლი, სომხეთი და ალბანეთი შევადნენ კავკასიის ქუსტაკში, მანამდე ისინი უშუალოდ ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ. ამიტომ ჯუანშერის მიერ რანისა და მოვაცანის ერისთავთან ქართლის დაკავშირება მთელი საუკუნით უფრო ადრე

⁹⁴ შიქსტა სიპხსაჲი, III, 60.

⁹⁵ P. Sykes, A. History of Persia, I, 1930, გვ. 451. История Ирана с древнейших времен, გვ. 62—63; ნარკვევები მანღობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. 6, გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 45—46.

იწვევს გარკვეულ ინტერესს. არ ჩანს, საიდან აქვს აღებული ეს ცნობა ჯუანშერს. „ბარაზბოდ“ პიტიახში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შიც არის მოხსენებული, თუმცა იქ არ არის აღნიშნული, თუ სად იყო იგი პიტიახში⁹⁰. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯუანშერს შემდეგდროინდელი ამბები უფრო ადრე ეპოქაში უნდა ჰქონდეს ვადატანილი, რაც საერთოდ დამახასიათებელია ამ ავტორისათვის.

ჯუანშერის ცნობებში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ზოგიერთი სხვა ნომენტიც, მაგრამ ამჟამად ჩვენ მათ აღარ გამოვეკიდებით, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ლაზარ ფარბეცის „სომხეთის ისტორიის“ პირველ თავში დაცულია მეტად საყურადღებო ცნობები IV ს. უკანასკნელ მეწუთედსა და V ს. პირველ ნახევარში ირანის მიერ სომხეთში წარმოებული პოლიტიკის შესახებ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „ქართლის ცხოვრების“ ცნობათა ურთიერთშეპირისპირება და შემდეგ მათი შედარება ლაზარ ფარბეცის ცნობებთან გვიჩვენებს, რომ IV ს. 70-იან წლებიდან დაწყებული, როდესაც ირანმა ფეხი შემოიღო ქართლში, მან ამ ქვეყანაში თანდათან სულ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწია და მოცემული პერიოდის დასასრულისათვის საკმაოდ მტკიცე მდგომარეობა მოიპოვა.

ამ შედარებიდან გამოიძრკვა, აგრეთვე, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიუხედავად თავის ცნობათა სიმცირისა, ზშირად უფრო სანდო წყაროს წარმოადგენს, ვიდრე „ქართლის ცხოვრება“, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელის ის ნაწილი, რომელიც ჯუანშერს მიეწერება.

⁹⁰ ჰროფ. ს. კაკაბაძის აზრით ბარზაბოდ პიტიახში იყო ირანის ჩრდილოეთ პროვინციების დიდი მარზპანი, პადოშპანი, რომელსაც ენორჩილებოდა ქართლის სამეფოც და რომელიც მარზპანის ტიტულით დაუნიშნავთ სომხეთის მმართველსაც სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ. ჰროფ. ს. კაკაბაძეს სახელი მარ-ზაბოდის (ბარზაბოდი) ნიანი შირ-შაპუჭის ქართულ გამოთქმად (იხ. მისი, ვახტანგ ვორგასალი, გვ. 12-13).

ბარზაბოდი ვერ იქნებოდა ირანის ჩრდილოეთი მხარის გამგებელი, რადგან, როგორც აღნიშნული გვაქვს, ირანის დაყოფა ოთხ საგამგელო ოლქად მოხდა ბევრად უფრო გვიან, ხოსრო ანუშირვანის დროს. არ არის დამაჯერებელი, აგრეთვე, შირ-შაპუჭისა და ბარზაბოდის სახელების გაიგივებაც (ნით უმეტეს, რომ მოვსეს ხორენაცის გადმოცემით სომხეთის მარზპანს ერქვა ვეჭ-შიჭრ-შაპუჭი).

წინა პარაგრაფში ჩვენ ვნახეთ, რომ IV ს. 70-იანი წლებიდან დაწყებული ირანი თანდათან ამტკიცებდა თავის პოზიციებს ამიერკავკასიაში. V ს. ოციანი წლების დასასრულისათვის ადგილობრივ ფეოდალურ ძალებზე დაყრდნობით ირანმა მოახერხა მეფობის მოსპობა სომხეთში. ამავე დროს ირანი ქართლისა და ალბანეთის საშინაო საქმეებშიც ახერხებდა ჩარევას, თუმცა ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებობდა ადგილობრივი ხელისუფლება.

V ს. ორმოციანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ირანისა და ამიერკავკასიის ქვეყნების (სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის) ურთიერთობის ისტორიაში. ამ დროიდან ირანმა დაიწყო ახალი, მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკის გატარება ამ ქვეყნებში. ამჟერად სპარსელთა მიზანი იყო სავსებით მოესპოთ ის შინაგანი დამოუკიდებლობა, რომელიც შერჩენოდა მის ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებს და გადაექციათ ისინი ირანის ჩვეულებრივ პროვინციებად. ამ მიზნის მისაღწევად სპარსელებმა გადაწყვიტეს ამ ქვეყნების სრული იზოლაცია არაირანულ სამყაროსაგან, მათი კულტურის მოსპობა და მოსახლეობის სრული ასიმილაცია.

სპარსელების ახალმა პოლიტიკამ განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიღო სომხეთში, სადაც 450—451 წლებში მოხდა ირანის წინააღმდეგ მიმართული აჯანყება. ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიის“ მეორე თავში აღწერილია ამ აჯანყების მსვლელობა. აქვე მოიპოვება საყურადღებო ცნობები იმდროინდელი ქართლის შესახებაც.

სომხეთის ამავე აჯანყებისადმი არის მიძღვნილი ელიშეს წიგნიც „ვარდანისა და სომეხთა ომის შესახებ“. ლაზარ ფარპეცისა და ელიშეს ცნობები კარგად ივსებენ ერთმანეთს. ეს ცნობები პირველ რიგში შეეხებიან სომხეთს, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ უფლება გვაქვს ისინი მეტ-ნაკლებად გავავრცელოთ ქართლზეც.

ირანის ახალი პოლიტიკის ინიციატორი, სულისჩამდგმელი და შემდეგში მთავარი გამტარებელი იყო იეზდიგერდ II-ის (438—457) მთავარი ვეზირი, სპარსეთის ჰაზარაპეტი, მიპრ-ნერსეჰი. სპარსელებს კარგად ჰქონდათ მოფიქრებული თავისი სამოქმედო გეგმა;

რომელსაც ისინი დიდი თანამიმდევრობითა და შეუპოვრობით ახორციელებდნენ.

სპარსელთა პოლიტიკა რამდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა. ეს იყო: 1. ახალი სახის მძიმე სამხედრო ბეგარის შემოღება; 2. ახალი საგადასახადო სისტემის შემოღება; 3. ირანის ქვეშევრდომ ამიერკავკასიის ქვეყნებში შინაგანი დამოუკიდებლობის სრული ლიკვიდაცია და 4. ქრისტიანული რელიგიის მაზდეანურით შეცვლა.

ყველა ეს პუნქტი მკიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და სპარსელებმა თითქმის ერთდროულად დაიწყეს მათი ცხოვრებაში ვატარება.

ელიშე გადმოგვცემს, რომ V ს. ორმოციანი წლების დასაწყისში შაჰმა ბრძანება დაუგზავნა თავის ქვეშევრდომ ქვეყნებს ცხენოსანი ჯარი შეეკრიბათ და გაეგზავნათ შუა აზიაში ქუშანებთან საბრძოლველად. ეს ბრძანება მიუღიათ სომხეთს, ქართლსა და ალბანეთშიც. „ჯარი შედგა დიდ სომხეთში აზატთა და აზატთა მვიღებისაგან, სამეფო სახლის ვოსტანიკ კაცთაგან. ამავე წესით ქართლის, ალბანეთისა და ლფნიქის ქვეყნებიდან...“⁹⁷.

ამიერკავკასიის ქვეყნებიდან სამხედრო ბეგარის მოსახდელად სპარსელების მიერ ჯარების გაყვანა ასეთ შორეულ მხარეში ახალი მოვლენა იყო. ელიშე წერს: „ასეთი სახის წერილი (იგულისხმება, ჯარის გამოყვანის მოთხოვნით, ლ. ჯ.) მოვიდა სომეხთა ქვეყანაში, ქართლში, ალბანეთში, ლფნიქში, წოდელიქში, კორდუქში, ალძნიქსა და სხვა შორეულ ადგილებში, რომელთაც წინათ არ ჰქონიათ ჩვეულება ამ გზით წასულიყვნენ“-ლ⁹⁸.

ეს ახალი მოთხოვნა ირანის სომხეთს, ქართლსა და ალბანეთზე ბატონობის განმტკიცების გამოხატულებას წარმოადგენდა. იგი პირველი პუნქტი იყო ირანელთა ახალი სამოქმედო გეგმისა. თუ რაოდენ მძიმე იყო ეს მოვალეობა, ჩანს იქიდანაც, რომ იეზიდგერდა გაწვეულ მხედრობას ყოველ წელს აბრუნებდა თავ-თავის ქვეყანაში და მათ მაგივრად ახალ ძალებს ითხოვდა. შუა აზიაში ირანი სიხლისმღვრელ ომებს აწარმოებდა ქუშანებთან და, როგორც ჩანს, შაჰი იძულებული იყო ყოველ წელს ახალ-ახალი ნაწილებით შეეევსო თავისი ჯარი.

⁹⁷ სიქიქი ქაან ქარქაინაჲ ს ჯაიყ აყათხრადქს, სქსიან, 1938, გვ. 10.

⁹⁸ იქვე.

ელიშეს გადმოცემით, სომხეთიდან, ქართლიდან და ალბანეთიდან სპარსელებს ასეთ შორეულ ლაშქრობებში ჯარები გაჰყავდათ „...მეოთხე წლიდან უფლობისა მისისა (იეზდიგერდ II-ისა, ლ. ჯ.), ვიდრე მეთერთმეტე წლამდე მისი მეფობისა“⁹⁹, ე. ი. 441—442 წლიდან 448—449 წლამდე.

ამიერკავკასიიდან ჯარების ასეთ შორეულ მხარეებში გაყვანას ის მიზანიც ჰქონდა, რომ მათი წარმგზავნელი ქვეყნები სუსტდებოდნენ და სპარსელებიც უფრო გულუშიშრად გრძნობდნენ თავს დამცველების გარეშე დარჩენილ ქვეყნებში. ამავე დროს, სპარსელებს უადვილდებოდათ თავისი გავლენის გავრცელება (მაგალითად, მახლანობის შეტანა) სამშობლოს მოწყვეტილ ჯარებში.

მართლაც, სპარსელებმა მშვენივრად ისარგებლეს ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობით.

იეზდიგერდმა „თავისი მეფობის მეთორმეტე წლის დასაწყისში (ე. ი. 449 წელს, ლ. ჯ.) ჯარი შეკრიბა ურიცხვი სიმრავლით“¹⁰⁰, კაილაშქრა ქუშანებზე, გაფანტა მათი ჯარები და აათხრა მათი ქვეყანა. მიუხედავად მობოვებულ გამარჯვებისა შაჰმა შინ არ გაუშვა ამიერკავკასიის ქვეყნებიდან გაწვეული ჯარები. „მან ჩაეკეტა პაჰის“¹⁰¹ კარებს იქით სიმრავლე ცხენოსნებისა სომეხთა, ქართველთა, ალბანთა და ყოველთა, რომელნიც მორწმუნენი იყვნენ ქრისტეს წმინდა სახარებისა. კარის დამცველებს მკაცრი ბრძანება მისცეს, თუ ვინმე ჩვენკენ მოდიოდეს, გაუშვით, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ეს გზა გაუვლელი იყოს“-ო“¹⁰².

ახლა სპარსელებმა თავისი პროგრამის მეორე პუნქტის განხორციელება დაიწყეს: შაჰმა სომხეთში გამოგზავნა თავისი ერთ-ერთი დაახლოებული და სანდო მოხელე დენშაპუპი, რომელმაც, ვითომცდა ხარკისა და სამსუდრო ბეგარის შესამსუბუქებლად, აღწერა ქვეყანა. მაგრამ მალე გამომჟღავნდა აღწერის ნამდვილი მიზნები, რადგანაც მის შემდეგ დენშაპუპმა რამდენიმე დღიად მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა:

⁹⁹ ს ი ქ ე, გვ. 12.

¹⁰⁰ ი ქ ვე, გვ. 18.

¹⁰¹ ეს გასასვლელი, როგორც ხანს, მდებარეობდა ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შუა აზიელ ქუშანების მახლობლად. ხუსტად მისი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის.

¹⁰² ს ი ქ ე, გვ. 19.

„პირველი, ეკლესიის თავისუფლება მსახურებით შეცვალა;
მეორე, მონასტრებში მცხოვრები ქრისტიანი ბერები იმავე
ქვეყნის აღწერის წიგნში შეიტანა;

მესამე, ქვეყნის ხარკი უფრო დაამძიმა;

მეოთხე, ნახარხები წაქეზებით ერთმანეთზე აამხედრა და ყო-
ველ სახლში აღრევა შეიტანა...

მაგრამ ყველაზე უარესი იყო მეხუთე: ის, ვინც ქვეყნის პა-
ზარაპეტი იყო, ქრისტიან ერისგანთა ზედამხედველ მამად ითვლე-
ბოდა. [დენშაპუჰმა] ცილი დასწამა მას და მისი სახელოდან გადააქე-
ნა. მის მაგივრად ამ ქვეყანაში სპარსელი მოიყვანა, ხოლო მოგპეტი
ქვეყნის მსაჯულად [დანიშნა], რათა დაემცრო ეკლესიის დიდე-
ბა“¹⁰³.

ელიშეს ცნობებიდან ირკვევა, რომ დენშაპუჰის მიერ სომხეთის
აღწერას ამ ქვეყანაში ახალი საგადასახადო სისტემის შემოღება მოჰ-
ყოლია. სპარსელებს გადამხდელთა კატეგორიაში ქრისტიანული ეკ-
ლესიაც შეუყვანიათ და, ბერებიდან დაწყებული ეპისკოპოსების ჩათ-
ვლით, ყველასათვის გადასახადები დაუკისრებიათ. ამავე დროს მათ
დიდად გაუზრდიათ ქვეყნის ხარკი. ელიშე გადმოგვცემს: „სადაც ასი
დაპეკანის აღება იყო საჭირო, ორმაგს იღებდნენ. ასევე ეპისკოპოსე-
ბსა და მღვდლებსაც დაადეს [გადასახადი]. [პბეგრავდნენ] არა მარტო
ნაშენებს, არამედ ნაონხარებსაც. და ვინ შესძლებს მოთხრობას, თუ
რამდენად მძიმე იყო „მუტ“, „საკ“, „ბაუ“ და „პას“-ი მათათა, ველთა
და ტყეთაგან. არა მეფური ღირსებისამებრ იქმოდნენ ამას, არამედ
ყაჩაღური ძარცვა-გლეჯით, ისე რომ თვითონაც კი დიდად უკვირდათ.
საიდან მოდის მთელი ეს განძი, ან როგორ არის კიდევ ეს ქვეყანა
შენებულის“¹⁰⁴.

ახლა გასაგები ხდება იეზიდგერდის წინდახედულობა, შუა აზი-
აში ჩაეკეტა ამიერკავკასიის ჯარები.

დენშაპუჰის საქმიანობაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
ავრეთვე, სომხეთის პაზარაპეტად და უმაღლეს მსაჯულად სპარსე-
ლების დანიშვნას. ელიშეს სწორად აქვს შინიშნული, რომ ეს უკა-
ნასკნელი პუნქტი ყველაზე უფრო მძიმე იყო სანახარხო სომხეთი-
სათვის.

¹⁰³ ს. გ. ქ. გვ. 22—23.

¹⁰⁴ ი. ქ. გვ. 23.

როგორც ცნობილია. იმდროინდელი სომხეთის-გაბატონებულის, ფეოდალური კლასის ყველა უფლება და მოვალეობა განსაზღვრული იყო სპეციალური კარის გარიგების წიგნებით—გაპნაშაკებითა და ტრადიციით. უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები შემკვიდრებით გადადიოდა უდიდეს სახანაარო სახლებში. პაზარპეტობა იყო ყველაზე დიდი ასეთი თანამდებობა, რომელიც ეკუთვნოდა ამატუნების გვარს. პაზარპეტი განაგებდა ქვეყნის მთელ შინაგან საქმეებს: სახელმწიფო შემოსავალ-გასაფასს, მშენებლობას, ყოველგვარ სამუშაოებსა და სხვ. რადგან დენშაბუპის მიერ ქვეყნის აღწერის მთავარი მიზანი იყო ხარკის გადიდება, ხოლო მარშპანობის დროს ხარკის აკრეფა პაზარპეტის უმოფერეს მოვალეობას შეადგენდა. დენშაბუპმა, ბუნებრივია, ეს დიდი სახელო ჩამოართვა სომეხ ხანა-რარებს და გადასცა უფრო სანდო პირს—სპარსელ მუშქანს, მაგრამ პაზარპეტობა არ იყო გამოხატული. ასევე იქცეოდნენ სპარსელები სხვა თანამდებობების მიმართაც და საერთოდ ყველა საშუალებით ცდილობდნენ დაერღვიათ ქვეყნის მართველობის ადგილობრივი ფორმები და ტრადიციები, სპობდნენ ადგილობრივ ხელოსუფლებას, ამცრობდნენ წარჩინებულ გვარებს და აწინაურებდნენ მეორეხარისხოვანებს.

დაბოლოს, როგორც ვნახეთ, მათ უმაღლესი მსაჯულს ფუნქციონებო, რომლებიც ეკუთვნოდა სომხეთის კათალიკოსს, გადასცეს მოცუპეტს, სომხეთში მყოფი მოგვების თავს. უნდა ითქვას, რომ უმაღლესი მსაჯულის ფუნქციაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გარდა იმისა, რომ უმაღლეს მსაჯულზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმდროინდელი სამართალი მნიშვნელოვან წილად დაფუძნებული იყო რჯულზე. მახდებლობა კი იმდენად განსხვავდებოდა ქრისტიანობიდან თავისი მორალური ნორმებით, რომ სპარსელი მართლმსაჯულების შემოღებას (ეს კი უთუოდ მოყვებოდა მოგებებისთვის უმაღლესი მსაჯულის ფუნქციების გადაცემას) თანდათან უნდა გამოეწვია აულტერისა და ყოფის მნიშვნელოვანი ელემენტების შეცვლა.

ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ცნობები იმას შესახებ, თუ როგორი გადასახადები დააკასრეს სპარსელებმა ქართლს. არც ის ვიცით, რა ცვლილებები შეიტანეს მათ ქართლის შინაგან ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ჩვენ ვნახეთ, რომ სპარსელებმა სომხეთსა და ქართლში ერთნაირი სამხედრო ბეგარა შემოიღეს. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ,

რომ მათ ასეთივე ერთნაირი სარწმუნოებრივი პოლიტიკა უწარმოებიათ ამ ქვეყნებში. ეს გვაფიქრებინებს, რომ ირანი საერთოდ ერთნაირ პოლიტიკას ატარებდა სომხეთსა და ქართლში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ელიშეს ზემომოტანილი ცნობები მეტ-ნაკლებად ქართლსაც შეეხება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებს თავისი სპეციფიკა არ ჰქონდათ. სხვა რომ არა იყოს რა, ქართლში, როგორც ვიცით, ისევე როგორც ალბანეთში, ჯერ კიდევ არსებობდა ადგილობრივი ხელისუფლება და სპარსელებს, უთუოდ უხდებოდათ ანგარიშის გაწევა ამ გარემოებისთვის. საინტერესოა, რომ თვით ელიშეს შენიშვნით, იეზდიგერდ II „თუმცა ამ უწესობას ყველა ხალხს უკეთებდა, მაგრამ უფრო მეტად მაინც სომეხთა ქვეყანას ებრძოდა“¹⁰⁵.

გაღამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადეს სპარსელებმა ქრისტიანულ ეკლესიასაც, რომელზედაც პირველი იერიში მათ იეზდიგერდ II-ის მეფობის დასაწყისშივე მიიტანეს (თუმცა, როგორც აღნიშნული გვქონდა, უკვე ოცდაათიან წლებში ირანელები ერეოდნენ სომხეთის ქრისტიანული ეკლესიის საშინაო საქმეებში). ელიშეს სიტყვით „ღვთისმსახურება სომეხთა ქვეყანაში თავისუფალი ნებით სრულდებოდა მეფეთა მეფის შაჰუჰის ბატონობის დასაწყისიდან, ვიდრე მეფეთა მეფე იაზკერტის, ვრამის ძის, მეორე წლამდე... მან თავი მტრად და მოწინააღმდეგედ გამოგვიცხადა ჩვენ, ქრისტეს მოწმუნეთ, გვავიწროვებდა და ძალას გვატანდა არამშვიდობიანი ცხოვრებით“¹⁰⁶.

ცნობილია, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რელიგიურ საკითხებს შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით კი აღრეულ შუა საუკუნეებში, როდესაც რელიგია მხოლოდ მსოფლგაგებას კი არ წარმოადგენდა, არამედ მასზე მნიშვნელოვან წილად დაფუძნებული იყო გონითი კულტურა და ერთგვარად ყოფაც კი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა რელიგიური მომენტი მოცემულ ხანაში ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის. რადგან აქ იგი დაკავშირებული იყო ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხთანაც. ბიზანტია ირანის მუდმივი მოჭიშპე იყო და ამიტომ ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ მისი აშკარა თუ ფარული მხარდაჭერით სარგებლობდა. რელიგიის ერთიანობა, ცხადია, აადვილებ-

¹⁰⁵ ხ. ი. ბ. კ., გვ. 16.

¹⁰⁶ ი. ქ. ვ., გვ. 6.

და ამ ხალხების კავშირს ბიზანტიელებთან. ამავე დროს იგი აღვი-
ლებდა ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის შენარჩუნება-
საც, რასაც აგრეთვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ხალხებისთვის.

ყოველივე ეს მშვენივრად ესმოდათ სპარსელებსაც. ლაზარ ფარ-
პეცის გადმოცემით. როდესაც ჰაზარაპეტი მიჰრნერსეჰი წარუდგა
მეფე იეზდიგერდს ქართლს, სომხეთსა და ალბანეთში ქრისტიანობის
მოსპობისა და მანდეანობის გავრცელების გეგმით, იგი მოახსენებ-
და შაჰს: „თქვენ თითონაც იცით და ყოველმა არიელმა, თუ რაოდენ
დიდია და სასარგებლო სომეხთა ქვეყანა. [ამასთან] იგი მახლობელია
და მოსაზღვრე კეისრის სამეფოსი, ხოლო რჯული და მსახურება კი
რსეთივე აქვს, რადგანაც კეისარს უბყრია მათი მეფობა (აქ იგულის-
ხმება სომხეთის დასავლეთი ნაწილი, რომელიც ბიზანტიის სამფლო-
ბელოებში შედიოდა, ლ. ჯ.). ხოლო თუ ჩვენს რჯულს მიაჩვევთ, და-
უაბლოვდებიან მას და შეძლებენ მის ცნობას, აქამდე თუ შემცდარი
იყვნენ, ახლა [სწორ] გზას დაადგებიან, შემდეგ თქვენც შევიყვარე-
ბენ და არიელთა ქვეყნისაც... კეისარს, მის რჯულსა და ქვეყანას კი
განუდგებიან და გახმორდებიან. ხოლო ჩვენთას ეგ ქვეყანა მტკიცე
სიყვარულითა და თანხრობით იქნება“-ო¹⁰⁷.

ქრისტიანობის აღმთღხვრასა და მანდეანობის გავრცელებას
სპარსელები განსაკუთრებული ენერგიით შეუდგნენ 40-იანი წლების
დასასრულს, თუმცა იეზდიგერდმა ბრძოლა ამ რელიგიას თავისი გა-
მეფების მეორე წლიდანვე გამოუცხადა, როგორც ეს უკვე გვქონდა
აღნიშნული. ელიშეს გადმოცემით მაშინ შაჰი ბევრს ეცადა მანდე-
ანობა გაევრცელებინა ამიერკავკასიიდან გაწვეულ ჯარებში, რომ-
ლებიც შუა აზიაში იბრძოდნენ, მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰ-
ყოლია.

ამჯერად იერიში მიტანილ აქნა პარტაპირ სომხეთზე. შემოთ
ჩვენ მოვიყვანეთ სიტყვები ჰაზარაპეტი მიჰრნერსეჰისა, რომელიც
არწმუნებდა შაჰს, თუ სომხები ქრისტიანობას მიატოვებენ და ჩვენს
რჯულს აღიარებენ, ბერძნებსაც ჩამოშორდებიან და ჩვენც შეგვი-
ყვარებენო. „ხოლო, როდესაც სომხეთი მტკიცედ იქნება ჩვენი, მა-
შინ სწორედ ქართლიცა და ალბანეთიც ჩვენი იქნებიან“-ო¹⁰⁸,—დას-
ძენდა იგი.

¹⁰⁷ ე. ფ., გვ. 42—43.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 43.

ელიშესა და ლაზარ ფარპეცის ერთობლივი მოწმობით სპარსელებს წერილი მიუწერიათ სომხეთში, რომლითაც მოითხოვდნენ სომხებისაგან უარეყოთ ქრისტიანობა და მიეღოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა. ეს წერილი ორივე ისტორიკოსის გადმოცემაში საკმაოდ განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ლაზარის მიერ მოყვანილი წერილის შინაარსი უფრო მოკლეა და მარტივი. იგი უფრო სარწმუნოა ჩანს, ვიდრე ელიშესი. საინტერესოა, რომ ლაზარის სიტყვით იეზუდიგერდი ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღების მოთხოვნის შემდეგ სომხებს სწერს: „როდესაც თქვენც ჩვენსავით ცნობთ ჩვენს ჭეშმარიტ რაჯულს, ქართლი და ალბანეთი ჩვენი და თქვენი ნების იქით გადასვლას ვერ გაბედავენ“-ო¹⁰⁹. მართალია, ეს ფრაზა ელიშეს მოყვანილი არა აქვს, მაგრამ იგი სავსებით შეეფერება იოანის პოლიტიკის საერთო ხასიათს და ამიტომ საკმაოდ სარწმუნოდ გამოიყურება. მაზდეანობის მიღების შემთხვევაში იეზუდიგერდი სომხებს ჰპირდება რაღაც უპირატესობებს ქართველებსა და ალბანელებთან შედარებით. ცხადია, ეს დაპირება მაზნად ისახავდა ვანხეთქილების შეტანას ამიერკავკასიის ხალხებში. ჩანს, სპარსელები სომხეთში, რომელშიც მათ უკვე მოესპოთ მეფობა და თავს უფრო თავისუფლად გრძნობდნენ, აპირებდნენ ერთგვარი ფორპოსტი მოეწყოთ ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ სომხებმა არ ისურვეს ამ ოოლის შესრულება და უარი შეუთვალეს იოანის შაჰს.

სომხების უარს დიდად განურისხებია შაჰი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ სპარსელთა აზრით, როგორც მიჰრ-ნერსეჰი ამბობდა, სომხებს რომ სხვა მხრიდან დახმარების იმედი არ ჰქონოდათ, უარის თქმას გულშიაც ვერ გაიფლებდნენ, არა თუ მოწერას გაბედავდნენო¹¹⁰.

ასლა იეზუდიგერდმა თავი გაანება ყოველგვარ დიპლომატიას და ბრძანა პირდაპირ მიეწერათ სომხეთს, ქართლსა და ალბანეთში, რათა ამ ქვეყნის თავკაცები სასწრაფოდ გამოცხადებულიყვნენ მასთან. დაგვიანებისათვის იგი სიკვდილით იმუქრებოდა. შაჰის ბრძანების მისვლისთანავე ამ ქვეყნებში, მაშინვე მიმხვდარან, რომ იგი კარგს არაფერს უქადდა მათ. სასწრაფოდ შეკრიკები უფრენიათ ერთმანეთთან, რათა მოელაპარაკათ წასვლა-არ-წასვლის საკითხზე.

¹⁰⁹ ი. ფ., გვ. 44.

¹¹⁰ იქვე, გვ. 45.

როგორც ჩანს, ცნობილი იყო რა მოთხოვნები ელოდათ სამეფო კარზე ჩასულებს. დიდი ყოყმანის შემდეგ სამივე ქვეყნის დიდებულებს უმჯობესად მიუჩნევიათ წასვლა, რადგან ეწინააღმდეგებოდათ, რომ არ-წასვლას აჯანყებად ჩაუთვლიდნენ. მაგრამ ერთმანეთისთვის პირობა მიუცვიათ, არ დათანხმებულობდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებას. ლაზარ ფარპეცის საოითაოდ დასახელებული პყავს სომხეთიდან წასული დიდებულები. ქართლიდან წასულოავან კი იგი მხოლოდ არ-შუშა პიტიახშს ახსენებს¹¹¹: „ქართველთა ქვეყნიდან წააციდნენ მღვწიბი აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“-ო¹¹², ამბობს იგი.

შაჰის კარზე ჩასულთა შიში გამართლდა. იეზდიგერდმა გამოიღწახა ისინი თავისთან სამეფო საკრებულოს წინაშე და კატეგორიულად მოსთხოვა მაზდევანობის მიღება. „ხოლო თუ რასმე სხვანაირად ფიქრობთ და ნამდვილად ჭიუტად დაიყინებთ იმ აზრსა და მცდარ ოჯულს, რომლითაც აქამდის ცხოვრობდით სომეხნი, ქართველნი და ალბანელნი, არაფრად ჩაგიტვლით თქვენგან ამოდენა სარგებლობასა და გარჯას, არამედ ცოლშვილითა და გვარიითურთ დაგლუბაუთ“-ო¹¹³. სამაგიეროდ, თუ ისინი შაჰის წინადადებას მიიღებდნენ, იგი ყოველგვარ დიდებასა და პატივს აღუთქვამდა მათ.

შაჰის მუქარით შეძრწუნებულმა ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის წარმომადგენლებმა ითხოვეს დრო პასუხის მოსაფიქრებლად. ისინი ერთად შეიკრიბნენ და ცდილობდნენ რაიმე გამოსავალი მოეძებნათ ამ ვასაჭირადან. საბოლოოდ იმ აზრს დაადგინენ, რომ გარეგნულად მიეღოთ მაზდევანობა, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისევე ქრისტიანობას მიბრუნებოდნენ. მხოლოდ სომხეთის სპარაპეტი ვარდან მამიკონიანი გაჯიუტებულა და კარგა ჩანს არ თანხმდებოდა. თუნდაც გარეგნულად უარყო ქრისტიანობა. ბევრი ხვეწნა-მუდარა და დარწმუნება დასჭირვებიათ სომეხ დიდებულებს. თათა დაეყოლიებინათ ვარდანი.

¹¹¹ მ. ბრუსეს მიჩნდა, რომ არშუშასთან ერთად ქართლიდან წავიდა ვარსკენიც, რომელმაც 451 წ. უარყო ქრისტიანობა და 458 წ. აწამა თავისი ცოლი შეშანიკო (Additions et Eclaircissements à l'Histoire de la Géorgie, St.-Petersbourg, 1851. გვ. 74—76). როგორც დღეს კარგად არის გამოჩვენული, ვარსკენის მოღვაწეობა უფრო გვიანდელ ეპოქას განეკუთვნება.

¹¹² ვ. ფ., გვ. 47.

¹¹³ იქვე. გვ. 48.

ჩვენს ყურადღებას აბყრობს ის გარემოება, რომ განსაკუთრებული აქტივობა ამ მხრივ გამოუჩენია არშუშა პიტიახშს, რომელიც აჩქარებდა ამ საქმეში სომეხ ნახარარებს და თითონაც ცდილობდა დაერწმუნებინა ვარდანი: „მათ ყველას დაბეჯითებით და დაუცხრომლოდ აჩქარებდა ამავე აზრზე [დადგომას] ქართლის ბღეშხი აშუშა, რომელიც იყო ჰკვიანი და გამომრჩეველი კაცი. მისი ცოლი იყო არწრუნთა გვარიდან, ცოლისდა მამიკონიანთა დიდი სეპუჰის, ვარდანის ძმისა. ზემოთ მოხსენებულ არშუშა უმეტესად არწმუნებდა სომეხ ნახარართა მთელ სიმრავლესა და მოკთა უფალ არტაკს დაუყოვნებლივ ეთქვათ ყოველივე ეს სომეხთა ზორავარ ვარდანისთვის. არც თითონ იხევდა უკან მასთან ამაზე საუბრისაგან. განუწყვეტლად სთხოვდა და ხშირად ახილებდა ამ საქმეში, თუ შენ არ დაგვეთანხმები, სამივე ქვეყანა დაიღუპება, ხოლო თუ დაგვეთანხმები და ამას თავს იღებ, მრავალი გადარჩება და საკუთარი ცოდვების მონანიების უფლებაც მოგვეცემაო“¹¹⁴.

როგორც ვხედავთ, ქართლის დიდებულების მეთაური არშუშა პიტიახში საკმაოდ ადვილად დათანხმებულა შაჰის მოთხოვნაზე. უფრო მეტიც. იგი სხვებსაც არწმუნებდა დაუყოვნებლივ მიებაძათ მისი მაგალითისათვის. რით იყო ეს გამოწვეული? როგორც ქვემოთ დავინახავთ, ირანის წინააღმდეგ აჯანყებაში არშუშას მონაწილეობა არ მიუღია (და ვერც მიიღებდა, რადგან მძევლად იყო დატოვებული სპარსეთში) და ამ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ შაჰს იგი თავის ერთგულ და საყვარელ კაცად მიაჩნდა. მაგრამ აქედან ჩვენ ის დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, რომ არშუშა მართლაც სპარსელთა ერთგული კაცი იყო, თავგადამკვდარი ირანოფილი და ირანელთა პოლიტიკის გამტარებელი ქართლში.

ნიშანდობლივია, რომ, როდესაც სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის დიდებულებმა ბოლოს და ბოლოს მიიღეს შაჰის მოთხოვნა და სამშობლოში გამოემგზავრნენ, შაჰმა არშუშა მძევლად დაიტოვა თავისთან სომხეთის მარზპან ვასაკ სივნიელის ორ შვილთან ერთად: „რადგან მომავალში ხედავდა საქმეთა გაურკვევლობას, ეტეობდა და ფრთხილობდა“-ო¹¹⁵; — ამბობს ლაზარი.

¹¹⁴ ი. ფ., გვ. 52.

¹¹⁵ იქვე, გვ. 55.

როგორც ჩანს, არშუშა მთლად სანდო პირი არ ყოფილა შაჰრ-სთვის¹¹⁶. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სომეხ აჯანყებულთა წრეში იგი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. მას ჰკვიან და გამოცდილ კაცად მიიჩნევდნენ, რჩევას ეკითხებოდნენ და ყურს უგდებდნენ. თავის მხრივ არშუშაც, ჩანს, სიმბათიით იყო განწყობილი მათ მიმართ. აჯანყების დამარცხების შემდეგ მას თავისთან წაუყვანია და აღუზარდია აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის, თავისი ქვისლის, ჰშიაიკ მამიკონიანის, სამი ვაჟი.

არშუშას, ეტყობა, საერთოდ კარგად იცნობდნენ სომხეთში. იგი მოხსენებულნი ჰყავს კორიუნსაც როგორც „კაცი პატიოსანი და ღმრთისმოყვარე“¹¹⁷. კორიუნის მიხედვით არშუშა მშობლიური კულტურის განვითარების თავდადებული მოღვაწე ყოფილა. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, ის, რომ არშუშას სახელი გაუთქვამს ქრისტიანული ეკლესიისათვის სასარგებლო საქმიანობითაც¹¹⁸. იაკობ ხუცესის გადმოცემით შუშანიკს თავისი ქმრისთვის, არშუშას შვილისთვის, ასე უსაყვედურებია ქრისტიანობის უარყოფის გამო: „...მამამან შენმან აღჰმართნა სამარტულენი და ეკლესიანი აღამშენნა, და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქვიენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თვსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ; მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ქეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის ეც“¹¹⁹.

¹¹⁶ შდრ. კ. გრიგოლია, V—VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები და მათი სახელის საკითხისათვის, „მნათობი“, 1959, № 4, გვ. 168.

¹¹⁷ სიქიანი, გვ. 72, 74. კორიუნის სიტყვებიდან ირკვევა, რომ მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლის დროს, ე. ი. V ს. ოციან წლების შუა ხანებში, ქართლში არჩილის მეფობის დროს, ტაშირელთა მთავარს (იშხანს) აშუშა ერქვა. თუ გავითვალისწინებთ ტაშირის მდებარეობას — ქვემო ქართლი, იმას რომ სახელი არშუშა ქართლის პიტიახშების საგვარეულოში საყვარელი სახელი იყო, და ზოგიერთ სხვა მომენტებსაც, რომლებზედაც ქვემოთ მოგვინდება დაბარაკი, შეგვიძლია მივიღოთ, რომ კორიუნის აშუშა და დაზართან მოხსენებულნი ქართლის პიტიახში აშუშა ერთი და იგივე პირია.

¹¹⁸ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრომი, გვ. 168—169.

¹¹⁹ იაკობ ცუოტაველი, მარტულობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები განოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საივებელი დაურთო ილია აბულაძემ, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1938, გვ. 13.

როგორც ვხედავთ, არშუშა ქართლში ეკლესიებს აშენებს და ქართული კულტურისთვის იღწვის, ირანში კი ქრისტიანობას უარყოფს და სხვებსაც არწმუნებს—ასე სჯობს მოვიქცეთო. არშუშას ასეთი პოლიტიკური გაორება, ჩვენი აზრით, ზოგადად გამოჰნატავდა ქართლის წარჩინებულთა განწყობილებას.

როგორც ცნობილია, იმდროინდელი ქართლი სოციალური განვითარების თვალსაზრისით გარდამავალ საფეხურზე იმყოფებოდა. ახალგაზრდა მზარდმა ფეოდალურმა ძალებმა, რომელთაც თავისი ადგილი საზოგადოებაში უკვე IV საუკუნიდან მოიპოვეს, ამ დროისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ახლა ისინი ქვეყანაში ერთ-ერთ უმთავრეს წამყვან ძალას წარმოადგენდნენ და აშკარად აცხადებდნენ პრეტენზიებს პირველობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართლაც, შორს აღარ იყო მათი საბოლოო გამარჯვების დღეც. დაირღვა თავდაპირველი კავშირი ფეოდალებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, რომელიც გაპირობებული იყო სატაძრო მამულების ხელში ჩაგდების მიზნით წარმართობასთან ბრძოლის საერთო ინტერესებით. ახლა ეს კავშირი შეცვალა კონფლიქტმა იმავე ახალგაზრდა ფეოდალურ ძალებსა და სამეფო ხელისუფლებას შორის. ცენტრალური ხელისუფლება, მეფე, ძველი ტრადიციის თანახმად მთელი სახელმწიფოს მიწა-წყალს სამეფო სახლის საკუთრებად მიიჩნევდა. სინამდვილეში არსებობდა მიწა-ამფლობელობის სხვა ფორმებიც (სათემო, წვრილი კერძო და ადრინდელ-ფეოდალური), რომლებიც არ ურიგდებოდნენ ამ შეხედულებას.

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას სამეფო ხელისუფლებას უწევდნენ ფეოდალური ელემენტები. მოცემულ პერიოდში ისინი იბრძოდნენ, რათა მემკვიდრეობითად ექციათ მიწები, თანამდებობები და პრივილეგიები, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ ფაქტიურად. თავის ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებასთან ქართლის ადრე-ფეოდალური ძალები დასაყრდენს პოულობდნენ ირანელებში, რომლებიც მათ ჰპირდებოდნენ იმას, რაზედაც უარს ეუბნებოდა ქართლის მეფე.

თავის დროზე ასეთივე კავშირი დამყარდა სომეხ ფეოდალებსა და ირანულ ხელისუფლებას შორის. ამ კავშირს მოჰყვა მეფობის გაუქმება სომხეთში, სამაგიეროდ სომეხმა ნახარარებმა თავისი გასამრჯელო მიიღეს. ზემოთ ჩვენ მოყვანილი გვაქვს ელიშეს სიტ-

ყველი, რომლის თანახმადაც სომხეთში მეფობის მოსპობის შემდეგ „მეფობა ხელთ ჩაუვარდა სომეხ ნახარარებს“. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნახარარებმა თავისი სანუკვარი პრივილეგიები დაამტკიცა. სპარსელებთან კავშირმა, ცხადია, დაჰკარგა თავისი ძველი მიმზიდველობა მათთვის. ასევე შეუწეულათ ინტერესი ამ კავშირის მიმართ სპარსელებსაც, როდესაც მათ თავის მიზანს მიაღწიეს—მოსპეს მეფობა სომხეთში. მალე ამის შემდეგ სპარსელებმა გამოამყლავნეს თავისი ნამდვილი ზრახვები. როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ თავისი ძველი მოკავშირეებიც არ დაინდეს და ძალზედ შეავიწროვეს უფლებებში სომეხი ნახარარები. ამავე დროს მათ უზარმაზარი ხარკი დააკისრეს სომხეთს.

ქართლის ფეოდალები კარგად ხედავდნენ ყოველივე ამას. თუ ერთის მხრივ, მათ თავისკენ იზიდავდა სპარსელებთან კავშირი, როგორც დასაყრდენი ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მეორე მხრივ, მათ თვალწინ ედგათ სომხეთის მაგალითი და ისინი თვალნათლივ ხედავდნენ, რაც მოჰყვებოდა ამ კავშირს. საბოლოოდ ქართლის ფეოდალები მაინც თავიანთ კლასობრივ ინტერესებს დამორჩილდნენ და სპარსელებთან კავშირი ირჩიეს. სხვათა შორის, ეს ევოლუცია კარგად ჩანს იმავე ქართლის პიტიახშების მაგალითზე. ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ არშუშა პიტიახშს ჯერ კიდევ არ ეჭირა სავსებით ვარკვეული პოზიცია სპარსელების მიმართ. მისი საქმიანობა ხან მათს სასარგებლოდ იყო მიმართული და ხან საწინააღმდეგოდ. სამეგვიეროდ, მისი შვილი ვარსჰენი უკვე აშკარად იყო ირანული პოლიტიკის გამტარებელი ქართლში და მოწინააღმდეგე სპარსელებთან თავდადებული მეზობლის, ვახტანგ გორგასლისა.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის დიდებულები შაჰის კარზე იმყოფებოდნენ, არშუშა პიტიახში და მასთან ერთად ქართლის წარჩინებულები, როგორც ჩანს, ერთგვარად მერყევ პოზიციაზე იდგნენ და შაჰის მოთხოვნას ნაკლები წინააღმდეგობა გაუწიეს. გარდა ზემომოყვანილი მიზეზისა, ამაში ვარკვეული როლი უთუოდ შეასრულა შემდეგმა გარემოებამაც: თუმცა სომხეთსა და ქართლში საერთო ვითარება დაახლოებით ერთნაირი იყო, მაგრამ სომხეთი, უეჭველად, უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე ქართლი. შაჰის მოთხოვნა უფრო მწკავე იქნებოდა სომხებისათვის, რადგანაც ქრისტიანობაზე უარის თქმა მათთვის

ნიშნავდა უარის თქმას საკუთარი კულტურის ერთ-ერთ უკანასკნელ საყრდენზე. ქართლის მდგომარეობა კი რამდენადმე უკეთესი იყო და ქართლის დიდებულები უფრო ადვილად შეხვდებოდნენ სპარსელთა მოთხოვნას.

როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის დიდებულებს გადაუწყვეტიათ ცეცხლთაყვანისმცემლობა გარეგნულად მიელოთ და, როგორც კი სამშვიდობოს იგრძნობდნენ თავს, ძველ სარწმუნოებას მიბრუნებოდნენ. ამაზე მათ ერთმანეთისთვის ფიციც მიუციათ. ამის შემდეგ მათ ვარდან მამიკონიანიც შეუერთდა. იმთავითვე გამომჟღავნებულა, რომ შეთქმულთა ერთიანობა არ იყო მთლად მტკიცე, რადგან, როგორც ლაზარ ფარბეცი გადმოგვცემს, ზოგიერთი მათგანი სპარსელთა ერთგულებას აპირებდა, რადგან „თუმცა კი იცოდნენ, რომ ახლა ისე ეცემოდნენ, რომ ველარ აღგებოდნენ, მაინც ამქვეყნიურ დიდებათა წადილის გამო, გაცვილეს ღმრთის უცვლელი დიდება ხრწნადსა და წარმავალ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე“¹²⁰.

სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის დიდებულების თავის ნებაზე დაყოლიებას სპარსელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ლაზარ ფარბეცის გადმოცემით მათ თავიანთი ღმერთებისთვის მრავალი მსხვერპლი შეუწირავთ და „დიდი მზიარულებით ილხენდნენ იმ დღეს, რადგანაც იგი მიაჩნდათ თავიანთი სამეფოს ურყევი სიმტკიცის დღედ, შემდგომში ყველა მტრისაგან უშიშარი და მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისად“¹²¹. ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულები სპარსელებს დიდად დაუსაჩუქრებიათ: „სამივე ქვეყნის. სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ტანუტერებსა და სეპუტებს ჩააცვეს სამეფო სამოსელი და შეამკვეს. ყველანი აავსეს სხვა მრავალი და სხვადასხვანაირი საჩუქრებითა და პატივით, სოფლებითა და აგარაკებით, ყოველი მათგანის საჭიროებისამებრ“¹²².

იეზდიგერდმა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მძევლებად დაიტოვა სომხეთის მარზპანის ვასაკ სივნიელის შვილები და არშუშა ქართლის პიტიახში, დანარჩენები კი შინ გაისტუმრა. გზაში სამივე ქვეყნის თავკაცებმა კიდევ მრავალჯერ განამტკიცეს ერთმანეთისთვის მიცემული ფიცი. განშორებისას, როდესაც ისინი თავ-თავიანთ

¹²⁰ ი. ფ., გვ. 53—54.

¹²¹ ი ქვე, გვ. 54.

¹²² ი ქვე.

ქვეყნებს მიუბრუნდნენ, მათ პირობა დადევს მუდმივი კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან და დროზე შეეტყობინებინათ ერთმანეთისთვის იმ საქმის საჭიროებათა შესახებ, რომლის შესრულებაც მათ გადაეწყვიტათ¹²⁸.

მაგრამ სპარსელებს მხოლოდ მაზდეანობის ფორმალური აღიარება როდი აკმაყოფილებდათ. როგორც ზემოთ ნათქვამი გვაქვს, ეს მხოლოდ ერთი მხარე იყო სპარსელთა ფართო პოლიტიკური გეგმისა. მათი გეგმით მაზდეანობა მარტო ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის მეთაურებს კი არ უნდა მიეღოთ, არამედ იგი უნდა გავრცელებულიყო მოსახლეობის ყველა ფენაში. ამისთვის ამბერკავკასიელ დიდებულებს მათ მრავალი მოგვი გამოაყოლეს სამშობლოში. ელიშეს გადმოცემით მხოლოდ სომხებისთვის მათ შვიდასზე მეტი მოგვი გამოაყოლებიათ.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ გადმოცემული ამბების აღწერისას ელიშე რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს იძლევა ლაზარ ფარბეცისთან შედარებით. მაგალითად, ელიშეს მიხედვით იეზდიგერდს თავის კარზე მხოლოდ სომხები გამოუქაჩებია, ხოლო ქართველებსა და არშუშა პიტიახშს იგი არც ახსენებს. იგი მხოლოდ ამბობს, რომ როდესაც სომხებმა უარი განაცხადეს ცეცხლთაყვანისმცემლობის მიღებაზე, შაჰმა მათ სამუდამოდ გადასახლება დაუბირა შორეულ ქვეყანაში, „როგორც უქნეს მრავალ ნახარარს ქართველთა ქვეყნიდან“-ო¹²⁹. ელიშეს ამ სიტყვებიდან გამოდის, თითქოს ქართლის დიდებულები სომხებზე აღრე ყოფილან დაბარებული შაჰის კარზე და ისინი მაზდეანობის არ-მიღებისათვის გადაუსახლებიათ რომელიღაც შორეულ ქვეყანაში. ძალიან საინტერესო ცნობაა, მაგრამ სხვა წყაროები ამაზე არაფერს ამბობენ. ამასთან ეს ცნობა თითქოს იმავე ელიშეს სხვა ცნობას ეწინააღმდეგება, სპარსელთა პირველი მსხვერპლი სომხეთი იყო. ამავე დროს, თუ გავიხსენებთ, რომ არშუშას კარზე აღზრდილ ლაზარ ფარბეცის თვით არშუშასა და საერთოდ ქართველ წარჩინებულთა ამბავი უკეთ უნდა სცოდნოდა, მაშინ უპირატესობა ლაზარის ცნობებს უნდა მივანიჭოთ.

¹²⁸ ო. ფ., გვ. 55

¹²⁹ ს. გ. ხ., გვ. 49.

ქართლს, სომხეთსა და ალბანეთში გამოგზავნილ მოგვებს დიდი და მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდათ მიღებული. მათ უნდა სავსებით აღმოეფხვრათ ქრისტიანობა ამ ქვეყნებში, დაეხურათ ეკლესიები, სამეფო საგანძურში გადაეცათ ეკლესიის მთელი სიმდიდრე, გაერევათ მთელი ქრისტიანული სამღვდლოება. ამასთან ერთად მათ უნდა გაეხსნათ სკოლები და ესწავლებინათ ზოროასტრიზმი არა მარტო დიდებულთა, არამედ აზატებისა და უბრალო მიწისმოქმედთა იჯახებისთვისაც. მათ უნდა გაეკრცელებინათ აგრეთვე ირანული ზნე-ჩვეულებანიც, მაგ., ქორწინებისა, დასაფლავებისა და სხვა¹²⁵.

სომხეთში ჩასვლისთანავე მოგვები შეუდგნენ შაპის დავალების შესრულებას: ეკლესიების ნგრევას, ძარცვას, მაზდესანური სალოცავების აგებას¹²⁶ (ასევე იქცეოდნენ ისინი, ალბათ, ქართლშიც). ქრისტიანულ ეკლესიაზე ერთ-ერთი თავდასხმას დროს მოხდა ქრისტიანული სამღვდლოებისა და მოგვების შეტაკება. ეს ნაპერწკალი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მთელს სომხეთში აგარდნილიყო საერთო-სახალხო აჯანყების ალი. აჯანყებულ ხალხს იმთავითვე მხარი დაუჭირა სანახარარო-ფეოდალური ზედაფენის დიდმა ნაწილმა, რომლის უფლებებზე ძალზე იყო შელაბული სპარსელების მიერ. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი სარდალი ვარდან მამიკონიანი.

ამ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობის გასარკვევად ჩვენ მოგვიხდება დაწვრილებით შევჩერდეთ აჯანყების მსვლელობის პირველ პერიოდზე.

აჯანყებულებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ სომხეთის უმთავრესი სტრატეგიული პუნქტები. ვარდანის წინადადებით კონსტანტინოპოლში დახმარების სათხოვნელად გაგზავნეს ვაჰან ამატუნი, ჰმადაკ მამიკონიანი და შერუყან არწრუნი. იმპერატორმა თეოდოსი II-მ სიხარულით აღუთქვა შველა აჯანყებულ სომხებს, მაგრამ ვერ მოასწრო დახმარების შესრულება, რადგანაც გარდაიცვალა (450 წ. 2 ივლისს). ტახტზე ავიდა მარკიანე (450—457). რომელმაც თავისი ახლობლების რჩევით სომეხი დესპანები უარით გაისტუმრა სამშობლოში. ამ დროს იმპერიას თითონაც ძალზე უჭირდა და სხვისი დახმარების თავი არა ჰქონდა. ბიზანტიისაგან შემწეობის მიღების

¹²⁵ ო. ფ., გვ. 56.

¹²⁶ იქვე.

იმედის გაცრუების მიუხედავად, სომხები არ შემდრკალან და მედგრად განაგრძეს ბრძოლა.

ჯერ კიდევ ბიზანტიაში მოციქულების გაგზავნამდე თვით სომხეთში მოვიდნენ დახმარების სათხოვნელად ალბანელი ჰაზარაპეტი და კათალიკოსი. ელიშეს სიტყვით მათ უთქვამთ: „სპარსთა ჯარი, რომელიც იყო ჰონთა ქვეყნის მხარეში, აქეთ დაბრუნდა, მოვიდა, შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში. მოვიდა აგრეთვე სხვა მრავალი ცხენოსანიც [სამეფო] კარიდან“¹²⁷. მათ მოჰყვება სამასი მოგვი, რათა ჩვენში ქრისტიანობა აღმოფხვრას და მაზდეანობა გაავრცელოსო. სასწრაფოდ ჯარით დაგვეხმარეთო. სომხებმა უბასუხეს, როგორმე ცოტადღენი დრო გაიყვანეთ და შემდეგ დაგეხმარებითო¹²⁸.

ამავე ამბავს ლაზარ ფარბეცი ასე გადმოგვცემს: აჯანყებულები „აჩქარდნენ აირარატის გავარში ჩასვლას, რადგან გაიგეს, რომ არიელთა ჰაზარაპეტი მიპრნერსეჰი ჭალაქ ფაიტაკარანში მისულიყო, იქ ჯარს აწყობდა და ალბანეთიდან აპირებდა სომხეთზე თავდასხმას. ალბანელი აზატები, რომლებიც სომხებთან პირობით იყვნენ შეკრუდნენ, აჩქარებდნენ მათ, რათა მისულიყვნენ იქ და იქვე, ალბანეთში, პირისპირ შეხვედროდნენ მათ ბრძოლით“¹²⁹.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, სპარსელები ალბანეთში ორი მხრიდან შეჭრილან. ერთი რაზმი შესულა სამხრეთიდან, ეს იყო ქტეშიფონიდან მომავალი ჯარი. საფიქრებელია, რომ ირანის ჰაზარაპეტი მიპრნერსეჰი სწორედ ამ რაზმს სარდლობდა. მეორე რაზმი ალბანეთში შესულა ჩრდილოეთიდან (უეჭველია ასე უნდა ვაგვიფიქროთ ალბანელი ჰაზარაპეტის სიტყვები: სპარსთა ჯარი ჰონთა ქვეყნიდან აქეთ დაბრუნდაო). ამ რაზმს, როგორც ჩანს, სარდლობდა ელიშეს მიერ უფრო ქვემოთ მოხსენიებული ჩორის (ელიშესთან „ჭორის“) მარზბანი სებუსტი, რადგანაც ჩორი-ჭორი ერქვა ალბანეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქს, ოლქსა და გასასვლელს.

როდესაც გამოირკვა, რომ ბიზანტიელებისაგან არავითარი დახმარება არ მოვიდოდა, სომხებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებლად ემოქმედათ. მათ მთელი თავისი ძალები გაყვეს სამ ნაწილად. ერთი ნაწილი გაგზავნეს სომხეთის სამხრეთი საზღვრის დასაცავად.

¹²⁷ ს. ი. ე. ხ., გვ. 70.

¹²⁸ ი. ქ. ვ., გვ. 70—71.

¹²⁹ ლ. ფ., გვ. 63.

შეორე სომხეთის მარზპან ვასაკ სივნიელის მეთაურობით დარჩა სომხეთში, ვითომცდა საგარნიზონო სამსახურის შესასრულებლად (სინამდვილეში ვასაკმა უღალატა აჯანყებას და ახლა ცდილობდა აჯანყებულთა ძალები დაექსაქსა). მესამე რაზმი ვარდან მამიკონიანის სარდლობით გაემართა, ელიშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართლის საზღვრების გადავლით ჩორის მარზპანზე, რომელიც მოსულყო ალბანეთის ეკლესიათა ასაოხრებლად“¹³⁰.

ელიშე გადმოგვცემს, რომ ვასაკ სივნიელს საიდუმლოდ შეუტყობინებია ჩორის მარზპანისთვის: აჯანყებულთა ძალები სამ ნაწილად დაყავი და მხოლოდ ერთი „სუსტი და არამრავალრიცხოვანი ვარდანს გაუტანე ალბანეთში“-ო. უშიშრად მიდით მათზე, ვერ გაუძლებენ თქვენს სიმრავლესო. როდესაც სებუხტმა გაიგო ვარდანის ჯარის სისუსტე, „აღარ მოიცადა ჩორის მხარეში, არამედ შეაჯროვა მთელი სიმრავლე თავისი ჯარისა და სასწრაფოდ გადავიდა დიდ მდინარეზე, რომელსაც ჰქვია მტკვარი, და შეხვდა მას (ვარდანს) ქართლის საზღვრის მახლობლად ქალაქ ხალხალის პირდაპირ, რომელიც ალბანეთის მეფეთა საზამთრო [საჯდომი] იყო“¹³¹.

ასევე გადმოგვცემს ამ ამბებს ლაზარ ფარბეციც. ისიც მოგვითხრობს ვასაკის ღალატის შესახებ და ამბობს, რომ ვასაკმა ვარდანის სისუსტის შესახებ წერილები მისწერა ჰაზარაპეტ მიჰრნერსეჰს, ნიხორაკან სებუხტს (ეს, ცხადია, ელიშეს ჩორის მარზპანი სებუხტია, ოღონდ ლაზარს არა აქვს აღნიშნული მისი თანამდებობა) და სხვა სპარსელ დიდებულებსო. ხოლო „როდესაც სომეხთა ნეტარმა ზორავარმა მამიკონიანთა უფალმა ვარდანმა მიაწია ალბანეთს, სპარსელმა სარდლებმა გაიგეს სომეხთა მოსვლა. ისინი აჩქარდნენ იმ დიდ მდინარეზე გადასვლას, რომელსაც მტკვარს ეძახიან, და მათს შესახვედრად გამოვიდნენ სოფლამდე, რომელსაც ჰქვია ხალხალი, ალბანთა ქვეყანაში“¹³².

ხალხალთან მოხდა დიდი ბრძოლა, რომელშიც სომხებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. ამის შემდეგ ალბანეთისკენ გზა ხსნილი იყო. სომხები გადავიდნენ მტკვარზე და, როგორც ელიშე გადმოგვცემს, თავს დაესხნენ „ციხეებსა და ქალაქებს, რომლებიც ებქ-

¹³⁰ ს. ე. ქ. კ., გვ. 74.

¹³¹ ი. ქ. ვ., გვ. 75.

¹³² ე. ფ., გვ. 65.

რათ სპარსელებს ალბანთა ქვეყანაში“, აიღეს ისინი და გაწყვიტეს სპარსელთა გარნიზონები და მოგვები, რომლებიც ალბანეთში იყვნენ¹³³. სომხებს შეუერთდა მათი წარმატებებით აღფრთოვანებული მრავალი ალბანელი ნახარარი და გლები, რომლებიც მიუვალ მთებში ემალებოდნენ სპარსელებს. შემდეგ სომეხ-ალბანელთა გაერთიანებული ლაშქარი „დაიძრა, წავიდა ჰონთა გასასვლელზე (ჩ *ქსრას* *ყარასქნ* ჰინოუ; *ყარასქ* — გასასვლელი, სიმაგრე), რომელიც მძლავრობით ებყრათ სპარსელებს. აიღეს, დაანგრეს ეს გასასვლელი, (*ყყარასქნ*) და გაქლიტეს ჯარი, რომელიც შიგ ცხოვრობდა. კარი ჩააბარეს ვაჰანს, რომელიც იყო ალბანეთის მეფეთა გვარიდან“¹³⁴.

ამასვე გადმოგვცემს ლაზარ ფარპეციც: ხალხალთან ბრძოლის მეორე დღეს სომხები „აღიძრნენ, გადავიდნენ დიდ მდინარეზე, რომელსაც ჰქვია მტკვარი, მიაწიეს გასასვლელს კედლისა (ჩ *ყარასქ იქმან*), რომელიც არის ალბანთა სამფლობელოსა და ჰონთა შორის. იქ მათ იპოვეს ამ გასასვლელის დამცველნი და სხვა მრავალი სპარსელი მეომარი, რომლებზეც მახვილი აღმართეს და გაწყვიტეს. ხოლო გასასვლელი ჩააბარეს სამეფო შთამომავლობის ერთ ალბანელს, რომელსაც სახელად ერქვა ვაჰანი“¹³⁵.

ელიშეცა და ლაზარიც გადმოგვცემენ, რომ აჯანყებულთა დაგალებით ამ ვაჰანს კავშირი დაუმყარებია ჰონებთან.

აქ ჩვენს წინაშე ბუნებრივად ისმის კითხვა: რა პოზიცია დაიჭირა ქართლმა სომხეთისა და ალბანეთის აჯანყების მიმართ? ელიშეცა და ლაზარ ფარპეცის ცნობებში არაფერი არ არის ნათქვამი ამ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობის შესახებ. როგორც ვნახეთ, ელიშეც მოგვითხრობს მხოლოდ იმას, რომ ჩორის მარზპანზე საბრძოლველად მიმავალ ვარდანს უნდა გადაეგლო ქართლის საზღვრები, და რომ ხალხალის ბრძოლა ქართლის საზღვრების მახლობლად მომხდარა. წყაროთა ეს დუმილი შემთხვევითი არ უნდა იყოს. ქართლში რომ რაიმე ცოტათ თუ მეტად მნიშვნელოვან გამოსვლას ჰქონოდა ადვილი ირანელების წინააღმდეგ, ეს უთუოდ ეცოდინებოდათ ელიშეს და ლაზარს. ცხადია, ამას ისინი აღუნიშნავად არ დატო-

¹³³ ს. ო. ხ. კ., გვ. 77.

¹³⁴ ი. ქ. ვ., გვ. 78.

¹³⁵ ო. ფ., გვ. 66.

ვებდნენ, ყოველ შემთხვევაში—ლაზარი, რომელიც, როგორც არშუ-
შა პიტიახშის კარზე აღზრდილი, კარგად იცნობდა ქართლის საქმე-
ებს და აუცილებლად გადმოგვცემდა ქართველ-სომეხთა ერთობლი-
ვი მოქმედების ამ დიდად მნიშვნელოვან ფაქტს, მას რომ ადგილ-
ზექონოდა, როგორც იგი ამას აკეთებს სხვა უფრო ნაკლებად მნიშვ-
ნელოვან შემთხვევებში.

მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს საწინააღმდეგო
აზრიც. პროფ. ს. ერემიანი ერთ-ერთ თავის შრომაში, რომელიც მი-
ძღვნილია სომხეთის 450—451 წწ. აჯანყებისადმი, ამბობს, რომ ამ
აჯანყებაში ქართლსაც მიუღია მონაწილეობა. პროფ. ს. ერემიანი
წერს: „ისტორიოგრაფიაში ისტორიკოს ელიშეს გასასვლელი „ქორა-
პაჰაკ“ და მისი შესატყვისი ისტორიკოს ლაზარე ფარპელის „აღბან-
თა კარი“ მცდარად მიაჩნდათ თანამედროვე დერბენტად, მაშინ რო-
დესაც ორივე ისტორიკოსის კონტექსტიდან ჩანს, რომ ლაპარაკია
თანამედროვე დარიალის ხეობაზე—ალანთა კარზე. სხვანაირად არც
შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან თანამედროვე დერბენტის რაიონ-
ში სპარსელებმა ხელთ იგდეს მხოლოდ VI ს. შუაში“-ო¹³⁶.

აქედან გამომდინარე პროფ. ს. ერემიანს მიაჩნია, რომ ვარდს
მამიკონიანმა ილაშქრა არა ალბანეთში, არამედ ქართლში და აიღო
დარიალის გასასვლელი. მისი სიტყვით, ქტეზიფონიდან დაბრუნებუ-
ლი ქართველი ფეოდალები ქართლის მეფესთან ერთად ემზადებოდ-
ნენ ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებისთვის და განუწყვეტელი კავში-
რი ჰქონდათ სომხებსა და ალბანელებთან. თბილისში სპარსული
ჯარით იმყოფებოდა ქართლის მარზპანი სეზუხტ ნინორაკანი, რომე-
ლიც თვალყურს ადევნებდა დარიალის გასასვლელს, სადაც აგრეთ-
ვე იდგა ძლიერი სპარსული გარნიზონი. სპარსელთა ჯარების ასეთი
განლაგება ქართველებს მოქმედების საშუალებას უსპობდა¹³⁷. ვარ-
დს მამიკონიანის ლაშქრობის მიზანი იყო, შესულიყო ქართლში,
რათა ზურგიდან დაერტყა სეზუხტ ნინორაკანისთვის, რომელიც მი-
დიოდა ალბანეთში, შემდეგ აელო დარიალის გასასვლელი და დაკავ-
შირებოდა ჰუნებს. ხალხლის ბრძოლის შემდეგ სომხებს შეუერთ-

¹³⁶ С. Т. Еремян, Народно-освободительная война армян про-
тив персов в 450—451 гг. ВДИ, 1951, IV, გვ. 55.

¹³⁷ იქვე, გვ. 52. სხვათა შორის ავტორი აქ იმოწმებს ს. ჯანაშიას
რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, მაგრამ მითი-
თებულ ადგილას არაფერი ამისდამაგვარი არ არის.

დნენ ალბანელი გლეხები, მათ ერთად გადაიარეს ქართლი, სადაც მათ შეუერთდნენ ქართველებიც. სომხებმა, ალბანელებმა და ქართველებმა აიღეს „ჰონთა გასასვლელი“, „ალანთი კარი“, ანუ დარიალის ხეობა და კავშირი დაამყარეს ჰუნებთან¹³⁸.

პროფ. ს. ერემიანის მიერ აღწერილი ქართლის ვითარება 450—451 წწ. აჯანყების წინ და მის დროს (ქართველების მზადება აჯანყებისათვის, ქართლის მარზპანის მოქმედება, ქართველების შეერთება ვარდანის რაზმთან და სხვ.) წყაროების მონაცემებით არ დასტურდება. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში არც ერთი სიტყვა არ არის ამასზე ნათქვამი. როგორც ჩანს, პროფ. ს. ერემიანმა გააკეთა ასეთი დასკვნა თავის იმ დებულებაზე დაყრდნობით, რომ ვარდანმა აიღო დარიალის გასასვლელი. მართლაც, ეს რომ ასე მომხდარიყო, ჩვენ დიპლომატიით ისეთი ვითარება უნდა გვეგულისხმა ქართლში, როგორც მოცემული აქვს პროფ. ს. ერემიანს. მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ ამოსავალი დებულება არ არის სარწმუნო.

პირველ ყოვლისა შევნიშნავთ, რომ ციხე, რომელიც აიღო სომეხ-ალბანელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა, არ იხსენიება არც „ჰორა პაპაკისა“ და არც „ალბანთა კარის“ სახელით. ელიშე მას იხსენიებს როგორც „ჰონთა გასასვლელს, სიმაგრეს“ (*սահակ Հոնաց*). ეს „ჰონთა გასასვლელი“ ელიშეს რამდენჯერმე აქვს მოხსენიებული¹³⁹, ისევე როგორც „ჰორი“, „ჰორის გასასვლელი, სიმაგრე“ (*ճորաց սահակ*).¹⁴⁰ მართალია, ელიშეს თხზულების სათანადო ადგილებიდან ირკვევა, რომ „ჰონთა გასასვლელიცა“ და „ჰორის გასასვლელიც“ ალბანეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდნენ და ჩრდილოეთისა და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელ გასასვლელს წარმოადგენდნენ, მაგრამ მთლად ნათელი არ არის, ელიშეს ისინი ერთ, თუ სხვადასხვა პუნქტად მიაჩნია. უფრო კი მეორეა სავარაუდებელი. თვით

¹³⁸ С. Т. Еремян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 54—55. თავისი დებულება ვარდანის ქართლში ლაშქრობის შესახებ პროფ. ს. ერემიანს გადმოცემული აქვს სხვა შრომებშიც. მაგ., იხ. *История армянского народа*, ч. 1, под ред. Б. Н. Аракеляна и А. Р. Исаянисяна, Айпетрат, Ереван, 1951, გვ. 86; *Հայ ժողովրդի պատմություն, Ժամային մաս, Հայպատմամանկիրատ, Երևան, 1956*, გვ. 132; *Очерки истории СССР, III—IX вв.*, М., 1958, გვ. 200—201.

¹³⁹ *Եղիշե*, გვ. 43, 78, 142.

¹⁴⁰ *Ի լից*, გვ. 12, 74, 75, 94, 198.

ელიშესა და ლაზარ ფარბეცის ცნობებიდან ირკვევა (როგორც ეს ზემოთ მოტანილი ამონაწერებიდან უნდა გამოჩენილიყო), რომ სომეხ-ალბანელთა გაერთიანებულმა ჯარმა ილაშქრა არა ქართლში, დარიალის ხეობაში, არამედ ალბანეთში და აიღო რომელიღაც სიმაგრე, რომელიც ალბანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა (ლაზარი პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს სიმაგრე მდებარეობდა „ალბანთა სამფლობელოსა და პონთა შორის“). წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც სამართლიანად აღნიშნავს კ. ვ. ტრევერი, გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ ჩააბარეს იგი ალბანელ უფლისწულს და არა იბერიელ სარდალს¹⁵⁰.

პროფ. ვ. დონდუამ თავის რეცენზიაში „სომხეთის ისტორია“ სასკოლო სახელმძღვანელოზე, რომელშიც პროფ. ს. ერემიანმა შეიტანა თავისი დებულება ქართლის მონაწილეობაზე აჯანყებაში და ვარდანის ლაშქრობაზე დარიალში, აღნიშნა, რომ აქ გამორჩენილია თვით იბერიის ადგილობრივი ხელისუფლებისა და იბერიის ხალხის მონაწილეობა ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაში¹⁵¹. რადგან სინამდვილეში ვარდანს ულაშქრია ალბანეთში და არა ქართლში, გასაკები ხდება, თუ რატომ გამორჩა ქართველების მონაწილეობა ამ ამბავში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე უნდა დავასკვნათ შემდეგი: ელიშესთან მოხსენებული „პონთა გასასვლელი“ და ლაზარ ფარბეცის „გასასვლელი კედლისა“ მდებარეობდა ალბანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. სეზუსტ ნიხორაკი არ ყოფილა ქართლის მარშპანი და ვარდან მამიკონიანს არ ულაშქრია ქართლში. მაშასადამე, ჩვენ არავითარი ცნობა აღარ გვრჩება ქართლის მონაწილეობის შესახებ ირანის წინააღმდეგ 450—451 წლების სომხეთისა და ალბანეთის აჯანყებაში. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ქართლს არც მიუღია მონაწილეობა ამ აჯანყებაში.

¹⁵⁰ К. В. Тревер, *დასახ. ნაშრომი.*, გვ. 209. კ. ვ. ტრევერი უარყოფს პროფ. ს. ერემიანის მიერ მოცემულ ვარდან მამიკონიანის მარშრუტს და მიიჩნია, რომ მან აიღო ბეშ-ბარმაკის სიმაგრე, მაგრამ აჯანყებაში ქართლის მონაწილეობის შესახებ იხიარებს პროფ. ს. ერემიანის აზრს. იქვე, გვ. 206—207.

¹⁵¹ В. Дондуа, *Некоторые замечания на коллективный труд—История Армянского народа, «მინიმალური»*, III, თბილისი, 1953, გვ. 314.

მაგრამ უშუალოდ აჯანყების დაწყებამდე ქართლი, სომხეთი და ალბანეთი უახლოეს კონტაქტში იყვნენ ერთმანეთთან და ერთად აპირებდნენ მოქმედებას. რამ გამოიწვია ქართლის გასოთიშვა ამ გაერთიანებიდან გადამწყვეტ მომენტში? მასალის სიმცირის გამო ზერჯერობით ამაზე ამომწურავი პასუხის ვაცემა ძნელია. ზევით ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ამ პერიოდში ქართლის ფეოდალები სპარსელებში ხედავდნენ არა მარტო მტრებს, არამედ თავის მოკავშირეებსაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში. ჩვენი აზრით, სწორედ ამ გარემოებამ შეასრულა გადამწყვეტი როლი იმაში, რომ ქართლი არ შეუერთდა აჯანყებულ სომხეთსა და ალბანეთს. ამასთან ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ ქართლი რამდენადმე უკეთეს პირობებში უნდა ყოფილიყო, ვიდრე სომხეთი და ალბანეთი.

მართალია, სპარსელებმა ქართლში უფრო ადრე შიდაწიეს წარმატებას, მაგრამ შემდეგ მათ სომხეთში მეტად მოიკიდეს ფეხი, მოსპეს იქ მიფლობა და უმთავრესი თაბაბდობა შიბი თავის ერთგულ პირებს დაურთვეს. ამასთან, აქ მათ მეტი სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა გამოუჩენიათ და, როგორც ჩანს, უფრო მძიმე გადასახადები დაუწესებიათ, უნდა ვიფიქროთ რომ ასეთივე მდგომარეობა იყო ალბანეთშიც.

ეს უნდა ყოფილიყო გამოწვეული იმით, რომ სპარსელებათვის ქართლი უფრო ძნელი მისაწვდომი იყო, ვიდრე სომხეთი და ალბანეთი. ამასთან, სომხეთში ირანული გავლენის გავრცელებას აადვილებდა ისიც, რომ სომხეთი თავისი პოლიტიკური ტრადიციებით უფრო ახლოს იდგა ირანთან. სომხეთის უკანასკნელი სამეფო დინასტია წარმოშობით პართული იყო და სასანიდების შემდეგ ირანის ტახტზეც კი აცხადებდა პრეტენზიას.

ძალიან საყურადღებოა, აგრეთვე, ელიშეს ცნობა იმის შესახებ, რომ ვასაკ სივნიელს ვანხეთქილება შეუტანია მოკავშირეებს შორის. როდესაც ვასაკ სივნიელმა უღალატა აჯანყებას, მან ყველგან დაგზავნა ცოტა ცნობები, თითქოს აჯანყებულთა მხარეზე აღარავინ დარჩენილიყო და ყველა მის მხარეზე გადასულიყო. ვასაკის მეტადინეობას, ჩანს ნაყოფი გამოუღია. მან „დაარღვია ერთიანობა ქართლის ქვეყნისა სომხეთთან“-ო, ამბობს ელიშე¹⁵². შემდეგ ელიშე

¹⁵² ს. გ. ბ. ლ., გვ. 93.

იმასაც გადმოგვცემს, რომ ვასაკმა სომეხთა მოკავშირე ჰუნების-
თვის გზის შესაკრავად ჩორის ციხეში მიიყვანა მრავალრიცხოვანი ჯა-
რი და „მთელი ქართლის ქვეყანა იქ შეკრიბა“-ო¹⁵³. მაგრამ ეს ისე არ
უნდა გავიგოთ, თითქოს ქართლი აჯანყებული სომხეთისა და ალბანე-
თის წინააღმდეგ გამოსულიყოს. ვასაკმა, როგორც ჩანს, დაიქირაჟა
რაზმები ქართლის მთიანეთში და, შესაძლებელია, მათ დაუმატა ი-
ბერიელ დიდებულთა სამხედრო ძალა, რომელნიც მასავით ირანის
მხარეზე იდგნენ. ჩანს, ქართლს არც ამ ამბებში მიუღია დიდი მო-
ნაწილეობა, რადგან ლაშარ ფარბეცი არაფერს ამბობს ამის შესა-
ხებ.

ქართლის განდგომაში აჯანყებისაგან, შესაძლებელია, იმანაც
ითამაშია როლი, რომ არშუშა პიტიახში იეზიდისგერდმა თავისთან და-
აკავა და ქართლის წარჩინებულები მეთაურის გარეშე დატოვა.

მივუბრუნდეთ აჯანყების მსვლელობას. გამარჯვებული ვარდანი
ალბანეთიდან დაბრუნდა სომხეთში და დაიზამთრა. 451 წ. გაზაფ-
ხულზე სპარსელთა დიდი ლაშქარი შეიჭრა სომხეთში სამხრეთიდან.
ამჯერად აჯანყებულთა საქმე ცუდად წავიდა. რამდენიმე ბრძოლაში
მათ დაკარგეს დიდძალი მეომარი და აჯანყების თითქმის ყველა მე-
თაური, მათ შორის თვით ვარდან მამიკონიანიც. მაგრამ არც ირა-
ნელთა საქმე იყო მთლად კარგად, რადგან შუა აზიაში ისევ ამოქ-
მედდნენ ჰუნები. სომეხთა მოკავშირე ჩრდილო კავკასიელი ჰუ-
ნებიც შეიჭრნენ სპარსეთში, ააოხრეს რამდენიმე პროვინცია და ჯა-
ანგრიეს რომელიღაც ციხე, როგორც ჩანს, იგივე „მონთა ციხე“,
რომელიც დიდხანს ეშენებინათ სპარსელებს¹⁵⁴.

სპარსელები იძულებული გახდნენ ერთგვარ კომპრომისზე წა-
სულიყვნენ აჯანყებულთა მიმართ. მათ სომხეთის მარზპანობიდან ვა-
დააყენეს აჯანყებულთათვის საძულველი მოლაღატე ვასაკ სივნიელი
და მის მაგივრად დანიშნეს სომეხ არშაკიდთა შთამომავალი ატრლ-

¹⁵³ ს ი ქ ე ლ, გვ. 94.

¹⁵⁴ ეს ციხე არ უნდა ყოფილიყო ვარიალის სიმაგრეები, როგორც ეს ნიჩ-
ნია პროფ. ს. ერეშიანს (С. Т. Еремян, Освободительная война ар-
мян..., გვ. 59), რადგან ჰუნთა ამ შემოსევისაგან დაზარალებულ ქვეყნებში ელიშე
ჩამოთვლის ალბანეთსა და მის მიმდებარე მხარეებს და არ ასახელებს ქართლს
(ს ი ქ ე ლ, გვ. 129). ასეთივე აზრისაა კ. ვ. ტრევერიც (იხ. მისი დასაბ. ნაშრ.,
210—211, შენ. 7 და გვ. 212—213).

რმიზდი. სომხეთში (ალბანეთზე ცნობები არა გვაქვს) სპარსელებმა აღადგინეს სარწმუნოებრივი თავისუფლება, მოსახლეობა გაათავასუფლეს გადასახადების ნაწილისაგან, შეამსუბუქეს სამხედრო ზეგარა და აჯანყებულებს დაუბრუნეს თავისი ქონება.

ამრიგად, აჯანყებამ ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს, რადგან დროებით შეამსუბუქა სომხეთის მდგომარეობა და ხელი ააღებინა სპარსელებს ასიმილაციის პოლიტიკაზე¹²⁵. ყოველივე ამას, ცხადია, არაპირდაპირი გავლენა ქართლზეც უნდა ჰქონოდა, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი, ჩვენ არ ვიცით.

ზემოაღწერილ ამბებს ქართულ წყაროებში, შეიძლება ითქვას, თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია. წინა პარაგრაფში აღნიშნული გვაქვს, რომ V ს. 30—40-იან წლებზე უნდა მოდიოდეს მირდატის, ვახტანგ გორგასალის მამის, მეფობა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამბობს, რომ მის დროს ქართლის მთავარებისკობოსი გლონოქორი ბარაზბოდ პიტიახშს ქართლისა და ჰერეთის ერისთავად დაუნიშნავს. ვინ იყო ეს ბარაზბოდი, ამ წყაროში ნათქვამი არაა. ჯუანშერის თანახმად იგი ყოფილა რანისა და მოვცეანის ერისთავი, მირდატის სიმამრი. მთავარებისკობოსის არაქართული სახელი გვაფაქრებინებს, რომ იგი უცხოელი ყოფილა. ეს და მისი სპარსელ მოხელედ დანიშვნა სასანიდების მიერ ამიერკავკასიის ქვეყნების შინაურ საქმეებში იმ აქტიური ჩარევის გამოძახილი უნდა იყოს, რომელზედაც ვილაპარაკეთ ზევით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: V ს. ორმოციან წლებში სპარსელებმა დაიწყეს ახალი პოლიტიკის გატარება ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში. ამ პოლიტიკის მიზანი იყო ამ ქვეყნების შინაგანი დამოუკიდებლობის სრული მოსპობა, მათი გადაქცევა ირანის პროვინციებად და მათი ხალხების კულტურული ასიმილაცია. სპარსელთა მკაცრმა ზომებმა აჯანყება გამოიწვია სომხეთსა და ალბანეთში. აჯანყებამ აძულა სპარსელები დროებით ხელი აეღოთ თავისი მიზნების განსორციელებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართლს არ მიუღია მონაწილეობა ამ აჯანყებაში, აჯანყებამ უთუოდ მოახდინა გავლენა ირანის პოლიტიკაზე ქართლის მიმართაც.

¹²⁵ С. Т. Е р е м я н, Освободительная война армян..., ВДИ, 1951, № 4, გვ. 60; Очерки истории СССР, გვ. 203.

„სომხეთის ისტორიის“ მესამე წიგნში ლაზარ ფარბეცი ძრობთად გადმოგვცემს 482—484 წლებში ირანის წინააღმდეგ სომხეთის აჯანყების ამბავს. ამავუ დროს ის გვაწვდის ძალზე საინტერესო ცნობებს ამ აჯანყების მსვლედობაზე მეზობელ ქართლსა და ქართლის აჯანყებულთა მეთაურ ვანტანგ გორგასაღზე.

წინა თავში აღნიშნული გვქონდა, რომ 450—451 წლების სომხეთისა და აღბანეთის აჯანყებამ აძულა სპარსელები ზოგიერთ დამობაზე წასულაყვნენ. მაგრამ არც ერთი მხარე არ ურიგდებოდა შექმნილ ვითარებას. სპარსელები მხოლოდ ხელსაყრელ დროს ვლადნენ, რათა აღედგინათ თავისი დაკარგული პოზიციები და ახალი იერიში მიეტანათ ქართლის, სომხეთისა და აღბანეთის თავისუფლებაზე. ეს უკანასკნელი კი წაადაგ იმეს ცდაში იყვნენ, რომ უცხოური უღელი მოეშორებინათ.

457 წ. გარდაიცვალა ირანის შაჰი იეზდიგერდ II. მის ორ ვაჟს შორის გაიმართა ბრძოლა სამეფო ტახტისათვის. თავდაპირველად გაიმარჯვა უფროსმა ძმამ, ჰორმიზდმა, მაგრამ საბოლოოდ მას სძლია უმცროსმა, პეროზმა, და დაიჭირა მამისეული ტახტი (459—484). მის მეფობაში სპარსელებს ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ომების წარმოება მოუხდათ შუა აზიაში. ეს ომები დაიწყო პეროზმა მალე თავის გამეფების შემდეგ. 468 წ. მან დაამარცხა კიდარები და ქუშანები, რომელთა სამეფოც ამის შედეგად დაიშალა. მათ მაგიერად ასტარეზზე გამოვიდნენ ჰეფთალეები. პეროზმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგაც, მაგრამ სასტიკად დამარცხდა: დაკარგა მთელი ჯარი, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან განთავისუფლება პეროზმა შეძლო მხოლოდ უზარმაზარი გამოსასყიდის გადახდით. ამასთან, იგი იძულებული იყო მძევლად დაეტოვებინა თავისი ვაჟი კავადი. შემდეგში ირანის შაჰი. კავადს ორ წელიწადს მოუხდა ჰეფთალეებთან ყოფნა; სანამ პეროზი მთლიანად არ გადაიხდიდა გამოსასყიდს.

მალე პეროზმა დაბრუნდა ზავი, ისევ ილაშქრა ჰეფთალეებზე და კვლავ დამარცხდა. ამჯერად დამარცხება კიდევ უფრო მძიმე იყო. დაიღუპა ირანელთა მთელი ჯარი და თვით პეროზიც (484). მისი გვამიც კი ვეღარ იპოვნეს. ჰეფთალეებმა შეესივნენ ირანს, დაიპყრეს რამდენიმე პროვინცია და დააკისრეს ირანელებს ყოველწლიური გა-

დასახადი¹⁵⁶ სწორედ ამ უკანასკნელი ამბების ღროს დაიწყო და მიპ-
დინარეობდა აჯანყება ამიერკავკასიის ქვეყნებში.

ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლას ირანის წინააღმდეგ არაფ-
რით არ გამოხმაურებია ზიზანტია, რომელსაც საკუთარი მძიმე საშო-
ნაო მდგომარეობა აწუხებდა. 468 წ. იმპერიამ საშინელი მარცხი და-
ნიცადა, როდესაც დაელუმა ვანდალუნის წინააღმდეგ აფრიკაში გაგ-
ზავნილი უზარმაზარი ფლოტი. განუწყვეტელ, დაძაბულ ეურადლე-
ბას მოითხოვდა დასავლეთ იმპერია: სადაც მდგომარეობა მეტად მე-
რყვეი იყო. არეულობა სუფევდა ემპერიის შინაგან საქმეებშიც.
474 წ. იმპერატორი გახდა ზენონი, რომელსაც უკვე შემდგომ წელს
წელიწადნახევრით მოუხდა გაქცევა კონსტანტინოპოლიდან, სადაც
ძალაუფლება ხელა აგლო ბასილისკუსმა. 479 წ. ზენონს მოუხდა
ბრძოლა რომის იმპერატორ ანთემიუსის შვილას მარკიანეს წინააღ-
მდეგ. იმავე წელს კონსტანტინოპოლს მიადგა გუთი თეოდორიხე
ტრიპოლიუსის ძე, რომელიც დიდი გაჭირვებით იქნა უკუგდებული.
481 წ. თეოდორიხემ დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი პულ-
გარელები და ისევ დაეშუქრა კონსტანტინოპოლს. 484 წ. იმპერა-
ტორს აუჯანყდა *magister militum per orientem* ილუსი, რომელ-
თანაც ბრძოლამ 488 წლამდე გასტანა¹⁵⁷.

V ს. 50-იანი წლების დასაწყისში სპარსელებმა ისევ მიიღწიეს
წარმატებას ამიერკავკასიაში. ალბანეთის მეფე ვაჩემ ვადაწყვიტა
ესარგებლა ირანში ატეხილი საშინაო ომით (457—459) და აჯანყდა.
ბრძოლა, რომელშიც ორივე მხარემ მოიშველია ჩრდილო-კავკასიე-
ლი მომთაბარეები, კარგა ხანს გაგრძელდა. საბოლოოდ სპარსელებ-
მა მაინც სძლიეს და 463 წ. ვაჩემ იძულებული გახდა უარი ეთქვა
სამეფო ტახტზე¹⁵⁸. ამრიგად, ირანელებმა მეფობა მოსპეს ალბანეთ-
შიც. ალბანეთის აჯანყების ჩაქრობის მომდევნო წელს ბეროზმა სამ-
შობლოში გამოუშვა ირანში პატიმრობაში მყოფი სომეხი ნახარა-
რები.

¹⁵⁶ P. Sykes, *A History of Persia*, v. 1, third edition, 1930, pp. 436—438; A. Christensen, *Iran sous les Sassanides*, pp. 294; *История Ирана с древнейших времен до конца XVIII века*, Ленинград, 1958, pp. 54—55.

¹⁵⁷ Ф. И. Успенский, *История Византийской империи*, т. I, pp. 332—335; *The Cambridge Medieval History*, v. 1, 1936, pp. 469—477.

¹⁵⁸ Б р т з е, pp. 197—199.

ჩანს, სპარსელებმა საკმაოდ მალე დაიბრუნეს ამიერკავკასიაში დაკარგული პოზიციები. მათ ისევ დაიწყეს ქრისტიანობის დევნა და ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელება. ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს, რომ ტანუტერობასა და სხვა დიდ თანამდებობებს ღმრთის უარყოფით იღებდნენო. სამშობლოს მოღალატენი წინაუბლებოდნენ, ხოლო ერთგულნი კი ისე იყვნენ მათგან დაშინებულნი, რომ ემალებოდნენ მათ, როგორც კურდღლები ლეშის მჭამელ არწივსო. ყოველივე ამან გარყვნა ხალხი და სომხეთის ძველი სახელი დასცა და წაბილწაო¹⁵⁹ (სხვათა შორის, ეს ის დროა, როდესაც ვარსკენ პიტიახში უარყო ქრისტიანობა და მაზდეანობა მიიღო).

ირანელთა მოქმედება, ცხადია, უკმაყოფილებას იწვევდა ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში. ხელახლა დაიწყო ირანის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა დარაზმვა-კონსოლიდაცია, რაშიაც გასაგები მიზეზების გამო აქტიურ როლს თამაშობდა ეკლესია. ლაზარ ფარპეცის გადმოცემით, სომხეთში უკმაყოფილოები კათალიკოს გიუტის გარშემო შეკრებილან. ისინი ეძიებდნენ შველას, რათა აჯანყებულიყვნენ და ამისთვის რამდენჯერმე თხოვნით მიუმართაფთ იმპერატორ ლეონ I-ისთვის (457—474). იმპერატორი თუმცა კი თანაუგრძნობდა მათ, მაგრამ აშკარად დახმარებას ვერ ბედავდა¹⁶⁰.

ურთიერთობა ირანის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ძალზე გამწვავებულია. პირველთა შაჰთან დაუსმენიათ ირანის მოწინააღმდეგეთა მეთაურნი, აჯანყებას გიპირებენ და თქვენს წინააღმდეგ ხალხს ამხედრებენო. შაჰმა თავისთან დაიბარა გიუტი და კათალიკოსობიდან გადააყენა იგი. ასევე ირანის სამეფო კარზე მოუხდა ჩასვლა ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ პირს უკმაყოფილოთა შორის, ჰმაცა მამიკონიანის უფროს ვაჟს, ვაჰანს, რომელიც არშუშა პიტიახშის კარზე იყო აღზრდილი. თავის გადასარჩენად იგი იძულებული გამხდარა დაეთმო ქრისტიანობა და მთელი თავისი ოქროულობა¹⁶¹.

კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობა შექმნილა ალბანეთში, სადაც V ს. 80-იანი წლების დასაწყისში ისევ დაწყებულია აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ. აჯანყებულებთან საბრძოლველად სპარ-

¹⁵⁹ ო. ფ., გვ. 111—112.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 112—113.

¹⁶¹ იქვე, გვ. 113—118.

სელებს ძალით გაუყვანიათ ხალხი სომხეთიდან. ჩანს, მათ ამ დროს დიდი გაჭირვება ჰქონიათ სამხედრო თვალსაზრისით.

ძალზე დაძაბული ვითარება იყო შექმნილი ამ დროისათვის ქართლშიც. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აქაური ახალგაზრდა ფეოდალური ძალები ხშირად დასაყრდენს სპარსელებში პოულობდნენ. ცხადია, ეს კიდევ უფრო აძლიერებდა უკმაყოფილებას სპარსელებს წინააღმდეგ ქართლის ცენტრალურ ხელისუფლებაში და, კერძოდ, ვახტანგ გორგასალში.

ქართლის სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალთა უმძიმესი ფენის დამოკიდებულების ისტორიისათვის მეტად საინტერესო ცნობებია შუშანიკის წამებზე წიგნში.

ქართლის პიტიახში ვარსქენი, არშუმას ძე, გამგზავრებულია პეროზის კარზე (467 წ.). ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, რადგან მას „არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მანჯლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტმსთვის“, მან უარყო ქრისტიანობა და მიიღო მანჯლიანობა. „არა თუ პატივისა მოღებისათვის, არამედ ძღუენად თავსა თვისსა შესწირვიდა მეფისა მის მიმართ უვარის ყოფითა ქეშმარიტისა ღმრთისაჲთა, და თაყუანის სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოველით კერძოვე თავი თვისი ქრისტმსგან განაგლო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რაჲთამცა სათნო იყო მეფესა...“¹⁰² მართალია ჰაგიოგრაფის მიხედვით, ვარსქენს თითქოს არაფერი დასულვებდა ვადაედვა ასეთი ნაბიჯი, მაგრამ, უუპიჯელია იგი რაღაც დიდ სიკეთეს მოელოდა ამის გამო. მაჰს მისი ქცევა მოსწონებია: „მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“.

იაკობის თხრობაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ვარსქენის ქცევა თავის სამფლობელოში, სადაც იგი საგნებით შეუხლდველი მმართველია. იგი უქვსი წლის განმავლობაში აწამებს და საბოლოოდ სიკვდილამდე მიიყვანს თავის ცოლს, რომელიც იყო სომხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოჩენილი გვარის შვილი, 450—451 წწ. აჯანყების გმირის, სახელგანთქმული ვარდან მამიკონიანის ასული და ბიძაშვილი ვაჰან მამიკონიანისა. რომელზედაც ქვემოთ მოვეხილება ლაპარაკი. ამდენად ვარსქენისა და შუშანიკის

¹⁰² მარტყოლაჲ შუშანიკისი, გვ. 4.

დამოკიდებულება შორს სცილდებოდა უბრალო ოჯახური დრამის ფარგლებს და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იღებდა. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ შუშანიკს ხანგრძლივი წამებითა და სიმტკიცით სახელი გაუთქვამს მთელს ქართლში: „და მიერთვას განითქუა ყოველსა ქართლსა საქმეს მისი; მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შეწირვად...“ სიკვდილის წინ კი მის სანახავად მისულან „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“.

სრულიად მოუკიდებლად ექცევა ვარსკენი თავის ძმასაც, ჯოჯიკს. სცემს მას. ჯონით სცემს იგი ერთ ხუცესსაც. როდესაც უხამური და თავდაუბუარავი შუშანიკი ციხეში მიჰყავთ, მას უკან გაჰყვება „ამბობი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლე ურიცხვ“. გამძვინვარებული ბიტიახში მათ ცხენით გამოუდგება და გაფანტავს („მკედრ მიმოდასდეგინ და მეოტ ჰყოფნ მათ ყოველთა“). თვით მაღალი სამღვდელოებაც კი ერიდება ბიტიახშის რისხვას. ავტორი მოგვითხრობს, ნაცემ-ნაგვემ შუშანიკს „მემცირედ ვაიძულე ჭამადი, რომელი მოეძლუანა სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს, რამეთუ ფარულად ილუწიდეს და ნუგეშინის სცემდეს“-ო. შემდეგ ავტორი სამოელს ეპისკოპოსთა თავად, ხოლო იოვანეს ეპისკოპოსად იხსენიებს.

როგორც ვხედავთ, ვარსკენის რისხვისაგან შუშანიკი ვერ დაუცავს ვერც ქართლის ეკლესიას, რომელიც მას იმთავითვე მფარველობდა, ვერც ქართლის აზნაურობას, ყოველ შემთხვევაში მის გარკვეულ ნაწილს, ვერც მით უმეტეს, ხალხს. „წვრილ ერს“.

ვარსკენის ეს შეუზღუდველი ძალაუფლება და სრული შეუკალობა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან წილად უნდა აიხსნებოდეს ირანის პოლიტიკით. ვარსკენი არავითარ ადგილობრივ უზენაესს ძალასა და კონტროლს არ გრძნობს. დამახასიათებელია, რომ ჰავიოგრაფი არავითარ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ახსენებს. თითქოს ქართლში ამ დროს არც მეფეა, არც სხვა რაიმე ინსტიტუტი. რომელსაც შესწევდეს უნარი პასუხი მოსთხოვოს მოქმედებისათვის თუნდაც ისეთ მსხვილ ფეოდალს, როგორც იყო ვარსკენი. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, შედეგია იმისა, რომ სპარსელები ცდილობენ აუმხედრონ ქართლის მეფეს ფეოდალური ზედაფენა, რათა თავიანთი დასაყრდენი გაიჩინონ. საგარეო ძალა აქტიურად ერევა ქართლის შინაკლასობრივ ბრძოლაში.

მაგრამ ვარსკენი და ქართლის საპიტიახში გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო საერთო ვითარებაში. ვარსკენი ტიპური წარმომადგენელი და, ალბათ, მამამისივით წინამძღოლი იქნებოდა ქართლის ფეოდალური ზედაფენის ერთი ნაწილისა. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ვახტანგ გორგასალმა დაიწყო სპარსელებთან ბრძოლა, რომელიც იმავე დროს მიმართული იყო მისი შინაგანი ძტრების წინააღმდეგ¹⁶³, მან, პირველ ყოვლისა, სწორედ ვარსკენ პიტიახში მოაკვლევინა.

ლაზარ ფარბეცი ვადმოგვცემს: „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულო ბღეშის ვაზვენი მეფე პეროზის ოცდამეხუთე წელს“¹⁶⁴. ეს ამბავი ჩვენს ისტორიოგრაფიაში ითვლება ვახტანგის აჯანყების დასაწყისად, ამიტომ მისი თარიღი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მ. ბროსე რაღაც გაუგებრობის გამო აღნიშნავდა თითქოს ვარსკენის მოკვლის თარიღად ლაზარ ფარბეცის პეროზის მეთხუთმეტე წელი ჰქონდეს მოცემული¹⁶⁵. ამის საფუძველზე ბროსე ამ ამბავს ჯერ 456¹⁶⁶, ხოლო შემდეგ 472 წლით¹⁶⁷ ათარიღებდა, ხოლო თვით აჯანყების მსვლელობას იგი 481—483 წლებზე დებდა¹⁶⁸. ს. გორგაძის თანახმად ვახტანგს ვარსკენი 483 წელს მოუკვლევინებია, თვით აჯანყება კი 483—484 წლებში მომხდარა¹⁶⁹. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ვახტანგის აჯანყების მთელი მსვლელობა 484 წელზე მოდის¹⁷⁰. ასევეა მიღებული ეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში¹⁷¹. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს სწორი არ არის, რადგან აჯანყება

¹⁶³ ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 288.

¹⁶⁴ ლ. ფ., გვ. 118.

¹⁶⁵ M. Brosset, Additions et Éclaircissements..., გვ. 77—80.

¹⁶⁶ იქვე. ცოტა ქვემოთ იგა იძლევა 472 ან 475 წლებს, გვ. 80.

¹⁶⁷ მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი, ტფილისი, 1895, გვ. 82.

¹⁶⁸ M. Brosset, Additions et Éclaircissements..., გვ. 78—80.

¹⁶⁹ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 71 და შემდეგ.

¹⁷⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 241—242.

¹⁷¹ იმ., იგივე, საქართველოს ისტორია, თბ., 1948, გვ. 110; საქართველოს ისტორია, დამზარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 96; საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, თბ., 1958, გვ. 78—79; Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 251.

რამდენიმე წელს გრძელდებოდა. პროფ. ს. კაკაბაძე თავის წიგნში „ვახტანგ გორგასალი“ წერს: „... სომეხი ისტორიკოსი ლაზარე პარფელი გადმოგვცემს, რომ პეროზის მეფობის მე-25 წელს (ე. ი. 482 წ.) ვახტანგმა მოაკვლევინა „ურჯულო ვარსკენი“-ო¹⁷². პროფ. ს. ერემიანის მიხედვით, აჯანყება მიმდინარეობდა 481—484 წლებში¹⁷³. იგივე თარიღები აქვთ სხვა ავტორებსაც.

აჯანყების დასათარიღებლად ჩვენ ერთადერთი, ზემომოყვანილი ცნობა გვაქვს ლაზარ ფარბეცისა. სპეციალურ ლიტერატურაში პეროზის მეფობა განსაზღვრულია 459—484 წლებით¹⁷⁴. თუ ჩვენ ამოსავლად მივიღებთ პეროზის გამეფების წელს, მაშინ გამოვა, რომ აჯანყება დაწყებულია 483 ან 484 წელს, რადგან პეროზის ოცდამეხუთე წელი სწორედ ამ წლებზე მოდის. მეორე მხრით, თუ ჩვენ დავყვარდნობით თვით აჯანყების მსვლელობის აღწერას, რომელიც მოცემული აქვს ლაზარ ფარბეცის, დავინახავთ, რომ პეროზი ჰეთათალებთან ომში დაიღუპა აჯანყების დაწყებიდან მესამე წელს, რადგან აჯანყების დაწყებიდან ამ ამბამდე ორჯერ დაუზამთრებია. მ. შასადამე, აჯანყება დაწყებულია 482 წ.

რომელი თარიღია სწორი ამ ორში? ჩვენ ვფიქრობთ, პეროზი მართლაც უფრო შესაძლებელია, რომ ლაზარ ფარბეცის შეშლოდა თარიღი (პეროზის ორი ანუ ოთხე წლის მაგივრად ეთქვა ოცდამეხუთე წელი), ვიდრე დავიწყებოდა და არეოდა თვით აჯანყების მსვლელობა და ორი წლის ამბები სამზე განევრცო. ამასთანავე, როგორც უნდა იხსენიებოდეს, პეროზის გამეფებამდე მასა და მის ძმას შორის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ასეთ პირობებში პეროზის დაღუპვის თარიღი უფრო გარკვეულად და სანდოდ გვეჩვენება, ვიდრე მისი გამეფებისა. ამრიგად, ვარსკენის მოკვლა და ვახტანგის აჯანყება 482 წ. უნდა მომხდარიყო.

¹⁷² ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, გვ. 53. 1928 წ. დაბეჭდილ თავის შრომაში „ძეებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ“ პროფ. ს. კაკაბაძე ვარსკენის მოკვლის თარიღად იძლევა 482 წ. (გვ. 18) და 481 წ. (გვ. 19).

¹⁷³ Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 205—206.

¹⁷⁴ P. Sykes, დასახ. ნაშრ., გვ. 436—437 (თღონდ აქ პეროზის გარდაცვალების წლად 483 წელია); A. Christensen, დასახ. ნაშრ., გვ. 291; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, 1958, გვ. 53—55.

ვარსკენის მოკვლით ვახტანგმა იერიში მიიტანა ქართლის ფეოდალურ ცენტრიდანულ ძალებზე, რომელთაც კავშირი ჰქონდათ გაბმული სპარსელებთან და მეთაური მოუსპო მათ. ამივე დროს ეს ამბავი უთუოდ მეტ იდეურ სიციხვლეს შემატებდა ვახტანგის ბრძოლას ცეცხლთაყვანისმცემელ მტერთან; გამოდიოდა, რომ ვახტანგი არა მარტო სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, არამედ ქრისტიანობისთვისაც¹⁷⁶.

ვახტანგმა აჯანყების დრო კარგად შეარჩია: ირანს დიდი გართულებები ჰქონდა აღმოსავლეთში, აჯანყება უკვე დაწყებული იყო ალბანეთში და სომხეთიც მცირე ბიძგს-ლა ელოდა, რათა თვითონაც აელო ხელში იარაღი. როგორც ჩანს, აჯანყებისთვის ვახტანგმა სათანადო მომზადებაც ჩაატარა: მართალია, მან ვერ შეძლო დახმარების მიღება ბიზანტიელებისაგან. რადგან მათ თითონ უჭირდათ ამ დროს, სამაგიეროდ იგი მოლაპარაკებია ჩრდილო კავკასიელ ჰუნებს და პირობა მიუღია მათგან, რომ ისინი მას დიდძალი ჯარით დაეხმარებოდნენ. აჯანყების დაწყებისას ვახტანგს განუცხადებია: „მე პრძოლას არავის დავანახებ, იმდენ ჰონს გადმოვიყვან, რომ სპარსთა ჯარები წინ ვერ დაუდგნენ“-ო¹⁷⁶.

ჰუნების ამიერკავკასიაში გადმოყვანისთვის საჭირო იყო, რომ კავკასიონის ქედსე გადმომავალი გზები ვახტანგის ხელში ყოფილიყო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, V ს. ორმოციანი წლებს დასაწყისისთვის დარიალის ვასასკლელი, და, ალბათ, სხვა ზეკარებიც, სპარ-

¹⁷⁶ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად ეს ვარსკენი იყო შუშანიკა ქმარი და იმ არშენმა პიტიახმის შვილი, რომელიც სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის სხვა დიდებულებთან ერთად იესუ ქრისტე II-ის კარზე იყო გამოძახებული. პროფ. ს. ვაჯაბაძის აზრით, ვახტანგის მიერ მოკლული ვარსკენი არ არის შუშანიკის ქმარი. მისი ვინაობა არ ჩანს. შემაჯღებელია, იგი იყო ირანის ჩრდილოეთის კუთხის დიდი მარხანი, ანუ პარსიანი (ვახტანგ გორგასალი, გვ. 55).

ლახარ ფარპეცი გარკვევით ამბობს, „ქართლის ქვეყანაში მოხდა შფოთი და არეულობა. ვახტანგმა მოკლა ურჯულთ ბდუში უახუნი“-ო. რადგან ეს ამბავი მოხდა ქართლში, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ პიტიახმაც ქართლია იყო. შევძლებელია ლახარს სპეციალურად ამ აღწერაში ვახტანგის ვინაობა, ის რომ ისეთი დიდი თანამდებობის პირი ყოფილიყო, როგორიც იყო ჩრდილოეთის ქუსტაკის პადოშანი. ამასთან, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ირანის დაყოფა მათ ქუსტაკად მოხდა უფრო გვიან და ვარსკენიც ვერ იქნებოდა ჩრდილოეთის ქუსტაკის პადოშანი.

¹⁷⁶ ვ. ფ., გვ. 118.

სელთა მოხელის, ქართლის მარშპანის, ხელთ იყო. აჯანყების დაწყებისას კი, როგორც ჩანს, ეს გადასასვლელეები უკვე ვახტანგს ეჭირა¹⁷⁷.

ჯუანშერს ვრცლად აქვს მოთხრობილი ვახტანგის ლაშქრობის შესახებ ჩრდილო კავკასიაში—ოსეთის, პაჭანიკეთისა და ჭიქეთის დამარცხებასა და დარბევაზე. მართალია, ჯუანშერის მოთხრობა საესეა ზღაპრული ამბებით, მაგრამ შესაძლებელია, იგი წარმოადგენდეს რეალურად მომხდარი ამბების გამოძახილს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ცნობა, რომელიც მოიპოვება წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში. ვახტანგმა „დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაღნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის აღგილისანი და უწოდა მას კარად დარიალისა, და აწ თვნიერ ბრძანებისა შეფისა ვერ ქელ-ეწიფების გამოსლვად ოვსთა და ყივჩაღთა“—ო¹⁷⁸.

როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ვახტანგმა ხელთ იგდო გადასასვლელეები კავკასიონზე და იქ ციხე ააშენა (თუმცა, უნდა ითქვას, რომ როგორც სტრაბონისა და ტაციტუსის ცნობებიდან ჩანს, დარიალის გასასვლელი ბევრად უფრო ადრეც იყო გამაგრებული). საიდან მომდინარეობს ეს ცნობა, ჩვენ არ ვიცით. თ. ჟორდანიას აზრით იგი მოდის იმ უძველესი საეკლესიო პატიანიდან, რომლის შემოკლებული პირია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკა და რომლიდანაც ბევრი ცნობა შესულა „ქართლის ცხოვრებაში“¹⁷⁹. აკად. ივ. ჯავახიშვილს ამ ცნობის ავტორად, ჩანს, მიაჩნ-

¹⁷⁷ 450—451 წწ. აჯანყების წინ, სანამ ვასაკ სივნიელი აჯანყებულთა მხარეზე იყო, იგი სომეხ ნაზარარებს ჩრდილო კავკასიიდან ჰუნების გადმოყვანას პირდებოდა. როგორც ჩანს, ვასაკს იმედი ჰქონდა, რომ სომხეთის აჯანყებას ქართლიც დაუჭერდა მხარს და გაერთიანებული ძალებით ისინი ხელთ იგდებდნენ ამ გადასასვლელებს. არც ისაა განთროცხული, რომ ჰუნებთან კავშირის გაბმას იგი ჩორის გზით აპირებდა, როგორც ეს მოხდა თვით აჯანყების მსვლელობაში.

¹⁷⁸ თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, ტფილისი, 1892, გვ. 50; გ. (მ.) საბინიანი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, ჩუპბ (1882) წელსა, გვ. 154—155. იგივე ცნობაა უმნიშვნელო განსხვავებებით წმ. ნინოს მეტაფრასულ ცხოვრებაში: ცხოვრება წმინდა ნინოსი შედგენილი დიდის არსენი ქართლის კათალიკონის მიერ X საუკუნეში, თფილისი, 1903, გვ. 47—48.

¹⁷⁹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები..., გვ. XXVII—XXVIII.

და არსენი კათალიკოსი (XII ს.), რომელსაც, მისი აზრით, ეკუთვნის ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქცია¹⁸⁰.

დღესდღეობით საბოლოოდ დადგენილი არ არის, თუ ვინ იყო ამ რედაქციის ავტორი¹⁸¹, მაგრამ ჩვენთვის ამას არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა; უფრო არსებითია ის, რომ მიღებული აზრით ნინოს ცხოვრების ეს რედაქცია XII ს-ზე გვიანდელი ხანისა არ უნდა იყოს. ის ცნობა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, არის ნინოს ცხოვრების როგორც მეტაფრასულ, ისე საბინინისეულ რედაქციებში. ეს უკანასკნელი ძალიან ახლოს მიჰყვება ლეონტი მროველის რედაქციას და, როგორც ჩანს, „ქართლის ცხოვრებიდან“ არის ამოღებული. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: საბინინისეულ ნინოს ცხოვრების ტექსტს მოჰყვება მოკლე ცნობები მირიანის მომდევნო ქართლის მეფეებზე, ბაქარსა და მირდატზე. ეს ცნობები, აგრეთვე; „ქართლის ცხოვრებიდან“ უნდა იყოს ამოღებული და არა პარულუ, როგორც ამას ფიქრობდა თ. ჟორდანიას. ეს აშკარად ჩანს იქიდან, რომ აქ ისევე, როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, მირიანის შემკვიდრებლად დასახელებული არიან ბაქარ, მირიანის ძე და მირდატ ბაქარის ძე, მაშინ, როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თანახმად მირიანის შემდეგ მეფობდნენ მისი შვილიშვილი ბაჟურ რევის ძე და ბაჟურის ძმა თრდატი.

შეორე მხრით, საბინინისეული რედაქცია მეტაფრასულზე აღრინდელი უნდა იყოს. რედაქციულად იგი წინარე-მეტაფრასულია. ამასთან, მათ ორივეს მოებოვებათ ცნობა ნახტანგის ლაშქრობაზე ოსებსა და ყივჩაღებზე და დარიალის ციხის მშენებლობის შესახებ. ორივე რედაქციაში ეს ცნობა მოსდევს ნინოს ცხოვრებას. საერთოდ, ორივე რედაქციის ბოლო ნაწილები ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ შორის კავშირი უეჭველი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ეს ცნობა მეტაფრასული ცხოვრების ავტორს ამოვლოს საბინინისეული რედაქციიდან.

¹⁸⁰ ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 242; მისივე, ძველი ქართული საისტორიო წყაროება, თბილისი, 1945, გვ. 22, 101, 166 და სხვ.

¹⁸¹ გ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1960, გვ. 311—313; ს. ჯანაშია, ფსევდო-არსენი: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის შთანბვ. ტ. 1, № 6, 1940, გვ. 475—482.

მართლაც, ამ უკანასკნელის ავტორს რომ ხელთ ჰქონოდა მეტაფრასული რედაქცია, იგი თავის „ცხოვრებას“ ამ რედაქციით გამოართავდა და არა „ქართლის ცხოვრებით“. მეტაფრასული ცხოვრების ავტორისთვის კი საბინინისეული რედაქცია იგივე მროველისეული იყო, რომელიც მას არ მოსწონდა¹⁵². მაშასადამე, წმინდა ნინოს ცხოვრების საბინინისეული რედაქცია ქრონოლოგიურად უნდა მოსდევდეს ლეონტი მროველისეულს და წინ უნდა უსწრებდეს მეტაფრასულს.

როგორც არ უნდა გადაწყდეს ამ რედაქციათა ურთიერთობის საკითხი, ცხადია, რომ მათი ცნობა ვახტანგის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შესახებ რომელიღაც ჩვენთვის უცნობი ძველი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს, რადგან იგი არ არის არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში და არც ჯუანშერის ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში. სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ცნობა ბოლოს და ბოლოს მაინც შევიდა, იგი ჩანართის სახით მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეულ ნუსხაში (XVIII ს. პირველი მეოთხედი)¹⁵³.

საფიქრებელია, ყველა ეს ცნობა ვახტანგ გორგასალის ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შესახებ იმ დროს ასახავდეს, როდესაც იგი აჯანყებისათვის ემზადებოდა. როგორც ვხედავთ, ეს სამზადისი ვახტანგს სათანადოდ ჩაუტარებია.

ვახტანგ გორგასალის აჯანყების ამბავი სომეხ ნახარარებს გაუგებთ ალბანეთში, სადაც ისინი ძალით იყვნენ წაყვანილი აჯანყებულ ალბანელ მეციხოვნეებთან საბრძოლველად. ამ ამბავმა ისინი დიდად აღაფრთოვანა. განსაკუთრებით დიდ რწმენას გამარჯვებაში მათ უნერგავდა ცნობა ვახტანგის ჰუნებთან კავშირისა და თვით ვახტანგის ბიროვნება, რადგან ვახტანგი მათთვის ცნობილი ყოფილა, რო-

¹⁵² იგი წერს: „ესე ნეტარისა ნინოსს ცხოვრებაჲ შეუწყობებულად და განბნეულად ქართლისა მოქცევვისათანა და ჰანბავსა მეფეთასათანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქვეს უწყით: რომელიმე თვთ მის წმინდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა შიროქანისგან, სხუად რაკობ მლდლისაგან, სხუად აბიათარისგან, სხუად კუალად სიდონიაგან. გარნა წინაუკუნა და უკუნაწარ იგივე და ერთი პირი“. ცხოვრება წმინდა ნინოსი შედგენილი დიდის არსენი ქართლის კათალიკოზის მიერ X საუკუნეში, ტფილისი, 1903, გვ. 51.

¹⁵³ ქართლის ცხოვრება, გვ. 156.

გორც მამიცი კაცი. სომხეთში დაბრუნებისთანავე სომეხ ნახარებებს საიღუმლო ბჭობა გაუმართავთ, რომელზედაც გადაუწყვეტიათ მიმხრობოდნენ ქართლს.

საინტერესოა, რომ ამ გადაწყვეტილებას თავდაპირველად მხარი არ დაუჭირა ვაჰან მამიკონიანმა. შემდეგში სომეხ აჯანყებულთა სარდალმა. იგი ამბობდა. სპარსელები ძლიერნი და შეუპოვარნი არიან, ბიზანტიელები კი სუსტნი და ვერაგნიო. არასაიმედოა ჰუნების ამბავიც, ვინ იცის. მოვლენ დასახმარებლად, თუ არაო. მარტო ქართლი კი სუსტია და მზედრობაც მცირერიცხოვანი ჰყავსო. მაგრამ აჯანყებისთვის განსაკუთრებით დამაბრკოლებელ გარემოებად ვაჰანს მიაჩნდა ის, რომ თვით აჯანყებულ სომეხებს შორის არ იყო ერთიანობა და მოსალოდნელი იყო დალატი¹⁸⁴.

ლაზარ ფარპეცი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა აჯანყების პირველი წელი ქართლში. თუმცა ამიერკავკასიის ხალხების აჯანყება ირანელებისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მაინც ისინი მოუშზადებულნი შეხვედრიან მას. ეს ჩანს იქიდან, რომ სპარსელებს ამ ქვეყნებში ძალიან ცოტა ჯარი ჰყოლიათ. ზევით ჩვენ ვთქვიო, რომ აჯანყებული ალბანელების წინააღმდეგ ისინი ძალით გაყვანილ სომეხებს აბრძობებდნენ. ამაშივე გვარწმუნებს ისიც, რომ აჯანყების პირველა წლის ვანდავლობაში ირანელებმა ვერ მოახერხეს ფართო მასშტაბის საომარი მოქმედების ჩატარება აჯანყებულთა წინააღმდეგ. ამაზე ჩვენ წარმოდგენას ვვაძლევს აჯანყების მსვლელობა სომხეთში.

აჯანყებულმა სომეხებმა თავის სარდალად აირჩიეს ვაჰან მამიკონიანი, სომხეთის მარზპანად სპაკ ბაგოატუნი, ბოლო სივნიეთის მთავრად ბაბგენ სივნიელი. მათ შეაწყობის თხოვნით კაცი აფრიონეს კეისართან. სომეხთა შეთქმულების ამბავი მოლაღატეთა წყალობით მაშინვე ცნობილი გახდა სომხეთის ირანელ მარზპან ატრეშნასპ იოზმანდიანისთვის, რომელიც პაზარაპეტ ვეპეკანამთან ერთად ატრმატეკანში გაიქცა. იქ მან სახელდახელოდ შეკრიბა შვიდათასიანი ჯარი და ისევ მოლაღატეთა რჩევით (ქართლის მეფეს ჰუნები ჯერ არ ვადმოუყვანია, კეისარს მაშველი ჯარი არ გამოუგზავნია და თვითონ სომეხებიც არ არიან შესაფერისად მოშზადებულნიო), სასწრაფოდ შეიჭრა სომხეთში, მაგრამ სოფელ აკორისთან სომეხთა სამასკაციან-

მა რაზმმა სასტიკად დაამარცხა ირანელები. თვითონ მარზპანი ატრე-
შნასპი და ზოგი სხვა ირანელი სარდალი ბრძოლის ველზე დაეცა.
ამით დაძაბვრდა საომარი მოქმედებები სომხეთში აჯანყების პირ-
ველ წელს.

როგორც ჩანს, ამ წელს ძალზედ მნიშვნელოვანი ამბები არც
ქართლში მომხდარა, რადგან ლაზარი არაფერს გადმოგვცემს ამაზე.
ჩანს, ვახტანგი ცდილობდა ჰუნების გადმოყვანას, მაგრამ რაღაც მი-
ზეზის გამო, რომელიც ჩვენთვის უცნობია, ეს არ მოხერხდა. შე-
პირებული მრავალრიცხოვანი ლაშქრის მაგივრად, მას მხოლოდ რამ-
დენიმე ასეული მეომრისაგან შემდგარი ჰუნთა რაზმი აღმოაჩნდა.

ამასობაში დაზამთრდა. სომხებს, ეტყობა, აწუხებდათ ჰუნების
ამბავი. მათ „სასწრაფოდ გაგზავნეს დესპანი ქართლის მეფე ვახ-
ტანგთან, რათა თავისი დაპირებისამებრ მიეცა მათთვის ჰონე-
ბი. ის კი დროის გასაყვანი სიტყვებით აჭიანურებდა თავის ნათქვა-
მის [ასრულებას]. შემდეგ საიდანღაც შეკრიბა სამასი ჰონი და გა-
მოგზავნა სომხეთში. მაგრამ ჯერ კიდევ ზამთრის ერთი თვეც არ გა-
სულიყო, რომ სასწრაფო მომიზეზებით ისევ თავისთან გაიხმო“¹⁵⁵.

როგორც ჩანს, სომხებს უგრძენიათ, რომ ჰუნებთან დაკავში-
რებით ყველაფერი ვერ იყო რიგზე. შესაძლებელია მათ კიდევ იმი-
ტომაც ითხოვეს ვახტანგისგან ჰუნთა რაზმი, რათა დარწმუნებული-
ყვნენ, რომ ვახტანგი დაპირებას შეასრულებდა. მართლაც, ზამთრო-
ბით საომარი მოქმედება წყდებოდა და, როგორც ლაზარის თხრო-
ბიდან ჩანს, იმჟამად სომხებს არ ჰქონიათ გადაუდებელი საჭიროება
ჰუნთა ჯარისა.

ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. სომხების ეჭვე-
ბის გასაფანტავად მას მოუხერხებია სამასი ჰუნი გაეგზავნა მათთვის.
მაგრამ იძულებული გამხდარა ისინი შუა ზამთარში უკანვე გაეწვია.
შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჰუნთა რაზმი მას შინაური მტრების წი-
ნააღმდეგ სჭირდებოდა, რადგან, როგორც ვთქვით, ამ დროს საო-
მარი მოქმედება სპარსელებთან საგულვებელი არ არის.

შემდგომ წელს სპარსელებმა უფრო მტკიცედ მოჰკიდეს ხელი
აჯანყების ჩაქრობის საქმეს. 483 წ. გაზაფხულზე მათ ორი დიდი ლა-
შქარი გამოგზავნეს ქართლსა და სომხეთში. პირველს სარდლობდა
მიპრანი, მეორეს—ატრნერსეპი, ირანის ფუშტიბანსალარი (მონას-

¹⁵⁵ ი. ფ., გვ. 126.

პის უფროსი)¹⁸⁶. ვახტანგმა დაინახა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა სპარსელთა ჯარს და თავი შეაფარა სომხეთის მთებს ქართლის საზღვრის მახლობლად. აქედან მან დახმარება სთხოვა სომხებს. ამასთან იგი ატყობინებდა მათ, რომ ჰუნების მაშველი ჯარის მოსვლას სულ ახლო მომავალში ელოდებოდა¹⁸⁷. ამ დროისთვის სომხებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: ნერსეჰაპატის ბრძოლაში მათ სასტიკად დაამარცხეს ირანელთა ჯარი. ბრძოლის შემდეგ სომხები წალკოტის გავარში ისვენებდნენ, როდესაც ვახტანგის დესპანი მიუვიდათ, გაჰან მამიკონიანი სომეხთა მთელი ჯარით სასწრაფოდ გაეშურა ქართველების დასახმარებლად და კანგარის მთებში დაიბანაჯა.

ვახტანგი, როგორც ჩანს, სწრაფი და გაბედული მოქმედების მომხრე იყო. მას ეშინოდა, რომ სპარსელები ქართლის შიდა რაიონებში შეიჭრებოდნენ და იქაურობას ააოხრებდნენ. ამიტომ ის ცდილობდა დაეყოლიებინა სომხები ბარად ჩასულიყვნენ და შებნოდნენ მტერს. თუნდაც ჰუნების დახმარების გარეშე. გაჰან მამიკონიანი და სხვა სომეხი სარდლები კი ფრთხილობდნენ. ჩანს, მათ აფიქრებდათ ირანელთა ჯარის მრავალრიცხოვნება. ჰუნების მოსვლაჲდე ბრძოლის დაწყება მათ მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ და უმჯობესად თვლიდნენ მთებში დარჩენილიყვნენ, სადაც მტერი ვერ გამოიყენებდა თავის რიცხვობრივ უპირატესობას, მით უმეტეს. რომ, როგორც ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს, გაჰანმა, „იკოდა სომეხთა ჯარის სისუსტე და ხედავდა, რომ მას დაჰკარგვოდა მხნეობა. დაუძღუტებულოყო და სრულგბიით არა ჰგავდა სხვა დროის გულმოდგონებასა და მონდომებას“¹⁸⁸.

აღსანიშნავია, რომ მტრის სიძლიერესა და მრავალრიცხოვანობას სომხები არ შეუშინებია ნერსეჰაპატის ბრძოლაში. რომელიც ცოტა ხნით ადრე მოხდა აღწერილ ამბებზე და რომელშიც სომხებმა გაიმარჯვეს. მით უმეტეს იგივე ითქმის აკორისის ბრძოლაზე, რო-

¹⁸⁶ პროფ. ს. კაკაბაძის სიტყვით ვახტანგის „ჯანყების ჩასაქრობად სპარსეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილ დიდ ჯარს მიჰრანი ჰაზა-რაუბტი წინაშეღილიობდა“ (ვახტანგ გორგასალი, გვ. 55). უნდა ითქვას, რომ ასეთი ირანელი სარდალი — მიჰრან ჰაზა-რაუბტი — არ ყოფილა. ავტორს, როგორც ჩანს, აქ ერთ პირთაგანში გაუერთიანებია ორი სარდალი — მიჰრანი, რომელიც სარდლობდა 483 წ. კამბანის და ზარმიზი ჰაზარაუბტი 484 წ. კამბანის სარდალი.

¹⁸⁷ ვ. ფ., გვ. 132.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 134.

მელშიც სამასმა სომეხმა სძლია ბევრად უფრო მრავალრიცხოვან მტერს. ჩანს, ამჯერად ვაჰანი მართლაც ამჩნევდა თავის ჯარს განსაკუთრებულ შინაგან სისუსტეს. ამაში იგი, როგორც ქვემოთ დაკონახავთ, საბოლოოდ მართალი გამოდგა.

ვახტანგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაერწმუნებინა სომეხები მიუღოთ მისი გეგმა და ბარში ჩასულიყვნენ. ლაზარ ფარპეციის გადმოცემით, ის ამჯერა ტყუილსაც კი ეუბნებოდა მათ, ჰუნები ეს-ეს არის მოვლენო. ახლა ძნელი სათქმელია, ვახტანგი მართლა ატყუებდა სომეხებს, თუ ნამდვილად ელოდებოდა ჰუნებს, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც ხერხით ჩაიყვანა სომეხთა ჯარი ბარში.

ლაზარ ფარპეციის გადმოცემით ვახტანგმა მსვეტრადი გააგზავნინა სომეხთა და ქართველთა ჯარიდან. ერთ-ერთ ველზე მათ შორიდან დაანახვეს ცეცხლები და მეომრების მსგავსად ჩაცმული ხის კუნძები. ვახტანგის განმარტებით ეს თითქოს ჰუნების ლაშქარი იყო, რომელიც არ აღიოდა მთებში, რადგან ვითომც არ სჯეროდა სომეხების მოსვლა. ვახტანგს სომეხებისთვის უთქვამს: ჰუნები მეუბნებიან, ოღონდ სომეხები აქ მამოიყვანე და დაგეანახე და დაიჭერებთ, რომ ისინი აქ არიანო. მაშინ სპარსელები ჩვენ დაგვანებეთ, თქვენ კი თავს ნუ შეიწუხებთო. „ახლა, თუ თქვენ იმ ველზე არ ჩაბვალთ, და ჰუნთა ჯიოი შე არ დამიჭერებს და იმ ადგილიდან ასოსაითვენ არ დაიძვრება, მიპრანი კი მიბრუნდება და ქართლს ააოტრებს, რა სარგებლობა ექნება ჩემთვის თქვენს აქ მოსვლას“-ო¹⁰. ბოლოს და ბოლოს ვახტანგმა თავისი გაიტანა. მიუხედავად ზაფხულის სიციხისა და ზოგ სომეხ ნახარხთა წინააღმდეგობისა, სომეხ-

189 ე. წ. გვ. 133. ზოოლ. ს. კაკაბაძეს ეს ადგილი ისე გაუგია, თითქოს ვახტანგმა ცეცხლები იოანელთა დასაწახავად დაანთებინა, რათა მათ არასწორი წარმოდგენა შექმნოდათ ქართველთა ჯარის სიმრავლეს და თითქოს ამის გამო ან შინაოთულებით შინაველ ირანელთა ჯარს უკან დაესიოს. ასევე, ვახტანგის მიერ მოგონილი ჰუნების მოთხოვნა, სომეხები მთებიდან ბარად ჩასულიყვნენ, მას სიმართლედ მიუჩნევია (ვახტანგ გორგასალი, გვ. 55—56). სინამდვილეში ვახტანგმა ამ ზეობს მიწართა მხოლოდ სომეხების გასამხნეებლად, როგორც ეს ზემოთ აღწერილია. სხვათა შორის, ეს კარგად ჩანს ლაზარის თხზულების ფრანგულ თარგმანშიც (V. Langlois. Collection des Historiens Anciens et Modernes de l'Arménie. t. II, გვ. 336). ასევე, სწორი არაა მ. ბროსეს აზრი, თითქოს ვახტანგი საიდუმლოდ დაკავშირებოდა ირანელებს, რათა დაეღუპა სომეხები (Additions..., გვ. 79).

ქართველთა ლაშქარი ჩავიდა ქარმანანის¹⁸⁰ ველზე და დაბანაკდა მტკვრის ნაპირას. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა სპარსელთა ლაშქარი, რომელიც გაჩერდა მოკავშირეთა ახლოს, ოღონდ მტკვრის გაღმა, მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად სომეხმა სარდლებმა თავისი ჯარი მოშორებით გადაიყვანეს. ბრძოლა გარდაუვალი გახდა.

ღამით მრავალი მოღალატე სომეხთ. ჯარიდან საიდუმლოდ დაუკავშირდა თავის მახლობლებს სპარსელთა ჯარში. ისინი პატარებს თხოულობდნენ აჯახუებასთვის („ცუდმა აღამიანებმა მოგვინადირეს“-ო) და აცხადებდნენ, ჩვენი ნებით კი არ მოვსულვართ საომრად, არამედ ვაჰან მამიკონიანმა მოგვიყვანა ძალითო. მათ ფიცით აღუთქვეს სპარსელებს, რომ შიატოვებდნენ ბრძოლის ველს და სხვებსაც თან გაიყოლებდნენ.

მეორე დღეს სომეხ-ქართველთა ლაშქარი ბრძოლის ველზე გავიდა. ვახტანგი უკანასკნელ წუთამდე ამხნევებდა და არწმუნებდა სომეხ სარდლებს იმაში, რომ ისინი ჰუნების დაუხმარებლადაც გაუმკლავდებოდნენ მტერს. მისი სიტყვით, თითქოს სჯობდა კიდევაც, რომ ჰუნები არ მოსულიყვნენ, „გამარჯვების სახელსა და ნადავლს ისინი წაიღებდნენ“-ო. თუმცა სომეხმა სარდლებმა საბრძოლო წყობაზე განალაგეს ჯარი. მაგრამ ვახტანგმა ვერ შეძლო მათი დარწმუნება. ცხადია, ასეთ მერყეობას, რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული, თავის მხრე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა საქმის საბოლოო შედეგზე.

ქართველთა ლაშქარი ვახტანგის მეთაურობით მარცხენა ფრთას შეადგენდა. ცენტრში და მარჯვენა ფრთაზე სომეხები იდგნენ. როგორც ლაზარ ფარბეცის გადმოცემიდან ირკვევა, ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. ვაჰანმა, რომელიც ცენტრს სარდლობდა, გაბედულად შეუტია მტერს, მრავალი მეომარი დაუხოცა მას და აიძულა უკან დაეხია, ისე რომ მტკვარზეც კი გადაიყვანა, მაგრამ ამ დროს მოღალატეებმა თავისი სიტყვა თქვეს: მათ შიატოვებს ბრძოლის ველი, არევ-დარევა შეიტანეს აჯახუებულთა რიგებში და ბო-

¹⁸⁰ ეს სახელი მ. ბროსეს დამახინჯებულ სომხურ გარდმანად (ქართ. გარდაბანი) იოანნდა, რადგან ბრძოლა ამ მხარეში მოხდათ (Additions..., გვ. 69, შენ. 1). ქარმანანის გარდმანის დამახინჯებად ჩათვლა ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, თუმცა კი ბრძოლა მართლაც გარდაბნის მხარეში უნდა მომხდარიყო.

ლოს მთელი ლაშქარი შედრკა და უკუიქცა. „უეცრად გაიქცა და განშორდა სრძოლის ველს მთელი ჯარი სომხებისა და ქართველებისა, რომელთაგან მრავალი მოლაღატე დაუცხრომლად უყვიროდა ერთმანეთს: „სომხები გაიქცნენ, თავს უშველეთო“¹⁹¹. მტერი გამოუდგა გაქცეულებს, ბევრი დანოცა და ბევრიც ტყვედ ჩაიგდო. დაღუპულებს შორის იყო სომხეთის მარზპანი საჰაკ ბაგრატიუნი და ვაჰანის ძმა ვასაკი.

მიპრანი გამოუდგა ვაჰანს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ვახტანგსაც დაადევნებდა რაზმს. გაქცეულმა სომხებმა თავი მოიყარეს ტაოში, მამიკონიანთა საუფლოში. მიპრანიც იქ მივიდა და გაჩერდა სოფელ ღუში, ირან-ბიზანტიის საზღვარზე. აქედან მან მოლაპარაკება გამართა ვაჰანთან. იგი ურჩევდა ვაჰანს დამორჩილებოდა ირანელებს და შუამდგომლობას პირდებოდა შაჰთან. ამ მოლაპარაკების დროს, სექტემბრის შუა რიცხვებში მან ბრძანება მიიღო ირანიდან სასწრაფოდ გამოცხადებულიყო სამეფო კარზე. აჯანყებულებმა ისარგებლეს მიპრანის წასვლით და საზამთროდ დაბანაკდნენ დვიში, რათა „ცოტათი დაესვენათ და სული მოეთქვათ დაშვროშისაგან“

ლაზარი არაფერს გადმოგვცემს იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ დროს ქართლში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ვახტანგიც სადმე ძალებს იკრეფდა და ემზადებოდა მომავალი წლის ბრძოლებსთვის.

184 წ. გაზაფხულზე სომხეთში დიდი ჯარით შევიდა შარშიპრპაზარავუსტი. სომეხი მოლაღატეებისაგან მას ვაგებულები ჰქონდა, რომ სომხების დიდი რაზმი წასული იყო ქართლში, ხოლო ვაჰან მამიკონიანს კი მცირერიცხოვანი ცხენოსნებიდა დარჩენოდა¹⁹². პაზარა-

¹⁹¹ ო. ძ., გვ. 135.

¹⁹² ეს იყო შედეგი სპარსელების სამხედრო ბრიკებისა. ჯერ კიდევ პაზარავუსტის სომხეთში შესვლამდე სომეხთა ბანაკში გამოცხადებულა რამდენიმე კაცი, რომლებიც ავრცელებდნენ ხმებს, თითქოს საჰაკ ბაგრატიუნი და ვასაკ მამიკონიანი ვაჰანანის ბრძოლაში არ დაღუპულან, მხოლოდ მძიმედ დაჭრილანო. აზლა ისინი ქართლში იმალეებიან ვილაც მუუდაბოესთან, რომელმაც ისინი ბრძოლის ველზე ნახა და გადაათინა, და ძლიერი რაზმის გაგზავნას თხოულობენ, რათა შინ დაბრუნდნენო.

ვაჰანი მიმხედარა, რომ ყველაფერი ეს მტრის ახალი ხერხი იყო, სომხების ისედაც არანრავალრიცხოვანი ძალების დასაქსაქსავად, მაგრამ საჰაკისა და ვასაკის ოჯახების დაკინებათმა მოთხოვნამ იგი აიძულა გაეგზავნა ქართლში დიდი რაზმი მუშელ მამიკონიანის მეთაურობით. ხელცარიელი ბუშელი უკან დაბრუნდა მხოლოდ ვაჰანისა და პაზარავუსტის შეტაკების შემდეგ (ო. ძ., გვ. 141—145).

ვუხტმა სასწრაფოდ მიაშურა ვაჰანს. სომხებს არაკითარი საშუალება არ ჰქონდათ გამკლავებოდნენ სპარსელებს და ამიტომ ბრძოლით ვაეცადნენ მათ.

ვაჰან მამიკონიანმა თავისი თანამებრძოლებითა და ახლომყოფით თავი შეაფარა ხალდიას. ჰაზარავუხტი კვალდაკვალ დაედევნა მას. გზაში ბევრი სომეგრე აიღო და მიწასთან გაასწორა. ბასიანში მას შაჰის ბრძანება მოუვიდა. პეროზი ატყობინებდა ჰაზარავუხტს, რომ იგი ირანის მთელი ჯარით ჰეფთალეებზე საომრად მიდიოდა. ჰაზარავუხტს შაჰი უბრძანებდა სომხეთის მარზპანად შაბუჰ მიჰრანი დაეტოვებინა, თვითონ კი ქართლში წასულიყო, რათა „ქართლს მეფე ვახტანგი ან შეეპყრა, ან მოეკლა, ანდა იმ ქვეყნიდან განედევნა“¹⁰². ჰაზარავუხტმა დაუყოვნებლივ შეასრულა შაჰის ბრძანება.

ქართლში მან თავისთან შეკრიბა ადგილობრივი დიდებულები. რომლებმაც თავიდანვე მხარი არ დაუჭირეს ვახტანგს. მათ შეუერთდნენ ისინიც, ვინც ვახტანგის მხარეზე იბრძოდნენ. მაგრამ ახლა უღალატეს მას. ჰაზარავუხტმა დიდი წყალობა აღუთქვა ყოველ მათგანს. მოღალატეებისაგან მან რაზმიც კი შეადგინა. ვახტანგმა ნახა, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და ღრობით თავი შეაფარა ეგრისს¹⁰³.

ამ დროს ირანიდან მოვიდა პეროზისა და სპარსელთა ჯარის ჰეფთალეებთან ბრძოლაში დაღუპვის ამბავი. როგორც ჩანს, ჰაზარავუხტი ქართლში ვერ გრძნობდა თავს მთლად უშიშრად. ლაზარ ფარპეცის სიტყვით, „როდესაც ჰაზარავუხტმა ქართლის ქვეყანაში გაიგო პეროზის მოკვლისა და უამრავი სპარსელის ამოწყვეტის შესახებ, შეძრწუნდა, შეეშინდა თავისი თავის გამოც და [გადაწყვიტა] საჩქაროდ წასვლა სპარსთა ქვეყანაში“¹⁰⁴.

სასწრაფოდ წავიდა ირანში შაბუჰ მიჰრანიც. დიდი ხნის ბჭობის შემდეგ სპარსელმა დიდებულებმა ირანის სამეფო ტახტზე დასვეს პეროზის ძმა ვალარში. ამის შემდეგ ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიაში“ არაკითარი ცნობა არ მოიპოვება ქართლში აჯანყების მსგავსლობის შესახებ.

რით დამთავრდა ეს აჯანყება და რა შედეგი გამოიღო მან ქართლისთვის?

¹⁰² ო. ფ., გვ. 146.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ იქვე, გვ. 157.

ამ საკითხზე პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში იგი რამდენადმე ღიად რჩება. ს. გორგაძე და ივ. ჯავახიშვილი არაფერს ამბობენ აჯანყების შედეგის შესახებ¹⁹⁶. ს. ჯანაშიას, როგორც ჩანს, მიაჩნდა, რომ აჯანყება დამარცხდა. იგი წერდა: „რათქმაუნდა, ვახტანგის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მარცხით თავდება. წაგებულთა ბრძოლა ირანელებთან და ამის მიზეზია არა მარტო სამხედრო უპირატესობა ირანელებისა, არამედ უფრო მეტად ის შინაგანი სისუსტე ვახტანგისა, რომლის წყართც წარჩინებულთა ოპოზიციამ“¹⁹⁷. მართალია, აქ ს. ჯანაშია გულისხმობს ვახტანგის მოღვაწეობას ზოგადად, მაგრამ მისი სიტყვები უეჭველია 482—484 წლების აჯანყებასაც შეეხებიან.

ჩანს, პროფ. ვ. დონდუც ასეთივე აზრისაა. ქართლის აჯანყების აღწერას იგი ასე ამთავრებს: „ქართლში შემოიჭრა სპარსთა მთავარი ძალა ჰაზარავუხტის მეთაურობით. ვახტანგმა ეგრისს შეაფარა თავი. ცოტა ხნის შემდგომ ვახტანგ მეფე ღალატით იქნა მოკლული პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ, მისივე ერთი მონის ხელით (502 წ.)“¹⁹⁸.

ასევე, საქართველოს ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „სპარსელებმა ბოლოს მაინც მოახერხეს აჯანყებულთა დამარცხება. ამას შეუწყო ხელი იმან, რომ არც ჰუნები და არც ბიზანტიელები არ მოეშველნენ აჯანყებულებს. ვახტანგ მეფე იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გახიზნულიყო. ირანელებს დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე შინაურმა ღალატმა. ბევრი ქართველი და სომეხი დიდებული სპარსელების მხარეზე გადავიდა. თვით ვახტანგ გორგასალიც ბოლოს შინაური ღალატის მსხვერპლი შეიქნა. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ იგი დაბრუნდა ქართლში და ახალი ბრძოლა გააჩაღა სპარსელების წინააღმდეგ, ერთ-ერთ ბრძოლაში იგი სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი თავისივე მონის მიერ“¹⁹⁹.

¹⁹⁶ ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, გვ. 72; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, გვ. 242—243.

¹⁹⁷ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. 1, გვ. 290.

¹⁹⁸ საქართველოს ისტორია, 1, დახმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 97.

¹⁹⁹ საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო VIII—X კლასებისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 69.

პირდაპირ არ აღნიშნავს აჯანყების შედეგს პროფ. ს. კაკაბაძეც, თუმცა იგი ამბობს, რომ პეროზის სიკვდილისა და ვალარშის გამეფების „დროს მაშინვე აღებულ იქნა მართველობის ახალი, ლმობიერი ხაზი. ქართლიდან გაწვეულ იქნა სპარსელების ჯარი და ვახტანგი კვლავ დაბრუნდა თბილისში. მაგრამ მას ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია. ის სასიკვდილოდ დაქრილ იქნა ერთს ბრძოლაში“²⁰⁰.

პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო ისევ მივმართავთ ანოლოგიებს.

ლაზარ ფარპეცი გადმოგვცემს, რომ როდესაც ვალარში მეფედ აირჩიეს, სპარსელ დიდებულთა სახელით ვალარშს ეს ამბავი აცნობა ჰაზარავუხტმა. ამასთან ჰაზარავუხტმა გადასცა მას დიდებულთა სურვილები, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო ასეთი: აღერსითა და სიყვარულით დაამშვიდე ის ხალხები, რომლებიც წინააღმდეგობას გვიწვევენ და აჯანყებულები არიან, რადგან პეროზის ძალადობამ ბევრი ხალხი აგვიმხედრაო²⁰¹.

შემდეგ ვალარშს ჰაზარავუხტის რჩევით თავისთან დაუბარებია შაპუჰ მიჰრანი და გამოუკეთხავს მისთვის სომხეთის ამბები. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართლის შესახებ მას თვით ჰაზარავუხტისაგან ეცოდინებოდა.

ვალარშს სომხეთში გაუგზავნია ნიხორ ვშნასპდატი და დაუბარებია, რაღაც არ დასჯდომოდა, „აღერსითა და სიყვარულით“ ისევ მოეყვანა სპარსელთა მორჩილებაში აჯანყებული ვაჰანი. ნიხორ ვშნასპდატი ჩავიდა სომხეთში და მოლაპარაკება გამართა ვაჰან ქამიკონიანთან.

ვაჰანმა სამი მოთხოვნა წაუყენა სპარსელებს:

პირველი, შეეწყვიტათ სომხეთში ქრისტიანობის დევნა და მახდენობის ქადაგება. მეორე, სახელმწიფო თანამდებობებზე სომხი ნახარარები დაენიშნათ ადგილობრივი ტრადიციისა და წესის მიხედვით. მესამე, მნიშვნელოვანი საქმეები გაერჩია თვითონ შაჰს და არ მიენდო მათი გადაწყვეტა სხვისთვის. თუ ამ სამ პირობას შეასრულებთ, დაგემორჩილებით, თუ არა და, დავიღუპებით, მაგრამ თავს არ დაგიკრავთო, განუცხადებია ვაჰანს.

²⁰⁰ ს. კაკაბაძე, ვახტანგ გორგასალი, გვ. 58.

²⁰¹ ი. ფ., გვ. 58.

ნიხორ ვინასპდატმა სიხარულით მიიღო ვაჰანის მოთხოვნები და აღუთქვა მას მათი შესრულება. ნიხორს საჯაროდ განუცხადებია, ისევე, როგორც არავითარი ბრალი არ მიუძღვით მათ, ვინც პეროზმა ძალით წაიყვანა და დაახოცვინა ჰეთთალებს, ვაჰან მამიკონიანიც არ არის დამნაშავე აჯანყებაში. რადგან იგი პეროზის ძალმომრეობამ აიძულა ასე მოქცეულიყო. შემდეგ ნიხორმა თავისთან მიიწვია ვაჰანი საბოლოო შეთანხმებისათვის. საინტერესოა, ვაჰან მამიკონიანის სპარსელთა ბანაკში შესვლის ამბავი.

როდესაც ვაჰან მამიკონიანი თავისი რაზმით მოუახლოვდა იმ სოფელს, სადაც იღვა ნიხორი, ვაჰანმა თავის მხლებლებს უბრძანა საომრად შეჭურვილიყვნენ და საომარი ბუკები დაეკრათ. ამან ძალიან შეაშფოთა სპარსელები. მათ გადაწყვიტეს რომ ვაჰანმა ისინი მოატყუა და თავდასხმას აპირებდა მათზე. ნიხორმა ვაჰანს შეუთვალა. არიელთა წესს არღვევ, რადგან ბუკის დაკრით ბანაკში შესვლა მხოლოდ არიელთა სპარაბეტს შეუძლიაო. ვაჰან მამიკონიანს ამაზე უპასუხია, ჯერ არიელთა უფლის მსახურად გამხადე, შემდეგ კი შენგან სწავლების გარეშეც მეცოდინება არიელთა წესი და რიგიო²⁰².

მიუხედავად ამისა, ნიხორმა ვაჰანს მამიკონიანი დიდი პატივისცემით მიიღო. ყველაფერში გაამართლა იგი და მომხდარი ამბებისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად პეროზს დააკისრა. ნიხორმა რამდენჯერმე თქვა ხაზგასმით, ვაჰანთან დაზავებამ არიელთა დამარცხებით გამოწვეული მწუხარება იმედით შემიცვალაო. შემდეგ მან დიდი წვეულება გაუმართა ვაჰანს და მის მხლებლებს. აჯანყების მოღალატე სომეხი ნახარარები ამ წვეულებიდან შერცხვენილნი ვაუგდიანთ. არ შეუშვიათ ისინი მეორე დღეს იმ საკრებულოშიც, სადაც ბჭობდნენ ნიხორი და ვაჰანი. ლაზარის სიტყვით. მოღალატე ნახარარები იქამდის მისულან, რომ მზად იყვნენ დიდა ღასით შეეძინათ აჯანყების მოწაწილეთა სახელი, მაგრამ ვერ ახერხებდნენო²⁰³.

სხვათა შორის, ნიხორმა სთხოვა ვაჰანს გაეგზავნა სომეხ ცხენოსანთა რაზმი ირანში, რადგან პეროზის შვილი ზარეჰი აჯანყებულიყო და მამისეული ტახტის დასაბრუნებლად ემზადებოდა. თვით ნიხორისთვისაც დაუბარებია შაჰს, სასწრაფოდ დაბრუნდი სომხეთიდანო²⁰⁴.

²⁰² ი. ქ., გვ. 164—165.

²⁰³ იქვე, გვ. 169—170.

²⁰⁴ იქვე, გვ. 171.

ვაჰანმა მართლაც გაგზავნა ირანში ცხენოსანთა რაზმი, რომელსაც დიდი მონაწილეობა მიუღია ზარეჰის დამარცხებაში. შემდეგ შაჰის კარზე წავიდა თვით ვაჰან მამიკონიანიც. საინტერესოა, რომ როგორც ლაზარი გადმოგვცემს, შაჰმა ჩასვლისთანავე მიიღო ვაჰანი, მაგრამ იმ დღეს მხოლოდ მიესალმა მას და მოიკითხა, შემდეგ კი დასასვენებლად გაუშვა, ნამგზავრია და დაღლილით. ხანგრძლივი საუბარი შედგა მეორე დღეს. ვალარშმაც ყველაფერი პეროზს გადააბრალა. ვაჰანმა გაიმეორა თავისი მოთხოვნა: მოგვეცით აღსარების თავისუფლება, თუ გინდათ, რომ დაგემორჩილოთ და გემსახუროთ.

ვალარში დათანხმდა ამაზე შემდეგ მინ ვაჰანს მიანიჭა მამიკონიანთა ტანუტერობა და სომხეთის სპარაპეტობა. შაჰმა დაასაჩუქრა, აგრეთვე, ვაჰანის მომხრეებიც. სომხეთში მარზპანად დაინიშნა ვინმე სპარსელი ანდეკანი, რომელსაც, როგორც ჩანს, სპეციალური დავალება ჰქონდა როგორმე მოეგო სომხების გული, რადვან ლაზარი ძალიან აქებს მის მოქმედებას. იმავე ანდეკანის მოთხოვნით შემდგომ წელს (485) სომხეთის მარზპანად თვით ვაჰან მამიკონიანი დაინიშნა.

როგორც ვხედავთ, საშინელმა მარცხმა ჰეფთალღებთან ომში და შინაურმა არეულობამ აიძულა სპარსელები სრულიად გამოეცვალათ თავისი პოლიტიკა სომხეთის მიმართ. მათ არა მარტო აპატიეს სომხებს აჯანყება, არამედ მისი გამოწვევის ბრალი დასდეს თვით ირანის შაჰს, პეროზს. სპარსელებმა შეასრულეს აჯანყებულთა ყველა მოთხოვნა, შეწყვიტეს ქრისტიანობის დევნა და აღადგინეს სომეხ ფეოდალთა პრივილეგიები. მათ დაასაჩუქრეს აჯანყების მონაწილენი, ხოლო მათი შეთაური ვაჰან მამიკონიანი, როგორც ითქვა, დანიშნეს სომხეთის სპარაპეტად და ბოლოს მარზპანადაც კი (გავიზნენოთ, რომ აჯანყების წინ სომხეთის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო თანამდებობები, როგორიც იყო, მაგალითად, მარზპანობა და სპარაპეტობა, სპარსელებს ეჭირათ²⁰⁵). საჭმე იქამდისაც კი მისულა, რომ

²⁰⁵ ვ. ვ. ტრევერის სომხეთის ყოფილი მარზპანი ატრეშნასპ იონზანდიანი, ისევე როგორც ზარშიპრ ჰაზარაფუნტი, სომხებად მიჩნია (К. В. Тревер, Очерки по истории Кавказской Албании, გვ. 218). ამ დასკვნას იგი აკეთებს ლაზარის ტექსტის არასწორი გაგების საფუძველზე. სინამდვილეში ორივე ისინი სპარსელები იყვნენ. ზარშიპრ ჰაზარაფუნტი გამოჩენილი სპარსელი სარდალი იყო და, როგორც ხევით ვნახეთ სარდლობდა აჯანყებული ქართლისა

აჯანყების მონაწილის სახელი საპატიოდაც კი გამხდარა. „ისევ იქნა აღდგენილი ნახარებებისა და სამღვდელთა პრივილეგიებზე მდგომარეობა. სომხეთი ცნეს ნახევრად დამოუკიდებელ ქვეყნად, რომელსაც ჰქონდა თვითმართველობა“²⁰⁶.

როგორც ვხედავთ, აჯანყების საქმე სომხეთში წარმატებით ლაგვირგვინებულა.

ზევით ჩვენ მოვიყვანეთ ლაზარ ფარბეცის ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ვახტანგ გორგასალმა დაიწყო აჯანყება ქართლში, ალბანეთში უკვე მიმდინარეობდა აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ. შემდეგ ლაზარი არაფერს ამბობს ალბანეთის აჯანყების მსვლელობისა, ან მისი შედეგების შესახებ. იგი მხოლოდ აღნიშნავს, რომ, როდესაც შაპუჰ მიჰრანი აცნობდა ვალარშს მდგომარეობას ამიერკავკასიაში, მას უთქვამს, სომხები რომ ჩვენს მხარეზე ყოფილიყვნენ „ქართლიცა და ალბანეთი სრულებით ვერ გაბედადნენ პირი ექციათ ჩვენგან, ან სხვანაირად განეზრახათ რაიმე“-ო²⁰⁷. ამ სიტყვებიდან გამოძინარე კ. ვ. ტრევერს სამართლიანად მიაჩნია, რომ აჯანყებას ალბანეთში ფართო მასშტაბი მიუღია²⁰⁸.

ალბანეთის აჯანყების შედეგების გასარკვევად ძალიან საინტერესო ცნობები აქვს მოვსეს კალანკატუაცის.

ზევით ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ სპარსელებმა ალბანეთში მეფობა გააუქმეს 463 წელს. მოვსეს კალანკატუაციის გადმოცემით, ამის შემდეგ შაჰი ყოველგვარ ძალმომრეობას მიმართავდა, რათა აღმოეფხვრა ქრისტიანობა სოახეთს, ქართლსა და ალბანეთში. მისი ბრძანებით ყველგან აშენებდნენ ცეცხლის სამლოცველოებს. სხვებთან ერთად ქრისტიანობა უარუყვია და მიუღია მაზღეანობა ალბანე-

და სომხეთის წინააღმდეგ გამოგზავნილ სპარსთა ჯარს. მას დიდი მონაწილეობა მიუღია ვალარშის შაჰად აორივის საქმეშიც. ატრეშნასპ იოზმანდიანს კი ლაზარი პირდაპირ ამაყნებს სპარსელად (մարգարանն պարսիկს կարվქნայყო, Գ. Գ., გვ. 122).

კ. ვ. ტრევერი იქვე ამბობს, რომ აჯანყებული ალბანელების წინააღმდეგ გავზავნილ ჯარის მთავარსარდალი იყო ატრეშნასპ იოზმანდიანი, ხალხთა ამ ჯარში შეძავალი სომხური რაზმებისა კი ჰაზარავუბტიო. ნამდვილად კი პირიქით იყო. ჰაზარავუბტი სარდლობდა მთელს ჯარს, სომხეთის მარზპანი იოზმანდიანი კი — სოახურ რაზმებს.

²⁰⁶ Очерки истории СССР, III—IX, გვ. 207.

²⁰⁷ Գ. Գ., გვ. 159.

²⁰⁸ К. В. Тревер, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსელებს თანაუგრძნობდა, მაგრამ უექველია, მათ შორის ბევრი მოიძებნებოდა ისეთიც, რომლებზედაც შეეძლო დაყრდნობა ვახტანგ გორგასალს.

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ 482—484 წლების აჯანყებას სპარსელების წინააღმდეგ ისევე უნდა მოეტანა გარკვეული წარმატება ქართლისათვის, როგორც მან მოუტანა სომხეთსა და ალბანეთს.

ჯუანშერთან და წმ. ნინოს ცხოვრების ზოგიერთ რედაქციაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ გორგასალი დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში (თლონდ ჯუანშერის სიტყვით ვახტანგი სასიკვდილოდ დაუჭრია სპარსელ მეომარს, ნინოს ცხოვრების მიხედვით კი — მისსავე მონას). თუ ეს ცნობა გულისხმობს 482—484 წლების აჯანყებას, მაშინ იგი რამდენადმე ეპკვის ქვეშ დააყენებს ჩვენს დასკვნას აჯანყების შედეგის შესახებ ქართლისთვის. მართლაც, თუ ვახტანგი დაიღუპა ამ აჯანყების დროს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში სპარსელების წინააღმდეგ ქართლის მებრძოლი ძალები ვერ მოახერხებდნენ გამოეყენებინათ ის ხელსაყრელი ვითარება, რომელიც შეიქმნა შუა აზიაში ირანის მძიმე დამარცხების შედეგად.

საყურადღებოა, რომ ზემოდასახელებულ წყაროებზე უფრო ადრინდელ წყაროში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში, არაფერია ნათქვამი ვახტანგ გორგასალის სპარსელებთან ომში დაღუპვის შესახებ, რაც რამდენადმე გვაეჭვებს თვით ამ ცნობის სისწორეში. მაგრამ ეს ცნობა რომც დადისტურდეს, იგი არ უნდა შეეხებოდეს ქართლის 482—484 წლების აჯანყებას. ლაზარ ფარპეცის თანახმად, მას შემდეგ, რაც ვახტანგმა ეგრისს შეაფარა თავი, ხოლო ჰაზარავუხტი ირანში გაიწვიეს, სპარსელებთან ისე მოხდა შეთანხმება, რომ სამხედრო მოქმედება არ განახლებულა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგი ცოცხალი იყო აჯანყების დამთავრების შემდეგაც (არა გვგონია, იგი დაღუპულიყო ეგრისში წასვლისა და სპარსელებთან საბოლოოდ მომხდარი შეთანხმების შორის, რადგან ამას აუცილებლად მოიხსენიებდა ლაზარ ფარპეცი).

ამიტომ, ვახტანგის სიკვდილი დაკავშირებული არ უნდა იყოს 482—484 წლების აჯანყებასთან (არ არის გამორიცხებული, რომ ვახტანგს სპარსელებთან ომი ჰქონდა უფრო გვიანაც).

როგორც ვნახეთ, ვახტანგ გორგასალისა და სპარსელებთან მისი ომის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართულ წყაროებშიც, მაგრამ მათ ცოტა რამ აქვთ საერთო იმ ცნობებთან, რომლებიც დაცულია ლაზარ ფარპეცის „სომხეთის ისტორიაში“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით ვახტანგი სპარსელების მორჩილი ყოფილა. „მაშინ წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა“-ო²¹⁰, გადმოგვცემს მათიანე. ვახტანგის ურთიერთობაზე სპარსელებთან ამ წყაროში მეტი არაფერია ნათქვამი.

ჯუანშერი ვრცლად მოგვითხრობს ვახტანგის მეფობისა და სპარსელებთან მისი ბრძოლების ამბავს. ჯუანშერის გადმოცემით, თექვსმეტი წლის ვახტანგი ოსეთსა, ბაქანოეოსა და ჟიქეთში ლაშქრობის შემდეგ „სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისათა. სულგრძელად და უშიშრად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა, რამეთუ მეფე ბერძენთა ლეონ დიდი ფცალთ იყო ბრძოლასაგან სპარსთასა, და ვერშემძლებელ იყო სპითა გამოგზავნად აფხაზეთს, და სამ წელ წარტყუნენა ყოველნი ციხენი აფხაზეთისაჲნი ვიდრე ციხეგოჯამდე. და მოვიდა სახლსა მისსა, ქალაქსა სამეფოსა მცხეთას“²¹¹.

შემდეგ სპარსთა მეფე ურმისდმა ვახტანგს „მოუწერა ბრძოლას კეისრსა, რამეთუ ყოა იგი განსრულ იცო ბრძოლად სპარსთა“. ამ დროს ვახტანგი უკვე თცღაორი წლისა ყოფილა. ვახტანგმა სპარსელებთან ერთად ალაშქრა ბერძენებზე, მაგრამ გამოეცა სპარსელებს და მარტო დაამარცხა ბერძენები. შემდეგ მან ტყვეები დაუბრუნებ კეისარს, დაეზავა მას და სამშობლოში დაბრუნდა.

ამ დროს მოკვდა სპარსთა მეფე. მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი მცირეწლოვანი შვილი. ვახტანგმა დაიწყო მზადება სპარსელებთან საომრად: „ამაგრებდა ციხეთა და ქალაქთა, და ჰკაზმიდა შტედართა, და განამზადებდა ბრძოლად სპარსთა“. სამი წლის შემდეგ, როდესაც ახალი შაჰი მოიწიფა, იგი „წარმოემართა ბრძოლად ვახტანგისად“.

²¹⁰ Описание..., II, გვ. 721.

²¹¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 157.

ვახტანგმა დახმარება სთხოვა კეისარს, რომელმაც მხოლოდ
ოთხი თვის შემდეგ გამოუგზავნა მაშველი ჯარი, რადგან თითონაც
საბრძოლველად იყო წასული ხაზარებთან.

ბერძენთა მაშველი ჯარის მოსვლის შემდეგ შაჰმა საზავო მო-
ლაპარაკება გამართა ვახტანგთან. ვახტანგი თვითონაც დაეზავა შაჰს
და ბერძნების თხოვნით ისინიც დააზავა სპარსელებთან.

ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგს მეორე ომიც ჰქონია სპარსე-
ლებთან. ირანის ახალმა შაჰმა ხუასრომ (ასევე ეძახის ჯუანშერი მის
წინამორბედებსაც²¹²) შემოუთვალა ვახტანგს, შენ უნდა „წარმიძღუე
ჩუენ, მეფეო, წინამძღურად ჩუენდა შესლვასა ამას ჩუენსა საბერ-
ძნეთად. და მომეც ასული შენი ცოლად, რათა ვიყო მე ვითარცა
ერთი შვილთა შენთაგანი“. ვახტანგმა ამაზე უარი განუცხადა შაჰს.
„პირველად განემზადე ბრძოლად ჩუენდა და ეგრე შევედ საბერძ-
ნეთად“-ო (სხვითა შორის „მაშინ ვახტანგ დღეთა მიწევნულ იყო ვი-
თარ სამოციანა წლისა“).

სპარსელები შემოვიდნენ ქართლში. იორზე მოხდა დიდი ბრძო-
ლა, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. შემდეგ ვახ-
ტანგი თავს დაესხა სპარსელებს, დაამარცხა ისინი და მოკლა სპარს-
თა მეფის ძე, მაგრამ თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა. სპარსელებ-
მა ააოხრეს თბილისი და არმაზი, მცხეთა კი ვერ აიღეს. ამ დროს
მოკვდა ლეონ დიდი და „დაჯდა მეფედ ზენონ, ძე მისი“. ზენონი
წამოვიდა ვახტანგის დასახმარებლად. ბერძნებსა და სპარსელებს
შორის მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც უშედეგოდ და-
თავრდა. სპარსელები გაბრუნდნენ ქართლისკენ (რა ქნეს მათ ამის
შემდეგ, ჯუანშერს ნათქვამი არა აქვს). ვახტანგი გარდაიცვალა თა-
ვისი ქრილობისაგან.

²¹² ი. ვ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ხოხროთუ“ სპარსულად
„ძლიერ მეფეს“ ნიშნავს. ანტიკურ მისი აზრით, ჯუანშერის თავდაპირველ
დედანში, ან მის წყაროს ტექსტში „ხუასრომ“ სახელად კი არ უნდა ყოფილიყო
ნაგულისსმევი, არამედ „ხოხროთუ“-დ. ე. ი. „ძლიერი მეფის“ აღმნიშვნელ წოდე-
ბულებად იქმნებოდა ნაშმარი. ალბათ, თან მეფის საკუთარი სახელიც იქმნე-
ბოდა დართული, მაგრამ შერპინდელ გადამწერლებს, ან იქნებ თვით ისტორი-
კოსსაც, რომელთაც ეს სიტყვა საკუთარ სახელად მიუჩნევიათ, ამ მეფეთა ნაშ-
დელი სახელი, ვითარცა ზედმეტი გამოუტოვებიათ და ამნაირად სრულებით
შემთხვევით სპარსეთში ზედიზედ ერთიმეორის მომდევნო მეფეებად ხოხროები
გამხდარან“ (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 289).

ამრიგად, ჯუანშერის თანახმად ვახტანგ გორგასალს ორჯერ უომნია სპარსელებთან. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ჯუანშერის გადმოცემით, ეს ომები დაემთხვა ბიზანტია-ირანის ომებს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯუანშერის ცნობების შესაფასებლად.

ბიზანტია-ირანის პირველი ომის დროს, ჯუანშერის სიტყვით, პერძნების კეისარი იყო ლეონ დიდი, ხოლო სპარსთა მეფე — ურმისდი. ომის მსვლელობაში ურმისდი მომკვდარა და მის მაგივრად ტახტზე დამჯდარა მისი მცირეწლოვანი შვილი ხუასრო (ჩვენ დავკმაყოფილდებით ივ. ჯავახიშვილის შემომოყვანილი განმარტებით და არ გამოვეყიდეებით ამ „ხუასროს“). ლეონ დიდი, უეჭველია, არის ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I (457—474), ურმისდი კი შაჰი ჰორმიზდ III (457—459), რომლის შემდეგ ირანის ტახტზე იჯდა არა მისი შვილი, არამედ უმცროსი ძმა პეროზი (459—484). როგორც შემოთაღნიშნული გვაქვს, პეროზმა ბრძოლით წაართვა სამეფო ტახტი ჰორმიზდს. მაგრამ, რაც მთავარია, ლეონ I-ის, ჰორმიზდ III-ისა და პეროზის მეფობაში არავითარი ომი ბიზანტიასა და ირანს შორის არ ყოფილა.

ბიზანტია-ირანის მეორე ომის დაწყების წინ, ჯუანშერის სიტყვით, ლეონ დიდის ნაცვლად ტახტზე დამჯდარა მისი შვილი ზენონი. ამავე დროს ირანში ტახტზე ასულა ახალი შაჰი, ისევე „ხუასრო“. ზენონი (474—491) იყო სიძე და არა შვილი ლეონ I-ისა. ამასთან, ლეონ I-ის შემდეგ ზენონამდე რამდენიმე თვეს ტახტზე იჯდა ლეონ I-ის შვილიშვილი და ზენონის შვილი ლეონ II. ჯუანშერის მიერ მოხსენიებული ირანის ახალი შაჰი კი უნდა იყოს ვალარში (484—488). მაგრამ არც ზენონისა და ვალარშის დროს მომხდარა ბიზანტია-ირანის ომი.

ვახტანგ გორგასალის მეფობის მასლობელ ეპოქაში ბიზანტიასა და ირანს შორის ომი მოხდა 442-სა და 502—506 წლებში. შეიძლება ბოდა მხედველობაში არ მიგველო ჯუანშერის მიერ ბიზანტიისა და ირანის შედეგების ხსენება და გვეფიქრო, რომ ჯუანშერის ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი არის 442 წლის ომი, ხოლო მეორე—502—506 წლებისა, მაგრამ რიგი გარემოებებისა ეწინააღმდეგება ამ ვარაუდს.

442 წ. ბიზანტია-ირანის ომი ცოტა ხანს გაგრძელდა და მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს აღვილი ამ დროს არ ჰქონია, რად-

გან იმპერატორ თეოდოსიუსს ომი არ უნდოდა და იგი სწრაფად დაეხადა სპარსელებს. ჭუანშერის აღწერით კი ბიზანტია-სპარსეთის პირველი ომი მეტად სისხლისმღვრელი იყო და სულ მცირე ათ წელიწადს გავრძელებულა (ჭუანშერის სიტყვით, როდესაც ვახტანგი თექვსმეტი წლისა იყო, ეს ომი უკვე მიმდინარეობდა; ოცდამეორე წლის ვახტანგი სპარსელებმა დაიხმარეს ამ ომში; სამი წლის შემდეგ სპარსელებმა ილაშქრეს ქართლში და მხოლოდ აქ მოხდა დაზავება ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის. საყურადღებოა ისიც, რომ ჭუანშერის გადმოცემით, როდესაც ვახტანგი სპარსელებთან ერთად ებრძოდა ბიზანტიელებს, სპარსელების ჯარს თითქოს კონსტანტინოპოლამდეც კი მიუღწევია).

ამასთან ჭუანშერის მიხედვით ბიზანტია-ირანის პირველსა და მეორე ომს შორის ოცდათხუთმეტ წელს გაუვლია (პირველი ომის დამთავრებისას ვახტანგი ოცდახუთი წლისა იყო, ხოლო მეორე ომის დაწყებისას — სამოციისა). მაგრამ 442-სა და 502 წლებს შორის სომოცი წელია. ასე რომ, აქ ჭუანშერის პირველ ომს მიეიხსნევა 442 წ. ომად, მაშინ მეორე ომი უნდა მომდარდეთ 477 წ. ხოლო აქ მეორე ომს მიეიხსნევა 502—506 წლები. ომად, მაშინ პირველი ომი უნდა მომდარდეთ 467 წ. ჩვენ კ ვიცით, რომ არც 467-სა და არც 477 წლებში ბიზანტიაში და ირანში შორის ომი დასრულდა.

როგორც ვხედავთ, ჭუანშერის მეტად ახსნა ომის დასრულებას ბიზანტიაში და ირანის მსგავსადაც და ამიტომ ამ ომის დასრულებას, რომელი ომები უნდა ვიგულისხმოთ ჭუანშერის მიერ ნახსენებ ბიზანტია-ირანის ომებში¹⁵. ეს კი ძალიან აბრთხელებს ჭუანშერის მიერ აღსვლას ვახტანგ ვახუშტის სპარსელებთან ომების დასრულებას. აქ ამ ომების აღიერილობას, რომელსაც გვწვდის ჭუანშერის აღნიშნული აქვს საერთო ლაშარ ჯარბეცის მიერ მოთხრობილ 482—493

¹⁵ ამ ომს ვითომ ბიზანტიაში და ირანში, გარდა აღნიშნულისა დათარიღებისათვის. ს. ჯორჯაძის ფუნდამენტური გამოკვლევა ირანის ირანია ბიზანტია-ირანის ომების წლებს ომად, როდესაც ჭუანშერის ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგი დაიღუპა ამ ომის დასრულს. ს. ჯორჯაძის ვახტანგის დათარიღებას 503 წელსვე დებდა. ხოლო როდესაც ჭუანშერი, თანამედროვე ვახტანგი ამ ომის სამოცი წლისა ყოფილა, ს. ჯორჯაძე უყვარობდა, რომ ვახტანგი უნდა დაბადებულიყო 483 წელს წყნარღები სატარბეცის ისტორიკოსი, გვ. 54—67).

იგ. ჯაყანის შვილმა გაიზიარა ს. გორგაძის ესკულობა, რომ ვახტანგის გარდაცვალების თარიღად მიიღო 482 წლის შემთხვევაში (ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 296). ვახტანგის გარდაცვალების ეს თარიღი ახეამად მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი დამყარებულია მეტად არასაიანდო საფუძველებზე.

წლების ქართლის აჯანყებასთან. ამიტომ ვერც იმას ვიტყვით, რომ ჯუანშერის ქრონიკისა და სპარსეთის პირველი ან მეორე ომი შეიძლება გულისხმობდეს სწორედ ამ აჯანყებას.

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის თხზულებაში თითქმის არავითარი ასახვა არ პოვა ირანის წინააღმდეგ ქართლის 482—484 წლების აჯანყებამ, რომელზედაც ჩვენ სავსებით ეჭვმიუტანელი ცნობები გვაქვს. მეორე მხრივ, ის ცნობები, რომლებიც აქვს ჯუანშერს ქართლის ბრძოლის შესახებ ირანის წინააღმდეგ, მეტად საეჭვოდ გამოიყურებიან. ეს კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ ჩვენ გავიხსენებთ რამდენი არარეალური, გაზვიადებული ამბავი აქვს გადმოცემული ჯუანშერს ამ ომებთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა: ირანის წინააღმდეგ ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის აჯანყება მოხდა 482—484 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულებმა საომარ მოქმედებებში წარმატებას ვერ მიაღწიეს, საგარეო და საშინაო მძიმე პირობებმა აიძულეს სპარსელები მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ აჯანყებულთა წინაშე. ამდენად, თუმცა აჯანყებულებმა ვერ შეძლეს საბოლოოდ განთავისუფლებულიყვნენ ირანის უღლისაგან, აჯანყებამ ნაწილობრივ მიაღწია თავის მიზანს.

ლაზარ ფარპეცისა და ჯუანშერის ცნობების შეჯერება გვიჩვენებს, რომ ჯუანშერის ცნობები ხშირად არასწორია და მათი გამოყენება დიდ საფრთხილეს მოითხოვს.

§ 5. V ს. ქართლის ისტორიის უოგიანოთი საკითხი ლაზარ ფარპეცის ცნობათა შესახებ

წინა პარაგრაფებში ჩვენ განვიხილეთ ლაზარ ფარპეცის ცნობები, რომლებიც შეეხებოდნენ ქართლის პოლიტიკურ ისტორიას. განსაკუთრებით კი მის ურთიერთობას ირანთან. ახლა ჩვენ გავაჩვენებთ იმ ცნობებს, რომლებიც ეხება V ს. ქართლის სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, კულტურის ისტორიას, ისტორიულ გეოგრაფიას და რიგ სხვა საკითხებს.

ლაზარ ფარპეცი მრავალგზის ახსენებს ქართლის მეფეს, ლაზარი ხმარობს ტერმინებს *ქაყალი* *ქაყა*, *არქაჟ* *ქაყა*, *ქაყა* *არქაჟ*²¹⁴. *ქაყალი* და *არქაჟ* აქ ერთმანეთის სრულ შესატყვისო-

²¹⁴ ო. ფ., გვ. 118, 119, 121, 126, 132—135, 146.

ბას წარმოადგენენ და უნდა ითარგმნონ, როგორც „მეფე“. რაც შეეხება *ქ.ქ.ქ.*-ს, უნდა ითქვას, რომ იგი ძველ სომხურში ნიშნავს „ქართლსაც“ და „ქართველებსაც“, ამიტომ ლაზარის „ქართლის მეფე“ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ქართველთა მეფე“.

სამწუხაროდ, ლაზარის ცნობებში არაფერია ახალი თვით ქართლის მეფის ძალაუფლების ხასიათზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 450 წელს იეზდიგერდ II-ის ბრძანებით ქტეზიფონში ჩასულ სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის თავკაცებს შორის არ არის მოხსენიებული ქართლის მეფე-ლაზარ ფარპეცის სიტყვით, ქართლიდან ჩასულან არშუშა პიტიახში „და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“. უეჭველია, ლაზარი მოიხსენიებდა ქართლის მეფეს, ის რომ ჩასულთა შორის ყოფილიყო.

მართლაც, როგორც ვიცით, ამ დროს შაპთან უნდა გადაწყვეტილიყო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, სახელმწიფო სარწმუნოების საკითხი ქართლს, სომხეთსა და ალბანეთში. ცხადია, იეზდიგერდს არშუშასა და ქართლის დიდებულებზე მეტად ქართლის მეფის ჩანვლა აინტერესებდა. ქართლის მეფის ჩაუსვლელი ქტეზიფონში შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმისა, განსაკუთრებული ვითარებით. ჯუანშერის გადმოცემით, ვახტანგ გორგასალის მამის შირდატის გარდაცვალებისას ვახტანგი მხოლოდ შვიდი წლისა ყოფილა „და საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობისა“... შესაძლებელია, ქართლის მეფის არყოფნა ქტეზიფონში ამ გარემოებით აიხსნებოდეს.

პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, ვახტანგ გორგასალი 456—457 წლებამდე თექვსმეტი წლის განმავლობაში ირანში იმყოფებოდა. ეს რომც ასე ყოფილიყო, ვახტანგს მაინც დაიბარებდნენ შაპთან. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ელიშეს გადმოცემით შაპთან დაბარებულ სომეხ დიდებულთა „ნახევარი მასთან იყო ჯარში, სხვები - ჩრდილოეთის მხარეებში, ჰონთა პაპაკში, ზოგიერთები კი ნახარათაგან სომეხთა ქვეყანაში იყვნენ დარჩენილნი“. აქვე დავუმატებთ, რომ აზრი ვახტანგ გორგასალის სპარსეთში ყოფნის შესახებ პროფ. ს. კაკაბაძეს დამყარებული აქვს ვახტანგის მეფობის საკუთარ დათარიღებაზე, რომელიც ჩვენ არასწორად მიგვაჩნია²¹⁵.

²¹⁵ პროფ. ს. კაკაბაძე ვახტანგ გორგასალის მეფობას ათარიღებს ე. წ. „აფხაზთა მეფეთა ქრონიკით“, სადაც ნათქვამია „ქკსა: ონგ: დასაბამითგან: ხელთ: ვახტანგ გორგასალი მიიცივალა“. რადგან პროფ. ს. კაკაბაძის სიტყვით, IV—VI საუკუნეებში ქართლში წელთაღრიცხვა წარმოებდა ქართლის მოქცევიდან, იგი ქრონიკის 155 ქრონიკონს უმატებს ქართლის მოქცევის თა-

სხვათა შორის, ქტეზიფონში ჩასულ სამიერკავკასიის დიდებულთა შორის ლაზარ ფარპეცი არ ახსენებს ალბანეთის მეფესაც. მაგრამ საფიქრებელია, რომ ალბანეთშიც აგრეთვე ამ მხრივ რაღაც გასაკუთრებული ვითარება უნდა ყოფილიყო, რადგან ალბანეთის მეფე მოხსენებული არ არის 450—451 წწ. აჯანყების მსვლელობის დროსაც, თუმცა ამ დროის ალბანეთის მდგომარეობას საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერენ ელიშე და ლაზარ ფარპეცი.

რიღს, რომელიც მას 306 წ. ძიაჩნია. თლონდ, მისი აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ეს თარიღი შემდგომში 339 წლად იყო შესწორებული, ხოლო შესწორებამდე ვახტანგის გარდაცვალების ქრონიკონი იქნებოდა 179 და ამიტომ ვახტანგი 484 წ. გარდაცვლილად, ამ დასაყენას პროფ. ს. კაკაბაძე ამაგრებს ჯუანშერის ცნობით, მირიანიდან ვახტანგამდე 257 წელმა განვლო. რადგან პროფ. ს. კაკაბაძის აზრით, მირიანი გარდაიცვალა 327 წ., ამიტომ იგი ვახტანგის გარდაცვალების თარიღად ამ შემთხვევაში 484 წ. იღებს. აქედან გამომდინარე პროფ. ს. კაკაბაძის თანახმად, ვახტანგი დაბადებულია 423 წ. (ჯუანშერის ცნობით, იგი სამოცი წლისა გარდაიცვალა), მამამისი მირდატი კი გარდაცვალბულია 430 წ. (თბილისი მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, „მეათობა“, 1958, № 10, გვ. 102; ვახტანგ გორგასალი, გვ. 22. შენიშვნა).

ქართლის მოქცევის თაობადაც 306 წლის მიღება ძველად საუკუნოა და საგანგებო შტკიცებას მოითხოვს. მიღებული აზრით, ქართლის მოქცევა 337 წ. მახლობელ დროში მომხდარა. ამასთან გაუმართლებელია მოქცევის თარიღისათვის ქრონიკონის რიცხვის მიმატება, რადგან ქრონიკონით წელთაღრიცხვა დამყარებული იყო 532 წლიან ციკლზე და არა ქართლის მოქცევაზე, ყოველ შემთხვევაში. ეს ასე უნდა იყოს იმ თხზულებისათვის, რომელიც დაიწერა არა IV—VI საუკუნეებში, არამედ XIII-ში (თ. ყორღანის აზრით „აფხაზთა მეფეთა ქრონიკა“ გადმოწერილი უნდა იყოს დედნიდან, რომელიც, შესაძლებელია, XIII ს. უკანაპინელ მეთათხედს მიეკუთვნება, ქრონიკები, 1892, გვ. LV). გაუმართლებელია, აგრეთვე, ქრონიკონის 155-ის 179-ით შეცვლა იმ მოტივით, რომ ასე იქნებოდა, სანამ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში შესწორებას შეიტანდნენო. მართლაც, ჯერ ის არის დასაშტკიცებელი, რომ ამ შესწორებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. შემდეგ კი ის, რომ ამ შეწორებამდე ქრონიკონის რიცხვი სწორედ 179 იყო. ერთი კი ცხადია, ქრონიკონის 155 არის თხზულებაში, რომელიც დაიწერა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ყოველგვარი „შესწორებების“ შეტანის შემდეგ ყოველივე ხემოთქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ ჩვენი აზრით, „აფხაზთა მეფეთა ქრონიკის“ ცნობა არ გამოდგება ვახტანგ გორგასალის ხელის დასათარიღებლად. მართლაც, ქრონიკონი რჩე უდრის 403 წ. XII მოქცევაში და 935 წ. XIII მოქცევაში, ხოლო დასაბამითგან ხელთ უდრის 935 წ. არც ერთი ამ თარიღთაგანი არ უდგება ვახტანგის ხელის დროს და ამიტომ ამკარაა, რომ „ქრონიკის“ ცნობებში რაღაც შეცდომაა შეპარული.

ასევე არ გამოდგება ამ მიზნისათვის ჯუანშერის ცნობაც, რომელიც სრულიად უადგილო ადგილას ხის და არავითარი კავშირი არა აქვს ჯუანშერის თხრობასთან. იგი გვიანდელი ჩანართის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ მხრივ საინ-

ქართლის გაბატონებულ წოდებათა წარმომადგენელთაგან ლაზარ ფარპეცი ყველაზე ხშირად იხსენებს ქართლის პიტიახშს²¹⁶ (რუსული ქრთმ²¹⁷, ქრთმ რუსული²¹⁸ რუსული²¹⁹).

პიტიახშები იხსენებიან საქართველოში ნაპოვნ ჩვენი წულთაურის ცხვის პირველი საუკუნეების ზოგიერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში. მიღებული აზრით, ამ წარწერებში ხახძაოი „პიტიახში“ წარმომადგენს ქართული „ერისთავის“, „ერისთავრის“ უცხოურ თარგმანს (ყველა ეს წარწერა შესრულებულია უცხო ენებზე) და უმთავრესად იმთავრობდა უცხო ენებზე აღგილობრივი ტერმინის შესატყვისად²²⁰. სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს V—VI საუკუნეების ქართლის პიტიახშებთან.

ტერესთა, რომ ეს ცნობა არ არის „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში. გარდა ამისა, დასამტკიცებელია ისიც, რომ მირიანი 327 წ. გარდაცვლილა, ჩვილებრივად მის სიკვდილს უფრო გვიან ვარაუდობენ (მაშ ვინაა ამიანუს მარცვლიონუსის მიერ 331 წლისათვის მოხსენიებული იბეთის ძეგფი ბერიბანესი?).

როგორც ვხედავთ, ს. კაკაბაძის მიერ მოცემული ვახტანგ გორგასალის მეფობის დათარიღება დამაჯერებელი არ არის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ცნობები საშუალებას არ იძლევიან ზუსტად დავათარიღოთ ვახტანგ გორგასალის მეფობა ჯერჯერობით ჩვენ უნდა დავეყვაროფილდეთ მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ვახტანგის მეფობა მოდიოდა V ს. იყოფე ნახევარზე.

²¹⁶ „ქართლის“ და არა „ქართველთა“ პიტიახშად ვთარგმნით ლაზარ ფარპეცის რუსული ქრთმ-ს, რადგან სწორედ ასევეა მოხსენიებული ვესტაოთი მცბეთელის მარტვილობაში „არშუშა ქართლის პიტიახში“ (ს. ყუბანვიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 47. შდრ. იქვე, ქართლის მარხპანი, ქართლის მთავარნი, ქართლის კათალიკონი, ქართლის მამისახლისი, გვ. 45—47).

²¹⁷ რ. ფ., გვ. 52, 55, 110, 111.

²¹⁸ იქვე, გვ. 59, 107, 110.

²¹⁹ იქვე, გვ. 47, 118, 183.

²²⁰ ს. ჯანაშია, საქართველოს ძველი ისტორიული ძეგლები: გაზ. „კომუნისტი“, 1941, № 127; საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 104; გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, თბილისი, 1943, გვ. 37—41; საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, I, 1958, გვ. 72; გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 182; მისივე, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 459—462; ა. აფაქიძე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 47; კ. გრიგოლია, V—VI საუკუნეთა ქართლის პიტიახშები და მათი სახელის საკითხისათვის: ეურნ. „მნათობი“, 1959, № 4, გვ. 166; საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1960, გვ. 44—45; აგრეთვე სხვა მრავალრიცხოვანი პუბლიკაციები ამავე და სხვა ავტორთა.

ივ. ჯავახიშვილს ქართლის პიტიახში ქართლის ერთ-ერთი თემის, პერეთის მმართველად მიაჩნდა²²¹.

ბროფ. ს. კაკაბაძის თანახმად, ქართლის პიტიახში ჩამომავლობით სპარსეთის სამეფო სახლადან იყვნენ. თვით საპიტიახში კომელსაც სომხები გუგარქის, ხოლო ქართველები ქართლის საპიტიახშოს უწოდებდნენ, დანარჩენ ქართლს შეუერთდა IV ს. ორმოციან წლებში. ამ პროვინციის მმართველს პიტიახშის სახელწოდება სომხეთში ყოფნის დროს მიუძღვა²²².

ს. ჯანაშიას აზრით, როდესაც სპარსელებმა ქართლი თავის გავლენის ქვეშ მოაქციეს, აქ თავისი მოხელე, პიტიახში, გამოვჩავენეს. რათა თვალყური ედევნებინა ქართლის მმართველი წრეებისათვის. შემდგომში სპარსელებმა თავისი მოხრეგები გაიჩინეს ქართლის დიდ აზნაურებში და პიტიახშის სახელს მათ გადასცეს საბოლოოდ პიტიახშობა ჩამომავლობით დაიმკვიდრა ქვემო ქართლის მთავართა სახლმა²²³.

ავად. კ. იველიძეს მიაჩნია, რომ ქართლში არსებობდა პიტიახშის ინსტიტუტი. ქვემო ქართლი იყო ერთ-ერთი საპიტიახში. სპარსელებმა მიერ დანიშნული პიტიახშები კი იყვნენ ჩრდილოეთის, ან კავკასიის „კუსტაკის“ უფროსები და ისტინენ ბარდავში²²⁴.

პ. ინგოროყვას მიხედვით, პიტიახში უფრო მაღალი რანგის გელისუფალი იყო, ვიდრე ერისთავი. ქართლში იყო ოთხი პიტიახში, მათგან შიდა ქართლსა იყო უმთავრესი, მეფის უშუალო მოადგილე, მთავარსარდალი და უმაღლესი მსაჯული²²⁵. IV ს-ში გოგარქის საპიტიახშოს შემოერთებისას, იგი შეუერთდა ქვემო ქართლს და მასთან ერთად შეადგინა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, ქართლის (ქვემო ქართლის) საპიტიახში, ანუ ტაშირის სამთავრო²²⁶.

²²¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფილისი, 1928, გვ. 185; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 282.

²²² ს. კაკაბაძე, ძველი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, გვ. 59.

²²³ ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 266—267, 273, 277; შრომები, II, გვ. 219, 226, 228; საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 104, 107.

²²⁴ კ. იველიძე, ანუ პიტიახშის პეტლის წარწერის გაგებისათვის: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 151—153.

²²⁵ პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიაზე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარ, XI B., ტფილისი, 1941, გვ. 294—302.

²²⁶ პ. ინგოროყვა, გიორგი მერხულე, თბილისი, 1954, გვ. 452.

პროფ. კ. გრიგოლიას აზრით, V—VI საუკუნეების ქართლის პიტიახშები იყვნენ ადგილობრივი მართებლობის აპარატის წარმომადგენლები და არა სპარსელთა ხელისუფალნი. ქართლის პიტიახშები არიან ქართული წყაროების შიდა ქართლის ერისთავები, ქვეყნის სპასპეტები და მეფის პირველი თანაშემწეები. ქვემო ქართლის პიტიახშები კი იყვნენ რიგითი პიტიახშები და მათ ქართლის პიტიახშის წოდებულობა არა ჰქონიათ²²⁷.

აკად. გ. მელიქიშვილიც ასხვავებს ერთმანეთისაგან სპარსეთის მოხელე პიტიახშებსა და ადგილობრივ პიტიახშებს. მისი სიტყვით. პიტიახშის ტიტულის მიკუთვნება ქვემო-ქართლის მმართველისთვის აიხსნება ძველ-სომხური ტრადიციით, რომლის მიხედვითაც ამ ოლქის (იგი ხანდახან სომხეთში შედიოდა) მმართველს პიტიახში ერქვა²²⁸.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლაზარ ფარპეცის ცნობებს შეუძლიათ დამატებითი შუქი მოჰფინონ V—VI სს. ქართლის პიტიახშებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ლაზარ ფარპეცი არაერთხელ ახსენებს V ს. შუა ხანის მოღვაწეს, „არშუშა ქართლის პიტიახშს“. „ქართლის პიტიახში“ არშუშა, ოღონდ VI ს. შუისთვის, მოხსენიებულია ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშიც. ტიტული „ქართლის პიტიახში“ გვიჩვენებს, რომ იგი აღნიშნავდა მთელი ქართლის და არა ქართლის რომელიმე ნაწილის პიტიახშს²²⁹. ამასთან საფიქრებელია, რომ V—VI საუკუნეებში ქართლში მხოლოდ ერთი პიტიახში იყო²³⁰. მართლაც ჩვენ არც ერთი ექვმიუტანელი ცნობა არა გვაქვს,

²²⁷ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ.

²²⁸ Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 461.

²²⁹ ასე ესმით ეს ს. ჯანაშიას (შრომები, I, გვ. 266—267, 277; შრომები, II, გვ. 228; საქართველოს ისტორია, 1948, გვ. 104, 107), აკად. გ. წერეთელს (დასახ. ნაშრ., გვ. 41) და პროფ. კ. გრიგოლიას (დასახ. ნაშრ., გვ. 171—174).

²³⁰ ს. ჯანაშიასა და გ. წერეთლის გარდა, ასე მიაჩნიათ ი. გ. ჯაფარიშვილს (ქართული საქართლის ისტორია, I, გვ. 185; ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 280), ლ. მუსხელიშვილს (სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი: ენიბკის მთაებ. XIII, 1943, გვ. 93—94), გ. მელიქიშვილს (К истории древней Грузии, გვ. 461—462), ა. აფაქიძეს (საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, თბილისი, 1956, გვ. 48).

რომელიც გვიჩვენებდეს, რომ ამ პერიოდში ქვემო ქართლის, ან რაიკი იგივეა ქართლის, პიტიახშის გარდა, ქართლში სხვა პიტიახშებიც არსებობდნენ.

თანამედროვე ე. ი. V—VI სს. წყაროებში, ლაზარ ფარპეცისთან, იაკობ ცურტაველთან და ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, მხოლოდ ქართლის პიტიახშები არიან მოხსენიებულნი²³¹.

პიტიახშები იხსენიებიან გვიანდელ ძეგლებში, მაგ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ოთხი პიტიახშია დასახელებული. მაგრამ ერთი მათგანი იგივე ვარსქენ არშუშას ძეა, დანარჩენები კი აშკარად სპარსელი მოხელეები²³², და თუ მათი სახელებით ვიმსჯელებთ, არაქართველნიც უნდა იყვნენ. სპარსელ პიტიახშებს გულისხმობს ლეონტი მროველიც იმ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც იგი ახსენებს პიტიახშებს²³³.

უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული²³⁴, რომ ჯუანშერი პიტიახშს ხშირად ერისთავის აზრით ხმარობს. ლ. მუსხელიშვილის სიტყვიან ჯუანშერთან მოხსენებულ პიტიახშები აღნიშნავენ ქართლის პიტიახშთა ჩამომავლებს, გვარიშვილებს²³⁵. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ერთ შემთხვევაში ჯუანშერი პიტიახშს ხმარობს, როგორც წარჩინებულთა ზოგად ტერმინს. სამ შემთხვევაში ჯუანშერი ლაპარაკობს სომეხ პიტიახშებზე²³⁶. ეს პიტიახშები ჩვენ ერისთავებად უნდა გავიგოთ, რადგან ამ დროს სომხეთში პიტიახშები აღარ იყვნენ.

საკუთრივ ქართველ პიტიახშებზე ჯუანშერს შემდეგი ცნობები აქვს: ვახტანგ გორგასალმა სპარსელებთან ბრძოლის დროს „ერთი კერძო მოავლინნა პიტიახშნი და სპასპეტი“²³⁷. ქართლში მურვან

²³¹ მართალია, იაკობ ცურტაველი ვარსქენს მხოლოდ „პიტიახშად“ იხსენიებს, მაგრამ ეს არ ცვლის საქაის ვითარებას, რადგან ვარსქენი იმავე ქართლის პიტიახშ არშუშას შვილია, და, მაშასადამე, თვითონაც ქართლს, ან ქვემო ქართლის პიტიახშია და არა რომელიმე სხვა მხარია.

²³² კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 460—461.

²³³ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 60.

²³⁴ გ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 38—39; ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93, შენ. 2; Г. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 459, შენ. 276; გვ. 460—462.

²³⁵ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94 და შენ. 1, 2.

²³⁶ ქართლის ცხოვრება, გვ. 161, 185, 199.

²³⁷ იქვე, გვ. 202.

ყრუხს შემოსვლისას „ყოველნი ე ავირნი და ბატიახშნი, ნათესავენი ერისთავთა და წარჩინებულთანი შეიბეჯეს კაცკასიად და დამალნეს ტყეთა და ღრეთა“²³⁵, ანუ აღფრთხილების ციხისთვის თავი შეუფარებიათ ქართლის მეფეებსაც, შირსა და აჩილს „და იყო მათ თანასიმრავლე მცირედ ტაძრეულისა მათისა და ნათესავი ერისთავთა და ბატიახშთა, ათასი ილენ“²³⁶, VIII ს. შუისთვის „პატიახშნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს, სხუად წარვიდეს“²⁴⁰...

²³⁵ ქართლის ცხოვრება, გვ. 234

²³⁶ იქვე, გვ. 237.

²⁴⁰ იქვე, გვ. 244. აღსანიშნავია, რომ ამ ადგილზე დაყრდნობით პ. ინგოროყვა აკენო, რომ კლარჯეთში იყო საპიტიახშო, კლარჯეთის პიტიახშები იყვნენ ბაგრატიონები, ხოლო რადგან პიტიახშები საერთოდ სამეფო საგვარეულოდან იყვნენ, ამიტომ ბაგრატიონები წარმომადგომლობით ფარნავაზიანები ყოფილანო (ძველქართული მატანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური იბერიის მეფეთა სია, გვ. 294—295, 298 და შე. 3, გვ. 318; გიორგი ბეორულე, გვ. 78—79).

მაგრამ ჯუანშერის გადმოცემიდან არ ჩანს, რომ ეს პიტიახშები ბაგრატიონები იყვნენ. მან არც იცოდა მათი ვინაობა და „წილც პიტიახშებს“ („პატიახშნი ვინმე“) უწოდებს მათ. ამასთან, ჯუანშერის ცნობით, ამ დროს კლარჯეთის ერისთავად იყო გუარამ კურაპალატი მვილი (ქ. ც., გვ. 241), ხოლო რადგან თვით პ. ინგოროყვა ახრით პიტიახში ერისთავზე მაღალი რანგის მოხელე იყო, გამოსდის, რომ კლარჯეთის საერო თავისი რანდენიმე პიტიახში ყოფილა.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში ჯუანშერი ხოვადად წარჩინებულება გულისხმობს

გაათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ცნობის თანახმად „პატიახშები“ კლარჯეთიდან გადასახლებულან, სუმბატ დავითის ძის გადმოცემით კი, პირიქით, ბაგრატიონები კლარჯეთში მკვიდრდებიან იმავე საუკუნის გასულს, ამოტკურაპალატის დროს (ქ. ც., გვ. 376—377). კიდევ უფრო ადრინდელ ეპოქაში, ამოტის მამია, ადარნასეს, დროს გადააქვს ეს ამბავი „ცატიანე ქართლისას“ (ქ. ც., გვ. 251).

რაც შეეხება თვით კლარჯეთის ერისთავს, გუარამის შვილს, ჯუანშერის თანახმად იგი არის ხოაროიანი და არა ბაგრატიონი (ქ. ც., გვ. 24). ცნობები გუარამის ბაგრატიონობის შესახებ ჯუანშერს არ გკუთვნიან და გვიანდელი ჩანართებია მის ტექსტში, როგორც ეს აღნიშნული აქვს „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელს, პროფ. ს. ყაუხჩიშვილს: გვ. 218, შენ. 2, 3; გვ. 222, შენ. 6). ჯუანშერის გადმოცემით, გუარამის გენეალოგია ასეთი ყოფილა: ვახტანგ გორგასალი — დაჩი — ბაკური — ბაკური ძე — ფარსმანი — ბაკური — ადარნასე? — გუარამი. დედის მხრივ კი გუარამი ვახტანგ გორგასალის შვილიშვილი ყოფილა!! გუარამს ბაგრატიონად მოიხსენებს სუმბატ დავითის ძე, მაგრამ იგი არაფერს ამბობს გუარამის შვილის კლარჯეთში ერისთავობაზე და ბაგრატიონების პიტიახშობის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ცნობები სანდო არ არის და დებულება კლარჯეთში საპიტიახშოს არსებობისა და ბაგრატიონთა პიტიახშობის შესახებ საეჭვოდ გამოიყურება.

ყველა ამ შემთხვევაში ჯუანშერი ლაპარაკობს. ზოგადად, არ ასახელებს ამ პიტიასშებს, ან მათ საგამგეო ოლქებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან თვითონაც არ იცის, ვინ არიან ეს პიტიასშები. ამასთან ისინი ისეთ კონტექსტში იხსენიებიან, რომ უფრო ვრისთავებად, ან, საერთოდ, წარჩინებულებად უნდა გავიგოთ. ყოველ შემთხვევაში, ამისთანა ცნობებზე დაყრდნობით იმ დასკვნის გამოტანა, რომ ქართლში რამდენიმე საპიტიასშო არსებობდა, სწორი არ იქნება.

ჯუანშერი მხოლოდ ერთი პიტიასშის სამთავროს ასახელებს და მაშინაც მაინცდამაინც იგივე ქვემო ქართლის პიტიასში იგულისხმება, „რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“²⁴¹.

ჩამომავლობით, ანუ „ნათესავით პიტიასში“ იხსენიებიან სამშვილდის სიონის 777 წ. წარწერაში²⁴². აქაც იგივე ქვემო ქართლის პიტიასშებიან ვვაქვს საჭმე, რადგან სამშვილდე ამ საპიტიასშოში შედიოდა.

პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში დაცულია ბეჭედი, რომელზედაც იკითხება *Ουτως παρισθης Ιβη-
ρως βασιλευσιν*. თუმცა ჯერ კიდევ საბოლოოდ გარკვეული არ არის ამ პიტიასშის სახელი და *βασιλευσιν* სიტყვა მნიშვნელობა, მაგრამ მაინც ცხადია, რომ აქ იხსენიება იბერთა პიტიასში, რაც ისევ ერთ პიტიასშს ვვაგულისხმებანք.

ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ როგორც ქვემოთ დაეინახა, ლაზარ ფიონევი არაერთხელ ასახელებს ქართლის დეოდალთა თითქმის ყველა ფენას, მაგრამ პიტიასში მის მხოლოდ ერთი მკვავს მოხსენიებული²⁴³.

ამრიგად, ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით V–VI საუკუნეებში ქართლში მხოლოდ ერთი საპიტიასშო და ერთი პიტიასში, ქართლის პიტიასში იყო.

²⁴¹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.

²⁴² ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

²⁴³ სავათა შორის, ერთი დეტალი: თავის „წერილში“ ლაზარი მიმართავს ვაჰან მაშიკონიანს: „როდესაც ნეტარბა დედაშენია წაგიყვანათ თქვენ ბღემშთან, ..“ აქ იგულისხმება არაშუბა პიტიასში, მაგრამ არ არის მოხსენიებული არც მისი და არც მისი საპიტიასშოს სახელი. იმიტომ ხომ არაა, რომ ლაზარი და ვაჰანი მხოლოდ ერთ პიტიასშს იცნობდნენ?

თითქმის ყველა მკვლევარი, რომელიც შეჰხებია პიტიახშობის საკითხს, თვლის, რომ ქართლის პიტიახშობის საგამგეო ქვემო ქართლში მდებარეობდა. ეს მკვლევრები ემყარებიან შემდეგ საბუთებს: შუშანიკის მარტვილობის მიხედვით ვარსკენ პიტიახშის რეზიდენცია არის ცურტავში. ცურტავი პიტიახშთა რეზიდენციად დასახელებულია, აგრეთვე, ცურტავის ეპისკოპოსის მოსეს 605—606 წწ. დაწერილ წერილში²⁴⁴. ასევე, გუგარელთა დიდი პიტიახშის რეზიდენციად მოიხსენიებს ცურტავს X ს. სომეხი ისტორიკოსი უხტანესიც, რომლის აღწერითაც ეს პუნქტი მდებარეობდა ქვემო ქართლში, მდ. მაშავერასა და ქციის ახლოს²⁴⁵. ვახუშტის თანახმად ხრამის ხეობაში სოფელი „საპიტიახშო“ არსებულა. არსებობს აზრი, რომ, შესაძლებელია, აქ პიტიახშთა საზაფხულო რეზიდენცია ყოფილიყო²⁴⁶. იაკობ ხუცესის თხრობიდან ჩანს, რომ სამხრეთიდან მომავალი ვარსკენი პერეთზე გავლით პირდაპირ ქვემო ქართლში შედის (ამ შემთხვევაში ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, შედიოდა თუ არა თვით პერეთი ქართლის ფარგლებში); ქვემო ქართლისკენ მივყევართ ჭუანშერის ცნობასაც, რომლის მიხედვით პიტიახში „მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“. დაბოლოს, სამშვილდეში მჭდარან პიტიახშთა ჩამომავალნიც.

როგორც ვხედავთ, ქართლის პიტიახშები მართლაც ქვემო ქართლის მფლობელები ყოფილან²⁴⁷.

²⁴⁴ ილ. აბულაძე, მარტვილობა შუშანიკისი, გვ. 051; *Գիրք թղթից, Թխիլիս*, 1901, გვ. 110.

²⁴⁵ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 051—052; ცურტავის აღგილმდებარეობის შეახებ იხ. აგრეთვე *Լ. Մելիქյան-Բեկ, Վրաց աղբյուրների Հայաստանի և Հայկի մասին*, Ֆեხվան, 1934, გვ. 12—15; მისივე, თრიალეთ-წალკის პატერიარლური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის, კრებული „აპოქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, 1934, გვ. 33—43; *პ. ინგოროძე*, *გეოგრაფიული თეორიები*, გვ. 472.

²⁴⁶ *Լ. Մելիქյան-Բեկ, Վրաց աղբյուրների...* გვ. 15; მისივე, თრიალეთ-წალკის..., გვ. 43; *ს. ჯანაშია*, *მროვები II*, გვ. 293.

²⁴⁷ არ იზიარებს ამ აზრს მაკლოდ პრთვ. *კ. გრიგოლია*, რომელმაც ქართლის პიტიახშის სამთავროდ შიდა ქართლი მიაჩნია. პრთვ. *კ. გრიგოლიას* სიტყვით, თუ პიტიახშები ქვემო ქართლში იმდენ, მაშინ: 1. გაუგებარია ვარსკენის სალაშქროდ წასვლა კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ჭუნებზე (ეს მოსაზრება ეკუთვნის აკად. *კ. კეჭელიძეს*, იხ. *მისი დაახ. ნაშრ.*, გვ. 153). 2. გადაკაობებულად მოჩანს შუშანიკის მარტვილობის სომხური თარგმანის ცნობა, რომლის მიხედვითაც ვარსკენი თავის სამფლობელოს შემოვლას ოთხ თვეს ანდო-

ქვემო ქართლის საბიტიახშო უკავშირდება გუგარქის საბიტიახშოს, რომელიც IV ს. მეორე ნახევრამდის მაინც სომხეთში შედიოდა. კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებაში“ არის ცნობა იმის შესახებ, რომ ალბანეთიდან გარდმანზე გამოვლით წამოსულ მაშტოცს ქართლში ეახლა „ტაშირელთა მთავარი (იშხანი), კაცი პატივცემული და ღმრთისმოყვარე, რომელსაც სახელად ერქვა აშუშა“²¹⁵. ეს მომხდარა V ს. ოციან წლებში, რადგან ამ დროს, იმავე წყაროს ცნობით, სომხეთის ტახტზე მჯდარა არტაშესი (422—428).

ამავე ცნობას, ოღონდ საინტერესო დამატებით იმეორებს მოვსეს სორენაცი: გუგარელთა ბღეშხმა აშუშამ მიიბატონა ალბანეთიდან მომავალი მესრობი თავის სამფლობელოში ტაშირის გავარშიო²¹⁶. მაშასადამე, მოვსეს სორენაციის თანახმად გუგარქის ბიტიახში აშუშა ტაშირის მთავარი ყოფილა.

როგორც ცნობილია, გუგარქი, გუგარეთი, ერქვა ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილს. ამიტომ სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ გამოთქმული აზრი

შებს (სკად. კ ქვემო ღმრთ. იტყვი; 3. ძალიან პოპულარულია არშუშას მძევლად დატოვება იესუნიკრდ II-თან (ნუთუ ქვემო ქართლია ბიტიახშიც უფრო სპარსეთი პირი არავინ მოიხებნებოდა); 4. გაუგებარია, რატომ გააოქრომაგა არშუშა II ქართლის მარხვანის წინაშე ევსტათი სცხეთელა (მცხეთა ხომ ქვემო ქართლში არ შედიოდა).

ვარსკენის ჭუნებზე სალაშქროდ წასვლა დაკავშირებული არ არის მისი სამთავროს აღვიდნდგმარეობაზე. სპარსელებს ანეროკავასიიდან ჯარები შუა აზიაშიც გაჰყავდათ. სწორედ ამ აღვიდებში, სადაც ილაშქრა ვარსკენაა, რეგოც ხევიტ-გნაიუთ (გვ. 166), სპარსელებმა წაიკვანეს სომხური დიდებულებიც. 2. ცნობა ვარსკენის სამფლობელოების შესახებ მართლაც ვადატარბეაქლია. მას რომ დაეუფლებოთ, ვარსკენა მეტრიაჟ არა, მთელი ამიეროკავასიის მფლობელი ყოფილა. ამასთან, ეს ცნობა არის ნათლად სოსანურ თარგმანში და არ არის ქართულ დედანში! 3. არშუშას მძევლად დატოვება სადებრით გასაგებია, რადგან ის იყო ქართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი ფეოდალი და ამასთან ერთად სხვებზე მეტად პატრი- და სასულიეროც იყო. არშუშა რომ შიდა ქართლის მთავარი ყოფილიყო, ეს ცნობა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა? განა ქვემო ქართლი შიდა ქართლზე რითიმე ნაკლები იყო? 4. არშუშა II გაოქრომაგა ევსტათის, როგორც სერთოლუ გადუნინაში მიახ და არა ავტოდტლად რეგოც შიდა ქართლის მთავარი. ამ წყაროს თანახმად ევსტათია გაოქრომაგნემ აგროთვე ვადაც სეფი-წილებიც. განა სავალდებულოა, რომ ყოველი მათგანი შიდა ქართლში მჯდარიყონ?

²¹⁵ სორენაცი, გვ. 72—74.

²¹⁶ შაქუბაძე სორენაცი, გვ. 340—341.

იმის შესახებ, რომ ეს აშუშა პიტიახში არის ქვემო ქართლის პიტიახში და ალბათ იგივე არაა, რომელსაც ჩვენ ასე კარგად ვიცნობთ ლაზარ ფარპეცის მეოხებით.

დვ. წ. II საუკუნიდან (სტრაბონის ცნობით, არტაშესის (189—161) და ზარიადრის დროიდან²⁵⁰) გოგარენე (გუგარეთი) ხორძენესა და პარიადრის მთის კალთებიდან ერთად სომხეთის საზღვრებშია. შესაძლებელია, იბერიამ მოახერხა დროებით დაებრუნებინა იგი თავისი გაძლიერების პერიოდში (I—II სს. ახ. წ.). ფავსტოს ბუზანდის თანახმად, სომხეთის მეფის არშაკ II-ის (345—368) მეფობის უკანასკნელ წლებში გუგარქის პიტიახში გადაუდგა მას და თავისი სამთავრო ქართლს მიუერთა, მაგრამ უკვე შემდეგი მეფის პაპის (369—374) დროს მუშელ მამიკონიანმა ილაშქრა ქართლზე, სიკვდილით დასაჯა გუგარქის პიტიახში და სხვა აჯანყებული ნახარაები, გუგარქი კი ისევ სომხეთს დაუბრუნა²⁵¹. ჯერ კიდევ დასადგენია, რამდენად სწორია ეს ცნობა, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ გუგარქი ქართლის შემადგენლობაშია 387 წლიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა.

სომხეთის შემადგენლობაში გუგარქის საპიტიახში წარმოადგენდა ერთს თთხ საპიტიახშიდან. პიტიახები სომხეთში ყველაზე დიდი და უძველესი დიდებულები იყვნენ. ისინი ნახარაებში, შაღოთა ილაშქრის დროს ბრძენებში არ იბრძებოდნენ. პოლიტიკურად ისინი ნახერხის დამოუკიდებელი იყვნენ და თითქმის მუდამ ი ნახარა უფლებებით სარგებლობდნენ. უკუთმობრივად პიტიახები ვასალი მეფეებში იყვნენ²⁵². ნ. ადონციის აზრით, პიტიახები იყვნენ პატარა სამეფოების მფლობელები. სომხეთშიც ტავრან II-ის დროს (35—56) ეწესა სომხეთის მეფეთა ჰეგემონობა²⁵³.

სომხეთის მიერ გუგარეთის დაპყრობამდე, გუგარეთი იბერიისში შედიოდა და დამოუკიდებელი სახელმწიფო არ ყოფილა. მაგრამ აღ-

²⁵⁰ სტრაბონი, XI, 14, 5; БДИ, 1947, 4, გვ. 232.

²⁵¹ Фавстосахի Բուզանդեսի Պատմության Հայոց, Թիֆլის, 1913, გვ. 242, 3.5—316.

²⁵² Հ. Մանանդյան. Ֆեոդալիզմը հին Հայաստանում, გვ. 34—38; მისივე, Ֆենაქსան տեսության Հայ ժողովրդի պատմության, წით. 8, մաս II, გვ. 317—318; Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 180.

²⁵³ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, С.-Петербург, 1908, гв. 283.

სანიშნავია ის, რომ უკვე შუაბრინჯაოს ეპოქაში ქვემო ქართლში შეიქმნა აღმოსავლურ-ქართული კულტურის ერთი უბველესი და უძლიერესი კერა. შესაძლებელია, რომ ამის გამო ამ ტერიტორიაზე უნდა ვიგულისხმოთ რაიმე ეთნიკური კოლექტივის, ცხადია ქართველურის, არსებობა²⁵⁴.

თუმცა ჩვენ თითქმის არავითარი ცნობები არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა პოლიტიკურად გუგარეთი-გოგარენე იბერიის სამეფოში, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ გოგარენე ცნობილია ანტიკური მწერლობისათვის (სტრაბონი, კლავდიუს პტოლემეოსი²⁵⁵, ...) მაგვითითებს იმაზე, რომ ძვ. წ. უკანასკნელ საუკუნეებში იგი რაღაც სამეურნეო, ეთნიკური თუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული იყო. ანგარიშგასაწევია ლეონტი მროველის ის ცნობაც, რომლის თანახმად ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს ქართლის საერისთავოებად დაყოფისას სამშვილდის ერისთავისთვის მიუცია ქვეყანა. „რომელ არს ტაშირი და აბოჯი“²⁵⁶. როგორც ვხედავთ, საფიქრებელია, რომ გუგარეთი თვით იბერიის სამეფოშიც გარკვეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა.

ამრიგად, სომხეთის სამეფოში გუგარეთის არსებობა, როგორც საპიტიახშოსი გამოწვეული უნდა ყოფილიყო იმით, რომ სომხეთის მიერ მისი დაპყრობის დროს, გუგარეთი წარმოადგენდა ცალკე ერთეულს და დასახლებული იყო სომხებისთვის უცხო ეთნიკური კოლექტივით (სულერთია ქართვების, თუ მათი მონათესავე სხვა ტომის სახით).

²⁵⁴ აკად. ა. შანიძე გოგარენე-გუგარქს ეთნიკურ-გეოგრაფიულ ტერმინს უწოდებს და მასში ქანურ-მეგრული წარმომადგენლობის სუფიქს არ-ს გამოტყობს. ა. შანიძის სიტყვით ეს ტერმინი ნიშნავს გოგელებს, ან გუგელებს (Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. Записки Вост. Отд. Имп. Русского Арх. Общества, т. XXIII, Петроград, 1916, გვ. 369). პროფ. ს. კაკაბაძეც გოგ//გუგ-ს სატომო სახელად მიიჩნევს და მასვე უკავშირებს ციხე გაგის სახელსაც (ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, გვ. 20). აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, „გოგ“ ძირში შეიძლება დავინახოთ სკვითების სახელწოდება „გოგ“-ი (Г. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 224).

²⁵⁵ პტოლემეოსის გოგარენეს იცნობს ტოსარენეს ფორმით (ВДИ, 1948, 2, გვ. 255).

²⁵⁶ ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 24.

როდესაც გუგარქის საპიტიახშო დაუბრუნდა ქართლს (IV ს. მე-
ორე ნახევარი) მას, როგორც ჩანს, გამოაკლდა და სომხეთის ფარგ-
ლებში დარჩა მისი უკიდურესი სამხრეთის პროვინციები ტაშირი,
აშოცი და კანგარი, რომლებიც ისევ შევიდნენ მის შემადგენლობაში
V ს. შემდეგ. სამაგიეროდ, ქართლს სამეფოში შესვლისას გუგარეთს
მიუერთდა მთელი ქვემო ქართლი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მი-
სი დიდი ნაწილი. საფიქრებელია, რომ პიტიახშობა დარჩა იმავე
სახლს, რომელსაც იგი ეჭირა მანამდისაც. მართლაც, გუგარქის პიტია-
ხშის ცდა IV ს. მეორე ნახევარში ქართლისათვის მიეერთებინა თა-
ვისი სამფლობელო, მიგვითითებს იმაზე, რომ მას სავსებით რეალუ-
რი იმედი ჰქონდა, შეენარჩუნებინა თავისი ძალა-უფლება ამ ტერი-
ტორიაზე. ამასთან, მან ალბათ მიიღო რაიმე დიდი სახელი ქართლის
ცენტრალურ სამმართველო აპარატში და ახალი ტიტულიც ქართ-
ლის პიტიახშისა.

ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს იმაზე, რომ გუგარეთის დაბ-
რუნება ქართლში და ქვემო ქართლის საპიტიახშოს შექმნა შედეგი
იყო სპარსელთა პოლიტიკისა. ამასთანავე, როგორც დამაჯერებლად
ამტკიცებს პროფ. კ. გრიგოლია, თვით ქართლის პიტიახშების მოქ-
მელება გვიჩვენებს, რომ ისინი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება
ჩაითვალოს ირანელ მოხელეებად²⁵⁷. პირიქით, მათ შორის იყვნენ
ქართლის თავდადებული პატრიოტები და ქართული კულტურის მო-
ღვაწენიც, მაგალითად, არშუშა პიტიახში, რომელიც მთავრობდა
V ს. ოციანი წლებიდან.

როგორც ვხედავთ, ქართლის პიტიახშობა აღმოცენებულია ად-
გილობრივ ნიადაგზე და წარმოშობით ირანული ინსტიტუტი არ
ყოფილა.

სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ,
თუ რა რეალურ შინაარსს შეიცავდა ქართლის პიტიახშების სახელი.
ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი: როგორც ზე-
ვით აღნიშნული გვაქვს, სომხეთში პიტიახშობის ინსტიტუტი მნიშე-
ნელოვნად განსხვავდებოდა ნახარაარობის ინსტიტუტისაგან (ნახარა-
რი იგივე ქართული ერისთავია). მართალია, IV ს. 80-იანი წლებიდან
სომხეთში პიტიახშები აღარ არსებობდნენ, მაგრამ ტრადიცია ამ ინს-
ტიტუტის შესახებ არსებობდა უფრო ვვიანაც. გერძოდ V ს-ში, რო-

²⁵⁷ კ. გრიგოლია, დასახ. ნაშო., გვ. 168—170.

გორც ჩანს, მოგონება ამ ინსტიტუტის რაობის შესახებ საკმაოდ ცხოველი იყო. საუკეთესო ცნობები სომხეთში პიტიახშობის შესახებ შემოგვინახეს სწორედ V ს. ავტორებმა—აგათანგელოსმა და ფავსტოს ბუზანდმა. უნდა ვიფიქროთ, რომ ლაზარ ფარპეცისაც ეცოდინებოდა. რას წარმოადგენდა პიტიახშობა, მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ ხაზგასმით აღნიშნავს, იგი მშვენივრად იცნობდა აგათანგელოსისა და ფავსტოს ბუზანდის თხზულებებს.

თავის წიგნში ლაზარ ფარპეცის მოხსენებული აქვს სომხეთის ფეოდალური ზედაფენის ყველა კატეგორია. მაგრამ იგი არც ერთხელ არ ახსენებს პიტიახშს. ეს გასაგებიცაა: ლაზარი აღწერს სომხეთის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც პიტიახშობა სომხეთში აღარ არსებობდა. ქართლის დიდებულთაგან ლაზარი ახსენებს ნახარაებს, ტანუტერებს, სეპუპებს, მაგრამ პიტიახში მისთვის მხოლოდ არშუშა და მისი შვილი ვარსქენია. როგორც ვხედავთ, ლაზარი კარგად ასხვავებს პიტიახშობას სხვა წოდებათაგან. აღსანიშნავია, რომ იაკობ ხუცესი ვარსქენს იცნობდა მეტჯერ ახსენებს პიტიახშად და არც ერთხელ ერისთავად. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მიგვითითებს იმაზე, რომ პიტიახშობისა და ერისთავობის ინსტიტუტები ერთი და იგივე არ არის და მათი გაიგივება სწორი არ უნდა იყოს.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ლაზარ ფარპეცი ქართლის პიტიახშს აშკარად ქართლის სხვა დიდებულებზე უფრო მაღლა აყენებს: ერთგან იგი არშუშა პიტიახშს ქართლის მთავარსაც (*ქუქუთანს* *შ.კაყ*) კი უწოდებს²⁵⁸. არა გვეგონია, ეს გამოწვეული ყოფილიყოს იმით, რომ ლაზარი პირადად იცნობდა არშუშა პიტიახშს და განსაკუთრებული მაღლობის გრძნობით იყო გამსჭვალული მის მიმართ, როგორც თავისი და თავისივე მფარველი მამიკონიანების აღმზრდელისა.

როდესაც ვიხილავთ ლაზარ ფარპეცის ცნობებს ქართლის სოციალური სტრუქტურის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, როგორც ჩანს, ლაზარი ამ მხრივ არავითარ განსხვავებას არ ამჩნევდა ქართლსა და სომხეთს შორის. ქართლის მიმართ იგი ხმარობს სოციალური კატეგორიების აღმნიშვნელ იმავე ტერმინებს, რომლებსაც ხმარობს სომხეთის მიმართ და ამასთან ყოველგვარი შენიშვნის გარეშე.

ზევით ჩვენ აღნიშნული გვაქვს²⁵⁹, რომ სომხეთში დიდი ფეოდალური სენიორიების მეთაურებს ერქვათ ნახარარები. თავისი სახლის მიმართ ნახარარები იყვნენ ტანუტერები, ე. ი. სახლისუფალნი. სახლის დანარჩენ წევრებს ერქვათ სეპუტები. უფრო ძლიერ ნახარარებს ერქვათ უფროსი (ავაგი) ნახარარები, შესაბამისად იყვნენ უფროსი ტანუტერებიც. ასევე სეპუტებს შორის ისინი, ვინც უფრო აბლოს იდგნენ ნათესაობით სახლისუფალთან, ავაგ სეპუტებად იწოდებოდნენ. ყველა ეს კატეგორია მოხსენიებულია ლაზარ ფარპეცისთან, რომელსაც იგი ლაპარაკობს ქართლის დიდებულებზეც.

ლაზარის სიტყვით, იუზდიგერდ II-ეს უბრძანებია, რომ სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის „ტანუტერები და ავაგი სეპუტები“²⁶⁰ სასწრაფოდ მასთან გამოცნადებულიყვნენ. მართლაც, ქართლიდან წასულან „ბდეშხე აშუშა და იმ ქვეყნის სხვა ტანუტერები“²⁶¹ (თავად ითქვას, რომ პიტიახში და ტანუტერები აქ ერთნაირად არიან მოხსენიებულნი, რადგან პიტიახშიც ისეთივე ტანუტერი იყო თავისი სახლის მიმართ, როგორც ჩვეულებრივი ნახარარები).

სპარსეთის კარზე ჩასულთ ლაზარი შემდგომში ახსენებს როგორც ნახარარებს²⁶², ავაგ ტანუტერებს²⁶³, ტანუტერებს²⁶⁴, ავაგ სეპუტებს²⁶⁵ და სეპუტებს²⁶⁶. მართლაც, საფიქრებელია, რომ ჩასულია შორის ყველა ამ კატეგორიის წარმომადგენლები იქნებოდნენ. მათ ყველას ლაზარი აზატებსაც²⁶⁷ უწოდებს. აზატები—თავისუფალი, ფეოდალთა კლასის ზოგადი სახელი იყო.

სპარსელ მოხელეთაგან ქართლში ლაზარ ფარპეცის დასახელებული ჰყავს მარზპანი. ლაზარის გადმოცემით, სომხეთის 450—451 წლების აჯანყების შემდეგ, იუზდიგერდ II-ის წინაშე აჯანყების შეთაურთა დაკითხვის დროს, არშავირ კამსარაკანს განუცხადებია, აჯანყებისაკენ სომხეთის მარზპანი ვასაკ სივნიელი გვაქეზებდაო. ვა-

²⁵⁹ ა ქ ვ ე, გვ. 84.

²⁶⁰ ო. მ., გვ. 47.

²⁶¹ ი ქ ვ ე.

²⁶² ი ქ ვ ე, გვ. 50, 51, 52.

²⁶³ ი ქ ვ ე, გვ. 53.

²⁶⁴ ი ქ ვ ე, გვ. 51, 54.

²⁶⁵ ი ქ ვ ე, გვ. 53.

²⁶⁶ ი ქ ვ ე, გვ. 50, 51, 52, 54.

²⁶⁷ ი ქ ვ ე, გვ. 49.

საკი გვაიმედებდა, „როდესაც მე ქართლის მარზპანი ვიყავი და ალანთა²⁶⁸ კარი ჩემს ხელთ იყო“, ჰუნების სარდლებს დავუშეგობრდი და ისინი დავკენმარებიანო²⁶⁹.

ვასაკ სივნიელი სომხეთის მარზპანად იყო უკვე 443 წ., რადგან ამ წელს შემდგარი შაჰაპივანის კრების კანონმდებლობის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „ეს მოხდა სპარსთა მეფის იაზკერტის მეფობის მეექვსე წელს და ვასაკ სივნიელის სომხეთის მარზპანობისა, ვაჰან ამატუნის ჰაზარაპეტობისა და ვრივ ზორხორუნის მალხაზობის დროს“-ო²⁷⁰. მაშასადამე, ქართლის მარზპანად ვასაკ სივნიელი მხოლოდ 443 წლამდე შეიძლება ყოფილიყო²⁷¹.

უნდა ითქვას, რომ დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლება არსებობდა, სპარსელები, როგორც ჩანს, მარზპანებს მუდმივად არ ნიშნავდნენ. ამისთანა ქვეყნებში ისინი მარზპანებს გზავნიდნენ მხოლოდ რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში და საგანგებო დავალებით. თვით სამარზპანოს ტერიტორიებიც არ იყო მტკიცედ დადგენილი და ხშირად იცვლებოდა²⁷². სომხეთში სპარსელებმა მარზპანი დანიშნეს მხოლოდ მეფობის მოსპობის შემდეგ²⁷³. არა ჩინან ქართლის მარზპანები 450—451 და 482—484 წლების აჯანყებათა დროს, თუმცა ეს პერიოდები დაწვრილებით არის აღწერილი ელიშესა და ლაზარ ფარპეცის თხზულებებში²⁷⁴.

²⁶⁸ ტექსტში აქ „ალბანთა“ არის, რაც აშკარა შეცდომაა.

²⁶⁹ ო. ფ., გვ. 83.

²⁷⁰ 2. Մ ա ռ Ն ի ղ յ ո Ւ Ռ Ն ի խ ի ղ յ ա ղ ի մ ի ի ն Հ ա յ ա թ ի ա ռ ի մ, გვ. 82—83.

²⁷¹ ივ. ჯავახიშვილს რაღაც გაუგებრობით ვასაკ სივნიელის ქართლში მარზპანობის დროს ნათქვამები აქვს 439—457 წლები (ქართველი ერის ისტორია, I. გვ. 234). მრავლ. ს. ერემიანის აზრით, ვასაკი ქართლის მარზპანად იყო 439—443 წლებში (Сюния и оборона сасанидами кавказских проходов, Изв. Арм. ФАН-а СССР, 1941, № 7 (12), გვ. 38; ნიხიე, Народно-освободительная война армян..., გვ. 44; Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 196). კ. ვ. ტრევერს აღნიშნული აქვს, რომ ვასაკი სომხეთის მარზპანად 441 წელს დაბეჯდათათ (Очерки по истории и культуре Кавказской Албании, გვ. 202).

²⁷² A. Christensen, დასაბ. ნაშო., გვ. 138.

²⁷³ ო. ფ., გვ. 25; Մ ա ղ ի ղ յ ա ղ ի մ ի ի ն Հ ա յ ա թ ի ա ռ ի մ, III, 64.

²⁷⁴ ამიტომ არ ვიცი, რას გმყარება პროფ. ს. კაკაბაძე, როდესაც ამბობს, რომ 440—456 წლებში (ამ დროს მისი აზრით ვახტანგ გორგასალი სპარსეთში იმყოფებოდა) „ქართლის (საქართველოს) სახელმწიფოს განაგებდნენ სპარსელების მიერ დანიშნული მარზპანები (სხარის მმართველნი) და მათნი თანაშემწე პიტიახშები“ (ვახტანგ გორგასალი, გვ. 20).

საფიქრებელია, რომ ჩალაც საგანგებო დავალება ჰქონდა ვასაკ სივნიელსაც მისი ქართლში მარზპანობის დროს. პროფ. ს. ერემიანის აზრით, კავკასიის გადასასვლელების დასაცავად სასანიდები სივნიელებს იყენებდნენ და ვასაკიც ამიტომ იყო დანიშნული ქართლის მარზპანად²⁷⁵. მართლაც, შესაძლებელია, სპარსელებმა ამ პერიოდში რაიმე განსაკუთრებული ღონისძიება ჩაატარეს დარიალის გასამაგრებლად.

ძალიან საყურადღებო ცნობები მოეპოვება ლაზარ ფარბეცის საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის.

მრავალგზის ახსენებს ლაზარი ქართლს (*ქართლ*), რომელშიც იგი აშკარად მთელს აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობს. ამასთან ლაზარის ცნობები გვეხმარება ქართლის სამხრეთი საზღვრების დადგენაში.

ქვემო ქართლის პროვინციებიდან ლაზარ ფარბეცი ახსენებს ტაშირს, კანგარსა და აშოცს. ტაშირს ლაზარი ახსენებს 450—451 წწ. აჯანყების ამბებთან დაკავშირებით. ტაშირის მთავარი (იშხანი) ვრენი ლაზარს მოხსენიებული ჰყავს იმ სომეხ დიდებულთა შორის, რომლებიც სპარსელებმა მოტყუებით ხელთ იგდეს და სპარსეთში გაგზავნეს აჯანყების შემდეგ²⁷⁶. შემდგომში იგივე „ვრენი, ტაშირელთა გვარიდან“, ლაზარის გადმოცემით, სხვა სომეხ ნახარარებთან ერთად საპყრობილეში ჩაუგდიათ იეზდიგერდ II-ის ბრძანებით²⁷⁷.

„ვრენ ტაშირელი“ მოხსენიებული ჰყავს ელიშესაც იმ სომეხ ნახარართა რიცხვში, რომლებიც ერთგულნი დარჩნენ ვარდან მამიკონიანისა და გამოცხადდნენ მასთან ავარაირის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად²⁷⁸. ისევე, როგორც ლაზარ ფარბეცი, ელიშეც ასახელებს „ვრენს, ტაშირელთა გვარიდან“ ციხეში ჩასმულ სხვა სომეხ ნახარარებთან ერთად²⁷⁹. თუმცა, ამ ნახარართა სიღბი, რომლებიც მოყვანილია ელიშესთან და ლაზარ ფარბეცისთან, თითქმის სავ-

²⁷⁵ С. Т. Е р е м я н, Сювия и оборона сасанидами кавказских проходов, გვ. 38.

²⁷⁶ Ⴀ. Ⴀ., გვ. 75.

²⁷⁷ იქვე, გვ. 86.

²⁷⁸ ს Ⴀ Ⴀ Ⴀ, გვ. 100.

²⁷⁹ იქვე, გვ. 193.

სებით ემთხვევიან ერთმანეთს და ამითი ამქლავნებენ საერთო წარმომავლობას, მაგრამ ამ ცნობას მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

როგორც ვხედავთ, ორი ისეთი პირველხარისხოვანი წყარო, როგორცაა ელიშე და ლაზარ ფარბეცი, მოწმობენ, რომ V ს. შუაში ტაშირი შედიოდა სომხეთში. რადგან ლაზარი ტაშირს ახსენებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე მდგომარეობა იყო მაშინაც, როდესაც ლაზარი წერდა თავის წიგნს, ე. ი. V ს. ბოლოს.

მაგრამ ზევით ჩვენ მოვიყვანეთ „მაშტოცის ცხოვრებაში“ არსებული ცნობა, რომლის თანახმადაც V ს. ოციან წლებში ტაშირი შედიოდა ქართლში და მისი მთავარი აშუშა მივიჩნიეთ ქართლის პიტიახში არშუშად.

ელიშესა და ლაზარ ფარბეცის თხზულებათა წყალობით ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცით სომხეთის ისტორია V ს. 30-იან—40-იან წლებში. ამ ისტორიკოსებთან არავითარი ცნობა არ არის იმის შესახებ, რომ 20-იან წლებში ტაშირი ქართლის შემადგენლობაში ყოფილიყოს და შემდეგ დაებრუნებინოს სომხეთს. ამიტომ ასეთი შესაძლებლობა ჩვენ გამორიცხულად მიგვაჩნია. მაშასადამე, უნდა მივიღოთ, რომ ან კორიუნის ცნობა არ არის სწორი, ან ელიშესი და ლაზარ ფარბეცისა. ზევით ჩვენ არ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რა კარგი და სანდო ცნობები აქვთ ამ უკანასკნელებს, ამიტომ უპირატესობას ამ საკითხში მათვე ვანიჭებთ. არა გვგონია, შეცდომა ტაშირის საკითხში თვითონ კორიუნს მოსვლოდეს. მას, უეჭველია, უნდა სცოდნოდა, სად შედიოდა მის დროს ტაშირი, სომხეთში თუ ქართლში, ამიტომ ეს ცნობა ჩვენ გვიანდელ ჩანართად მიგვაჩნია. ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „კორუნის ცნობილს, ვრცელსა და მოკლერედაქციებში არსებული ცნობები საქართველოში და ალბანეთში ანბანის გამოგონებასა და საზოგადოდ მაშტოცის მოღვაწეობაზე მერმინდელი დანართი უნდა იყოს“-ო²⁸⁰.

²⁸⁰ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 160. თუმცა, როგორც აღნიშნული გვაქვს, ეს ცნობა გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასში არაფერი იყოს სწორი. ამიტომ ამ ცნობის გამოყენება შესაძლებლად მიგვაჩნია, ცხადია, სათანადო კრიტიკული განხილვის შემდეგ.

როგორც ჩანს, ჩანართის ავტორმა იცოდა, რომ როდესაც გუგარქის საპიტიახშო სომხეთში შედიოდა, ტაშირი მის შემადგენლობაში იყო. IV ს. მეორე ნახევარში გუგარქი შეუერთდა ქართლს, ტაშირი კი სომხეთში დარჩა და, როგორც ქვევით დავინახავთ, ისევ დაუბრუნდა გუგარეთს V ს. შეჰდეგ. ჩანართის ავტორს, ერთობა, გამოუბარა დროის ის შუალედი, როდესაც ტაშირი გუგარქის გარეშე შედიოდა სომხეთში. გუგარქის საპიტიახშოში ტაშირი აღბათ ერთ-ერთ მთავარ მხარეს წარმოადგენდა და ამიტომ უწოდებს ჩანართის ავტორი აშუშას ტაშირის იშხანს.

„მაშტოცის ცხოვრებაში“ არსებული ზემოგანხილული ცნობა გამეორებული აქვს მოვსეს ხორენაცის, რომელსაც საინტერესო და ზუსტება შეაქვს მასში. ხორენაცი ამბობს, გუგარქის პიტიახშოში აშუშამ მიიბატოა შესრობი თავის სამფლობელოში, ტაშირის გავარშიო²⁸¹. მაშასადამე, ხორენაცის წარმოდგენით ტაშირი გუგარქის მხარე ყოფილა²⁸² და მასთან ერთად ქართლში შედიოდა. სამაკუროდ, ხორენაცის თანახმად, უფრო აღჩინდელ ვპოქაში ტაშირი სომხეთის შემადგენლობაშია. ხორენაცის სიტყვით, სომხეთის პირველ არშაქიდ მეფეს ვალარშაკს აშოცი და ტაშირი გუშარ ზიკილიანთვის მიუცია²⁸³. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის აქ ირი რამ: ერთი ის, რომ ხორენაცის ტაშირი და აშოცი ერთი პირის მფლობელობაში წარმოუდგენია და მეორეც ის, რომ ხორენაცი აშოცს უწოდებს „საუფლოს“ (საუფლოჲს), ხოლო ტაშირს — „სასეპუტოს“ (სასეპუტოჲს). როგორც ვხედავთ, ხორენაცის ტაშირი აქაც უფრო დიდი ერთეულის ნაწილად წარმოუდგენია²⁸⁴; მომდევნო წინადადებაში ხორენაცი ვადმოგვცემს, ვალარშაკმა კავკა-

²⁸¹ შ ი ქ ა ხ ა ს ი ე ხ ნ ა გ ქ, გვ. 340—341. იხილება კითხვა, თუ ეს ცნობა გვიანდელი ჩანართის კორექციის თხზულებაში, როდისღა მოხდა იგი მთავრად ხორენაცისთან?

²⁸² ილ. აბულაძე, წინასიტყვაობა წიგნისა „მარტყობაჲ მუშანიკისი“, გვ. 052.

²⁸³ შ ი ქ ა ხ ა ს ი ე ხ ნ ა გ ქ, გვ. 113.

²⁸⁴ პროფ. ს. ერემიანის სიტყვით, V ს-ში სომხეთში ვითარდება სეპუტო უფლება: ნაზარათა გვარებში გამოიყოფიან ცალკეული ოჯახები სეპუტებისა, რომლებიც იღებენ თავის წილს საერთო საგვარეულო კუთვნილებიდან (Очерки Истории СССР, III—IX вв., გვ. 195). ჩანს, ხორენაცის უფრო აღჩინდელ ვპოქაში გადააქვს მისი თანამედროვე ვითარება და ტაშირი უფრო დიდი ერთეულის, გუგარქის საპიტიახშოს, სასეპუტოდ მიიჩნია.

სიის მთის პირდაპირ მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნის გამგებლობა დაავალა ძლიერ გვარს, რომლის თავს გუგარელთა პიტიახშობა მისცაო²⁵⁵. გამოდის თითქოს, გუგარქის პიტიახშს არავითარი კავშირი არა ჰქონია ტაშირთან. მაგრამ სინამდვილეში აქ იგულისხმება არა გუგარქის საპიტიახშო, არამედ საერთოდ ქართლი და ამდენად ხორენაცი სწორია: ამ დროს ტაშირი და აშოცი ქართლში არ შედიოდნენ.

